

მეტეოროლოგია



6

086060



1949

გნათობი



სკულიაღ-საქართველოს საბჭოთა მწიგნობის
ქვეყნის შოველთმეჭარი სალიბიკატურს
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკოლიბიკო
მუკანაწი

წილიწადი ოცდამეექვსე

F 1097

6

ივნილი

★

თბილისი

1949





რუსული პოეზიის მზე



150 წლის წინათ ჩვენი დიადი სამ-
შობლოს გულში, მოსკოვში, დაიბადა
ადამიანი, რომელსაც წილად ხვდა შეეს-
რულებინა უდიდესი კულტურულ-ის-
ტორიული მნიშვნელობის ამოცანა —
ახალი რუსული ლიტერატურის და ახა-
ლი რუსული ლიტერატურული ენის
შექმნა. ამ ადამიანის სახელი, რომელ-
მაც რუსული კულტურის განვითარე-
ბის ისტორიაში ახალი ეპოქა შექმნა,
მთელ მსოფლიოსათვის ცნობილია: ეს
არის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინი.

ტყვილად კი არ უწოდებენ მას რუ-
სული პოეზიის მზეს, რუსული სიტყვი-
ერების გაზაფხულს, რუსული კულტუ-
რის დილას. ამავე დროს იგი „მსოფ-
ლიოში უდიდესი მხატვარიც“ არის,
როგორც უწოდა მას მაქსიმ გორკი.

პუშკინის წინადროინდელმა რუსულმა
ლიტერატურამ მრავალი საამაყო სახე-
ლი იცის, მაგრამ ყველა ესენი შეიძლე-
ბა შევადაროთ სხვადასხვა სიდიდის
ეარსკელავეებს. მრავალი ეარსკელავე
იყო მაშინდელ რუსეთის ლიტერატუ-
რულ ცაზე, მაგრამ რუსეთი ელოდებო-
და მზის ამოსვლას, და იგი ამოვიდა კი-
დეც.

მაშ, როგორი პირობები უწყობდნენ
ხელს პოეზიის ამ მზის ამოსვლას?
რა ნიადაგზე აღმოცენდა კულტუ-
რის ეს განსაცვიფრებელი და დიადი
მოვლენა? როგორ მოხდა, რომ სწორედ
პუშკინი გახდა ახალი რუსული ლიტე-
რატურის მამამთავარი?

ამის საბასუხოდ შეიძლება სამი მი-
ზეზი დავასახელოთ:

ჯერ ერთი, პუშკინი თვითონ თავისი
ბუნებით გენიალური ადამიანი იყო.
მასში რაღაც ჯადოსნური ძალით გა-
მოხატულება ჰპოვა მისი წარმომშობი
დიდი რუსი ხალხის განსაკუთრებულმა
ნიჭიერებამ, გოლიათურმა ძალამ და
სულიერმა სიღამაზემ. გორკის სიტყვით
პუშკინი იყო „ყველაზე სრული გამო-
ხატულება რუსეთის სულიერი ძალები-
სა“. პუშკინის გენია, პირველ ყოვლისა,
გამოხატავს რუსულ ნაციონალურ ხა-
სიათს. გოგოლმა კარგად განსაზღვრა
პუშკინის შემოქმედების ეროვნული
მნიშვნელობა: „რუსის ბუნება, რუსის
სული, რუსული ენა, რუსული ხასიათი
მასში ისევე წმინდად და ლამაზად
აისახა, როგორც ლანდშაფტი აისახება
ოპტიკური შუშის ამოზნექილ ზედა-
პირზე“.

მაგრამ საქმე მხოლოდ პუშკინის პი-
რადს გენიალობაში როდია. პოეტის გა-
მოჩენა მომზადებული იყო დიდებული
რუსული ლიტერატურის ათასწლოვანი
განვითარებით. თვითონ პუშკინი ამა-
ყობდა ლომონოსოვით, დერჟავინით,
კრილოვით, რადიშჩევით და სხვა თა-
ვის წინამორბედებით. პუშკინმა შესა-
ნიშნავად აითვისა და გადაამუშავა რუ-
სული ლიტერატურის მდიდარი მემ-
კვიდრეობა. იგი იყო არა მარტო გე-
ნიალური, არამედ განსაცვიფრებლად
წრომისმოყვარე და განათლებული ადა-

მიანი. თვითონ პუშკინი გაიძახოდა, რომ შრომის გარეშე არ არსებობს ნამდვილი გენიალობაო. პუშკინს ცხოვრება—შემოქმედებითი გმირობაა, ლამაზი და ვაჟკაციური შრომითი გმირობაა. ბელინსკის საზოგადო სიტყვით, პუშკინის შემოქმედებაში შთაინთქა მისი წინამორბედების ლიტერატურული მიმდინარეობანი ისე, როგორც ზღვა შთაინთქავს მდინარეების წყალს. პუშკინი გადაიტყა იმ მზედ, რომელმაც შთაინთქა ლიტერატურული ვარსკვლავების სინათლე და ცხოველყოფილობა და რუსულ ლიტერატურას განვითარების ახალი გზა გაუნათა.

დაბოლოს, პუშკინის გამოჩენა პირობადებული იყო ეპოქის განსაზღვრულ ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური პირობებით. იგი ცხოვრობდა რუსი ხალხის ნაციონალური და პოლიტიკური თვითშეგნების გაღვივების მღელვარე ეპოქაში, 1812 წლის სამამულო ომისა და დეკაბრიზმის ეპოქაში. მან განიცადა 1812 წლის დიდი ხანძარი და 1825 წლის 14 დეკემბრის ზარბაზნების ზალკები. პუშკინი გაიზარდა მძლავრი ნაციონალური აღმავლობის ხანაში, ამ გარდატეხის ეპოქამ წინ წამოწია პუშკინი, როგორც თავისი სულიერი წინამძღოლი, თავისი მომღერალი. პუშკინი იყო რუსი ხალხის გაღვივებული ნაციონალურ-პოლიტიკური თვითშეგნების გენიალური გამოხატველი. თუმცა იგი ორგანიზაციულად არ შედიოდა დეკაბრისტების საზოგადოებაში, მაგრამ იგი იყო გამოხატველი დეკაბრისტთა იდეოლოგიისა ლიტერატურაში, მათი პოეტური შთაბეჭონებელი.

პუშკინის ცხოვრების გზა ხანმოკლე და ეკლიანი იყო. მისი ცხოვრების ისტორია მკიდროდ არის დაკავშირებული რუსი ხალხის ისტორიასთან, ქვეყნის პროგრესიული ძალების გამათავისუფლებელ ბრძოლასთან შავი რეაქციის წინააღმდეგ. პოეტი იზრდებოდა ხალხის თვითშეგნების ზრდასთან ერ-

თად. პუშკინი უდიდესი ისტორიული ამბების მომსწრე იყო. ეფემერული ი. პუშკინი, პოეტის ამბავი უფრო მდიდარად, წერდა, რომ ლიცეუმის ცხოვრება შედუღებული იყო „რუსი ხალხის ცხოვრების პოლიტიკურ ეპოქასთან: ახლოვდებოდა 1812 წლის კვიტუხილი. ამ ამბებმა ღრმა კვალი დასტოვეს ჩვენს ბავშვობაზე... ჩვენ ვაცილებდით გვარდიის ყველა პოლკს, რადგან ისინი ლიცეუმის წინ გაივლიდნენ ხოლმე; ჩვენ ყოველთვის აქ ვიყავით, მათი გამოჩენის დროს, ზოგჯერ კლასებიდანაც კი გამოვდიოდით, გზას ვულოცავდით მეომრებს, ეხვეოდით მშობლებს და ნაცნობებს“.

პუშკინი სიკვდილის წინაც კი დიდი სიამაყით იგონებდა იმ დროს, როდესაც „ჯარი ჯარს მისდევდა, და უფროს ძმებს ვემშვიდობებოდითო“.

„მე-12 წელმა,—წერდა ბელინსკი,—რომელმაც მთელი რუსეთი კიდით-კიდემდე შეაზანზარა, მიძინებული ძალები გამოაღვიძა, და აღმოაჩინა სულ ახალი, მანამდე უცნობი ძალები... აღუგზნო ხალხს შეგნება და სიამაყის გრძნობა“.

პუშკინი კარგად გრძნობდა სახალხო-პატრიოტულ აღმავლობის მთელ სიდიადეს. იგი ლაპარაკობდა სამამულო ომზე, როგორც რუსეთის ისტორიაში ახალი ეპოქის დამწყებ უდიდეს მოვლენაზე. „რუსეთს წილად ზედა მაღალი წინასწარდანიშნულება“, — წერდა იგი.

და სრულიად შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ცარიზმისა და მემამულეების მიერ დაზავრულმა რუსმა ხალხმა ნაპოლეონის ძლიერება დაამხო და 1814 წლის ერთ მშვენიერ გაზაფხულის დილას გამარჯვებული პარიზში შევიდა, როდესაც ეს გოლიათი ხალხი პირველად წარსდგა განცვივრებულ კაცობრიობის წინ თავისი გმირული სიდიადის მთელი ბრწყინვალეობით, სწორედ მაშინ, 1814 წელს პირველად დაიბეჭდა 15 წლის პუშკინის პირველი ლექსი.

ლიტერატურული გაზაფხულის მეუწყებელი პირველი მისი პოეტური მერცხალი. ეს იყო რუსეთის გაზაფხული, ეს იყო რუსული კულტურის დილა.

აგრეთვე სრულიად შემთხვევითი როდი იყო, რომ იმ დროს როდესაც რუსმა ხალხმა ბრძოლის ველზე ჩააბარა სასტიკი გამოცდები, პუშკინმა ჩააბარა პოეტური გამოცდა ლიცეუმში თავისი პატრიოტული ლექსების წაკითხვით და მოხუცმა დერეჟენმა, იგრძნო რა მასში გენიალური პოეტი, სიყვდილის პირზე მდგომმა, დალოცა იგი.

მაგრამ, დამთავრდა სამამულო ომი. გმირული დიდებით შემოსილი, რუსის ჯარები დაბრუნდნენ საზღვარგარეთიდან სამშობლოში, რა მოელოდა „რუს მედიკს“, ომის გმირს, სამშობლოში? გლეხკაცის ჩაგვრისა და მეფის დესპოტიზმის გაძლიერება. ხალხმა იხსნა სამშობლო გარეშე მტრისაგან, მაგრამ ვერ იხსნა იგი შინაურ მტრებისაგან — შემამულეებისა და მოხელეებისაგან. პირიქით, სწორედ სამამულო ომის შემდეგ, იწყება შავი რეაქციის მძვინვარება, ამოტივტივდება შავბნელი ფიგურა არაჩქევევისა და დესპოტიზმის რჯინის სალტეებით შეიბორკება ყოველი ცოცხალი აზრის გამოვლინება. იმპერატორ ალექსანდრე პირველის მთავრობას სურდა რუსეთში შავბნელი დამის გამეფება.

მაგრამ, ლეივდება ბრძოლის ალი, იწყება „გონების მღელვარება“. რეაქციის წინააღმდეგ აღიპართებიან ქვეყნის მოწინავე ძალები, ყრუდ ღელავს გლეხობა, და პირველად რუსეთის ისტორიაში გამოჩნდება რევოლუციონერ-დეკაბრისტების მკიდროდ დარაზმული თაობა. ლენინის თქმით, ესენი იყვნენ „საუკეთესო აღამიანები თავდაზნაურობიდან“, რომელთაც შეიგნეს ბატონყმობისა და მეფის ტირანიის მოსპობის აუცილებლობა, იმ გლეხების გათავისუფლების აუცილებლობა, რომელთადაც ერთად ომობდნენ სამამულო ომის ფრონტებზე, სადაც ასე

ბრწყინვალედ გამოიხვეწა დიპლომატიური გლეხობის მთელი ქვეყნული პატრიოტული კეთილშობილური მოძრაობა პირდაპირი შედეგი იყო სახალხო-პატრიოტული აღმავლობისა. გერცენის სიტყვით ესენი იყვნენ „თავიდან ფეხებამდე ფოლადით სხმული გოლიათები, თანამოსაგრე — მეომრები, შეგნებულად გამოსულნი აშკარა დაღუპვისათვის, რომ ამით გაეღვიძებიათ ახალგაზრდა თაობა ახალ ცხოვრებისათვის და განეწმინდათ ბავშვები, რომელნიც ჯალათების და მონების შორის იბადებოდა“.

პროგრესიული და რეაქციული ძალების ამ ბრძოლაში გენიალური პუშკინი გამოვიდა მოწინავე თაობის პოეტურ ბელადად. თავის ამხანაგებთან, დეკაბრისტებთან ერთად, იგი ეომებოდა ცარიზმსა და ბატონყმობას, ეომებოდა კალმით, რომლის გათანაბრება თამამად შეიძლებოდა ხიშტთან. პუშკინმა პირდაპირ განაცხადა, რომ იგი მეფეების ვასალობად არ დაბადებულა, რომ მისი „მოუსყიდავი ხმა“ რუსი ხალხის გამოძახილია. დეკაბრისტების იდეოლოგია, მათი ძლიერი მისწრაფება თავისუფლებისადმი და სიძულვილი ტირანიისადმი, არსად ისეთის მხატვრულობით, სითამამით და ნიჟიერად არ არის გამოხატული, როგორც პუშკინის ცნობილ ლექსებში „თავისუფლება“, „სოფელი“, „ჩადაღეს“. ამ ლექსებს ხელნაწერებში იზეპირებდა და სწავლობდა იმდროინდელი მთელი მოაზროვნე რუსეთი. მათ კითხულობდნენ ფარულ საზოგადოებების კრებებზე და ავრცელებდნენ ჯარის ნაწილებში.

პუშკინის თავისუფალმა ლექსებმა დიდი როლი შეასრულეს რუსული რევოლუციური აზროვნების განვითარებაში. დეკაბრისტი ზავალიშინი ამბობდა, რომ „იმდროინდელი ახალგაზრდობის“ პირველად პუშკინის ლექსებიდან ვებულობდა ურწმუნოებისა და რევოლუციური ზომების საჭიროე-

ბის შესახებ“. პუშკინი ხდება რუსეთის ყველაზე პოპულარულ პოეტად, რეაქციის წინააღმდეგ პროგრესიული ძალების ბრძოლის მედროშედ.

აქედან იწყება ის ბრძოლა პოეტისა და მეფის შორის, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ დამთავრდა პუშკინის ტრაგიკული დაღუპვით. მეფეებს სძულდათ და თანაც ეშინოდათ გენიალური პოეტისა, ისე, როგორც რეაქციას ეშინია პროგრესის, წყვილად სინათლისა. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე პირველმა დაინახა, რომ პოეტური გენიის ამყად ამართული თავი არ იხრება მონარქების წინ. იქმნება საკვირველი მდგომარეობა: რუსეთში თითქოს ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო ალექსანდრეები მეფობენ — ალექსანდრე რომანოვი და ალექსანდრე პუშკინი. პუშკინი თავისუფლების მეუფე იყო, ალექსანდრე რომანოვიც, პუშკინის თქმით, „მფლობელი სუსტი და ცბიერი, პრანჭია მელოტი, შრომის მტერი“. სთვლიდა რა პუშკინს საშიშ ადამიანად, „პრანჭია მელოტმა“ გადასწყვიტა, რაც შეიძლება მალე გათავისუფლდეს მისგან. ერთხელ ცარსკოე სელოს ბაღში სეირნობის დროს იმპერატორმა უთხრა პუშკინის ყოფილ მასწავლებელს ლიციუმში ენგელგარტს: „საჭიროა პუშკინის გადასახლება ციხეში... მან წაღეკა მთელი რუსეთი აღმამფოთებელი ლექსებით. მთელი ახალგაზრდობა იხუპირებს მათ“.

1820 წელს პუშკინი გადასახლეს სამხრეთ რუსეთში: ამ ხნიდან იწყება პოეტის დენის მთელი ეპოპეა. ხუთ წელზე მეტი გაატარა მან გადასახლებაში — კიშინიოვში, ოდესაში, მიხაილოვსკოეში. მას თვალყურს ადევნებენ პოლიციელები, ხუცები, მოხელეები, მას დევნიან, დასცინიან, მაგრამ ასეთ კატორღულ პირობებშიაც კი პუშკინი ეძიებს ნამდვილ ადამიანებს, თავისუფ-

ლებისათვის მებრძოლებს, უმეტეს მათ თავის პოეტურ შედეგებში. გადასახლებაში იგი ეცნობა საზღვარსციურ სტოპანოვს, კავკასიას, ყირიმს, მოლდავეთს, უკრაინას, რამდენიმე დღეს ბოშებთან ატარებს, დაიარება რუსული სოფლის ბაზრობაზე, ღრმად ეცნობა ხალხის ისტორიულ წარსულს და ხალხურ შემოქმედებას, რის შედეგად ქმნის მთელ რიგ ბრწყინვალე ნაწარმოებებს, მათ შორის პოემებს „კავკასიის ტყვე“, „ბაღისარაის შადრევანი“, „ბოშები“ და სხვ. გადასახლებაშივე პუშკინმა შექმნა ისტორიული დრამა „ბორის გოდუნოვი“, სადაც პირველ გვერდიდან უკანასკნელამდე შოისმის გლეხების ყრუ პოეტისტი ჩაგვრისა და ძალადობის წინააღმდეგ.

პუშკინი გადასახლებაში იმყოფებოდა, როდესაც 1825 წლის მკაცრი დეკემბრის დღეებში პეტერბურგში და სამხრეთ რუსეთში აჯანყდნენ მისი პირადი და იდეური მეგობრები — დეკაბრისტები. როგორც ცნობილია, დეკაბრისტების აჯანყება ცარიზმის მიერ ჩახშობილი იყო. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ პუშკინის თავისუფალმა ლექსებმა დიდი როლი ითამაშეს დეკაბრისტების აჯანყების მომზადებაში. იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა გადაწყვიტა ამ საშიში ადამიანის ან მოსპობა ან თავისი რეაქციული პოლიტიკისათვის დამორჩილება. პუშკინი გადასახლებიდან წამოიყვანეს ფელდგერის თანხლებით პირდაპირ მეფესთან. ნიკოლოზ პირველის შეკითხვაზე, თუ რას გააკეთებდა პუშკინი, რომ 14 დეკემბერს პეტერბურგში ყოფილიყო, პოეტმა უყოყმანოდ უპასუხა: „ჩავდგებოდი აჯანყებულთა რიგებში“. ნიკოლოზ პირველი რწმუნდება, რომ პუშკინი არ გახდება მისი რეაქციული პოლიტიკის იარაღი. მაგრამ მეფეს აშკარა საბუთი ხელთ არა აქვს, რომ პოეტი სიყვდილით დასაჯოს, ამიტომ მეფის თაოსნობით იწყება სახელო-

ვანი პოეტის თანდათანობითი, მეთოდური დევნა, წვალეზა, ქირღვა. პუშკინი ცხოვრობს ჯოჯოხეთურ პირობებში. მაგრამ იგი არ ნებდება. იგი როგორც ჩირაღდანი თავისუფლებისა ანათებს ნიკოლოზის რუსეთის ბნელ ღამეს. გერცენის სიტყვით „მხოლოდ პუშკინის მკვლერი და ლალი სიტყვა გაისმოდა მონობის და ტანჯვის სივრცეში. ეს სიტყვა აგრძელებდა წარსულ ეპოქას, მამაცური ხმებით ავსებდა აწმყოს და თავის ხმას აწვდენდა შორეულ მომავალს“.

დეკაბრისტების აჯანყების ჩახშობის შემდეგაც კი პუშკინი დარჩა დეკაბრისტების იდეების ერთგული. ლექსებში „წერილი ციმბირში“, „არიონი“ და სხვები, იგი უმღერის დეკაბრისტების „ფიქრთა მაღალ მისწრაფებას“ და გამოსთქვამს რწმენას, რომ მათი „მწუხარე შრომა“ არ დაიკარგება. და მართლაც, რამდენიმე ათეული წლების შემდეგ ლენინი სწერდა დეკაბრისტების შესახებ რომ „მათი საქმე არ დაიკარგა“.

თავის შემოქმედების ამ უკანასკნელ პერიოდში პუშკინი ქმნის პირველ რუსულ რეალისტურ რომანს „ევგენი ონეგინს“, მთელ „ენციკლოპედიას რუსეთის ცხოვრებისა“ XIX საუკუნის 20-იან წლებში.

პუშკინს ამავე დროს განსაკუთრებით აწუხებდა რუსი ხალხის ფართო მასების ბედი. პოეტი დაჟინებით მუშაობს გლეხური ცხოვრების შესწავლაზე, რის შედეგად ქმნის თავის შესანიშნავ ნაწარმოებს „კაპიტანის ქალიშვილი“, „დუბროვსკი“, „პუგაჩოვის ისტორია“.

მეფის და პოეტის ბრძოლა უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს, მას შემდეგ რაც პუშკინი ირთავს ნატალია გონჩაროვას. გონჩაროვასთან დაახლოების მიზნით, მეფემ უბოძა პუშკინს

კამერ-იუნკერის დამამცირებელი წოდება, აიძულა ცოლ-ქმარი სასახლის ბაღებზე იარონ, ფარულად ქრთქულადა პოეტის წერილებს ცარლისადმი.

მარტოდმარტო დარჩენილი, უმწეო პოეტი, ერთის მხრივ, სთხოვს ცოლს „ნუ ეარშიყება მეფეს“ და კარისკაცებს, მეორეს მხრივ, პოეტი პროტესტს აცხადებს სასახლის ინტრიგების წინააღმდეგ და როდესაც გაიგებს, რომ მეფე კითხულობს მის წერილებს, იგი წერს: „როგორი ღრმა უზნეობაა გამეფებული ჩვენი მთავრობის ყოფაქცევაში! პოლიცია წინასწარ კითხულობს ქმრის წერილებს ცოლისადმი, შემდეგ უგზავნის მათ მეფეს... და მეფეც უსინდისოდ, ვიდეოკისა და ბულგარინის შესაფერის ინტრიგას ხელს უწყობს“.

ამ უთანასწორო ბრძოლის დასასრული წინასწარ გადაწყვეტილია. უცხო ვიგინდარა დანტესი გამოიყენეს მეფის იარაღად გენიალური პოეტის წინააღმდეგ და 1837 წელს პოეტი იღუპება დანტესის ტყვეით.

დაიღუპა, პოეტი — თავისუფლების მომღერალი, მაგრამ არ დასრულდა ბრძოლა თავისუფლებისათვის. პირიქით, გენიალური პოეტის მკვლელობამ გამოიწვია სახალხო სიძულვილი მკვლელების წინააღმდეგ. პოეტის ცხედართანვე გაჩაღდა ბრძოლა თავისუფლებისა თვითნებობასა და ტირანიასთან. ახალგაზრდა ლერმონტოვმა ესროლა ჯალათებს „რკინის ლექსი, სიმწრით და ბრაზით აღსავსე“. სპარტოველოში გადასახლებული დეკაბრისტი — მწერალი ა. ბესტუჟევი-მარლინსკი გრიბოედოვის საფლავზე წარმოსთქვამს შურისგების ფიცს. მამუკა ორბელიანი გადაჭრით აცხადებს, რომ პირველივე შეხვედრის დროს იგი მოკვლავს დანტესს. აზერბაიჯანელი

მწერალი ახუნდოვი კი შესანიშნავად გამოსთქვამს თავის მწუხარებას: „პალარამოსილი მოხუცი კავკასია შენს სიმღერებს უპასუხებს საბუხის ლექსების კენესით“.



დღეს, პუშკინის დაბადებიდან 150 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, ბუნებრივად იბადება კითხვა: რით აიხსნება, რომ იგი არ ემორჩილება დროს? ან უკეთ რომ ვსთქვათ, რით აიხსნება პუშკინის შემოქმედებითი უკვდავება, მისი სიდიადე, მისი დამსახურება ისტორიის და თანამედროვეობის წინაშე?

თქმა იმისა, რომ პუშკინმა მოახდინა რევოლუციური გადატრიალება ლიტერატურისა და ენის მხრივ, რომ მან შექმნა ახალი რუსული ენა და ლიტერატურა, სწორი, მაგრამ მეტად საერთო ხასიათის პასუხი იქნებოდა. საჭიროა დავასახელოთ პუშკინის შემოქმედების მთავარი თვისებები მაინც.

მრავალი ლიტერატურათმცოდნე პუშკინის პოეზიის ძირითად ღირსებად სთვლის მის განსაცვიფრებელ მხატვრულ სრულქმნილობას. პუშკინი ნამდვილად იყო პოეტური ჯადოქარი, თითქოს მის კალამს ჰქონდა რაღაც მაგიური ძალა; რასაც კი შეეხებოდა ყველაფერი გადაიქცეოდა პოეზიის ნაჭედ ოქროდ. მაგრამ საქმე არა მარტო მხატვრული ფორმის სრულქმნილობაშია.

ხშირად პუშკინის სიდიადეს ხედავენ მის უნივერსალობაში. ჩერნიშევსკი აღნიშნავდა, რომ პუშკინისათვის დამახასიათებელია „გონების და გრძნობის გასაკვირვებელი მრავალმხრივობა“. და მართლაც, ძნელად მოიძებნება სხვა ისეთი გენიოსი, რომლის პოეზიას ჰქონდეს ასეთი ყოვლისშემცველი ხასიათი.

პუშკინი იყო პირველხარისხის ბეტორი ფაქიზი ლირიკული ლექსებისა და მწვავე პოლიტიკური სატირების; პროზაული ტილოების უბადლო ოსტატი და ბრწყინვალე კრიტიკოსი, გენიალური დრამატურგი, ეურნალისტი, ისტორიკოსი. პუშკინის შემოქმედება — სიბრძნის, შორსმჭვრეტელობის, გონებისა და გულის სისავსის საკვირველი განძია. მან შექმნა რუსეთში ყველა ლიტერატურული ენარი, სახე, ფორმა. მისგან იწყება ლიტერატურის ყველა გზა. მაგრამ, ესაც არა კმარა.

პუშკინის ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ლიტერატურა ძლიერ დაუახლოვა ცხოვრებას, აქცია იგი სინამდვილის მართალი, სწორი გამოსახვის საშუალებად, ან როგორც ბელინსკი ამბობდა მან „პირველმა დაუმეგობრა პოეზიას რუსული ცხოვრება, რუსული თანამედროვეობა“. დობროლუბოვმა შესანიშნავად სთქვა, რომ პუშკინმა აღმოაჩინა სინამდვილე. პუშკინი იყო უდიდესი რეალისტი, რომელიც სიმართლით გამოზატავდა სინამდვილეს ყველა არსებული წინააღმდეგობით. პუშკინამდე არავის არ შეეძლო ცხოვრების დახატვა ასეთის სიმართლით, მხატვრული რეალიზმის სიძლიერით. ცხოვრება თითქოს თვითონ შეიჭრა პუშკინის შემოქმედებაში.

მაგრამ, პუშკინისათვის ლიტერატურა ცხოვრების უბრალო სარკე როდი იყო, არამედ „სახელმძღვანელოც“. იგი არ იყო ცხოვრების პასიური, გულცივი მეთვალყურე, სინამდვილის უბრალო ასლის გადამღები, იგი არ იყო გამოფიტული, უდიდო პოეზიის ოსტატი, არამედ ტენდენციური, სამოქალაქო პოეტი, პოეტი-ტრიბუნი, წინასწარმეტყველი და მასწავლებელი, თავისი დროის ყველაზე მოწინავე შეხედულებების ენებიანი მქადაგებელი.

პუშკინი აქტიურად შეიჭრა ცხოვრებაში. მან აიყვანა ლიტერატურა უჩვეულო სიმაღლეზე, აქუსა რა იგი დიდ იდეურ, საზოგადოებრივ შინაარსით და

რეაქციის შეებნელი ძალების წინააღმდეგ საბრძოლო იარაღად გამოიყენა. „მან პირველმა გახადა ჩვენში ლიტერატურა ეროვნული ღირსების საქმედ“, — სთქვა ჩერნიშევსკიმ.

პოეტი ილაშქრებდა არა მარტო ბატონყმობის და თვითმპყრობელობის, არამედ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ბურჟუაზიულ ფორმების წინააღმდეგაც. იგი აღმფოთებით სწერდა „ზანგების მონობის შესახებ განათლებულ ქვეყანაში“, ამერიკული კონგრესის არაადამიანურ დადგენილებების შესახებ, რომელმაც დააყენა მშრომელი ხალხის გაძარცვა. პუშკინი ლაპარაკობდა ინგლისში კაპიტალისტური ექსპლოატაციის შემამრწყუნებელი ფორმების შესახებ: „წაიკითხეთ ინგლისური ფაბრიკების მუშების საჩივრები: თმა ყალყზე დაგიღვებათ“ („მოგზაურობა მოსკოვიდან პეტერბურგს“). „სასტიკ დროში“ პოეტი უმღერდა თავისუფლებას და ამით მან უდიდესი როლი ითამაშა რუსული რევოლუციური აზროვნების განვითარებაში.

პუშკინის სიღიადე მდგომარეობს აგრეთვე მის ცხოველყოფელ ოპტიმიზმში. პოეტი არა მარტო უმღერდა თავისუფლებას, არამედ მას სჯეროდა კიდევაც „შორეულ მერმისში“ ადამიანთა შორის სრულიად სხვაგვარი ურთიერთობის შესაძლებლობა. იგი დიდის რწმენით ამბობდა, რომ რუსეთი გაიღვივებს და „მომხიბლავი ბედნიერების ვარსკვლავი“ ამოვა. ბატონყმური ძალადობისა და მეფის თარეშის დროში, პოეტი სჭერტდა მომავალს, და მაშინ, როცა პოეტს დევნიდნენ და აწამებდნენ, იგი გაიძახოდა „გაუმარჯოს მზეს, განიდევნოს წყედიადი!“ პუშკინის პოეზია მომავლის უდიდესი ჰიმნია, მზის წყედიადზე გამარჯვების ჰიმნი. მართალი იყო გერცენი, როდესაც სწერდა პუშკინზე: „მას ჰქონდა მომავლის რწმენა, რაც დასავლეთელმა ადამიანმა უკვე დაკარგა“.

პუშკინი დიდია თავისი ნათელი ჰუმანიზმით, ღრმა ადამიანურებით, ჰუმანიტი კეთილშობილებით. მისი პოეზიური სიწმინდით და პატიოსნებით.

გამოდირდა რა ადამიანის მიერ ადამიანის დანაგვრის წინააღმდეგ, იგი უმღერდა თავისუფალ შემოქმედებით შრომას, ღედამიწაზე ადამიანის ნათელ და ჰარმონიულ ცხოვრების დამყარებისათვის. ამით პუშკინი არსებითად იბრძოდა იმ ჰუმანიური იდეებისათვის, რომელთაც თავისი განხორციელება ნახეს მხოლოდ ჩვენს საბჭოთა ეპოქაში. გოგოლი ამბობდა, რომ პუშკინი პროტოტიპია იმ რუსი ადამიანისა, რომელიც მოვა 200 წლის შემდეგო. ბელინსკის აზრით „მოვა დრო, როდესაც იგი იქნება რუსეთში კლასიკურ პოეტად გამოცხადებული, და მისი ნაწარმოებების მიხედვით შეიკნობენ და განავითარებენ არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ ზნეობრივ გრძნობებსაც“. უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა პუშკინის პოეზიისა იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც კითხულობ მის ლექსებს, როგორც ერთმა საბჭოთა მოწაფემ განაცხადა, გსურს გახდე პატიოსანი, კეთილშობილი და კარგი ადამიანი. სწორედ ამ ადამიანურ მომხიბვლელობაში ხედავდა ბელინსკი პუშკინის პოეზიის მთავარ ღირსებას. „პუშკინის პოეზიის საერთო კოლორიტი, — სწერდა დიდი კრიტიკოსი, — ...ადამიანის შინაგანი სილაშაზე და სულისჩამდგმელი ჰუმანიურობა... ამ სიტყვაში ვგულისხმობთ უსაზღვრო პატივისცემას ადამიანის ღირსებისადმი“.

ასეთ ჰუმანიტი ჰუმანიზმთან განუყოფელია ხალხურობა, დემოკრატიზმი, უბრალო ადამიანებისადმი პატივისცემა და თანაგრძნობა. პუშკინი იმიტომ გახდა დიდი სახალხო პოეტი, რომ გამსჭვალული იყო რუსი ხალხისადმი, უბრალო ადამიანებისადმი, მათ ისტორიასა და ზეპირსიტყვიერებისადმი დიდი სიყვარულით და პატივისცემით. ბავშვო-

ბიდან, როდესაც იგი უსმენდა უბრალო გლეხის ქალის არინა როდიონოვნასაგან ნაამბობ ხალხურ ზღაპრებს, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე პოეტმა არ უღალატა ამ კეთილშობილი თვისებას. სწორედ რუს ხალხში, ხალხურ შემოქმედებაში ნახა მან პოეტური აღმაფრენის გამოუღწეველი წყარო, დაეწაფა ამ გამაღოცხლებელ ოქროს წყაროს და, როგორც მითითრი ანტოსი, ამ წყაროდან სესხულობდა თავის გოლიათურ პოეტურ დიდებას.

ხალხისადმი მგზნებარე სიყვარული მასში ორგანიულად იყო დაკავშირებული თავისუფლებისმოყვარე სამშობლოსთან. პოეტი ამყობდა თავისი სამშობლოთი, იმით, რომ იგი ეკუთვნოდა „სლავთა ამაყ მოდგმას“, იგი სწერდა ჩაადაეფს: „პატრიონებას გიფიცები, არაფრის გულისთვის არ მოვიწოდებდი სამშობლოს გამოცვლას, ან რომ მჭონდეს სხვა ისტორია, ჩვენი წინაპრების ისტორიის მაგიერ“.

პუშკინი მოუწოდებდა მეგობრებს სამშობლოს მიუძღვნან „სულის კეთილი გრძნობები“. მაგრამ, რუსეთისადმი მგზნებარე სიყვარულთან ერთად დიდი პატრიოტი გამსჭვალული იყო სხვა ეროვნებისადმი პატივისცემითაც. იგი, დიდ პოლონელ პოეტ მიცკევიჩთან ერთად, ოცნებობდა „მომავალ დროთა“ შესახებ, როცა ხალხები „მტრობას დაივიწყებენ და დიად ოჯახად გაერთიანდებიან“.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, პუშკინი საყვარელია და ძვირფასი აგრეთვე იმით, რომ იგი რამდენიმე ხნით საქართველოს სტუმარი იყო 1829 წელს, საქართველოს პაერთ სუნთქავდა, დადიოდა თბილისის ქუჩებზე, მეგობრობდა მოწინავე ქართველებთან.

საქართველოთი დიდი პოეტი ვერ კიდევ ლიცეუმში სწავლის დროს იტყობდა. ვერ კიდევ 1825 წელს გაინიზრახა მან ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა, მაგრამ ათი წლის მანძილზე ვერ მოახერხა თავისი სურვილის განხორციელება, რადგან მუდამ გადასახლებაში ან პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. და მხოლოდ 1829 წლის გაზაფხულზე ესარგებლა იმით, რომ პოლიციის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ნიკოლოზ პირველის ვარშავაში გამგზავრებისადმი და პუშკინი გამოემგზავრა საქართველოში უშაღლესი ხელისუფლების ნებადართველად. ეს რომ დედაქალაქის პოლიციამ შეიტყო, სასწრაფოდ გააფრთხილა მთავარსარდალი პასკევიჩი, რომ პოეტისადმი მეთვალყურეობა დაეწყეს ბინა. და იმ დროს, როდესაც პოლიცია გენიალური პოეტისადმი მეთვალყურეობას აწარმოებდა, ქართველი საზოგადოებრივობა ხელის გულზე ატარებდა მას, აწყობდა მის საპატიველოდ საღამოებს, აცნობდა მას ქართულ კულტურას, ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს, რის შესახებაც თვითონ პოეტი ლაპარაკობს თავის „არზრუმს მოგზაურობაში“. პუშკინი სიამოვნებით იგონებდა „საამო და მხიარულ საზოგადოებას“ და საღამოებს ბაღებში, სადაც „უსმენდა მუსიკას და ქართული სიმღერის ხმებს“.

საქართველომ დაიკავა საპატიო ადგილი რუსი გენიოსის შემოქმედებაში. აქ, კავკასიის დიდებულ მწვერვალებთან, საქართველოს ველებსა და მთებზე ახლებურად გაისმა მისი პოეტური ხმა. ბუმბერაზმა კავკასიამ, როგორც გოგოლი ამბობს, გამოავლინა პუშკინის სულის ძლიერება „და ამიერიდან მისმა ყალამმა ჰპოვა ფართო გასაქანი“. „იგი უფრო მხურვალე და მგზნებარეა აქ, სადაც მისი სული შეეხო სამხრეთს“.

პუშკინი საქართველოს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებს: „ქართველები მებრძოლი ხალხია. მათ დაამტკიცეს თავიანთი სიმამაცე ჩვენი დროშების ქვეშ. მათ გონებრივ ნიქს დიდი განათლება მოეღოს. ისინი საერთოდ მხიარული და თავზიანი ხასიათის არიან“.

საქართველო პუშკინმა ასახა თავის ლირიკის ისეთ მარგალიტებში, როგორიცაა „საქართველოს მთებზე“, „მონასტერი ყაზბეგზე“, „ზვავი“, „კავკასიონი“...

თავისუფლებისმოყვარულ პუშკინზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თერგმა, რომელიც მან დაჰხატა თავის ლექსში „კავკასიონი“, როგორც მოძრაობის, ურჩობის, ბრძოლის სიმბოლო. დარიალის ეწროების მუნჯ ბუმბერაზებს პოეტი ადარებს უცხო ძალების დესპოტურ კანონებს, აბობოქრებულ თერგს კი — თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიას. საგულისხმოა, რომ ჩვენი დიდებული თერგდღეული ილია ჭავჭავაძეც ასევე უპირისპირებდა ერთმანეთს ყაზბეგის ცივ, უძრავ მწვერვალს და ბობოქარ თერგს, როგორც მოძრაობისა და აღელვებული ცხოვრების სიმბოლოს.

პუშკინის ნაწარმოებში კავკასიაზე, როგორც სწორად შენიშნა ჯერ კიდევ ბელინსკიმ, რუსეთს აცნობდნენ კავკასიელთა ცხოვრებას, ამ ქვეყნისადმი სიყვარულს უღვიძებდნენ მკითხველებს. „პუშკინის მუშამ თითქოს ბრწყინვალე ნათელი მოჰფინა ძველი ღრთიდანვე არსებულ ნათესაობას რუსეთსას ამ მხარესთან“ (ბელინსკი).

პუშკინის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იმ დროს როცა ცარიზმი ცეცხლითა და მახვლით ანადგურებდა კავკასიის თავისუფლებისმოყვარე

ერებს, დიდი პოეტი გამოხატავდა რუსი ხალხის ძმურ სიყვარულს მებრძობისადმი, უმღერდა მათ მხედრულ შედეგებში, რომელიც რუსული ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდნენ.

მოწინავე ქართულმა საზოგადოებრივობამ თავიდანვე ღირსეულად შეაფასა ძმური რუსი ხალხის გენიალური შეილის მოღვაწეობა. მისი ნაწარმოები ორიგინალში და თარგმანების სახით ფართოდ ვრცელდებოდა საქართველოში ჯერ კიდევ პუშკინის სიცოცხლის დროს. 85-ზე მეტმა კაცმა თარგმნა რუსი გენიოსის ნაწარმოებში ქართულ ენაზე. მათ შორის არიან როგორც 1830-იანი წლების რომანტიკოსი—პოეტები ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ რაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ისე 60-იანი წლების ქართველი რეალისტების ბრწყინვალე პლეადა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის სახით, და სტალინური ეპოქის ბრწყინვალე პოეტები.

მოწინავე ქართული საზოგადოებრივობა პუშკინის პოეზიაში გრძნობდა კეთილშობილურ, გამაცოცხლებელ ძალას. ამის შესახებ მშვენიერად აქვს ნათქვამი ილია ჭავჭავაძეს: „ამ უკანასკნელ 70 წლის განმავლობაში ისეთი ჩამომავლობა არ ყოფილა საქართველოში, რომელსაც რამე ესწავლოს და პუშკინის მუშას არ დასწაფებოდეს“.

ცნობილი ქართველი მწერალი ნიკოლოზოვი ქართველი ხალხის გრძნობებს გამოხატავდა, როდესაც პუშკინის იუბილესთან დაკავშირებით, გამოთქვამდა: „დღეს აღფრთოვანებული გრძნობით ხელს ვუწვდით ჩვენს უფროს ძმას — რუსეთის ერს — და მასთან ერთად ვდღესასწაულობთ დიდებული მგოსნის დაბადების დღეს“.

არასოდეს პუშკინის დიდება ასეთი ძლიერი, დიადი და მშვენიერი არ ყოფილა, როგორც ჩვენს საბჭოთა ეპოქაში. მართალია, წარსულის ყველა მოწინავე ადამიანი, დაწყებული დეკაბრისტებიდან, ბელინსკიდან მარქსსა და ლენინამდე, ყოველთვის მიმართავდა პუშკინს, როგორც თავის საყვარელ პოეტს. მაგრამ პუშკინის ნამდვილი აღორძინება დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სამუდამოდ მოსპოა ის საქულველი წეს-წყობილება რომელსაც ასეთი გაბედულებით ებრძოდა გენიალური პოეტი.

მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი, ყველაზე მოწინავე და კულტურული ხალხი მსოფლიოში, შემეკვიდრება ყველაფერ იმ კარგისა და პროგრესიულისა, რაც წარსულის დიდ ადამიანების მიერ არის შექმნილი. ამიტომ საბჭოთა ხალხმა სამუდამოდ შეიყვარა და სათანადოდ შეაფასა პუშკინის პოეზიის უქნობი ნაწარმოებნი.

პუშკინის 150 წლის იუბილე, რომელიც ასეთის აღფრთოვანებით იღვრება სასწაულეს ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენელ სიერცეზე, მოსკოვსა და ლენინგრადში, შორეულ იმეერ-პოლარეთში და ცხელ ყაზახეთში, ბალტიკის და შავიზღვის სანაპიროებზე, დაღესტნის აულებსა, უკრაინის მიწაზე და მზიურ საქართველოში, მოწმობს იმას, რომ მთელი ჩვენი ხალხი — მწერლები და მუშები, სოციალისტური მიმდგრების მუშაეები და სახელოვანი მეომრები, დიდი მეცნიერები და პატარა მოწაფეები — ყველა სთვლის პუშკინს თავის მშობლიურ, ძვირფას და საყვარელ

პოეტად. რუსი გენიოსის ნაწარმოებნი საბჭოთა ხელისუფლებით ყველაფერი თარგმნა 76 ენაზე: ხანგრძლივადი საბჭოთა კავშირში გამოცემულ მის ნაწარმოებებისა 45 მილიონ ცალზე მეტს აღემატება.

დიდი პატრიოტი და ჰუმანისტი, მზისა და გონების გენიალური მომღერალი, პუშკინი შედის ჩვენს სოციალისტურ ეპოქაში, როგორც ჩვენი თანამგზავრი, მეგობარი და თანამებრძოლი. პუშკინი ჩვენთან არის, როგორც ცოცხალი ცოცხლებს გველაპარაკება მთელი თავისი პოეტური ხმით. იგი ცოცხლობს ჩვენს მეხსიერებაში თითქმის აკნიდან პირველ სიზმრებსა და ზღაპრებთან ერთად. იგი ჩვენი მასწავლებელია და თანამდგომი დაუღალავ სწავლაში და გმირულ შრომაში, ახალი საზოგადოების აშენებაში და კეთილშობილურ ბრძოლებში საერთაშორისო რეაქციის შევბენელ ძალებთან.

დღეს, როცა ბურჟუაზიული ევროპის და ამერიკის რეაქცია ლამობს მზის დაბნელებას, როცა პროგრესიული კაცობრიობის სათავეში მდგომი საბჭოთა ხალხი აწარმოებს უდიდეს ბრძოლას გაბრწყინილი ბურჟუაზიული კულტურის, ამერიკული და ევროპული რეაქციის წინააღმდეგ, როცა ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხი მტკიცე ნაბიჯით მიისწრაფვის წინ თავის ისტორიულ მიზნისაკენ, კომუნისმის გაციისკროვნებულ მწვერვალებსაკენ, ამ ბრძოლაში, ამ სახელოვან მისწრაფებაში ჩვენთან ერთად არიან ჩვენი დიდი სულიერი წინამორბედნი.

რაც არ უნდა შორს წავიდეს კაცობრიობა, მის პორიზონტზე, დროთა ოკეანეზე ყოველთვის იქნება ამაღლებული პუშკინის პოეზიის ბრწყინვალე მწვერვალი.

„და შენ კი, როგორც პირველ სიყვარულს, არ დაგვიწყევებს რუსეთის გული“.

არ დაივიწყებს, რადგან ბელინსკის სიტყვით „პუშკინი არის მუდამ მოძრაობაში მყოფი მოვლენა, რომელიც არ ჩერდება იმ ერთ წერტილზე, სადაც მას სიკვდილი მოუსწრებს, არამედ განაგრძობს განვითარებას საზოგადოების შეგნებაში“

მართალი იყო პუშკინი, როდესაც ამბობდა, რომ იგი „მთლიანად არ მოკვდება“ და მისკენ „მევალი სახალხო გზა“ არასდროს არ „გაუქმდება“, არა-

მედ უფრო გაგანიერდება, ნამდვილი სახალხო გზა გახდება. გაივლიან საუკუნენი და ათასი წლები, თაობები შესცვლიან თაობებს, მაგრამ საუკუნეთა სიღრმიდან მუდამ იქუხებს უკვდავი ხმა პუშკინისა: „Здравствуй, племя младое, незнакомое“. და ყოველი ახალი თაობა ათას წლების შემდეგ გაუწოდებს მას ხელს და იტყვის: „გაუმარჯოს პუშკინს, ჩვენს ძვირფას და საყვარელ პოეტს“.

ა. ს. კუპჩინი

ლ ე ქ ს ე ბ ი

★

ზამთრის საღამო

ცას წყვედიადით ქარი უვლის,
ქრის და თოვლის ბუჭი დგება;
ხან ისე ვით მხეცი, ღმუის.
ხან ბავშვივით ატირდება.

ხან ჩვენ ღარიბ ქოხზე ქარი
ისლს შეარხევს, გააედება,
ხან ვით მგზავრი გზასამცდარი
ჩვენს ფანჯარას მოაწყდება.

ჩვენი ქოხი ამ აედარში
არის ბნელი, მგლოვიარე.
ჩემო ტყბილო გადიავ, შენ,
ფანჯარასთან რად მდუმარებ?

თუ ახლა, როს შფოთავს ქარი,
ჩემო კარგო, მოილაღე,
ან ზღუნში თითისტარის
ძილი გაძლევეს და ხუჭავ თვალებს?

სიყრმიდანვე მეგობრობას
მიწვევ, ვინ მყავს შენი ფასი!
შევსვით დარდის გასაქრობად,
მომაწოდე, მომეც თასი!

სთქვი სიმღერა, გამაგონე,
რომ ზღვის იქით ბუდე ჰქონდა
ჩიტს, ან წყაროსთან გოგონა
დილით რატომ დადიოდა?

ცას წყვედიადით ქარი უვლის,
ქრის და თოვლის ბუჭი დგება;

ხან ისე, ვით მხეცი, ღმუის,
ხან ბაეშევიით ატირდება.

სიყრმიდანვე შეგობრობას
მიწევს. ვინ მყავს შენი ფასი!
შევსევით დარდის გასაქრობად,
მომაწოდე, მომეც თასი!



შამი თავშალი

ვით შეშლილს გამიშლია შავი თავშალი,
დაცქერი და მახრჩობს მწუხარება შავი.
რომ ჰაბუკი ვიყავ, ლალი, თავგასული,
შემიყვარდა ერთი მე ბერძნის ასული.

წარმტაცი ქალწული მწველ აღერსში მხევედა;
მაგრამ ვაგლახ, მალე შავი დღეც გათენდა.
ერთხელ როს ვართობდი ჩემს მხიარულ სტუმრებს,
ვხედავ ებრაელი კარზე უკაუნებს.

„ილხენთ (ჩამჩურჩულა) მეგობრები აღბათ,
შენ კი გილაღატა შენმა ბერძნის ქალმა“.
მას მიუუგდე ოქრო და დავსწყველე მწარედ.
მყისვე მე ერთგული მონა დავიბარე.

გზას გავყევით: მხედარს თითქოს ფრენა მსურდა
გულში შებრალების ჩემი გრძნობა სდუმდა.
როს მოვკარი თვალი ჭისკარს ბერძნის ქალის,
მე თვალით დამიბნელდა, მთლად წამერთო ძალი...

მის საწოლ თათხში როცა შეეღვი ფეხი...
ვხედავ მოლაღატეს ეხვევა სომეხი.
მოვიქნე მტერზე მე მახვილი ამ დროს
სწრაფად, რომ ბორბტმა კოცნაც ვერ მოასწრო.

ფეხით დიდხანს ვთელე უთავო სხეული,
ქალს კი დაცქეროდი თვალეზამღვრეული.
მასხოვს მისი სისხლი, ვედრება, კანკალი...
დაიღუპა ტრფობა, დაიღუპა ქალი.

მე ცხედარს თავიდან მოვხადე თავშალი
და მით გავიწმინდე სისხლიანი ხმალი.
მათი გვაგები კი,—როს დღე დამედ იქცა,
ჩემმა მონამ ჩემად ღუნაის ზვირთს მისცა.

F1097





საქართველოს
წიგნისწამყვანთა
კავშირი

მას შემდეგ არ ვკოცნი ლამაზების თვალებს,
ღამით ღზინის ნაცვლად ვგოდებ და ვვალაღებ.
ვით შესულის გამიშლია შავი თავშალი,
დაეცქერი და მახრჩობს მწუხარება შავი.

★

მ ლ ე ბ ი ა

მშფოთვარე წლების გადასული მზიარულება
ისე მძიმეა როგორც ღზინის შემდეგ გუნება.
მაგრამ ჩემს სულში, როგორც ღვინო-ღვინო სიმწუხარის
რა რიგ ძველია ის, მით უფრო ძლიერი არის.
მძიმე გზა მიძევს. მხოლოდ ჯაფას და ტანჯვას მიზღვავს
ჩემი ცხოვრების მღელვარე ზღვა.
მაგრამ... ო, არ მსურს სიკვდილი, ძმებო!
მე მსურს სიცოცხლე, რომ ვიტანჯო და ვიოცნებო.
და ვგრძნობ, რომ მელის სიტყბო, ამბორი
მე მწუხარებას და ტანჯვას შორის.
ხანდახან ისევ ჰარმონია მათრობს, მაკვირვებს,
ხან კი ჩემივე ნაფიქრალი მე ამატირებს,
და იქნებ, ჩემი დაისის ქამს მოულოდნელად
იელვოს ტრფობამ, გამიღიმოს უკანასკნელად.

★

ყ ვ ა მ ი ლ ი

მე, ჩადებული ვიბოვე წიგნში
ყვაილი მკენარი, მივიწყებული.
და უცებ ასეთ უცნაურ ფიქრით
აღივსო სული:
როდის ყვაეოდა? რომელ გაზაფხულს?
და ან თუ დიდხანს ყვაეოდა იგი?!
მოსწყვიტა უცხო, თუ ნაცნობ ხელმა,
და ან რა მიზნით ჩაუდევთ წიგნში?
მოსაგონარად ტკბილ შეხვედრების,
თუ გულისმომკვლელ განშორებისა,
აღსანიშნავად მდუმარ მინდვრებზე
და ტყესთან მარტო სეირნობისა!
ახლა, ის კაცი, ნეტავ, თუ სიცოცხლობს?
ან ქალი იგი, და სად არიან?
თუ ისევე, ვით ყვაილი უცხო,
შათი სიცოცხლეც უკვე მკენარია?



★

ა ლ ბ ო მ უ ი

გაივლის ტრფობა, ჩაკვდება გრძნობა,
გაგვეყრის საწუთროს ბედი დამზრალი.
ვინ მოიგონოს ფარული ტრფობა,
სევდა, ალერსი უკვე გამჭრალი? —
მსურს, ამ ფურცლებზე მოგონებისა,
მათ წუთიერი რომ დარჩეთ კვალი.

★

ბულბული და ვარდი

ღამის ღუმელში, როცა ბაღში დგას გაზაფხული,
ვარდის მახლობლად ჩამომჯდარი გალობს ბულბული.
მაგრამ, ძვირფასო! ვარდი არ გრძნობს ჰანგს სიყვარულის
და სატრფილო გალობის ეამს ედება რული.
შენც ხომ ასევე, ცივ მშვენიების შემამკობელი
ხარ პოეტი და დროა მიხვდე რა გსურს, რას ელი.
ის ყურს არ ვიგდებს, თანაგრძნობით არ გხვდება
მგოსანს,
შეხედავ — ჰყვავის, რომ მოუხმობ — ღუმელი მოსავს.

★

ა ლ ბ ო მ უ ი

უკანასკნელი ყვავილები სჯობს
ახლად გაფურჩქენილ ყვავილთ მინდვრისა;
კანაღვიძებენ ადვილად გრძნობებს
და იმ ოცნებათ, რომ დაგვესკვნობია.
ასევე, წუთი განშორებისა,
ზოგჯერ შეხვედრის წუთებს სჯობია.

★

ლ ა მ ე

ჩემი ხმა საეცე ალერსით და ტრფობით შენღამი
არღვევს სიჩუმეს, მყუდროებას ბნელ შუაღამის.
საწოლთან ახლოს, მოწყენილი წვეს ხანთელი,
ჩემი ლექსები აღესებულნი შენი ნათელით —
ირევიან და სიყვარულის ნაკადს ერთვიან.
ამ სიბნელეში ისევ შენი თვალები კრთვიან,
მე მიღიმიან, თან მომესმის ხმა დამამშვენი:
სიყვარხარ, ნაზო მეგობარო! შენი ვარ, შენი!



★

მ ო ზ ო ნ ე ბ ა

როცა ჩაქრება დღე უბრალო მომაკვდავისა
 და ჩამოწვება ქალაქზე ფრთხილი,
 თანაც ნახევრად გამკვირვალე ჩრდილი ღამისა
 და დღისით მაშვრალთ მოიცავთ ძილი,

ამ დროს ღუმელში სიჩუმეში შეირხევიან
 მომამბეზრები წუთები მწველი.
 ღამის წყევლიადში მე ადვილად მომეხვევიან
 იშვები მწარე და გულის მღრღნელი.

ველარ ისვენებს სული ჩემი, შფოთავს და დარდობს,
 გონება მწარე ფიქრებს ვერ იშლის.
 და მოგონებაც, უღმობელი, უეცრად, ამ დროს
 მე ჩემს განვილდ გზას თვალწინ გამიშლის.

გულგატეხილი, ჩემს ცხოვრებას ვკითხულობ აქვე,
 თითოღვა შემოიპყრობს, მას ვწყველი მაშინ:
 მწარე საყვედურს ვამბობ, ცხარე ცრემლებსაც ვაფრქვევ.
 მაგრამ სტრიქონებს, ჭმუნვის მომგვრელთ, მაინც ვერ წაეშლი.

თარგმანი ვიქტორ ზაზაშვილისი.

★

ს ო ნ ე ტ ი

მრისხანე დანტე ალიგიერს არ სძაგს სონეტი,
 მასში პეტრარკა სიყვარულის ცეცხლს ამძვინვარებს,
 მას შთაგონებით თვით მაკბეტის ჭედს შემოქმედო
 და კამოენსი კავშანით აესებს მის ბწყარებს.

მოხიბლულია იმით ჩვენი დროის პოეტი,
 ორდესვორტი ჰყურნავს იმით სულის მწვავე იარებს,
 როს გულნატყენი წუთისოფლის ამაოებით
 ბუნებისადმი სიახლოვეს აიღვალებს.

შორი თავრიდის მთების ჩრდილში გადახიზნული
 ლიტვის მგოსანი მისი ვიწრო და გამიზნული
 რკალით უმაღვე ჰყრავს ოცნებებს მსუბუქფრთიანებს,

ჩვენში ჯერ კიდევ არ იცნობდნენ იმას ქალები,
 როცა დღეღამე ანაცვალა მის სიღიადეს
 თვით ღვთაებრივი პეგზამეტრის წმინდა ჰანგები.



მე თქვენ მიყვარდით, სიყვარული თქვენდამი, იქნებ,
ჩემს გულშიც ჯერაც არ ჩამქრალა და ღვივის კიდევ-
მაგრამ დე იგი ნუ აღვიძრავს სევდიან ფიქრებს,
რადგან არ მინდა შევიშფოთო სულის სიმშვიდე.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, გამოუთქმელად,
თქვენდამი კრძალვით, ხან ეჭვებით ვიტანჯებოდი.
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად,
ღმერთმა ჰქნას, ასე კვლავაც ვისმე შეჰყვარებოდით.

თარგმანი **ვანო წულუკიძისა.**



ნაპოლეონი ელბაზე

ზღვის ღრმა მორევში ჩამავალ მზის ჰქრებოდა აღი,
ბურუსით საესე ელბას ჰფლობდა სიჩუმე მკედრული,
ლეგა ღრუბლებში მისცურავდა მთვარე ფერმკრთალი —
ნისლით მოცული.

დასავლეთისკენ წყლის ზედაპირს — ლურჯსა და ფართოს,
შეერთებოდა ცის ტატნობი — ბინდჩახვეული.
ნაპოლეონი იჯდა მაღალ კლდის ქიმზე მარტო —
გულ ამღვრეული.

ხალხთა დამღუპველს ფიქრს უნთებდა ზრახვა მსახვრალი.
ადგენდა გეგმებს ევროპისთვის ახალი ომის.
უცებ მიაპყრო შორ ნაპირებს მრისხანე თვალი
და წარსიტყვა წყრომით:

„რა სიჩუმეა, ყოველივეს ძინავს ღრმა ძილით,
ნისლს დაუბურავს დიდ მორევის ტალღები შავი,
ზღვაზე არა ჩანს ლაღად მსრბოლი ლამაზი ნავი,
სასაფლაოდან არ მოისმის მხეცის ყვილი.
მე აქ მარტო ვარ, დაუდგრომელ ფიქრით მქმუნავი!..“

„ო, ნეტავ მალე — ქაფიანი ტალღა მჩქეფარე —
შორ სივრცეებში გააქროლებს ჩემს ხომალდს მარდაღ,
და დაირღვევა იღუმალი სიჩუმე მკედრული?
ელბას კლდეებზე გაწოლილო, აღელდი ღამევე,
დამწვლდი მთვარევე, მოიბურე ღრუბლების კალთა!“

„იქ მელოდება მე ერთგული, მამაცი ჯარი,
 ცეცხლში ნაწრთობი, მძაფრ ბრძოლებში შეუდრეკელი.
 ბორკილში გმინავს ჩემს წინაშე ქვეყანა მთელი —
 მე მოვალ თქვენთან, ვერ შემაკრთობს ზღვა ბობოქარი,
 კვლავ დაგცემთ რისხვას, როგორც მეზი მძლეთამძლეველი!

„იღვლებს ცეცხლი საზარ ომის, არწივებს გალთა
 ხედებათ დიადი გამარჯვება, აგზნებულთ რისხვით.
 ადუღდება ხეობებში მორევნი სისხლის,
 მეფეთა ტახტებს ძირს დავამსობ, უფსკრულში ჩაენთქავ,
 გავცამტვერებ ვერობის ფარს-აღსავსე ზიზლით!..

„მაგრამ ჩემს ჩრგვლივ ყოველივეს სძინავს ღრმა ძილით,
 ნისლს დაუბურავს ღრმა მორევის ტალღები შავი,
 ზღვაზე არა ჩანს ლაღად მსრბოლი ლამაზი ნავი,
 სასაფლაოდან არ მოისმის მხეცის ყივილი,
 მე აქ მარტო ვარ, დაუდგრომელ ფიქრით მკმუნავი.

„ზედნიერებავ, ბოროტებავ, ცთუნების მგერელო,
 შენც ჩამოშორდი, ვით სიზმარი მიმფარდი თვალებს.
 ქართ კვეთების ყაშს გულითადო, დიდო მფარველო —
 ჩემო აღმზრდელო, შენ მიმოვბდი დღეებს ბრწყინვალეს.

„გუშინ არ იყო, როს უხილავ ბილიყით ბნელით,
 მიმაქროლებდი ტახტისაკენ, მავსებდი ღზინით?
 და შუბლს მიმოვბდი შეუპოვარ, კადნიერ ხელით —
 დაფნის გვირგვინით? *

„გუშინ არ იყო, როს ხალხები კრძალეით და რიდით
 თაუისუფლების ხარკს მაწვდიდნენ ნიშნად სიამის?
 და საპატოო დროშებს ხრიდნენ ჩემს წინ სიშველით,
 ირგვლივ გრგვინავდა, ზანზარებდა ცა კვამლიანი.

„და დამნათოდა თავს დიდება შექთა მფრკვეველი,
 მფარავდა იგი, ვით იმედი, უმძლავრეს ფრთებით.
 მაგრამ მოსკოვზე აღიმართა მძლეთა-მძლეველი —
 მეხის ღრუბელი — აგზნებულა შურისძიებით.

„კბაბუკო მეფევე, ჩრდილოეთის — შენი ლაშქარის
 სისხლიან დროშებს მოჰყვა ჩემი დაღუპვის ყამი.
 მყის გახშიანდა მძლეთა-მძლეველის ხედრი საზარი,
 მიწას წილად ხვდა მშვიდობა და ზეცას — სიამე,
 მე კი შერცხვენა, პატიმრობა, წყვდიადი ღამის!

„დაიმსხვრა ჩემი ხმაწკრიალა ერთგული ფარი,
 ომის გრიალში მუხარადი კვლავ აღარ ელავს.
 ნისლში მქრქალდება ბრძოლის ცეცხლში ნაწრთობი ხმალი
 შთენილი ველად.

„ირველივ მღუმარებს ყველაფერი, წყვედიადში ღამის
 ვაგლახ, ამაოდ შელანდება სიკვდილის ზარი,
 პრიალა ზმლების ჩახა-ჩუხი, უღარუნი ფარის,
 და მომაყვადეთა მძაფრი გმინვა, ოხვრა საზარო.“

„მეფობს ღუმილი, მხოლოდ ზვირთი ტოკავს შრიალით,
 აღარ გაისმის ომის გრგვინვა, ჩემთვის ჩვეული,
 მისწყდა სისხლიან მძულვარების მეხის გრიალი
 და შურისგების ჩაპქრა ცეცხლი რისხვად ქცეული.“

„მაგრამ, ვგრძნობ, მალე დაპყრავს წამი საბედისწერო,
 ფარულ ტახტისკენ უკვე მიჰქრის ნავი ფრთალადი.
 ირველივ ყველაფერს ბურავს შავი ღრუბელთ კრებული,
 ნავის ერდოზე ზის გრიგალი გაფითრებული
 ყოვლის დამბუგველ ცეცხლის აღის მფრქვეველი სახით.“

„ძრწოდე ვალია, შურისგება ევროპავ გელის,
 იტირე, აღსდგა ქარიშხალი სასტიკი ბრძოლის,
 გაგანადგურებ, მომაქვს ცეცხლი შენი აღმგველი,
 და საფლავებზე ტახტს დავიდგამ იმპერატორის“.

დადუმდა. ზეცას კვლავ ებურა ბურუსი ბნელი,
 შავ ღრუბელთ შორის გამომკრთალი მთეარე ნათელი —
 დასაეღუეთისკენ მიათრქვევდა თეთრ სხივებს თრთოლვით.
 მალრიბის ვარსკვლავს ატოკებდა კამკამი შორი,
 მოსჩანდა ნავი ზღვის სივრცეში ამაყად მსრბოლი,
 ელბის გარშემო შემოზღუდულ სალკლდეთა შორის.

ო, საფრანგეთო, დაგუფლა კვლავ მტაცებელი,
 დაფრთხნენ მეფენი ქარიშხალის გუგუნის ხმაზე.
 მაგრამ შეხედე — კვლავ ჩამოწვა ბურუსი ბნელი
 მწუხრის ეამს ზღვაზე.

და მღუმარებამ ფრთა გაშალა უფსკრულზე ვრცელი,
 ცაზე გამოჩნდა შავი ბინდი — მეხის მომგვრელი.
 არ ისმის ჩქამი... წრწოდე, გელის სიკვდილის ცელი
 და შენი ბედი მოცულია ისევ სიბნელით!

თარგმანი ხარიბონე ვარდოშვილისა.



ეროვნული
წიგლმწიფი

★

სურვილი

ჩემი დღეები დაყოვნებით მიიმართება,
და დამკვირვებელ გულში თვითღებულ წუთი ამრავლებს
უსიხარულო სიყვარულის ყველა ვაებას
და უმძიმესი გაშმაგების მთელ სივალაღს.

მაგრამ მე ვღუგვარ: არ გაისმის ჩემი ბუზღუნის;
მე ცრემლებს ვაფრქვევ; ცრემლებია ჩემი ნუგეში;
ჩემი სულია დღეს კაემნით შემოზღუდული
და მწარე სიტყვობს ეწაფება მის ბნელ უბეში...

ო, გაქპრი, არ გღვე, სიცოცხლისა სწრაფო ზმანებავ,
ფუჭო ჩვენებავ, წყვილადშივე იქმენ ჩანთქმული!
ჩემთვის ძვირად ღირს სიყვარულის ჩემი წამება,
და, დაე, მოვკვდე, მაგრამ მოვკვდე კვლავ მოყვარული!

★

ჩ ი ბ ი

მე უცხოეთში ვიცავ უძველეს
ჩემ წინაპართა წეს-ჩვეულებას
და გაზაფხულის დიად უქმე-ღღეს
ტყვე-ჩიტს ვუბრუნებ თავისუფლებას.

გული ეწია სასურველს ხალისს,
რადღად ვემდურო ღმერთს ამის შემდეგ,
როცა თუნდ ერთი ქმნილებისათვის
თავისუფლების მიცემა შეეძელ?

თარგმანი სავლემ აბულაძისა.

★

•
•

კვლავ ვინახულე

ის კუთხე, სადაც, განდევნილმა, მე გავატარე
შუქმჩნეველად ორი წელი. უკვე გავიდა
მას შემდეგ ათი წელიწადი, და ამ ხანებში
გამოიცვალა ერთობ ბევრი ჩემს ცხოვრებაში.
გარდაუვალი და საერთო კანონის ძალით
გამოვიცვალე მეც აგრეთვე. მაგრამ აქ წამსვე
ჩემი წარსული მაგონდება მე ისევ-ისე.
მე თითქოს გუშინ, საღამოს ეამს, ვეხეტებოდით
თი ამ ტყერში.

განრისხული, ამა, ის სახლიც,
სადაც ვცხოვრობდით ერთად მე და ჩემი გალია.
მოხუცი ქალი აღარ არის, და კედლის უკან
მძიმე ნაბიჯი მისი უკვე აღარ მოისმის,
და არც ფუსფუსი გულმოდგინე მისი დახვერვის.

თი ტყიანი გორაკიკა, სადაც მრავალჯერ
ვიჯექ უძრავად, მარტოდ-მარტო და ვავცქეროდი
ტბას ჩემს წინაშე გადაშლილსა, თან, სევდიანი,
მე ვიგონებდი სხვა ნაბიჯებს და სულ სხვა ტალღებს...
ოქროს ყანებსა, ზურმუხტოვან მინდორთა შორის
ტბის სივრცე ჩემს წინ, მოელვარე, ლურჯად ბრწყინვალეს.
ვხედავ მეთევზე მის სივრცეზე ნელა მიცურავს
და ეზიდება თავის ბადეს ძველს და გაცვეთილს.
ტბის ნაბიჯებზე გაფანტულნი სწიანან სოფლები
და იმათ იქეთ, მოშორებით, მოსჩანს წისქვილი
გამრუდებულო, გაქირვებით ფრთებს რომ აბრუნებს,
როდესაც ქარი დაუბერავს...

ჩემს წინაბრების
სამფლობელოთა საზღვართ ახლოს და იმ ადგილზე,
სადაც აღმართში მიმავალი მოსჩანს შარავზა
გადარეცხილი, გადათხრილი აქა-იქ წვიმით, —
სამი ფიქვის ხე აღმართულა. მათ შორის ერთი
განცალკევებით არის მდგომი. ორნი კი ერთად,
სულ ახლოს დგანან. როცა ცხენით აქ ვავივლიდი,
მთვარიან ღამით, იმათ ახლოს — მათი მწვერვალნი
ნაცნობ შრიალით მეგობრულად მეგებებოდნენ.
იმავ შარავზით ვავიარე მე ისევ ახლა
და ისევ-ისე დავინახე მე ის ფიქვები.
არ გამოცვლილან, იმგვარადვე გააქეთ შრიალი —
ეგზომ ნაცნობი სმენისათვის, — მაგრამ ფესვებთან
სებერ ფესვებთან. სადაც წინათ არაბა იყო]
ნორჩი ტვერია ამოსული. გაუზარია
აქ მწვანე ოჯახს. ბუჩქები კი მათ ჩრდილს ქვეშ ისე,
როგორც ბავშვები შეკრებილან. ხოლო შორს, მარტოდ,
სდგას დაღვრემილი ამხანაგი მათი უტოლოდ,
როგორც მოხუცი უცოლშვილო. და იმის ირგვლივ
არაფერია როგორც წინათ.

ო, გამარჯობა,
თაობავ ნორჩო და უცნობო! მე ვერ ვიბილავ
შენს ძლევაამოსილს, ნავიანებ დაეცეკაცებას,
როს ტანს აიყრი და დამრდილავ ჩემს ძველ ნაცნობებს,
მათ მოხუც თავებს როს დაფარავ ისე, რომ თვალი
მგზავრისა იმათ ვერც შენიშნავს. მაგრამ მან, ჩემმა
შვილისშვილმა, დაე, ისმინოს ეგ მოალერსე



თქვენი შრიალბ, ოდეს იგი, შინ მიმავალი,
 საუბრის შემდეგ მეგობრებთან, ნათელ, საამურ
 ფიქრში გართული, ბნელი ღამით, თქვენ გვერდს გაგვიტყუებ
 გაფახსენდები და მომიგონებს.

*

ქართლის გორაკებზე

ქართლის გორაკებს დაჟფენია სიბნელე ღამის,
 არაგვის მხელას მე ვიქერ სმენით.
 არის მსუბუქი და ნათელი წუხილის წამი,
 წუხილი ჩემი საესეა შენით.

ო, მხოლოდ შენით! მღელვარება, სულში რომ ჩადგა,
 სხვა რამეს ჩემში არ შეუცვლია
 და გული ჩემი ისევ იწვის და უყვარს, რადგან
 რომ არ უყვარდეს არ შეუძლია.

თარგმანი ნიკოლოზ (კოლაუ) ნადირაძისა.

ა ლ ი

★

დნეპრის ნაპირი. წიგნწილი

მეწიქვილე და მისი ახული.

მეწიქვილე

ოხ, ახალგაზრდა გოგონებო, თქვენ სუყველანი
ხართ უკუთონი. თუ მამაკაცს, არა უბრალოს,
არამედ დიდს და წარჩინებულს გადაეყრებით —
საჭირო არის განამტკიცოთ დაახლოება.
მაგრამ რით? კუთით, ყოფაქცევით, პატიოსნებით.
უნდა შეგეძლოთ ხან ალერსით, ხანაც სიმკაცრით
მისი მიზიდვა; თან გადაკვრით და ორღესულად
ქორწინებაზე საუბარი. მაგრამ მთავარი
ეგ არის დაცვა ქალიშვილის პატიოსნების —
უჭვირფასესი საუნჯისა; იმას, ვით სიტყვას,
ვერ დააბრუნებ, თუ გაფრინდა. და თუ იმედი
დაქორწინების აღარ არის — მაშინ ყოველთვის
გაქვით, საშუალება, რომ როგორმე თქვენთვის, ან კიდევ
მშობლებისათვის სასარგებლოს რამეს გამოარჩიოთ.
საჭირო არის ჩააგონოთ საკუთარ თქვენს თავს:
„განა მას მუდამ ვეყვარები? განა ყოველთვის
ის მანებიერებს?“ მაგრამ არა! საღი მსჯელობა
კეთილ საქმეზე არ გჩვევიათ. ან დრო გაქვით მისთვის?
თავბრუ გეხვევათ იმ წუთშივე და გიხარიათ
მუქთად ყოველი შეუსრულოთ გულისწადილი.
თქვენ გსურთ მთელი დღე უდარდელად, თავდავიწყებით
ეყოთ სატრფოსთან, მის კისერზე შემოხვეული.
სატრფო კი, ხედავ, არსად არის — გაქრა, წავიდა
და თქვენ კი რჩებით ხახაშშრალი. ო, ბრიყვნო, ბრიყვნო!
განა შენთვის არ მითქვამს ასჯერ: შვილო, შენ იცი,
არ ჩაიღინო სისულელე, იყავი ფრთხილად,
ბედნიერება არ დაჰკარგო, შენ რომ გეწვია,
და ეგ თავადი არ გაუშვავ; ტყუილუბრალოდ
არ დაილუპო შენი თავიც. რა გამოვიდა?
დაჯექი ახლა და იტირე იმაზე, რასაც
შენ ვერასოდეს დაიბრუნებ.



ქართველთა
წიგნების კავშირი

ასული

რატომ გგონია,
რომ მე თავადმა დამიფიწყა და მიმატოვა?

მეწისქვილე

რაგორ თუ რატომ? მოიგონე, აბა რამდენჯერ
კვირამი წინათ ამ წისქვილში ის მოდიოდა?
ა? მიბასუხე. ხომ ყოველდღე და ზოგჯერ დღეში
ორჯერ მოსულიც დამინახავს. შემდეგ კი უფრო
და უფრო ძვირად. მეცხრე დღეა, რაც რომ თავადი
ჩვენ აქ მოსული არ გეინახავს. აბა რას იტყვი?

ასული

რა სცალია. საზრუნავი განა ცოტა აქვს?
ის მეწისქვილე ხომ არ არის: — მის ნაცვლად წყალი
არ შეასრულებს სამუშაოს. ის ხშირად ამბობს,
რომ მისი შრომა სხვის ჯაფაზე ბევრად ძნელია.

მეწისქვილე

გჯეროდეს მისი! როდის იყო თავადს ეშრომის,
ანდა რა არის მათი ჯაფა? მწვერებით კურდღლის,
მელების დენა, ქვიფობა. მეზობლის ჩაგვრა
და ქარაფშეტა გოგონების გადაბირება.
საბრალო, იგი თურმე თავათ ეწევა შრომას!
ჩემს მაგივრად კი სამუშაოს წყალი ასრულებს!
მე კი დღედაღამ ვერ ვისვენებ: ათას ადგილას
სჭირდება წისქვილს შეკეთება: აქ ღარი დაღმა,
იქ კიდევ წყალი იპარება და იყარვება.
ის იქნებოდა უმჯობესი — თავადისათვის
გეთხოვა ფული ამ წისქვილის შესაკეთებლად.

ასული

ახ!

მეწისქვილე

ეს რა არის?

ასული

ჩუ! მომესმის ჩემთვის ნაცნობი
ფეხისხმა ცხენის... ო, ის არის!



მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე

გახსოვდეს. შეილო
 თუ, რაც გირჩიე. დარიგება არ დაივიწყო...

ა ს უ ლ ი

აი, მოვიდა!
 (შემოდის თავადი. მეჯინიბეს მიჰყავს მისი ცხენი).

თ ა ვ ა დ ი

გამარჯობა, ჩემო ძვირფასო,
 შენც გამარჯობა, მეწისქვილე!

მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე

კეთილი იყოს
 თქვენი აქ მოსვლა, მოწყალეო ჩვენო თავადო.
 დიდხანს ნათელი თქვენი სახე ჩვენ არ გვიხილავს.
 წავალ, რომ რამე მოვიმზადო, გაგიმასპინძლდე.
 (ვადის)

ა ს უ ლ ი

როგორღაც იყო გაგახსენდი და მომიგონე!
 არა გრცხვენია ამოდენხანს რომ გამაწყვალე
 ამ საშინელი მოლოდინით? რა არ ვიფიქრე,
 ნეტავი რა არ წარმომიდგა თვალწინ ოცნებით,
 როგორი შიში არ აღიძრა ჩემს შემერთალ გულში!
 ვიფიქრე — ცხენმა სადმე ხრამში, ან და ქაობში
 თუ გადაგტყორცნა; უღრან ტყეში ეგების დათემა
 თუ დაგძლია და დაგამარცხა; რომ თავს ცუდად გრძნობ,
 რომ ავადა ხარ, ან დამტოვე, აღარ გიყვარვარ...
 მაგრამ მაღლობა მეუფესა! გხედავ ჯანმრთელად,
 ისევ ჩემთან ხარ, როგორც წინათ ისევ გიყვარვარ.
 ხომ მართალია?

თ ა ვ ა დ ი

როგორც წინათ, ჩემო ლამაზო;
 არა, მეტად, ვიდრე მიყვარდი.

ქ ა ლ ი

მაგრამ რატომღაც
 ხარ მოწყენილი. სთქვი, რა მოხდა?



საქართველოს
წიგნების კავშირი

თ ა ვ ა ლ ი

ვარ მოწყენილი?

შენ მოგეჩვენა. მე ყოველთვის ვარ მზიარული როცა შენთან ვარ და გაცქერი.

ქ ა ლ ი

არ ამბობ მართალს.

როცა შენა ხარ მზიარული — მაშინ შორიდან ჩემსკენ იჩქარი და იძახი: — ო, ჩემო მტრედო. სად ხარ, რას შვრები? და შემდეგ კი მემამბორები და მეკითხები, თუ მახარებს შენი დანახვა. ან შენსა მოსვლას ასე ადრე თუ მოველოდი, ახლა კი სდუმხარ, ჩემს საუბარს მდუმარედ უსმენ, ყელს არ შეხვევი, არ მიკოცნი ალერსით თვალებს. ალბათ რაიმემ შეგაშფოთა, ან შეგაწუხა, ეგებ ჩემზე ხარ გულნატკენი, ან გულმოსული?

თ ა ვ ა ლ ი

მე არ მსურს თავი მოგაჩვენო და ვიორპირო. შენ ხარ მართალი: მწუხარებას დიდსა და მძიმეს გულში ვატარებ; შენ ვერ შესძლებ ვერცა ალერსით, ვერც სიყვარულით მის გაფანტვას. არ შეგიძლია შემომსუბუქო რგი, ან და გაიზიარო.

ქ ა ლ ი

მაგრამ მე მიმძიმს შენთან ერთად არ განვიცადო დარდი და სევდა — ზეაშიაღი გამანდე შენი; თუ დამრთავ ნებას — მე ვიტირებ, თუ არ ისურვებ — არც ერთი წვეთით ჩემი ცრემლით არ შეგაწუხებ.

თ ა ვ ა ლ ი

რისთვის ვაყოვნებ? მალე გეტყვი — უფრო კარგია. ჩემო ძვირფასო მეგობარო. შენ თავათ იცი, ბოლომდე მტკიცე ნეტარება რომ არ არსებობს ამ ქვეყანაზე: ვერცა დიდი გვარიშვილობა, ვერც სილამაზე, ვერც სიმდიდრე, ვერც ძლიერება თავს ვერ დააღწევს საბოლოოდ უბედურებას. და ჩვენც — ხომ მართალს ვლაპარაკობ, ჩემო ლამაზო? — ვიყავით ერთავ ბედნიერნი: მე კი ჩემ თავათ ვიყავი შენით ბედნიერი, შენი ტრფიალით. და რაც არ უნდა მომივიდეს ამ ცხოვრებაში — ვერ დაგივიწყებ და ყოველთვის შემახსოვრები



შენ, ჩემო კარგო. მაგრამ რასაც ახლა ვცილდები,
 მის მაგივრობას ვერაფერი აწი ვერ გასწევს.

ქ ა ლ ი

კიდევ სავსებით ვერ გავიგე შენი სიტყვები,
 მაგრამ მე უკვე მეშინია. ნუ თუ ჩვენ შტრობას
 გვიპირებს ბელი, მწუხარებას რამეს გვიშადებს,
 ვინ იცის, ეგებ განშორებას.

თ ა ვ ა ლ ი

შენ უკვე მიხვდი.
 ბედმა გვარგუნა სამუდამოდ ჩვენ განშორება.

ქ ა ლ ი

ნეტავ ვინ გაგეყრის? ნუ თუ ყველგან თან რომ გამოგყვე
 და შენთან ვიყო, მე ამისი არა მაქვს ნება?
 ვაჟის ტანსაცმელს გადავიცვამ. სამსახურს ერთგულს
 გაგიწევ გზაში, ლაშქრობაში — სადაც იქნები,
 თუნდაც ოშშიდაც — მე ომისა არ მეშინია —
 მხოლოდ შემეძლოს რომ გიცქირო. არა, არ მჯერა.
 ან ეგებ გინდა შენ ფიქრები ჩემი ვაიგო,
 ან გამოშცადო, ან თავს იქცევ და მეზუმრები?

თ ა ვ ა ლ ი

არა, ხუმრობის ხასიათზე მე დღეს არა ვარ,
 გამოცდა შენი როდი არის ჩემთვის საჭირო;
 შორს ქვეყანაში არ ვაპირებ მე გამგზავრებას
 და არც საომრად ვალაშქრებას — მე სახლში ვრჩები,
 მაგრამ ერთმანეთს სამუდამოდ უნდა განვშორდეთ.

ქ ა ლ ი

დაიცა, ახლა ყველაფერი მე უკვე შესმის...
 შენ ქალს თხოულობ.

(თ ა ვ ა ლ ი სდუმს)
 ქალს თხოულობ!

თ ა ვ ა ლ ი

აბა რა უყუო?
 თუვით განსაჯე. თავადები, ვით ქალიშვილნი,
 თავისუფალნი არ არიან. გულით არჩეულ
 ქალებს ისინი ვერ ირთავენ, არამედ სხვების

ბრწყინავს და იწვიის ყელსაბამიც! გითხრა მართალი არის მეფური საჩუქარი! ჩვენო მოწყალე, ამშენებელო! ეს რაღაა ტოპრაკი ფულით? მაგრამ რათ სდუმხარ, არ ინძრევი, არაფერს ამბობ? სიტყვაც არ გინდა რომ წარმოსთქვა? შეს ეგებ ჰკუა სიხარულისგან დაგეჯერა, გამოთაყვანდი, ან ეგებ დამბლამ გაგაქვია?!
 ა ს უ ლ ი

არა, არ მჯერა,
 წარმოდგენაც არ შემიძლია... როგორ მიყვარდა.
 ო, ნუ თუ იგი ნადირია? ნუ თუ გული აქვს
 მას ბანჯგელიანი?

მ ე წ ი ს ქ ე ი ლ ე

მითხარი, ვისზე ლაპარაკობ?

ა ს უ ლ ი

როგორ შემეძლო განრისხება მისი ნეტავი?
 შობელო ჩემო, მიპასუხე. ან ერთ კვირაში
 ნუ თუ სიტურფე ჩემი გაქრა? ან ეგებ ვინმემ
 მოშხამა იგი, შეულოცა?

მ ე წ ი ს ქ ე ი ლ ე

რა მოგივიდა?

ა ს უ ლ ი

შობელო ჩემო, ის წავიდა! ჰე მიქრის ცხენით
 და მე, სულელმა, ის გაფუშვი, არ დაეჯავე,
 არ დაეახიე მას კალთები გაბოროტებით,
 ორივე ზელით ცხენის აღვირს არ ჩავექიდე!
 დაე, მას ჩემთვის განრისხებით ზმლით მოეკვეთა
 ორთავე ზელი, დაე აქვე, შეუბრალებლად,
 იმის ბედაურს გაეთელა ჩემი სხეული!

მ ე წ ი ს ქ ე ი ლ ე

შენ, ვგონებ, ბოდავ!

ა ს უ ლ ი

თავადები, — თურმე ნუ იტყვი, —
 ვით ქალიშვილნი, არ არიან თავისუფალნი



ცოლის თხოვაში... მაგრამ იმათ არვინ უკრძალავს ფიცს, დაპირებას, ცრემლების ღვრას და მოტყუებას ან ასეთ სიტყვებს: მე წავიყვან ჩემს სასახლეში და მოგათავსებ საიდუმლო კოშკის ოთახში, მოგრთავ ზაფერდით და შეგმოსავ ალისფერ ფარჩით. მათ არვინ უშლის, ქალიშვილებს რომ შეასწავლონ შუალამისას წამოდგომა დასტვენის ხმაზე და აისამდე მათთან ჯდომა წისქვილის უკან. მათ მოსწონთ. გული თავადური რომ ანებიერონ ჩვენი ჭირით და უბედობით, შემდეგ—შშვილობით, წადი, წაბრძანდი. გენაცვალე, სადაც მოგწონდეს, და შეიყვარე, ვინც გნებავდეს.

მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე

ახლა გავიგე.

ა ს უ ლ ი

ვინ ჰყავს საცოლოდ არჩეული? ნეტავ ვიცოდე, ვისზე გამცვალა? მე გავიგებ მის ვინაობას, მე მივალ მასთან. არამზადა იმ დედაკაცთან, და ვეტყვი თავადს ჩამოშორდეს, რადგან ერთ ზრამში ორი ძუ მგელი ვერ იცხოვრებს.

მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე

შენ ხარ სულელი!

ვის შეუძლია შეუშალოს ხელი თავადსა, თუ ის საცოლოს ამოირჩევს! ნუ თუ არ გვსმის, ზომ მითქვამს შენთვის არა ერთხელ...

ა ს უ ლ ი

ან როგორ შესძლო,

ისე ვით კაცმა გულკეთილმა, გამოთხოვება — და საჩუქრების დატოვება — ასე გასინჯე! ფულის მოცემაც! გამოსყიდვა სურდა თავისი! ცდილობდა ჩემთვის მოევერცხლა როგორმე ენა, რომ საძრახისი მის შესახებ არსად თქმულიყო. და ცუდ ხმას ცოლის ყურებამდე არ მიედწია. პო, მართლა, ახლა გამახსენდა; მან დამავალა, ეს ოქრო შენთვის გადმომეცა, რადგან ქალიშვილს არ უკრძალავდი მასთან თრევას. რომ არა მკაცრად მას ეპყრობოდი და უვლიდი... კეთილმოგზმარდეს დაღუბვა ჩემი

(გდაცემს ტობაკს)

მეწი სქვილე

(თვალტრემლიანი)

ღმერთო ჩემო, რას მოვესწარი!
 ეგ რა მომესმა, რა გავიგე! ცოდვია შენთვის
 შენს მშობელ მამას ამნაირად უსაყვედურო:
 ერთიღა შეილი დამრჩენილხარ ამ ქვეყანაზე,
 ერთი ნუგეში და სიამე სიბერის ხანში.
 როგორ შემეძლო შემეზღუდა შენი სურვილი?
 ღმერთმა დამსაჯა ამისათვის, რომ ასე სუსტად
 ჩემს ვალს მამობრივს ვასრულებდი.

ასული

გული მეხუთვის!
 ჩემს კისერს თითქოს ცივი გველი შემოჭლობია...
 ო, მე მან გველი, გველი, ნაცვლად მარგალიტისა,
 ველს მომახვია

(ჩამოიგლეჯს მარგალიტის ველსაბამს)

მეწი სქვილე

ო, გონს მოდი

ასული

აი, ასევე
 გაგლეჯდი შენცა — არამზადა, გველის წიწილავ,
 წყვეულო, ვინცა დამაშორე ჩემსა სატრფოსა.

მეწი სქვილე

შენ ზოდავ, უეკველად

ასული

(მოხსნის ჯილას)

აი, გვირგვინი,
 გვირგვინი ჩემი სამარცხვინო! თურმე ამითი
 დაგვაგვირგვინა ჩვენ ეშმაკმა მაშინ, როდესაც
 დავგმე, რაც იყო სანუკვარი. განგვირგვინებას
 ჩვენ ახლა ვახდენთ. დამეკარგე, ჩემო გვირგვინო!
 (ვაღიხურავს ჯილას დნებრში)
 ახლა კი მორჩა ყოველივე!

(ვადავარდება წყალში)



მ ო ხ უ ც ი

(დრამა)

ოხ, ვაი ჩემს თავს!

თ ა ვ ა დ ი ს კ ო შ კ ი

ქორწილი ნეფი-მეფი-მეფი-მეფი სუფრასთან სხედან.
სტუმრები, ქალიშვილთა ვუნდი.

მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი

ჩვენ ეს ქორწილი მზიარულად გადავიხადეთ
ჩვენო თავადო, გაგიმარჯოს შენი მეუღლით.
ჯანი, თანხმობა, სიყვარული უფალმა მოგცეთ.
ჩვენ კი შეგვეძლოს თქვენთან ხშირად დროს გატარება.
ლამაზმანებო და ტურფებო, თქვენ რად მიყურდით?
თეთრო გედებო, ბროლის ყელი რად დაადუმეთ?
ნუთუ სუყველა იგალობეთ საგალობელი?
ან ეგებ ყელი გამოგიშრათ ხანგრძლივ სიმღერით?

გ უ ნ დ ი

მაჭანკალო, მაჭანკალო
უთავბოლო მაჭანკალო!
დავეძებდით საცოლოსა
მივადექით ბოსტნის კვალსა.
დაგვეღვარა კასრი ლუდი,
ბოსტანს ლუდის სუნი უდის.
მივესალმეთ მესეროსა,
შევედრეთ პანტის რტოსა —
პანტის რტოო, თუ პანტოო,
გვითხარ წავიდეთ საღაო?
საცოლო გესურს საღმე ვნახოთ.
მაჭანკალო, მიხვდი ახლა, —
შენი ქისა ასწი მაღლა!
ქისაშია ვხედავთ ფული,
რომ ახაროს ჩვენი გული.

მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი

ეგ რა სიმღერა ირჩიეთ, კუდიანებო!
აჰა, წაიღეთ, ოღონდ ნურას მისაყვედურებთ.
(სახეჭრებს ქალიშვილებს).



ე რ თ ი ხ მ ა

ფერად კენკებზე, ყვეთულ ქვიშაზე
ჩქარი მდინარე მიილტვის, მიჰქრის.
ჩქარ მდინარეში ორი თევზია —
ორი პატარა თევზი სეირნობს.
ერთი მეორეს ეტყვის: — გსმენია,
დაო, ამბავი ჩვენი მდინარის?
თავს ტურფა გუშინ როგორ იბრჩობდა
და დახრჩობის დროს სატრფოს სწყველიდა?

მ ა ჰ ა ნ კ ა ლ ი

მზეთუნახავნო! ეგ როგორი სიმღერა არის?
ის, როგორც ვამჩნევ, საქორწილო სულაც არ არის.
გამოტყლით, ვინ თქვა ეგ სიმღერა?

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი

შე არ მითქვია, —
არც მე, არც ჩვენა...

მ ა ჰ ა ნ კ ა ლ ი

მამ, ვინ იყო სიმღერა რომ თქვა?
(ჭალიშვილთა შორის ზღრჩულია და არევ-დარევა).

თ ა ვ ა ლ ი

შე ვიცი ვინ თქვა.
წამოდგება სიფრიდან და ზემოდ ეტყვის მეჯინიბესს)
ის აქ ჩემად შემოპარულა,
დაუყოვნებლივ გაიყვანე. თანაც გამიგე.
თუ ვინ გაბედა შემოშვება.
(მეჯინიბე შივა ჭალიშვილებთან).

თ ა ვ ა ლ ი

მას შეუძლია
აურზაური აქ ასტეხოს ისეთი დიდი,
რომ სირცხვილსგან ვერ ვახერხო ვერსად დამალვა —
შე ის თავს მოჰქრის

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე

ვერ მოენახე — იგი არსად სჩანს.



თ ა ვ ა ლ ი

ეძიე. ვიცი, ის აქ არის და იმალება —
 ეს მან იმღერა...

ს ტ უ შ ა რ ი

აი რანგი ეს არის, ესა!
 ერთბაშად გართმევს, თუ მიირთვი, თავსა და ფეხსაც.
 მწარეა ოდნავ — რომ გავატყობოთ, კარგი ექნება.
 (წაფეფ-ფეფოფალი კოვნიან ერთმანეთს. ისმის ხუხტი შეკვივლება.)

თ ა ვ ა ლ ი

ის არის! მისი იჭვიანი კივილი.
 (მეჯინიბეს)

რაო?

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე

ეძიე ყველგან, ვერ ვიპოვე.

თ ა ვ ა ლ ი

ბრიყვო, სულელო!

ძ მ ა დ ნ ა ფ ი ც ი

(აღება)

ეფიქრობ, დრო არის ჩაებაბართ შეუღლე თავადს.
 და შევფარქვიოთ ახალგაზრდებს პეშეებით სვია.
 (ყველანი ღვებანი)

შ ა კ ა ნ კ ა ლ ი ქ ა ლ ი

ცხადია, დროა. მომაროდეთ ახლა მამალი.
 (ახალგაზრდებს აკმევენ შეშუქარი მამლის ხორცს. შემდეგ მათ შეაფრიან
 სვიას და დასაძინებელ ოთახში შეჰყავთ)

შ ა კ ა ნ კ ა ლ ი ქ ა ლ ი

ჩემო ძვირფასო ქალბატონო, ნუ გეშინია,
 იყავ მორჩილი, არ იტირო.
 (ახალგაზრდები შედიან დასაძინებელ ოთახში. სტუმრები შაკანკალი
 ქალისა და ძმადნაფიცის გარდა — დაიშლებანი)

ძ მ ა დ ნ ა ფ ი ც ი

სად არის თასი?

ფანჯრებთან ცხენით სიარული მთელს ღამეს მელის
 და ღვინით ოდნავ რომ შევმაგრდე — როდია ცუდი.



მ ა ჯ ა ნ კ ა ლ ი ქ ა ლ ი

(უცხებს ღვინით თახს)

აჰა, შიირთვი და შეირგე.

ძ მ ა დ ნ ა ფ ი ც ი

ო, დიდად გმადლობ!

ხომ ყველაფერი დაბოლოვდა კარგად, კეთილად?
ქორწილი იყო ჩინებულნი.

მ ა ჯ ა ნ კ ა ლ ი ქ ა ლ ი

ჰო, ღმერთს მადლობა —
კარგად ჩატარდა ყველაფერი — ერთია ცული.

ძ მ ა დ ნ ა ფ ი ც ი

რა, მაგალითად?

მ ა ჯ ა ნ კ ა ლ ი ქ ა ლ ი

სხვა სიმღერა, რაღაც უმსგავსო
რომ უგალობეს. ეგ არ არის კარგი ნიშანი.

ძ მ ა დ ნ ა ფ ი ც ი

რა გინდა უფო ქალიშვილებს! არ შეუძლიათ.
არ იეშმაკონ, არ იცელქონ. სად გაგონილა,
რომ ვინმემ განზრახ ჩაუშხამოს თავადს ქორწილი!
დრო არის უკვე, რომ წაეიდე, ცხენს შემოეაჯდე,
შშვიდობით, ჩემო ნათლიდედა!

(გადის)

მ ა ჯ ა ნ კ ა ლ ი ქ ა ლ ი

ოხ, გული მიგრძნობს!
არა დროულად გადაეხადეთ ჩვენ ეს ქორწილი.

ო თ ა ხ ი კ ო შ ა შ ი

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე და მ ის ი გ ა დ ი ა .

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

ჩუ! ვგონებ ისმის საყვირის ხმა; არა, არ მოდის.
ჩემო გადაივ, როცა საქმროდ ის ითვლებოდა,



სულ ჩემთან იყო განუყრელად, განუშორებლივ, მუდამ თვალეზში შემცქეროდა ალერსიანად და რაც მითხოვა — ყველაფერი გამოიცივალა; მზის ამოსვლამდე, უთენია გამოიღვიძებს, ბრძანებას გასცემს შეკაზმული მოჰგვარონ ცხენი. არავინ იცის, თუ სად დადის დაღამებამდე. როს დაბრუნდება — ალერსიანს ეგებ ორ სიტყვას თუ გარმეტებს. მხოლოდ ზოგჯერ თეთრ პირისახეს ჩემსას ის ოდნავ თუ შეახებს ალერსით ხელსა.

გ ა ღ ი ა

მამაკაცები, ქალბატონო, მამლებსა გვანან ერთს დასაბუთებენ ყიყლიყოსა, ფრთებს დაბერტყავენ — მერე მშვიდობით. ქალები კი, როგორც კრუხები, შინ უნდა იჯდნენ — წიწილების გამოსაჩეკად. ეიღრე გითხოვდეს, მამაკაცი. ზის, ვერ იშორებ, არა სვამს, არ სჭამს, შემოგცქერის და გულს იღონებს. გითხოვს და მყისვე შეიცვლება — რას არ იგონებს! ხან საჭიროა მეზობლები მოინახულოს, ხან სანადიროდ შევარდნებით წასვლას ინდომებს, ხან ღზინში მიდის, ხან საომრად მას ეჩქარება — აქეთ და იქეთ — შინ ყოფნა კი არ ეხარება.

თ ა ე ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

შენ როგორ ფიქრობ? ხომ არა ჰყავს მას საიდუმლოდ სატრფო გულისა?

გ ა ღ ი ა

ნურც ფიქრებ — დმერთს ნუ შეცოდავ: ვისზე, მითხარი, შეუძლია მან რომ გაგცვალოს? ყველაფრით სჭარბობ შენ სუყველას — მშვენიერებით, ზნით, ჩვეულებით და გონებით. აბა, მითხარი, სად შეუძლია მან მონახოს, თუ არა შენში, ასეთი განძი უძვირფასესი?

თ ა ე ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

უფალმა ჩემმა ვედრებანი რომ შეიწყნაროს და შეილი მომცეს! ჩემს მეუღლეს მე ვიცი მაშინ მივიზიდავდი ისევე-ისე... ოჰო, ეზოში მონადირენი თავშეყრილან. მეუღლე ჩემი დაბრუნებულია. მაგრამ რატომ არა სჩანს იგი?

(შემოდის ბაზიერა)

რაო? თავადი სადღა არის?

ბ ა ზ ი ე რ ი

წასულა გვიბრძანა.

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

თვით სად არის?

ბ ა ზ ი ე რ ი

იქ დარჩა იგი

ღნებრის ნაპირას, შუა ტყეში, განმარტოებით.

თ ა ვ ა დ ი ს მ ე უ ლ ლ ე

როგორ გაბედეთ დატოვება თავადის ტყეში
სუ ლმარტოდ-მარტო?! რა ერთგულნი თქვენ ხართ მსახურნი!
ახლავ დაბრუნდით, ამ წუთშივე მისკენ გაქროლდით!
თან მოახსენეთ, რომ ეს იყო ჩემი ბრძანება.

(ბ ა ზ ი ე რ ი შ ი დ ი ს)

ო, ღმერთო ჩემო! ტყეში ღამით დაეხეტება
ნადირი, მხეცი და სასტიკი აღამიანიც,
ან კიდევ ქაჯი. განსაცდელი განა შორს არი!
წადი ახლავ და საჩუღი აანთე ხატთან.

გ ა დ ი ა

მივალ, მივრბივარ, ჩემო მთვარეო...

დანიელი. ლაშვილი.

ა ლ ე ბ ი

ცქრიალა გუნდად წყლის ნაპირებზე
ამოცურდებით,
და უდარდელად მთვარის სხივებზე
ვლადობთ და ვთბებით.
გვიყვარს ღამით კისკისითა
მალლა ასვლა ფსკერიდან,
როცა მთვარე მკრთალ სხივითა
ღნებრს ეფრქვევა ზეციდან.
ჩვენ ერთმანეთს ხელეხს ეუწვდით
სივრცე ლურჯად კრიალებს.



მწვანე თმებსა ვიშრობთ, ვუცდით,
 ვიდრე ცა არ იალღებს.

ე რ თ ი მ ა თ გ ა ნ ი

ჩემად, ჩემად! აქაც-იქაც
 ირხევა ლელიანი.

l

მ ე ო რ ე

ჩვენ და მთვარის შორის ვილაც
 დადის ადამიანი.
 (იზალებიან)

თ ა ვ ა ღ ი

ჩემთვის ნაცნობი და მწუხარე მიდამოები!
 მე ვცნობ ყველაფერს, რასაც ირგვლივ ამჟამად ვხედავ.
 აი წისკვილი! იგი უკვე დანგრეულია.
 ხმა მხიარული მისი თვლები ალარ მოისმის,
 ქვაც ალარ ბრუნავს. სიხანს მოხუციც გარდაიცვალა.
 მას არ დასცალდა ქალიშვილი დიდხანს ვგლოვია.
 აქ გზა-ბილიკი გადიოდა— ის წაშლილია:
 მრავალი წელი აქ არავის არ გაუვლია.
 აქ იყო ბაღი თავის ღობით. ო, ნუ თუ იგი
 ამ მოშრიალეს და ზუკუკა ტევრად გადაიქცა?
 აი ის მუხაც სანუკეარი. აქ, ამ მუხის ქვეშ
 იგი კისერზე მომეხვია, მორცხვად მომენდო.
 ო, ნუ თუ, ნუ თუ?

(უახლოვდება ხეებს. ფოთლები ცვივან)

ეგ რას ნიშნავს? ფოთლები ხისა,
 სწრაფად დამკნარი, შეიკუმშენ, შემდეგ შრიალით
 შტოებს მოსცილდნენ და ფერფლივით გადამეფრქვიენ.
 და მუხა იგი, ისე როგორც ხე დაწყვეტილი,
 სდგას ჩემს წინ შევად, გაძარცული.

(შეზოდის მ ო ხ უ ც ი ჩამოხვეული, ნახევრადმოშველი).

მ ო ხ უ ც ი

სალამი, სიძვე!

თ ა ვ ა ღ ი

ვინა ხარ შენა?

მ ო ხ უ ც ი

ვარ ყორანი მე აქაური.

თ ა ვ ა ლ ი

ამას რას ვხედავ? მეწისქვილე!

მ ო ხ უ ც ი

ვინ მეწისქვილე!
ჭინკებს და ქაჯებს მე მივყრდე ჩემი წისქვილი.
ფული კი მივეცე ჩემს ქალიშვილს — ალსა გრძნეულსა,
რომ შეენახა იგი დნებრის ფსკერზე, სილაში.
ფული იქ არის. მას ცალთვალა თევზი დარაჯობს.

თ ა ვ ა ლ ი

გაგიყებულა ეგ საბრალო! მასში ფიქრები
გათანტულია, ვით ვრიგალის შემდეგ ღრუბლები.

მ ო ხ უ ც ი

ნეტაე ვიცოდე, გუშინ ჩვენთან რად არ მოხვედი?
გეჭონდა მოლხენა. დიდხანს, დიდხანს გელოდებოდით.

თ ა ვ ა ლ ი

ვინ მომელოდა?

მ ო ხ უ ც ი

ვინ მოგელოდა? ასული ჩემი;
განა არ იცი — მე გულგრილად ყველაფერს ვუცქერ,
არაფერს გიშლით. და რომ ისხდეთ გათენებამდე
არაფერს ვეტყვი.

თ ა ვ ა ლ ი

ჰოი, საბრალო მეწისქვილე!

მ ო ხ უ ც ი

ვინ მეწისქვილე! ზომ ვითხარი — მე ვარ ყორანი
და არა ვილაც მეწისქვილე! აი შემთხვევა
გასაოცარი (შენ ზომ ვახსოვს?) როდესაც წყალში
ის გადავარდა — მას კვალდაკვალ გამოვედევნე,
იმ კლდიდან ვცადე გადმოხტომა, მაგრამ უეცრად
ორი ფრთა მძლავრი მე ვიგრძენი მოულოდნელად
რომ იღლიებში გამომესხა. როგორც ფრინველი



ფრთხვამა პაერში გამაჩერეს. და იმ დროიდან
 ხან აქ, ხან სხვაგან მე დაფერინავე, ზოგჯერაც ვკორტნი
 ძროხის ლეშს სადმე; და ხანდახან სასაფლაოზე
 ვზივარ და ვჩხავი.

ეროვნული
 გიგლიცოძის

თ ა ვ ა დ ი

რა გულსაკლავი სურათია!
 შითხარი მაინც აქ ვინ გივლის?

მ ო ხ უ ც ი

რომ მომივლიდნენ
 განა ეს ცუდი იქნებოდა! მოვხუცდი, თანაც
 ცელქი შევიქენ. გმადლობთ. მ-ვლის, პატევს არ მკალებს
 პატარა ალი.

თ ა ვ ა დ ი

ვინ?

მ ო ხ უ ც ი

შეილიშეილი.

თ ა ვ ა დ ი

ო, არ ძალმიძს
 იმის გაგება. შენ, მოხუცო, ამ ულრან ტყეში
 ან მხეცი შეგვაძს, ან შიმშილით დაიღუპები.
 არ გინდა ჩემთან წამოხვიდე, კოშკში იცხოვრო,
 და ჩემთან დარჩე?

მ ო ხ უ ც ი

შენთან კოშკში? ო, არა გმადლობს
 იქ შემიტყუებ და, ვინ იცის, შემდეგში ალბათ
 დამახრჩობ შენი ყელსაბამით. აქ ვცხოვრობ ჩემთვის,
 კმაყოფილი ვარ და მაქლარი. რა მინდა შენთან!
 (მიდის.)

თ ა ვ ა დ ი

და მე ყველაფრის ვარ მიზეზი! საშინელია,
 როდესაც შკუა გეკარგება. სიკვდილი სჯობს მას.
 პატრვისცემით ჩვენ ვუცქერით მიცვალებულსა,
 ელოცულობთ მისთვის. ათანაბრებს მასთან თვითველს.

ჩვენგანს სიკვდილი. მაგრამ როცა ჰკარგავ გონებას —
 ადამიანი აღარა ხარ. თვით მეტყველებაც
 ხდება ზედმეტი, რადგან სიტყვას ვეღარ ჰფლობს კაცი.
 ნადირი ტყისა მასში თავის მოძმეს ჰპოულობს
 ადამიანი მას დასცინის და ღმერთიც არ სჯის.
 ო, ეგ მოხუცი საცოდავი და უბედური!
 მისმა დანახვამ სულიერი ჩემი წამება,
 სინდისის ქენჯნა საშინელი კვლავ განმიახლა!



ბ ა ზ ი ე რ ი

აი, აქ არის, ძლივს შევძელით მისი მონახვა!

ბ ა ზ ი ე რ ი

მოგეგზავნა თქვენმა მეუღლემ.
 შიშმა შეიპყრო, შენზე სწულდა.

თ ა ვ ა დ ი

ეგ მზრუნველობა
 აუტანელი არის ჩემთვის. ნუთუ ბავშვი ვარ
 და სადმე წასვლა მე უძიოდ არ შემიძლია?
 მილიან. ალუბი. გამოჩნდებიან წყალზე

ა ლ ე ბ ი

დებო, მიპყვეთ! ჯანდ-ნამქერით
 გადაეფაროთ ველუბი.
 ზრიალით და სიცილ-სტვენით
 ვაფრთხოთ მათი ცხენები.

გვიან არის. ცივად ხვდება
 ტალღა ტყიან ნაპირებს.
 სადაც არის გათენდება,
 მთვარეც ჩასულას აპირებს.

ე რ თ-ე რ თ ი ა ლ ი

დაველოდოთ—მთვარე წვება.

მ ე ო რ ე

არა! ადგა სოფელი.
 ვიგვიანებთ. გაგვიწყრება
 ჩვენი და — დედოფალი.
 იმალეზიან.



დღეობის ფსკერი

• ღებვის კოშკი. ალუბი ძაღს რთავენ თავანთ დედოფლის
 ვერდით.

უფროსი ალი

ძაღვის რთვას თავი დაანებეთ. მზე ჩასულა.
 მთვარის სხივები ნათელ სვეტად თავზე გვადგია.
 კმარა. აცურდით, ინავარდეთ ცის ქვეშ სხივებში
 მხოლოდ იცოდეთ, დღეს ნურავის ხელს ნუ შეახებთ,
 ნურც მოგზაურსა შეაშინებთ თქვენი ღიბინით,
 ნურც მეთევზეებს დაუმძიმებთ ბალახით ბაღეს,
 ნურც ბავშვებს წყალში შეიტყუებთ თქვენი ზღაპრებით,
 ოქროს თევზებზე მომხიბლავი ამბის მოყოლით.

(მეზოდის პატარა ალი)

შენ სად იყავი?

ასული

მე მიწაზე ვიყავ ასული —
 ბაბუა ვნახე. არ მასვენებს, სულ მევედრება
 მდინარის ფსკერზე მოვეუნახო, ავბოჭო ფული,
 რომელიც თურმე გადაჰყარა საკუთარ ხელით
 ოღესლაც დნებრში. გულმოდგინედ ყველგან ვეძიე
 და ვერ ვიპოვე. მე არ ვიცი, რა არის ფული.
 ამოვეუტანე მაინც ბაბუს პეშვი ავისილი
 ფერადფერადი, მოელვარე ნიჭარებითა —
 მას მეტისმეტად გაუხარდა.

ალი

შეშლილი ძუნწი

დაიცა, შეილო, ყური მიგდე; ამჟამად შენზე
 ვამყარებ იმედს. დნებრის ნაპირს დღეს, ამ საღამოს,
 ეწვევა კაცი. დაელოდე, დაუდარაჯდი
 და როცა მოვა — შეეგებე: ახლობელია,
 მამაა შენი.

ასული

შენ რომ ოდესლაც
 მარტოდ დატოვა, შემდეგ ქალი ცოლად შეირთო?

ალი

ის არის, შეილო. ნაზად შეხვდი, მიუღალერსე
 და ყოველივე მას უამბე, რაც კი ოდესმე



ჩემგან გასმენია. მოუყევი, თუ როგორ იშვი,
ჩემზეც უამბე ყველაფერი, არ დაუფარო.
თუ შეგეკითხოს — დამაეწყდა, თუ ისევ მახსოვს
უთხარ, რომ მუდამ ის მახსოვდა, რომ მიყვარს ახლაც
და მას მოველი ყველაფერი გასაგებია?

ა ს უ ლ ი

მესმის, გავიგე.

ა ლ ი

აბა, წადი.

(მარტოდ)

შემდეგ იმისა,

რაც უმეცრულად მდინარეში თავი დაეხრჩვე,
როგორც გოგონამ უნუგეშომ, შეძლებულმა.
რაც ამ მდინარე დნებარში ვბოვე თავშესაფარი
და მის წილში გამოვფხიზლდი, როგორც ძლიერი
და ცივი ალი — წელიწადი შეიდი გავიდა.
შეიდი წელია მე ეოცნებობ შური ვიძიო...
და ახლა, ვგონებ, მოახლოვდა ნანატრი წუთი.

მდინარის ნაპირი

თ ა ვ ა დ ი

ამ სევდიანი ნაპირსკენ მე უნებლიედ
მიყვავარ რაღაც შეუცნობელ, იღუმალ ძალას.
აქ ყოველივე მომაგონებს შორეულ წარსულს
ჩემი ბრწყინვალე, ეშხით საესე ახალგაზრდობას,
მარად საყვარელ და მასთანვე მწუხარე ამბავს.
მე აქ ოდესღაც სიყვარული მეგებებოდა,
თავისუფალი სიყვარული, ვნებით აღსავსე.
ო, მე უგუნური!.. ბედნიერი ვიყავი მაშინ!
როგორ შეშეძლო უკუმეგდო ეს ნეტარება?
ფიქრები მწარე, ოცნებანი სევდით აღსავსე
კვლავ გააცოცხლა გუშინდელმა შეხვედრამ ჩემმა.
საბრალო მაშა! საშინელი სანახავია!
ეგებ ამ ტყეში ხელმეორედ მას შევეყარო
და დაეითანხმო შიატოვოს ეს ტყე-უღრანი,
ჩემთან მოვიდეს და იცხოვროს...

(მატარა ალი გამოდის ნაპირზე)

ამას რას ვხედავ?!

საიდან გაჩნდი, მშვენიერო და ტურფა ბავშვო?..

თარგმანი ნიკოლოზ (კოლაუ) ნადირაძისა.

ა. ს. კუხიანი

ღებროვსკი

★

ბოში მეორე¹

თავი მეცხრე

დღესასწაულის წინაღობით სტუმრებმა ჩამოსვლა დაიწყეს; ერთნი ბატონის სახლში და ფლიგელებში დაბინავდნენ, მეორენი — მოურავებთან, მესამენი — მღვდელთან, მეოთხენი — შეძლებულ გლეხებთან. თავლები გაივსო ცხენებით, ეზოები და ფარდულები ეკიბაყებით გაიჭედა. დილის ცხრა საათზე წირვის ზარი დარეკეს, და ყველამ გასწია ქვეს ახალი საყდრისაკენ, რომელიც კირილე პეტრეს-ძემ ააშენა და მისი ყოველწლიური შესაწირავით ლამაზდებოდა. იმდენად მრავალრიცხოვანი საპატიო ღვთისმლოცველი დაგროვდა, რომ უბრალო გლეხები საყდარში ვეღარ მოთავსდნენ და გალავანში და კარიბჭესთან იდგნენ. წირვა არ იწყებოდა. კირილე პეტრეს-ძეს უცდიდნენ. იგი მოვიდა გვესცხენა ეტლით — და ზეიმურად თავისი ადგილისაკენ წავიდა, მარჯვამ კირილეს ასული თან ახლდა. ყველამ თვალი მასას მიაპყრო — ცაცები მისი სილამაზით იყვნენ გაკვირვებულნი, ქალები — მის მორთულებას ყურადღებით ათვალიერებდნენ. წირვა დაიწყო, შინაური მგალობლები კლიროსზე გალობდნენ. თვითონ კირილე პეტრეს-ძე ხმას აყოლებდა, ლოცულობდა, მარჯვნივ და მარცხნივ არ იტვირებოდა და ამაყი თავმდაბლობით მიწამდე თავი დახარა, როდესაც დიაკონმა ამ ტ ა ძ რ ი ს დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ ი ხ მ ა მ ა ლ ა მოიხსენია.

წირვა დასრულდა. კირილე პეტრეს-ძე ჯვარს პირველი ემთხვია. მას სხვებიც მიჰყვნენ; მერე მეზობლები ტროეკუროვთან მოწიწებით მივიდნენ. მანდილოსნები მასას შემოეხვივნენ. კირილე პეტრეს-ძე საყდრიდან რომ გამოდიოდა, ყველანი სადილად მიიბატიცა — ეტლში ჩაბრძანდა და შინ გაემგზავრა. ყველანი მის უკან გაემგზავრნენ. ოთახები სტუმრებთან გაივსო. ყოველ წუთს ახალი პირები შემოდიოდნენ და მასპინძელთან მისვლას გაჭირვებით ახერხებდნენ. ქალბატონები დარბაისლურად ნახევარ წრედ დასხდნენ, დაგვიანებულ მოდაზე ჩაცმულთ ნახმარი და ძვირფასი მორთულობა ჰქონდათ, ყველა შემკობილი იყო ბრილიანტებითა და მარგალიტებით; მამაკაცები ზიზილალისა და არყის გარშემო ირეოდნენ, ერთმანეთს შორის სხვადასხვა ხმაზე საუბრობდნენ, ხმაურობდნენ. დარბაზში ოთხმოცი სულსათვის სუფრას შლიდნენ. მსახურნი ფუსფუსებდნენ, ბოთლებსა და მინის სურებს დგამდნენ, მაგიდაზე სუზანს

¹ დასასრული. „მნათობი“ № 5



ასწორებდნენ. ბოლოს მსახურმა განაცხადა: „სუფრა გაწყობილიათ“, და კირილე პეტრეს-ძე პირველი წავიდა სუფრისკენ დასაჯდომად, მას შერყენეს მანძილილოსნები და თავმოწმონედ თავიანთი ადგილები დაიკავეს, ერთგვარად უფროს-უმცროსობა დაიცვეს, ქალიშვილები თიკანთა მშიშარა ფარასავით ერთად შექუჩდნენ და ერთი მეორის გვერდით მოთავსდნენ. მათ პირდაპირ კაცები დასხდნენ. სუფრის ბოლოს პატარა სამასთან მასწავლებელი დაჯდა.

მსახურთ დაიწყეს თეფშების ჩამოტარება ხარისხთა მიხედვით, გაუგებრობის შემთხვევაში ლაფატერის მიხედვრის წესით ხელმძღვანელობდნენ, და თითქმის ყოველთვის შეუცდომლად. თეფშებცა და კოვზების კაკუნი, სტუმარების ხმამალალი ლაპარაკი ერთმანეთში ირეოდა. კირილე პეტრეს-ძე მხიარულად ათვალეერებდა თავის ტრაპეზს და საესვრით სტკებოდა პურმარილიანი კაცის ბედნიერებით... ამ დროს ეზოში შემოვიდა ეტლი, რომელშიც ექვსი ცხენი ება.

— ვინ გვესტუმრა? — იკითხა მასპინძელმა.

— ანტონ პაფნუტის-ძე, — უპასუხა რამდენიმე ხმამ. კარები გაიღო და სასაღილოში თავის დაკერით შემოგორდა მოლიმარი ანტონ პაფნუტის-ძე სპიცინი, სქელი კაცი, დაახლოებით ორმოცდაათი წლისა, მრგვალი, ჩოფურა სახით, სამეციი ღაბაბით შემკული. სპიცინი უკვე ბოღიშის მოსახდელად ემზადებოდა.

— მოართვით ჭურჭელი, — დაიძახა კირილე პეტრეს-ძემ, — მობრძანდი, ანტონ პაფნუტის-ძევე, დაბრძანდი და მითხარი, ეს რას ნიშნავს: ჩემს წირვას არ დაესწარი და საღილზე დაიგვიანე. შენ ეს არ გიხდება, ღეთისმოსავი ხარ და ჰამაც გუყვარს.

— დამნაშავე ვარ, — უპასუხა ანტონ პაფნუტის-ძემ, თან ზელსახოცი მუხულოს ფერ ხიფთანის ღილის კილოში გაიკეთა, — დამნაშავე ვარ, ბატონო კირილე პეტრეს-ძევე, მე აღრიანად კი გამოვემგზავრე, მაგრამ ათი ვერსის გავლაც ვერ მოვასწარი, რომ უეცრად წინა თვლის სალტე შუაზე გადამიტყდა — რაღას იზამ? საბედნიეროდ, სოფლიდან შორს არ ვიყავი; მანამ იქამდე მივეთრიეთ, მკედელი მოვებზნეთ და, როგორც იქნა, ვავაყოთოთ, ზუსტად სამმა საათმა გაიარა — რაღა მექნა. მოკლე გზით კისტენევიკის ტყეზე გავლა ველარ გაგებდე, შემოვლა ვამჯობინე...

— ებე! — შეაწყვეტინა სიტყვა კირილე პეტრეს-ძემ, — ჩანს, გულადი ვერ ყოფილხარ. რისი გეშინია?

— როგორ თუ რისი მეშინია, ბატონო კირილე პეტრეს-ძევე? ეს ღღბროვსკი — ერთიე ვნახოთ და მას თათებში ჩაუვარდი; მარჯვე ბიჭია, არავის არ აპტიებს, მე კი, ალბათ, ორეცე ტყავს გამაძრობს.

— რატომ გაქვს, ძმაო, ასეთი უპირატესობა?

— როგორ თუ რატომ, ბატონო კირილე პეტრეს-ძევე? განსვენებული ანდრია გაბრიელის-ძესთან დავის გამო. ვანა მე არ ვიყავი, რომ თქვენი სიამოვნებისათვის, ე. ი. სინდისის ქვეშ და სამართლიანობის დაცვით, მივეცი ჩვენება, რომ ღღბროვსკები კისტენევიკას ჰფლობენ მასზე ყოველგვარი უფლების ვარეზე, მხოლოდ თქვენი მოწყალეობით შეთქი. და განსვენებული (ღმერთმა აცხოვოს) შემპირდა, ჩემებურად მოგელაპარაკებოთ, შვილი, ალბათ, თავისი მამის სიტყვას დაიცავს. აქამდე ღმერთმა შემოიწყალა. მხოლოდამხოლოდ ერთი ბეღელი გამიძარცვეს, კარმიდამომდეც მოაღწევენ.

— კარმიდამოში კი დიდი ბარაქა დახვდებათ, — შენიშნა კირილე პეტრეს-ძემ, — ვიმედოვნებ, წითელი კოლოდიე პირთამდე საესეა...

— რასა ბრძანებთ, ბატონო კირილე პეტრეს-ძევე, იყო საცხე, ახლა კი სულ დაცარიელდა.

— გეყოფა ტყვილები, ანტონ პაფნუტის-ძევე. ვიცით, რატომ უნდა დაეშინებინათ ფულბს რაში დახარჯავ, შინ ცხოვრობ ღორივით, სტუმრად არავეს ჰპატი-ებებ, შენს გლახებს ტყავს აძრობ, აგროვებ მხოლოდ და მეტი არაფერი იცი.

— თქვენ სულ ხუმრობას ინებებთ, ბატონო კირილე პეტრეს-ძევე, — ჩაი-ლულულა ანტონ პაფნუტის-ძემ, — ჩვენ კი, ღმერთმანი, გავკოტრდით, — და ანტონ პაფნუტის-ძემ ბატონის ხუმრობა მასპინძლის ღვეჯელის სუქან ნაპერს შეატანა.

კირილე პეტრეს-ძემ მას თავი მიანება და მზრის პოლიციის ახალ უფროსს მიმართა. იგი პირველად იყო სტუმრად მასთან და სუფრის მეორე ბოლოს იჯდა, მასწავლებლის მახლობლად.

— აბა, თქვენ მაინც დაიჭირეთ ღუმროვესკი, ბატონო უფროსო.

მზრის პოლიციის უფროსი შეშინდა, თავი დაუქრა, გაუღიმა; ენის ბორ-ძიკით ძლივს წარმოსთქვა:

— ვეცდებით, თქვენო აღმატებულებავ.

— ში, „ვეცდებით“. დიდი ხანია, დიდი ხანია ცდილობენ, არაფერი კი არ გამოდის. მართლაც, რატომ უნდა დაეჭიროთ, ღუმროვესკის ყაჩაღობა მზრის პოლიციის უფროსებისათვის დიდი სიკეთეა — აქეთ-იქეთ მგზავრობა, გამო-ძიებანი, ურამები, ფული კი ჯიბეში — ასეთ კეთილისმყოფელს როგორ მოს-პობ? ასე არ არის, ბატონო უფროსო?

— სრული ჭეშმარიტებაა, თქვენო აღმატებულებავ, — უპასუხა საცხებით შემყრთალმა მზრის პოლიციის უფროსმა.

სტუმრებმა გადაიხარხარეს.

— მიყვარს ვაკაცი გულახდილობისათვის, — წარმოსთქვა კირილე პეტრეს-ძემ, — აფსუს, განსვენებული ჩვენი ტარასი ალექსის-ძე, მზრის პოლიციის უფროსი — იგი რომ არ დაეწვათ, უბანში მეტი სიწყნარე იქნებოდა. რა ისმის ღუმროვესკის შესახებ? უკანასკნელად სად წახეს?

— ჩემთან, კირილე პეტრეს-ძევე, — დაიპყივლა მანდილოსანის დაბალმა ხმამ, — გასულ სამშაბათს მან ჩემთან ისადილა.

თვალი ყველამ ანა საბას ასულ გლობოვას მიაპყრო. იგი იყო უბრალო ჭერივი ქალი, ყველასთვის საყვარელი, კეთილი და მზიარული ხასიათის გამო. ყველანი, ცნობისმოყვარეობით შეპყრობილნი, მოეშადნენ ამბის მოსასმენად.

— უნდა იცოდეთ, რომ სამი კვირის წინათ მე გავგზავნე მოურავი თოს-ტაში ფულით ჩემი ვანიუშასათვის. შეილს არ ვანებებებ, არც ძალა შემწყვეს ვანებებებო, კიდევ რომ მინდოდეს, თუმცა, მოგეხსენებათ, გვარდიის ოფი-ცერი რიგიანად უნდა ცხოვრობდეს, და ვანიუშას ვუნაწილებ ჩემს პატარა შე-მოსავალს. და აი, გაუგზავნე მას ორი ათასი მანეთი; თუმცა ღუმროვესკი არა ერთხელ გამხსენებია, მაგრამ, ვფიქრობ, ქალაქი ახლოა, სულ შვიდი ვერსია, იქნებ ღმერთმა გადაგვარჩინოს-მეთქი. ვხედავ: სადამოს ჩემი მოურავი ბრუნ-დება ფეხით, გაფითრებული, ჩამოგლეჯილი — მე ვაი წამოვიძახე — „რა ამბა-ვია? რა მოგივიდავ-მეთქი“ — იგი მეუბნება: „ღედილო ანა საბას-ასულო — ყაჩაღებმა გამძარცვეს, მე კინალამ მომკლეს, — თვითონ ღუმროვესკი იქ იყო, ჩემი ჩამოხრჩობა უნდოდა, შევეცოდე და გამომიშვა, ერთიანად კი გამოტყვნა, წამართვა ცხენი, ფორანიც“. მე, გავშუშდი: მეუფეო ზეცათაო, რა ეშველება ჩემ ვანიუშას? რა გავწყობა: შეილს წერილი მიეწერე, ყველაფერი მოვუყვი და ჩემი-ლოცვა-კურთხევა გავუგზავნე უგროსოდ.



გაიარა კვირამ, მეორემ — უეცრად ჩემ ეზოში შემოდის ეტლი. ცილა ცხელი გენერალი მთხოვს მინახულოს: — მობრძანდით მეტი; შემოდის ჩემი დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლისა, შავგვრემანი, შავთმიანი, შავი შინაი, კულნევის პირწავარდნილი სურათია. თავს მაცნობს, როგორც ჩემი განსვენებული ქმრის, ივანე ანდრეას-ძის მეგობარსა და თანამოსამსახურეს; აქ ჩავიარე და არ შემეძლო თქვენთან, მის ქვრივთან არ შემომველო, რაკი ვიცოდი, რომ აქ ცხოვრობდითო. გავუქმასინძლი, რითაც შემეძლო, ვისაუბრეთ ცის, ბრის; ბოლოს დუბროვსკიზე ჩამოვარდა ლაპარაკი. — მე ჩემი დარდი გავუზიარე. ჩემი გენერალი შეიკმუნა. „ეს საოცარია, — სთქვა მან, — მე გამოვინია, რომ დუბროვსკი ყველას არ ძარცვავს, არამედ ცნობილ მდიდრებს, მაგრამ ნაძარცვს მათაც უყოფს, მთლიანად კი არ ძარცვავს. კაცს კელაში მას ბრალს არავენ სდებს, აქ თაღლითობა ზომ არაა, უბრძანეთ, თქვენს მოურავს დაუძახონ.“ — წაეიდნენ მოურავის მოსაყვანად. მოვიდა. როგორც კი გენერალი დაინახა, გაშეშდა. „მიაშბე, აბა, ძმაო, დუბროვსკიმ როგორ გგძარცვა და როგორ უნდოდა მას შენი ჩამოხრჩობა“, ჩემი მოურავი აკანკალდა და გენერალს ფეხებში ჩაუვარდა — „ბატონო, დამნაშავე ვარ, ეშმაკმა მაკლინა — მოვიტყვილე“. — „რადგან ასეა, უთხრა გენერალმა, — მამ, ინებე ქალბატონს უაშბე ყველაფერი, როგორც მოხდა. მე მოგისმენ“. მოურავი გონს ვერ მოსულიყო. „აბა, მოჰყვიე, განაგრძობდა გენერალი, — დუბროვსკის სად შეხვდი?“ — „ორ ნაძვეს ხესთან, ბატონო, ორ ნაძვის ხესთან“. — „რა ვითხრა მან?“ — „მკითხა: ვისი ხარ, სად და რისთვის მიდიხარო?“ — „აბა, მერე?“ — „მერე კი მომთხოვა წერილი და ფული“. — „მერე?“ — „მე მივეცი წერილი და ფული — მან კი...“ — „მერე, მან რა ჰქნა?“ — „ბატონო, დამნაშავე ვარ“. — „აბა, მან რაღა ჰქნა...“ — „ფული და წერილი დამიბრუნა და მითხრა: წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე — ეს ფოსტაში ჩააბარე“. — „აბა, შენ კი?“ — „ბატონო, დამნაშავე ვარ...“ — „მე შენ, ჩემო გვრიტო, გავისწორდები“, — სთქვა მრისხანედ გენერალმა; — „თქვენ კი, ქალბატონო, უბრძანეთ ამ თაღლითის სკივრი გაჩხრიკონ, ეს მე ჩამაბარეთ, ჭკუას ვასწავლი. იცოდეთ, დუბროვსკი თვითონ იყო გვარდიის ოფიცერი, იგი არ ისურვებს ამხანაგს აწყენოს“. მიხვდი, ვინც იყო მისი აღმატებულება, ბევრი ლაპარაკი საჭირო არ იყო. შეეტლევებმა მოურავი ეტლის კოფოზე მიაბეს. — ფული ვიპოვეთ; გენერალმა ჩემთან ისადილა, მაშინვე გაემგზავრა და მოურავი თან წაიყვანა. მეორე დღეს ჩემი მოურავი ტყეში ნახეს მუხაზე მიბმული და ცაცხვივით გაშვლებილი.

ანა საბას ასულის მიერ მოყოლილ ამბავს ყველა მღუმარედ უსმენდა. განსაკუთრებით ქალიშვილები. ბევრ მათგანს იღუმალად დუბროვსკისთვის კეთილი სურდა, მასში ხედავდა, რომანტიკულ გმირს, — განსაკუთრებით მარიამ კირილეს ასული, მგზნებარე მეოცნებე, რადკლიფის საიდუმლო საშინელებებით მოცული.

— და შენ, ანა საბას ასული, გგონია, რომ თვითონ დუბროვსკი იყო შენთან? — ჰკითხა კირილე პეტრეს-ძემ, — ძალიან შემცდარხარ. არ ვიცი, შენთან სტუმრად ვინ იყო, მხოლოდ დუბროვსკი კი არა.

— ბატონო, როგორ თუ არა დუბროვსკი? თუ არა იგი, აბა, სხვა ვინ გავაგზაზე და დაწყებს გამეღელთა გაჩერებასა და დათვალიერებას.

— არ ვიცი, მაგრამ იგი სწორედ დუბროვსკი არ იქნებოდა. მისი ბავშვობა მახსოვს. არ ვიცი, გაუშავდა თუ არა მას თმა, მაშინ კი თმახუჭუჭა ქერა ბიჭუნა იყო; მაგრამ დანადღვილებით ვიცი, რომ დუბროვსკი ხუთი წლით უფ-

როსი იყო ჩემს მამაზე და, მამასადავ, იგი ოცდახუთმეტი წლისა კი არაა, არამედ დაახლოებით ოცდასამი წლისა იქნება.

— სწორია, თქვენო აღმატებულება, — განაცხადა მამრის პოლიციის უფროსმა, — ჯიბეში მაქვს ვლადიმერ ლუბროვსკის ნიშნები. მასში ზუსტად არის ნათქვამი, რომ დაბადებიდან ოცდასამი წლისააო.

— ახ! — სთქვა კირილე პეტრეს-ძემ, — ბარემ, წაიკითხეთ, ჩვენ კი მოგისმენთ, ცუდი არაა, მისი ნიშნები ვიცოდეთ, ეგების შეგვეჩება, ზელიდან ვეღარ დავვიძვრება.

მამრის პოლიციის უფროსმა ჯიბიდან ამოიღო საკმაოდ ჭუჭყიანი ქალაღლის ფურცელი, გაშალა იგი მნიშვნელოვნად და მღერით დაიწყო კითხვა:

„ვლადიმერ ლუბროვსკის ნიშნები, შედგენილი მისი შინაყმების აღწერით. დაბადებიდან 22 წლისა, ს ი მ ა ლ ე — საშუალო, პ ი რ ი ს ა ხ ე — სუფთა, წ ვ ე რ ი — მოპარსული, თ ვ ა ლ ე ბ ი — მუქი თაფლისფერი, თ მ ე ბ ი — ბობრი, ც ხ ვ ი რ ი — სწორი. განსაკუთრებულნი ნიშნები — ასეთი არ აღმოაჩნდა.

— სულ ეს არის? — სთქვა კირილე პეტრეს-ძემ.

— სულ ეს არის, — უპასუხა მამრის პოლიციის უფროსმა და ქალაღი დაკვეცა.

— მომილოცავს, ბატონო უფროსო! ერთი ამას უყურეთ, რა ქალაღია! ამ ნიშნების მიხედვით ლუბროვსკის მოძებნა ადვილი იქნება! აბა, ვინ არ არის საშუალო ტანისა, ვის არა აქვს ბობრი თმები, სწორი ცხვირი, ვის არა აქვს მუქი თაფლისფერი თვალები, სანაძლეოს ვლებ, სამი საათის განმავლობაში შეიძლება თვით ლუბროვსკის ელაპარაკო და ვერც კი მიხვდეთ, ღმერთმა ვის შეგახვედრა. მართლაც, მოხელები ჰქუის კოლოფები ბრძანდებიან!

მამრის პოლიციის უფროსმა ქალაღი თავდაბლად ჩაიღო ჯიბეში და ჩუმად კომბოსტოიან ბატის ჰამას შეუღვა; ამასობაში მსახურთ უკვე მოასწრეს სტუმრებისათვის რამდენჯერმე ჩამოველოთ და თითოეულისათვის სირჩა აეცათ. მთისა და ციმლანსკის ღვინოების რამდენიმე ბოთლი გაიხსნა; ეს ღვინოები კეთილგანწყობით შამპანური სახელწოდებით მიიღეს. სტუმრებს სახეები აულაულადათ, ლაპარაკი გახდა უფრო მკლერი, უთავბოლო და მზიარული.

— არა, — განაგრძო კირილე პეტრეს-ძემ, — ვეღარ ვნახავთ მამრის პოლიციის ისეთ უფროსს, როგორც განსვენებული ტარასი ალექსის-ძე იყო! მარჯვე კაცი იყო, დოყლაპია კი არა. სამწუხაროა, რომ დასწევს ვაკაცო, თორემ მთელი ბრბოდან ერთი კაციც ვერ გაქმცეოდა. ყველას საითითაოდ დაიპერდა — თვით ლუბროვსკიც ზელიდან ვერ დაუძვრებოდა, ქრთამითაც თავს ვერ დაიხსნიდა. ტარასი ალექსის-ძე ფულს მისგან აიღებდა, მაგრამ მას კი მაინც არ გაუშვებდა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა განსვენებულს. რა გაეწყობა, ალბათ, შე მომიწევს ამ საქმეში ჩარევა და ჩემი შინაყმებით ყაჩაღების დაქვრა. პირველი შემთხვევისათვის ოც კაცს გამოვეყოფ, ისინი სულ გასწმენდნენ ქურდების ქალას; ხალხი მშობარა არაა, თითოეული მათგანი მარტო მიდის დათვზე სანადიროდ — ყაჩაღებს არ შეუშინდებიან.

— კარგად არის თქვენი დათვი, ბატონო კირილე პეტრეს-ძემ — სთქვა ანტონ პადნუტის-ძემ, მოიგონა თავისი ბანჯგელიანი ნაცნობი და ოინები, რომელთა მსხვერპლიც იგი ოდესღაც გახდა.

— მიშამ შენი ჰარი წაიღო, — უპასუხა კირილე პეტრეს-ძემ, — მოკვდა სახელოვანი სიკვდილით, მტრის ზელით. აი, მისი დამმარცხებელი, — კირილე.

პეტრეს-ძემ დეფორეზე მიუთითა. მან შური იძია შენი... უკაცრავად, პასუხია... ხომ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, — სთქვა ანტონ პაფნუტის-ძემ თავისი პასუხით. — კარგად მახსოვს. მაშ, მიშა მოკვდა — მეცოდება მიშა, რა ხუმარა იყო! რა ჰქვიანი! ასეთ დათვის მეორეს ვერ იპოვი. და რისთვის მოჰკლა იგი მუსიემ?

კირილე პეტრეს-ძემ დიდი სიამოვნებით დაიწყო თავისი ფრანგის გმირობის ამბის მოყოლა, რადგან კარგი უნარი ჰქონდა დაეკვებნა ყველაფრით, რაც კი მის გარშემო იყო. სტუმრები ყურადღებით ისმენდნენ მოთხრობას მიშას სიკვდილის შესახებ და გაოცებით გადახედავდნენ ხოლმე დეფორეს, რომელსაც ექვი არ აუღია, რომ ლაპარაკი მის მამაცობას შეეხებოდა, მშვიდად იჯდა თავის ადგილას და თავის ცელქ აღსაზრდელს რჩევა-დარიგებას აძლევდა.

დასრულდა სადილობა, რომელიც დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა; მასპინძელმა ხელსახოცი სუფრაზე დასდო — ყველა ადგა და გავიდა სასტუმრო ოთახში, სადაც მათ ყავა, ბანქო და სასადილოში დიდებულად დაწყებულ სიმის გაგრძელება მოელოდათ.

თავი მათე

სალამოს შვიდი საათი იქნებოდა, რომ ზოგიერთმა სტუმარმა გამგზავრება მოისურვა, მაგრამ პუნშით გამხიარულებულმა მასპინძელმა ბრძანა ალყაფის კარები ჩაეკეტნათ და გამოაცხადა, დილაშდე ეზოდან არავის არ გავუშვებო. მალე მუსიკამ დაიგრაილა, დარბაზის კარები გაიღო და ბალი დაიწყო. მასპინძელი და მისი მახლობელი კუთხეში ისხდნენ, ჭიქას ჭიქაზე სცილიდნენ და ახალგაზრდობის მხიარულობით სტებებოდნენ. მოხუცი ქალები ბანქოს თამაშობდნენ. კავალრები, როგორც ყველგან, სადაც რომელიმე ულანთა ბრიგადა არ ბინადრობს, უფრო ცოტა იყო, ვიდრე მანდილოსნები. ამის გამო ყველა ვარგებული მამაკაცი დაკავებული იყო. მათ შორის მასწავლებელი გამოირჩეოდა. იგი ყველაზე მეტს ცეკვავდა, ყველა ქალიშვილი მას ირჩევდა და სთვლიდა, რომ მასთან ვალსიერება ადვილი იყო. დეფორემა მარიამ კირილეს ასულთან ერთად წრეს რამდენჯერმე შემოუარა — და ქალიშვილები დაცინვით ადევნებდნენ მათ თვალყურს. ბოლოს, დაახლოებით შუაღამისას, დაღლილმა მასპინძელმა ცეკვა შესწყვიტა, ბრძანა ვახშამი მოერთმიათ, თვითონ კი დასაძინებლად წავიდა.

კირილე პეტრეს-ძის წასვლამ საზოგადოებას მეტი თავისუფლება და გამოცოცხლება შეჰპაატა, კავალრებმა გაბედეს მანდილოსნების მახლობლად დამსხდარიყვენენ, ქალიშვილები იცინოდნენ და თავიანთ მეზობელ კაცებს ეჩურჩულებოდნენ; მანდილოსნები ერთმანეთს სუფრის გადაღმა ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ. მამაკაცები სვამდნენ, დავობდნენ და ზარხარებდნენ. ერთი სიტყვით, ვახშამი განსაკუთრებულად მხიარული იყო — და დიდად სასიამოვნო მოსაგონარი დარჩა.

საერთო მხიარულებაში მხოლოდ ერთი კაცი არ იღებდა მონაწილეობას. ანტონ პაფნუტის-ძე მოღუშული და მღუშარე იჯდა თავის ადგილას, დაბნეულად სვამდა და განსაკუთრებულად აღელვებული ჩანდა. ყაჩაღებზე საუბარმა გონება აუფორიაქა. ჩვენ მალე დავინახავთ, რომ მას საკმაო მიზეზი გააჩნდა შინებოდა მათი.

ანტონ პაფნუტის-ძე არ სტყუოდა, არ სცოდავდა, როცა ღმერთს ფიცულობდა. ჩემი წითელი კოლოფი ცარიელიაო. წითელი კოლოფი, მართლაც, ცა-

რიელი იყო; ფულები რომლებიც ოდესღაც მასში ინახებოდა, ტყავის ჩანთაში გადაბარგდა. ჩანთა კი პერანგ-ქვეშ მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული. ყველას მიმართ უნდობლობითა და მუღმივი შიშით შეპყრობილი, უხელო, უხელო ტის-ძე თავს იმშვიდებდა მხოლოდ ამ სიფრთხილით. სხვის სახლში იძულეზით ღამის გათევა რომ მოუწია, შიშმა მოიცვა, ბინა სადმე განცალკევებულ ოთახში არ მიეჩინათ, სადაც ჭურღები შესვლას ადვილად შესძლებდნენ; თვალით დაეძებდა საიმედო ამხანაგს. და ბოლოს დეფორჯი ამოირჩია. ეს არჩევანი მიადებინა ძალის გამოიმბატველმა დეფორჯის გარეგნობამ, უფრო კი მის მიერ დათვთან შეხვედრისას გამოჩენილმა მამაცობამ. ამ დათვის გახსენებასა წყაღ ანტონ პაფნუტის-ძეს აუთრთოლებლად არ შეეძლო. როცა სუფრიდან ადგა, ანტონ პაფნუტის-ძემ ახალგაზრდა ფრანგის მახლობლად დაიწყო ტრიალი, თან ხმირ-ხმირად ხმას ჩაიწმენდდა და ჩაახველებდა, ბოლოს ფრანგს მიმართა განმარტებით.

— ჰმ, ჰმ, ხომ არ შეიძლება. მუსიე. თქვენს პატარა ოთახში ღამე გავათო, იმიტომ რომ... ხომ ხედავთ...

— *Que bésire monsieur?*¹ — ჰკითხა დეფორჯმა და მოწიწებით თავი დაუკრა.

— აი, უბედურება, შენ. მუსიე, ჯერ კიდევ რუსული არ შეგისწავლია. ეე ვე, მუა. შე ვუ კუშე². რომ გესმის?

— *Monsieur, tres volonfiers.* — მიუგო დეფორჯმა, — *veuillez donner bes orbres en conséqueuce*³.

ანტონ პაფნუტის-ძე ფრანგულ ენაში თავისი ცოდნით ძალიან კმაყოფილი დარჩა, მაშინვე წავიდა განკარგულების გასაცემად.

სტუმრები ერთმანეთს გამოეთხოვეს და მათთვის მიჩენილ ოთახებში წავიდ-წამოვიდნენ. ანტონ პაფნუტის-ძე კი გაეცა მასწავლებელს ფლიგელში. ბნელი ღამე იყო. დეფორჯი გზას ფარანით ინათებდა. ანტონ პაფნუტის-ძე მას საკმაოდ მხნედ მიჰყვებოდა, ხანდახან გულზე მიიკრავდა ხოლმე დამალულ ჩანთას, რათა დარწმუნებულყო, რომ ფულები ჯერ კიდევ თან ჰქონდა.

მასწავლებელი ფლიგელში რომ მივიდა, სანთელი აანთო, ორივემ ტანთ გახდა დაიწყეს; ამ დროს ანტონ პაფნუტის-ძე ოთახში დალიოდა კლიტეებსა და ფანჯრებს ათვალერებდა და თავს აქნედა ამ არასანუგეშო დათვალერების დროს. კარები იკეტებოდა ერთი ურდულით, არც ფანჯრებს ჰქონდა ორმაგი ჩარჩოები. მან სცადა ამის გამო დეფორჯისთვის შეეჩილა. მაგრამ მისი ცოდნა ფრანგულ ენაში მეტად შეზღუდული აღმოჩნდა ასეთი რთული განმარტებისათვის. ფრანგმა ვერაფერი გაუგო, და ანტონ პაფნუტის-ძე იძულებული გახდა ჩივილისათვის თავი მიენებებინა. მათი საწოლები ერთი მეორის პირდაპირ დგა. ორივე დაწვა და მასწავლებელმა სანთელი ჩააქრო.

— პურკუა ვუ ტუშე, პურკუა. ვუ ტუშე!⁴ — დაიყვირა ანტონ პაფნუტის-ძემ. რუსული ზმნა *тышу* (ვაქრობ) ფრანგულ ყაიდაზე აუღელა არც ავად, არც კარვად. — სიბნელეში დორმირ⁵ შე არ შემძლია.

დეფორჯმა ვერ გაიგო მისი წამოძახილი და—მას ძილი ნებისა უსურვა.

¹ რა ვნებავთ, პატონო?

² შე მინდა, თქვენთან დავიძინო.

³ დიდი სიამოვნებით, პატონო, ინებეთ სათანადო განკარგულება ვასცეთ.

⁴ ხელს რატომ ახლებთ, ხელს რატომ ახლებთ? (ფრანგულად ხელის ხლებას ნიშნავს).

⁵ დაძინება.



— წყეული ბუსურმანი, — ჩაიბურღლუნა სპიცინმა და საბანში გაეხეთ, მოუნდა სანთლის ჩაქრობა. მისთვისეე უარესია. მე უსინათლოდ დავიწყებულე შემიძლია, მუსიე. მუსიე, — განაგრძობდა იგი. — შე მე ავეკ ვმინაღვერეშაშა მაგრამ ფრანგი პასუხს არ სცემდა და მალე ხერინვა ამოუშვა.

„ხერინავს გაიძვერა ფრანგი, — გაიფიქრა ანტონ პაფნუტის-ძემ. — მე კი აზრადაც არ მომდის — აგერ-აგერ ქურდები შემოვლენ ღია კარებში. ან ფანჯარაში შემოძვრებიან — მას კი გაიძვერას ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს“.

— მუსიე! ეი, მუსიე! — ეშმაკმა წაგიღოს.

ანტონ პაფნუტის-ძე დაჩუმდა. დაღლილობამ და ღვინომ თანდათან დასძლიეს მისი მშვიშარობა, თვლემა დაიწყო და მალე ღრმა ძილი სულ დაეუფლა.

მისთვის უცნაური გაღვიძება მზადდებოდა. ძილში გრძნობდა, რომ ვიღაც ნელა ეწეოდა პერანგის საყელოთი. ანტონ პაფნუტის-ძემ თვალი გააზილა და შემოდგომის დილის მკრთალ სინათლეზე თავის წინ დეფორტი დაინახა: ფრანგს ერთ ხელში ჯიბის დამბაჩა ეჭირა, მეორეთი კი დამალულ ჩანთას შესსნა დაუწყო. ანტონ პაფნუტის-ძე გაშეშდა.

— კეს კე სე, მუსიე, კეს კე სე? — წარმოსთქვა ათრთოლებული ხმით.

— ჩუმად, ხმა ჩაიწყვიტეთ, — უპასუხა მასწავლებელმა წმინდა რუსულ ენაზე, — ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ დაიღუპებით მე დუბროვსკი ვარ.

თავი მეთერთმეტი

ახლა მკითხველს ვთხოვთ ნება დავერთოს ჩვენი მოთხრობის უკანასკნელი ამბების გასარკვევად მას გავაცნოთ ის გარემოებანი, რომელნიც ამ ამბებს წინ უსწრებდნენ და, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ვერაფრის თქმა ვერ მოვსწარიით.

** საღაგურზე, იმ ზედამხედველის სახლში, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, კუთხეში იჯდა მგზავრი, რომელსაც თავმდაბალი და მომთმენი ადამიანის შეხედულება ჰქონდა, რაც იმას მოწმებდა, რომ იგი უაზრო ან უცხოელი იყო. ე. ი. ადამიანი, რომელსაც ფოსტის გზაზე ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდა. მისი ბრიჩკა ეზოში იდგა და გასაპნავს უცდიდა. ბრიჩკაში იღო პატარა ჩემოდანი, მკლე საბუთი მისი ხელმოკლეობისა. მგზავრი არ მოითხოვდა არც ჩაის, არც ყავას, ფანჯარაში იცქირებოდა და უსტვენდა, რაც ტიხრს იჭით მჯდომ ზედამხედველის ცოლს მეტისმეტად აწუხებდა.

— აი, ღმერთმა სტვენია გამოგვიგზავნა, — ამბობდა იგი ჩუმად, — როგორ უსტვენს, გასკდეს, წყეული ბუსურმანი.

— მერე რა? — სთქვა ზედამხედველმა, — არა უშავს რა, უსტვინოს თავისთვის.

— არა უშავს რა? — უპასუხა გულმოსულმა მეუღლემ, — განა არ იცი ნიშნები?

— რა ნიშნები? რომ სტვენა ფულს აფრთხობს. ეკ! პახომოვნა, ჩვენთან გინდა უსტვინე, გინდა არა: ფული მაინც არა გვაქვს და არა გვაქვს.

— გაუშვი, სიღორიჩ. რა გეხალისება მისი აქ ყოფნა, მიეცი ცხენები და ჯანდაბას მისი თავი.

1 მე თქვენთან ლაპარაკი მინდა.

2 ეს რას ნიშნავს, ბატონო, ეს რას ნიშნავს?

— დაიცდის, პახომონა; თავლაში სულ სამი სამცხენაა, მეოთხე ისევეა. აგერ-აგერ კარგი მგზავრი მოვისწრებს; არ მინდა ფრანგის გამო ჩემი თავით ვაგო პასუხი. სუ, ასეც არის! აი, მოაქენებენ. ეჰ, და როგორ შენედა გუნერალი ხომ არ არის?

ეტლი პარმალთან გაჩერდა. მსახური კოფოლან ჩამოხტა, კარი გაიღო, და წუთის შემდეგ ახალგაზრდა კაცი სამხედრო ფრანგში, თეთრქუდიანი, ზედამხედველთან შევიდა — მას თანვე მსახური შეჰყვია, კოლოფი შეიტანა და ფანჯრის ფიტონზე დასდო.

— ცხენები! — სთქვა ოფიცერმა ბრძანების კილოთი.

— ახლავე, — უპასუხა ზედამხედველმა, — გვიბოძეთ სამოგზაურო მოწმობა.

— სამოგზაურო მოწმობა არა მაქვს. სხვაგვით მივემგზავრები... შენ ვინა ვერა მცნობ?

ზედამხედველი აფუსფუსდა და გაიქცა მეეტლების ასაჩქარებლად. ახალგაზრდა კაცმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, ტიხრს უკან შევიდა და ზედამხედველის ცოლს ჩუმად ჰკითხა: — ეს მგზავრი ვინ არისო.

— ღმერთმა უწყის, — უპასუხა ზედამხედველის ცოლმა, — ეილაც ფრანგიათ, უკვე ხუთი საათია ცხენებს ელოდება და უსტევენს. წყევლმა თავი მოგვაბეჭრა.

ახალგაზრდა კაცი მგზავრს ფრანგულად გამოელაპარაკა.

— სად მიბრძანდებით? — ჰკითხა მან.

— მახლობელ ქალაქს, — უპასუხა ფრანგმა, — იქიდან მივემგზავრები ერთ მემამულესთან, რომელმაც უნახავად მასწავლებლად დამიქარავა. ვფიქრობდი, დღეს უკვე ადგილზე ვიქნებოდი, მაგრამ ბატონმა ზედამხედველმა სხვანაირად გადასწყვიტა — ამ ქვეყანაში ცხენების შოვნა ძნელია, ბატონო ოფიცერო.

— აქაურ რომელ მემამულესთან მოეწყვეთ? — ჰკითხა ოფიცერმა?

— ტროეკუროეთან, — უპასუხა ფრანგმა.

— ტროეკუროეთან? ვინ არის ეს ტროეკუროეი?

— *Ma foi, monsieur!*¹ მის შესახებ კარგი რამ ცოტა გამიგონია: ამბობენ, მედიდური და თავქეიფა ბატონიაო, თავის შინაყმებს სასტიკად ეპყრობა, მასთან შევეუება არავის შეუძლია, რომ მისი სახელის ხსენებაზე ყველანი კანკალებენ, რომ მასწავლებლებს არ ებოდიშება, და ორი უკვე შოლტის ცემით მოუტკავსო.

— მომიტევეთ! და თქვენ გადასწყვიტეთ ასეთ ურჩხულთან მოეწყვით?

— აბა, რა ვქნა, ბატონო ოფიცერო! კარგ ჯამაგირს იძლევა — წელიწადში სამი ათასს მანეთს და ყველაფერს მზამზარეულს. შეიძლება, მე ბედნიერი გამოვდგე. მოხუცი დედა მყავს, ჯამაგირის ნახევარს მას გაუფუგავანი სარჩოდ, დანარჩენი ფულით ხუთ წელიწადში შევძლებ დავაგროვო პატარა თანხა, რაც საკმარისი იქნება ჩემი მომავალი დამოუკიდებლობისათვის, — და მაშინ *bonsoir*², პარიზს გავემგზავრები და კომერციულ საქმეს მოვკიდებ ხელს.

— გიცნობთ ვინმე ტროეკუროეის სახლში? — ჰკითხა ოფიცერმა.

— არაინ, — უპასუხა მასწავლებელმა, — მოსკოვიდან გამომიწვია, ერთი თავისი მეგობრის საშუალებით, რომლის მზარეულმა, ჩემმა თანამემამულემ,

¹ მერწყუნეთ, ბატონო

² ნახამდის.

გამიკეთა რეკომენდაცია. უნდა იცოდეთ რომ ვემზადებული არა მასწავლებლებს, არამედ მეშაქარლამეობისათვის — მაგრამ მითხრეს, მასწავლებლის წოდება უფრო ხელსაყრელია.

გიგულიძე

ოფიცერი ჩაფიქრდა.

— მომისმინეთ, — შეაწყვეტინა ფრანგს სიტყვა — რას იტყვით, რომ ამ თქვენი მომავლის მაგიერ თქვენთვის შემოეთავაზებინათ ათი ათასი ნალდ ფულად იმ პირობით, რომ ახლავე დაბრუნებულიყავით პარიზს.

ფრანგმა ოფიცერს გაოცებით შეხედა, გაიღიმა და თავი გააქანა.

— ცხენები მზად არის, — სთქვა შემოსულმა ზედამხედველმა.

მსახურმაც იგივე მოახსენა.

— ახლავე, — უპასუხა ოფიცერმა, — ერთი წუთით გადით. — ზედამხედველი და მსახური გაეიდნენ. — მე არა ვხუმრობ, — განაგრძო მან ფრანგულად. — ათი ათასი შემიძლია მოგცეთ, მე მინდა მხოლოდ თქვენი აქ არყოფნა თქვენი საბუთები.

ეს რომ სთქვა, კოლოფი გახსნა და ასიგნაციების რამდენიმე დასტა ამოიღო. ფრანგმა თვალეები დაქყიტა, არ იცოდა — რა ეფიქრნა.

— ჩემი არყოფნა... ჩემი საბუთები, — გაიმეორა მან გაოცებით, — აი, ჩემი საბუთები... მაგრამ თქვენ ხუმრობთ, რად გინდათ ჩემი საბუთები?

— ეს თქვენი საქმე არაა. გვეითებით, თანახმა ხართ თუ არა?

ფრანგმა, რომელიც ჯერ კიდევ თავის ყურებს არ უჯერებდა, თავისი საბუთები მიაწოდა ოფიცერს. მან სწრაფად გადასინჯა ქაღალდები.

— თქვენი პასპორტი... კარგია. — სარეკომენდაციო წერაღი, ენახოთ — მოწმობა დაბადების შესახებ, მშვენიერია. აი, თქვენი ფული, უკან დაბრუნდით. მშვიდობით...

ფრანგი იდგა გამეშებული.

ოფიცერი დაბრუნდა.

— ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ კინალამ დამავიწყდა. მომეცით პატრიოსანი სიტყვა, რომ ყველაფერი ეს ჩვენს შორის დარჩება, თქვენი პატრიოსანი სიტყვა.

— პატრიოსან სიტყვას გაძლევთ, — უთხრა ფრანგმა, — მაგრამ ჩემი საბუთები, რა ვქნა უსაბუთოდ?

— პირველ ქალაქშივე განაცხადეთ, რომ თქვენ დუბროვსკიმ გაგძარცვით, დაგიჯერებენ და საჭირო მოწმობებს მოგცემენ. მშვიდობით, ღმერთმა მალე მიგიყვანოთ პარიზამდე და დედა ჯანმრთელად დაგახვედროთ.

დუბროვსკი ოთახიდან გავიდა, ეტლში ჩაჯდა და გაჰქურცხლა.

ზედამხედველი ფანჯარაში იქვირებოდა და, როდესაც ეტლი წავიდა, ცოლს მიუბრუნდა შეძახილით:

— პაპომონა, იცი? ეს დუბროვსკი იყო.

ზედამხედველის ცოლი თავგადაგლეჯით თანჯარასთან მიიჭრა, მაგრამ გვიან იყო — დუბროვსკი უკვე შორს იყო. ქმარს ლანძღვა დაუწყო.

— ღეთისა არ გეშინია, სიდორიჩ, რატომ ადრე არ მითხარი, დუბროვსკის მაინც შევხედავდი, ახლა უცადე, კიდევ როდის შემოივლის. უსინდისო ხარ, შენ, ნამდვილად უსინდისო!

ფრანგი იდგა სვეტივით დარქობილი. ოფიცერთან შეთანხმება, ფული, ყველაფერი ეს სიზმარი ეგონა, მაგრამ ასიგნაციების დასტები აქ იყო, მის ჯიბეში და საოცარი შემთხვევის სინამდვილეს მკერამეტყველურად ადასტურებდა.



მან გადასწყვიტა ცხენების დაქირავება ქალქამდე. მეეტლემ იგი ნაპირ-ბოჯ წაიყვანა და ღამით ქალქამდე გაქირავებით მიადღწია.

საყარაულოსთან მისულამდე, სადაც გულშეგის მაგივრად, ფრანგებმა ხერი იღვა, ფრანგმა გაჩერება ბრძანა, ბრიჩიდან გადმოვიდა და ფეხით წავიდა. მეეტლეს ნიშნებით აუსხნა, რომ ბრიჩასა და ჩემოდანს მას აძლევს საჩუქრად, არაყის გადასაკრავად. მეეტლე იმგვარადვე გააოცა ფრანგის გულუხვობამ, როგორც თვით ფრანგი ღუბროვსკის წინადადებამ. მაგრამ მეეტლემ აქედან ის დასვენა გამოიტანა, რომ უცხოელი ქუდიდან შეიშალაო, და მას მადლობა გადაუხადა გულმოდგინე თავისდაკერით; მეეტლემ არ ჩასთვალა საჭიროდ ქალაქში შესვლა და გაემგზავრა მისთვის ცნობილ გასართობ დაწესებულებაში, რომლის პატრონსაც კარგად იცნობდა. იქ მთელი ღამე გაატარა, მეორე დღეს კი დილით ცარიელა სამცხენათი შინ გასწია, უბრიჩოდ და უჩემოდანოდ, სახე დაბერილმა და თვალბდაწითლებულმა.

ღუბროვსკიმ ფრანგის საბუთები რომ დაისაკუთრა, გაბედულად მივიდა, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ტროეკუროვთან და მის სახლში დაბინავდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი იღუმალი განზრახვები (მათ ჩვენ შერე ვიგებთ), მაგრამ თავისი ყოფაქცევით მას არაფერი სათაყილო არ ჩაუღენია. მართალია, პატარა საშას აღზრდას ცოტა ღროს ანდომებდა, სრულ თავისუფლებას აძლევდა ეცელქნა და არამკაცრად სთხოვდა გაცვეთილებს, რომლებსაც მხოლოდ ფორმისათვის აძლევდა—სამაგიეროდ დიდი გულმოდგინებით აქცევდა ყურადღებას თავისი მოწაფე ქალის მუსიკალურ წარმატებას და ხშირად მთელი საათობით იჯდა მასთან ერთად ფორტეპიანოსთან. ახალგაზრდა მასწავლებელი ყველას უყვარდა. კირილე პეტრეს-ძეს მისი გაბედულობისა და სიმარლისათვის ნადირობის ღროს, მარიამ კარილეს ასულს—მისი განუსაზღვრელი გულმოდგინეობისა და მორიდებული ყურადღებისათვის, საშას—შემწყვლბლობისათვის თავისი ცელქობის მიმართ, შინაყმებს მისი გულუკეთილობისა და ხელგაშლილობისათვის, რაც მის შეძლებასთან, როგორც ჩანდა, შეუთავსებელი იყო. თითონ ღუბროვსკი მთელ ოჯახთან დაკავშირებული იყო და თავს უკვე ამ ოჯახის წევრად სთვლიდა.

დაახლოებით ერთი თვე გავიდა მასწავლებლის წოდების მისაკუთრების დღიდან ღირსახსოვარ დღესასწაულამდე, და არაყის ეჭვი არ აღძვრია, რომ მშვიდ ახალგაზრდა ფრანგში იძალბებოდა მრისხანე ყაჩაღი, რომლის სახელი შიშის ზარს სცემდა ახლომახლო მცხოვრებ ყველა მესაკუთრეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ღუბროვსკი პოკროვსკოვს არ გამოჩნებია, მაგრამ ამბავი მისი ყაჩაღობის შესახებ არ ცხრებოდა, სოფლის მცხოვრებთა გამოგონებლობის უნარის წყალობით: თუმცა ისიც შესაძლებელი იყო, რომ მისი ბრბო განაგრძობდა მოქმედებას უფროსის არყოფნის ღროსაც.

ერთ ოთახში ღამეს რომ ათევდა იმ კაცთან, რომელიც მას შეეძლო ჩაეთვალა თავის პირად მტრად და თავისი უბედურების ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ, ღუბროვსკიმ ცთუნებისაგან თავი ვერ შეიკავა. მან იცოდა ჩანთის არსებობის შესახებ და გადასწყვიტა მისი ხელში ჩაგდება. ჩვენ ვნახეთ, როგორ გააოცა მასწავლებლიდან ყაჩაღად მისმა მოულოდნელმა გარდაქმნამ საწყალი ანტონ პაფნუტის-ძე.

დილის ცხრა საათზე სტუმრებმა, რომელთაც ღამე პოკროვსკოვში გაათიეს, ნელ-ნელა თავი მოიყარეს სასტუმრო ოთახში, სადაც სამოვარი უკვე დღულდა. სამოვრის წინ იჯდა მარიამ კირილეს ასული, კირილე პეტრეს-ძე კი, რომელსაც თითოეცის სერთუჯი და ფლოსტები ეცვა, სვამდა თავის დიდი ფინჯანით;



ფინჯანი ქურჭლის სარეცხ ჯამს ჰგავდა. ყველაზე ბოლოს ანტონს დაელოცა. იგი გამოცხადდა; იგი ისე ფერმკრთალი და შეწუხებული იყო, როგორც მისი შესახებობამ ყველა გააოცა, და კირილე პეტრეს-ძემ მისი უცხოელობა იცითხა. სპიციანი ყოველად უაზრო პასუხს იძლეოდა და შინით იხედებოდა მასწავლებლისაკენ, რომელიც იქვე იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. რამდენიმე წუთის შემდეგ მსახური შემოვიდა და სპიციანი მოახსენა, ეტლი მზად არისო. ანტონს ბატონუტის-ძემ საზოგადოებას საჩქაროდ გამოეთხოვა, თუმცა მასწავლებელი არ უშვებდა. სპიციანი ოთახიდან სწრაფად გავიდა და მაშინვე გაემგზავრა. სტუმრებსა და მასწავლებელს ვერ გაეგოთ, რა მოუვიდა მას და კირილე პეტრეს-ძემ გადასწყვიტა, ზედმეტმა ჰამამ აწყინაო. ჩანსა და გამოსათხოვარი საუზმის შემდეგ სხვა სტუმრებმაც დაიწყეს გამგზავრება და მალე პოკროვსკოე დაცარიელდა, ყველაფერი თავის ჩვეულებრივ წესრიგში ჩადგა.

თამი მითორმეტე

რამდენიმე დღე გავიდა, და არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა. პოკროვსკოეს მოსახლეთა ცხოვრება ერთფეროვნად მიმდინარეობდა. კირილე პეტრეს-ძე ყოველდღე სანადიროდ მიემგზავრებოდა; კითხვა, სერანობა, მუსიკის გაკვეთილები ართობდნენ მარიამ კირილეს-ასულს, განსაკუთრებით მუსიკის გაკვეთილები. მან საკუთარი გულის ამბის მიხედვით დაიწყო და უნებური წყენით თავის თავს უტყუებოდა, რომ ახალგაზრდა ფრანგის ღირსებათა მიმართ გულგრილობას ვეღარ იჩენდა. დუბროვსკი, თავის მხრივ, მოწიწებისა და მკაცრი ზრდილობიანობის ფარგლებს არ სცილდებოდა და ამით ასული სიამაყისა და შიშნარევე ექვემდებარებოდა. ქალი სულ უფრო და უფრო მეტი მიმნდობელობით ეძლეოდა მომხიბლავ ჩვეულებას. უღებოროდ იგი მოწყვნილი იყო; მასთან ყოფნის დროს ყოველ წუთს ყურადღებას აქცევდა მას, ყველაფერზე მისი აზრის გაგება სურდა და ყველაფერში ეთანხმებოდა. შეიძლება მაშა ვერ კიდევ არ იყო შეყვარებული, მაგრამ პირველ შემთხვევითს დაბრკოლებისთანავე ან ბედის უეცარი შეტრიალებისთანავე ვნების ალი მის გულში უნდა ანთებულყო.

ერთხელ, როდესაც მარიამ კირილეს ასული დარბაზში მივიდა, სადაც მასწავლებელი უცდიდა, ვაჟის ფერმკრთალ სახეზე შეძრწუნება შენიშნა, რამაც გააოცა. მაშამ ფორტეპიანო გახსნა და რამდენიმე ნოტი იძღერა; მაგრამ დუბროვსკიმ თავის ტყვილის მომიზეზებით ბოდიში მოიხადა, გაკვეთილი შესწყვიტა და, როცა ნოტებს ჰკეცავდა, ასულს მალულად ბარათი გადასცა. მარიამ კირილეს ასულმა დაფიქრებაც ვერ მოასწრო, ბარათი მიიღო და იმავე წუთში ინანა; მაგრამ დუბროვსკი უკვე დარბაზში აღარ იყო. მარიამ კირილეს ასულა თავის ოთახში წავიდა, ბარათი გაშალა და შემდეგი წაიკითხა: „ყავით დღეს შეიღ საათზე ტალავარში ნაკადულთან. ჩემთვის აუცილებელია თქვენთან მოლაპარაკება“.

ქალი ცნობისმოყვარეობით აინთო, იგი დიდი ხანია მოელოდა სიყვარულის ახსნას, რაც სურდა და რასაც გაუტრბოდა. მამასთვის სასიამოვნო იქნებოდა მოესმინა იმის დადასტურება, რასაც ზედებოდა; მაგრამ მარიამ კირილეს ასული გრძობდა, რომ მისთვის უწყესო საქციელი იქნებოდა სიყვარულის ახსნა მოესმინა კაცისაგან, რომელსაც მისი მღვთმარეობის მიხედვით იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ ოდესმე მის თანხმობას მიიღებდა. მარიამ კირილეს ასულმა გადასწყვიტა პაემანზე წასულიყო, მაგრამ ერთ რამეში მერყეობდა: როგორ



შეხედებოდა მასწავლებლის სიყვარულის ახსნას. არისტოკრატიული გულისწყრომით, მეგობრობის შეგონებით, მზიარული ზუმრობით, თუ უსიყვარულო ნაგრძნობით. ამასობაში იგი ყოველ წუთს საათისკენ იტყუებოდა მისი შეხედებოდა; სანთლები შემოიტანეს; კირილე პეტრეს-ძემ ჩამოსულ სტუმრებთან ბოსტონის თამაში დაიწყო. სასაძილოს საათმა შეიღის ორმოცდახუთი წუთი დარეკა, და მარიამ კირილეს ასული წყნარად გაეიდა პარმალზე, ყოველ მხარეს მიმოიხედა და ბალისკენ გაიქცა.

ბნელი ღამე იყო, ცა ღრუბლებს დაეფარა, ორი ნაბიჯის მანძილზე კაცი ვერაფერს დაინახავდა; მაგრამ მარიამ კირილეს ასული სიბნელეში მიდიოდა ნაცნობი ბილაკებით და წუთის შემდეგ ტალავართან აღმოჩნდა, აქ შეჩერდა, რათა სული მოეთქვა და დეფორკთან გამოცხადებულყო გულგრილი და აღუქმარებელი სახით. მაგრამ დეფორკი უკვე მის წინ იდგა.

— გმადლობთ, — უთხრა ვაჟმა წყნარი და ნაღვლიანი ხმით, — რომ ჩემს თხოვნაზე უარი არ მითხარით. მე სასოწარკვეთილებაში ჩავევარდებოდი, თქვენ რომ ამაზე არ დათანხმებულყავით.

მარიამ კირილეს ასულმა მომზადებული ფრაზით უპასუხა:

— იმედი მაქვს, თქვენ არ მაიძულებთ ვინანო ჩემი შემწყნარებლობის გამო.

ღუმბროვსკი სდუმდა და ეტყობოდა გამბედაობას იკრეფდა.

— მდგომარეობა მოითხოვს... უნდა დაგტოვოთ. — სთქვა მან ბოლოს. — თქვენ შეიძლება მალე გაიგონოთ... მაგრამ განშორების წინ მინდა ავიხსნათ...

მარიამ კირილეს ასულმა არაფერი უპასუხა. იგი ამ სიტყვებში ხედავდა მოსალოდნელი სიყვარულის ახსნის წინასიტყვაობას.

— მე არა ვარ იგი, ვინც თქვენ გგონივართ, — განაგრძო მან, თავდახრილმა. — მე ფრანგი დეფორკი არა ვარ, ღუმბროვსკი ვარ.

მარიამ კირილეს ასულმა შეიკივლა.

— ნუ გეშინიათ, თუ ღმერთი გწამთ; ჩემი სახელისა თქვენ არ უნდა გეშინოდეთ. დიახ, მე ის უბედური ვარ, რომელსაც მამამენმა ლუკმა პური წაართვა, მამის სახლიდან გააძევა და დიდ შარავზეზე საძარცვად გაუშვა. მაგრამ თქვენ არ უნდა გეშინოდეთ არც თავის თავისა, არც მამის გამო. ყველაფერი გათავებულია... ვაპატიე; მომისმინე; თქვენ გადაარჩინეთ იგი. პირველი ჩემი სისხლიანი გმირობა მასზე უნდა აღსრულებულიყო. მისი სახლის გარშემო დაედიოდი, ვნიშნავდი, ხანძარი საღ უნდა ანთებულიყო, საიდან შეესულიყავი მის საწოლ ოთახში, როგორ გადაამჭრა მისთვის ყველა გასაქცევი გზა; იმ წუთში ჩამიარეთ მახლობლად, როგორც ციურმა მოჩვენებამ და ჩემი გული დაწყნარდა, — მე მიეხვედი, რომ სახლი, სადაც თქვენ ბინადრობთ, წმინდაა, რომ არც ერთ არსებას, რომელიც თქვენი სისხლი და ზორცია ჩემგან წყველა არ ეკუთვნის. უარს ვამბობ შურისძიებაზე, როგორც საგიჯზე. მთელი დღეობით პოკროვსკოვს ბაღების მახლობლად დაეხეტებოდი იმ იმედით, რომ შორიდან თქვენ თეთრ კაბას დაეინახავდი. თქვენი გაუფრთხილებელი სეირნობის დროს უკან დაგყვებოდით, ბუჩქიდან ბუჩქისაკენ მივიპარებოდი. ბედნიერი ვიყავი იმ ფიქრით, რომ თქვენ არავითარი საფრთხე არ მოგელოდათ იქ, სადაც მე ფარულად ვიმყოფებოდი. ბოლოს შემთხვევა მომეცა... თქვენს სახლში დავბინადდი. ეს სამი კვირა ჩემთვის ბედნიერებას დღე იყო; მათი მოგონება ჩემი სევდიანი... ცხოვრებისათვის ნუგეში იქნება... დღეს მივიღე ცნობა, რომლის შემდეგ ჩემი აქ დარჩენა შეუძლებელია. მე გშორდებით დღეს. ამ წუთშივე... მაგრამ ჯერ უნდა გამოგიტყდეთ,



რომ თქვენ არ მწყევლიდეთ, ან გეზიზღებოდეთ, იფიქრეთ ზოგჯერ დუბროვსკიზე, იცოდეთ, რომ სხვა ცხოვრებისთვის იყო იგი განიხილურ რეჟიმში სულს შეეძლო თქვენი სიყვარული, რომ არასოდეს...

ამ დროს ძლიერი სტვენა გაისმა, და დუბროვსკი დადუმდა. ხელი სტაცა მას ხელზე და თავის ანთებულ ტუჩებზე მიიკრა. სტვენა განმეორდა.

— მომიტევეთ, — სთქვა დუბროვსკიმ, — მესაზიან; ერთ წუთს ჩემი დადუბვა შეუძლია.

დუბროვსკი გაშორდა... მარიამ კირილეს ასული უძრავად იდგა. ვაჟი დაბრუნდა და ასულს ისევ ხელზე ხელი მოჰკიდა.

— თუ ოდესმე, — უთხრა მას ნაზი და მგარძნობიარე ხმით, — თუ ოდესმე უბედურება შეგემთხვეთ და თქვენ არავისაგან ელოდეთ არც დახმარებას, არც მფარველობას, ასეთ შემთხვევაში აღმოთქვამთ თუ არა, რომ მე მომმართოთ, მომთხოვოთ ყველაფერი თქვენი გადარჩენისათვის. აღმოთქვამთ თუ არა, რომ არ უკუაგდებთ ჩემს ერთგულებას?

მარიამ კირილეს ასული ჩუმად სტიროდა. სტვენა მესამეჯერ გაისმა.

— თქვენ მღუპაეთ! — წამოიძახა დუბროვსკიმ. — არ დაგტოვებთ, სანამ პასუხს არ მომცემთ, აღმოთქვამთ თუ არა?

— ვპირდებით, — ჩაიჩურჩულა საწყალმა მზეთუნახავმა.

დუბროვსკისთან შეხვედრით აღელვებული მარიამ კირილეს ასული ბადიდან ბრუნდებოდა. მას მოეჩვენა, რომ შინაყმები აქეთ-იქით დარბოდნენ — სახლი ამოძრავებულყოფიერ, ეზოში უამრავი ხალხი ტრიალებდა, პარმალთან სამცხენა იდგა — შორიდან კირილე პეტრეს-ძის ხმა მოესმა — მაშა სახლში შესვლას ჩქარობდა, შიშობდა, მისი ყოფნა არ შეეინიშნათ. დარბაზში მას კირილე პეტრეს-ძე შეხვდა, სტუმრები მაზრის პოლიციის უფროსს, ჩვენს ნაცნობს, ვარშეშო შემოხვეოდნენ და კითხვებს აყრიდნენ. უფროსს სამგზავროდ ეცვა და თავით ფეხამდე შეაარაღებული იყო, აფუსფუსებული იძლეოდა პასუხს იღუმალი გამომეტყველებით.

— სად იყავი, მაშა? — ჰკითხა კირილე პეტრეს-ძემ, — m-r დეფორცი ხომ არ შეგხვედრია?

მაშამ ძლივს შესძლო ეთქვა, არაო.

— წარმოიდგინე, — განაგრძობდა კირილე პეტრეს-ძე, — მაზრის პოლიციის უფროსი ჩამოვიდა იმის დასაპერად და მარწმუნებს, იგი დუბროვსკიაო.

— ყველა ნიშანია, თქვენო აღმატებულებავ, — სთქვა მოწიწებით მაზრის პოლიციის უფროსმა.

— ეჰ, ძეგო, — შეაწყვეტინა კირილე პეტრეს-ძემ, — იცი, სად დაიკარგე შენი ნიშნებით. მე ჩემ ფრანგს არ მოგცემ, სანამ საქმეს თვითონ არ გავარჩევ. როგორ შეიძლება, მშისარა და მატყუარა ანტონ პაფნუტის-ძის სიტყვებს დაეუჯეროთ: მას მოელანდა, რომ მასწავლებელს მისი გაძარცვა სურდა. იმავე დილას რატომ სიტყვაც კი არ დაუძრავს ამის შესახებ?

— ფრანგმა დააშინა იგი, თქვენო აღმატებულებავ, — უპასუხა მაზრის პოლიციის უფროსმა, — და ფიცი დაადებინა, არაფერი სთქვაო...

— ტყვილია, — გადასწყვიტა კირილე პეტრეს-ძემ, — ახლავე ყველაფერს სააშკარაოზე გამოვიტან. სად არის მასწავლებელი? — ჰკითხა შემოსულ მსახურს.

— ვერსად ნახეს, — უპასუხა მსახურმა.

— მაშ, მონახეთ! — დაიყვირა ტროყუროვმა, რომელსაც უკვე ეჭვი ეპა-

რებოდა. — მიჩვენე შენი ნაქები ნიშნები, — უთხრა მან მახრის პოლიციის უფროსს, რომელმაც ტროეკუროვს მაშინვე გადასცა ქაღალდი. ვერცხვანაძე

— კი, ოცდაორი წლისა, ს ი მ ა ლ ე — საშუალო, ზნეწმამსხმეჭაბ სუფთა, წ ვ ე რ ი — მოპარსული, თ ვ ა ლ ე ბ ი — მუქი თაფლისფერი, თ მ ე ბ ი — ბობრი ც ხ ე რ ი — სწორი, ვ ა ნ ს ა ე უ თ რ ე ბ უ ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი — ასეთი არ აღმოაჩნდა. ეს ასეა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ამტკიცებს. სადღაა მასწავლებელი?

— ვერსად ნახეს, — იყო კვლავ პასუხი.

კირილე პეტრეს-ძეს მოუსვენრობა დაეტყო. მარიამ კირილეს ასული ცოცხალ-მკვდარი იყო.

— მამა, ფერდაკარგული ხარ, — შენიშნა მას მამამ, — შეგაშინეს?

— არა, მამილო, — უპასუხა მამამ, — მე თავი მტკიავა.

— წადი, მამა, შენს ოთახში და ნუ სწუხხარ.

მამამ მამას ხელზე აკოცა და სწრაფად თავის ოთახში წავიდა. იქ ლოგინზე დაეცა და ისტერიულად აქეთინდა. მოახლე ქალებმა მიიზიბინეს, ტანთ ძლივს გახადეს, ძლივს შესძლეს მისი დამშვიდება ცივი წყლითა და ათასგვარი სპირტებით. დააწვინეს და მას ჩაეძინა.

ამასობაში ფრანგი მაინც ვერ იპოვეს. კირილე პეტრეს-ძე დარბაზში ბოლოს სცემდა, მრისხანედ უსტვენდა „გამარჯვების გრგვინვა გაისმას“. სტუმრები ერთმანეთს შორის ჩურჩულებდნენ, მახრის პოლიციის უფროსი სულელურ მდგომარეობაში ჩავარდა, ფრანგი ვერ იპოვეს. ალბათ, დამალვა მოასწრო, გაფრთხილებული იყო. მაგრამ როგორ და ვის მიერ. ეს საიდუმლოდ დარჩა.

თერთმეტი საათი იყო, და ძილზე არავინ ფიქრობდა. ბოლოს კირილე პეტრეს-ძემ მახრის პოლიციის უფროსს მწყურალად უთხრა:

— რას ფიქრობ? გათენებამდე აქ ხომ არ იქნები, ჩემი სახლი დუქანი ხომ არ გგონია, შენი მოხერხებულობით, ძმავო, დუბროვსკის დაქვრას, თუ კი ის დუბროვსკია, ვერ შესძლებ. აბა, გასწი შინ... და მომავალში უფრო მარჯვედ იყავი. თქვენი წასვლის დროც არის — მიმართა სტუმრებს. — უბრძანეთ ცხენები გაუბან. მე კი შეძენება.

ტროეკუროვი ასე ცივად დამორდა თავის სტუმრებს.

თავი მესამეტი

რამდენიმე ხანი გავიდა და არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა. მაგრამ შემდეგი ზაფხულის დამდეგს კირილე პეტრეს-ძის ოჯახში ბევრი ცვლილება მოხდა.

ტროეკუროვისაგან ოცდაათი ვერსის დაშორებით მდებარეობდა თავად ვერეისკის შლიდარი მამული. თავადი დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ, მ-ს მამულს განაგებდა სამსახურიდან გადამღვარი მაიორი. პოკროვსკოვსა და არბატოვოს შორის არავითარი ურთიერთობა არ არსებობდა. მაგრამ მაისის ბოლოს თავადი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და ჩავიდა თავის სოფელში. რომელიც არასოდეს არ ენახა. თავისშექცევას დაჩვეულმა თავადმა მარტოობა ვერ აიტანა და ჩამოსვლიდან მესამე დღეს გაემგზავრა სადილად ტროეკუროვთან, რომელსაც ოდესღაც იცნობდა.

თავადი დაახლოებით ორმოცდაათი წლის იქნებოდა, მაგრამ უფრო ხნიერი ჩანდა. გადაჭარბებულობამ ჯანმრთელობა დაუსუსტა და წარუშლელი



დადი დასევა. იგი მუდმივ თავისშეკაცევას საჭიროებდა და ერთთავად მოწყობილი იყო. მიუხედავად ამისა, სასამოვნო, შესანიშნავი გარეგნობა ჰქონდა. მუდამ საზოგადოებაში ყოფნის ჩვეულებას იგი თავაზიანი გაეხდებოდა. მისი კუთრებით ქალებთან. კირილე პეტრეს-ძემ მისი სტუმრობით მეტისმეტად კმაყოფილი იყო. ეს მაღალ საზოგადოებასთან გაეცნობილ ადამიანისაგან პატივისცემად მიიღო. ტროეკუროვი, თავის ჩვეულებასამებრ, სტუმრებს გაუპასპინძლდა თავის დაწესებულებათა დათვალეირებით და საძაღლეში წაიყვანა. მაგრამ თავადი ძაღლების სუნმა კინაღამ გაპყვდა და იჭაურობას სასწრაფოდ გაეცალა, ცხვირზე სუნამოთი მოფრქვეულ ცხვირსახოცს იჭერდა. ძველი ბაღი გაკრეჭილი ცაცხვებით, ოთხეუთხი ტბით და სწორი ხეივანებით მას არ მოეწონა; თავად ვერეისკის ინგლისური ბაღები და ეგრეთწოდებული ბუნება უყვარდა, მაგრამ ტროეკუროვის კარმიდამოს მანაც აქებდა და აღტაცებას გამოთქვამდა; მსახური მივიდა მოსახსენებლად, სუფრა გაწყობილიაო. სასადილოდ წავიდნენ. თავადი ოდნავ კოჭლობდა, გასეირნებამ დაღალა და უკვე ნანობდა სტუმრად მისვლას.

მაგრამ დაბაზში მას მარიამ კირილეს ასული შეხვდა, და ძველი მუსუსი მისი სილამაზით გაოცებული დარჩა. ტროეკუროვმა სტუმარი მამას გვერდით დასევა. თავადი ასულის სიახლოვემ გამოაცოცხლა, გამზიარულდა და რამდენჯერმე მოახერხა მისი ყურადღება მიეპყრო საინტერესო ამბავთა მოყოლით. სადილის შემდეგ კირილე პეტრეს-ძემ სტუმარს ცხენით გასეირნება შესთავაზა, მაგრამ თავადმა ბოდიში მოიხადა, თავისი ხავერდის ჩექმები დაანახვა და ნიკრისის ქარზე ხუმრობა დაიწყო; მან ამჯობინა ეტლით გასეირნება, რათა სანდომიან ასულს არ დაშორებოდა. ეტლში ცხენები გაუბეს. მოხუცი და მზეთუნახავი ზედ დასხდნენ და გაემგზავრნენ. საუბარი არ შეწყვეტილა. მარიამ კირილეს ასული სიამოვნებით ისმენდა მაღალი საზოგადოების ადამიანის პირმოთნე და მზიარულ ქათინაურებს, რომ უეცრად ვერეისკი კირილე პეტრეს-ძეს მიუბრუნდა და ჰკითხა, — ეს დამწვარი შენობა რას ნიშნავსო, თქვენ ხომ არ გეკუთვნისო? კირილე პეტრეს-ძემ სახე შეიქმუხვნა, დამწვარი კარმიდამოთი გამოწვეული მოგონება მას არასასიამოვნოდ დარჩა. უბასუხა, — მიწა ახლა ჩემია, წინად კი დუბროვსკის ეკუთვნოდაო.

— დუბროვსკის, — გაიმეორა ვერეისკიმ, — როგორ, ამ სახელგანთქმულ ყაჩაღს?

- მამამ სს, — უბასუხა ტროეკუროვმა, — მამაც გვარიანი ყაჩაღი იყო.
- სად იპოეფება ჩვენი რინაღდო? ცოცხალია თუ დაიჭირეს?
- ცოცხალიცაა და თავისუფალიც — და სანამ ჩვენში მაზრის პოლიციის უფროსები და ქურდები შეხმატკბილებულნი იქნებიან, მანამდე მას იერ დაიჭერენ. პო, მართლა, თავადო, დუბროვსკი ხომ შენთან არბატოვშია ცოფილა?

— დიახ, გასულ წელს, მგონი, რაღაც დაუწვავს, ან გაუძარცვავს... მარიამ კირილეს ასულო, ხომ მართლა საინტერესო იქნებოდა ამ რომანტიკული გმარის ახლო გაეცნობა?

— რა საინტერესოა! — მთქვა ტროეკუროვმა, — მაშა მას იცნობს, — მთელი სამი კვირა მუსიკას ასწავლიდა, მაღლობა ღმერთს, გაყვეთილებში არაფერი აუღია.

აქ კირილე პეტრეს-ძემ დაიწყო ამბის მოყოლა თავის ფრანგ მასწავლებელზე. მარიამ კირილეს ასული თითქოს ეკლებზე იჯდა, ვერეისკიმ დიდი ყურადღებით მოუსმინა, ყველაფერი ეს ძალიან უცნაურად მიიჩნია და საუბარი

შესცვალა. როცა დაბრუნდნენ, ვერეისკიმ ბრძანა მისთვის კირილე მოეწადებინათ და, მიუხედავად კირილე პეტრეს-ძის დიდი ზეჟინისა, მისთვის მოეწადებინათ. თეოდ დარჩენილიყო, იგი ჩაის შემდეგ მაშინვე გაემგზავრა მსგავსი მსგავსების წინ კირილე პეტრეს-ძეს სთხოვა სტუმრად სწევოდა მარიამ კირილეს ასულთან ერთად — ამაყი ტროეკუროვი შეჰპირდა, რადგან თავად ვერეისკის ერთ-დაგვარად თავის ტოლად სთვლიდა, ანგარიში გაუწია მის თავადურ ღირსებას, ორ ვარსკვლავს და სამი ათასი სელისაგან შემდგარ საგვარეულო მამულს.

ამ სტუმრობიდან ორი დღის შემდეგ კირილე პეტრეს-ძე თავის ასულთან ერთად თავად ვერეისკისთან გაემგზავრა. არბატოვოს რომ უახლოვდებოდა, მას არ შეეძლო არ დამტკბარიყო გლეხთა სუფთა და მხიარული ჭოხებით, ბატონის ქვის სახლით, რომელიც ინგლისური სასახლეების ყაიდაზე იყო აშენებული. სახლის წინ მუჭი მწვანე მდელო გადაშლილიყო. სადაც შევიცარული ძროხები სძოვდნენ ზანზალაკების რეკით. სახლს ყოველი მხრიდან ვრცელი პარკი ვრცელა. მასპინძელი სტუმრებს პარმალთან შეხედა და ახალგაზრდა მზეთუნახავს ხელი გაუწოდა; ისინი დიდებულ დარბაზში შევიდნენ, სადაც სუფრა სამი კაცისთვის გაშალათ. თავადმა სტუმრები ფანჯარასთან მიიყვანა და მათ წინ შესანიშნავი სანახაობა გაიშალა. ფანჯრებს წინ ვოლგა ჩაედოდა, ზედ დატვირთული ორჩხომელები მისცურავენ გამშლილი იალქნებით და გამოკრთოდნენ მეთევზეთა ნაგები, რომლებსთვისაც ასე მოხდენილად დუმეგუბკები შეურქმევიათ. მდინარის იქით გორაკები და მინდვრები გაქიმულიყო. რამდენიმე სოფელი არემარეს აცოცხლებდა. მერე თავადის მიერ საზღვარგარეთ შექმნილი სურათების გაღერების დათვალიერებას შეუდგნენ. თავადი მარიამ კირილეს ასულს უხსნიდა მათს სხვადასხვა ღირსებას, შინაარსს, უყვებოდა მხატვრების შესახებ, უჩვენებდა ნაკულოვანებებს, სურათებზე ლაპარაკობდა არა შედარებით მცოდნის გაცვეთილი ფრაზებით, არამედ გრძნობითა და გატაცებით. მარიამ კირილეს ასული სიამოვნებით უსმენდა. სუფრას მოუსხდნენ. ტროეკუროვმა ჯეროვნად შეაფასა თავისი ამტიკრიონის ღვინოებისა და მისი მზარეულის ხელოვნება; მარიამ კირილეს ასული არავითარ დაბნეულობასა, ან იძულებას არ გრძნობდა იმ აღმანიანთან საუბრის დროს, რომელსაც თავის სიცოცხლეში მხოლოდ მეორეჯერ ხედავდა. ნასადილევს მასპინძელმა სტუმრებს ბაღში გასეირნება შესთავაზა. კუნძულებით მოფენილი ფართო ტბის ნაპირას ფანჯატურში ყავა მიირთვეს. ჩასაბერ ინსტრუმენტთა მუსიკა გაისმა, და ექვსნიჩიანი ნავი ფანჯატურს ზედ მოადგა. ნავით ტბაზე გასეირნეს, კუნძულების მახლობლად; ზოგიერთი კუნძული დაათვალიერეს; ერთზე ნახეს მარმარილოს ქანდაკება, მეორეზე — განმარტოებული გამოქვაბული, მესამეზე — ძველი საიდუმლო წარწერით; ყველაფერი ეს მარიამ კირილეს ასულს აღუძრავდა ქალწულებრივ ცნობისმოყვარეობას, რაც დაუქმყოფილებელი რჩებოდა; თავადი თავაზიან შენიშვნებს დასრულებულად არ გამოსთქვამდა. დრო შეუმჩნეველად გავიდა, — ბინდებოდა. თავადმა სოფრილუ და ნამი მოიმიზეზა და შინ დასაბრუნებლად აჩქარდა — მათ სამოვარი მოელოდათ. თავადმა სთხოვა მარიამ კირილეს ასულს ძველი უცოლო კაცის სახლში ედიასახლსა. მამა ჩაის ასხამდა და თავაზიანი მოლაპარაკის დაუღვეველ ამბებს უსმენდა, უცბად სროლა გაისმა — და მამალამ ცა გაანათა. თავადმა მარიამ კირილეს ასულს შალი მიაწოდა და იგი ტროეკუროვთან ერთად ბევანზე გაიყვანა. სახლის წინ სიბნელეში მრავალფერი ჩრადღნები აინთნენ, დატრიალდნენ, თავთავებივით, პალმებივით გაიშალნენ.

შადრევნებად მალა ავარდნენ და წვიმად, ვარსკვლავებად ჩამოიფრქვეს; ისინი ჰქრებოდნენ და ისევ ინთებოდნენ. მარიამ კირილეს ასულს, *Сестра моя* მხიარულობდა. თავადი ვერეისკიც ასულის აღტაცებით ხარობდა. *Сестра моя* როვი კი თავადით არაჩვეულებრივად კმაყოფილი იყო, რადგან თავადის *tous les frais*¹ იღებდა, როგორც პატივისცემის ნიშანს და სურვილს მისთვის ესამოვნებინა.

ვაშაში თავისი ღირსებით სადილს არაფრით ჩამოუვარდებოდა. სტუმრები მათთვის მიჩნეულ ოთახებში წავიდნენ და მეორე დღეს დილაადრიან თავაზიან მასპინძელს დაშორდნენ, იმ პირობით, რომ ერთმანეთს მალე შეხვდებოდნენ.

თავი მეთოთხმეტი

მარიამ კირილეს ასული თავის ოთახში იჯდა და ქარგაზე ჰქარგავდა ღია ფანჯრის წინ. იგი არ იბნეოდა აბრეშუმის შერჩევამი კონრადის საყვარლის მსგავსად, რომელმაც, ტრფობით დაფანტულმა, ვარდი მწვანე აბრეშუმით ამოჰქარგა. მისი ნემსი სარჩულზე შეუცდომლად იმეორებდა დედანის სახეს, მიუხედავად იმისა, რომ მაშა ხელსაქმეზე არ ფიქრობდა; მისი აზრები შორს ჰქროდნენ.

უეცრად ფანჯარაში ვიღაცამ წყნარად ხელი შემოჰყო, ქარგაზე წერილი დასდო და მიიშალა, სანამ მარიამ კირილეს ასული რაიმეს მოისაზრებდა. სწორედ ამ დროს მსახური მასთან შემოვიდა და უთხრა, კირილე პეტრეს-ძე გიბმობთო. მაშა თრთოლვით შეინახა წერილი ხილაბანდის ქვეშ და მამასთან გაეშურა; კაბინეტში კირილე პეტრეს-ძე მარტო არ დახვდა. მასთან იყო თავადი ვერეისკი. მარიამ კირილეს ასულის შესვლისთანავე თავადი წამოდგა და მღელმარედ მიესალმა თავისთვის უჩვეულო დაბნეულობით.

— მოდი აქ, მაშა, — სთქვა კირილე პეტრეს-ძემ, — ახალ ამბავს გეტყვი; რაც, ვფიქრობ, გაგახარებს. აი, შენი საქმრო, თავადი გთხოვს ცოლად გაჰყვე.

მაშა გაშეშდა, სახეზე გვედრის ფერი დაედო. სდუმდა. თავადი მამასთან მივიდა, ხელი ხელზე მოჰკიდა და აღელვებული სახით ჰკითხა: თანახმა ხართ თუ არა, გამაზედნიერთოთო. მაშა სდუმდა.

— თანახმაა რასაკვირველია, თანახმა, — სთქვა კირილე პეტრეს-ძემ, მაგრამ იცით, თავადო, ქალიშვილისათვის ძნელია ამ სიტყვის წარმოთქმა. — აბა, შეიღებო, ერთმანეთს აკოცეთ და იყავით ბედნიერი.

მაშა უძრავად იდგა, მოხუცმა თავადმა მას ხელზე აკოცა; უეცრად მაშას ფერმკრთალ სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა. თავადი ოდნავ მოიღუშა.

— წადი, წადი, წადი, — სთქვა კირილე პეტრეს-ძემ, — ცრემლები მოიწმინდე და გამხიარულებული დაგვიბრუნდი. ისინი ყველანი სტირიან ნიშნობის დროს, — მიუბრუნდა და უთხრა ვერეისკის — ეს უკვე ასეა წესად. ახლა, თავადო, საქმეზე მოვილაპარაკოთ — ესე იგი მზითევე.

მარიამ კირილეს ასულმა მაშინვე ისარგებლა წასვლის ნებართვით. თავის ოთახში გაიქცა, ჩაიკეტა და ტირილით გული იჯერა, თავისი თავი მოხუცი თავადის ცოლად წარმოიდგინა; იგი უეცრად საზიზღრად და საძაგლად მოეჩვენა... ქორწინება აშინებდა, როგორც საჯალათო კუნძი, როგორც საფლავი.

...არა, არა, — იმეორებდა მაშა სასოწარკვეთილებით, — სჯობს მოვკვდე,

¹ ყველა ხარჯს.

სჯობს მონაზნად აღვიყვეცო, სჯობს ღებროვსკის გაყვე“. ამ დღის მრავალნი წერილი და ხარბად დაიწყო მისი კითხვა; გრძობდა, რომეტიყუფე-გან იყო. მართლაც, ბართი ღებროვსკის მოეწერა — და მხოლოდ მისი წიგნებს შეიცავდა:

„სალამოს ათზე, ძველ აღვილას“.

თავი მეთხუთმეტი

მთვარე კაშკაშებდა; ივლისის წყნარი ღამე იყო; ხანდახან ნიავე მოიჭროლებდა და ნელი შრიალი მთელ ბაღს მოედებოდა.

როგორც მსუბუქი ღანდი, ახალგაზრდა მზეთუნახავი, პავლანის ადგილს უახლოვდებოდა. ჯერ კიდევ არაივნი ჩანდა, უცერად ფანჩატურთან ღებროვსკი მის წინ გაჩნდა.

— მე ყველაფერი ვიცი, — უთხრა მამას წყნარი და სევდიანი ხმით. — მოიგონეთ თქვენი აღთქმა.

— თქვენს მთარველობას მთავაზობთ, — უბასუხა მამამ, — მაგრამ არ გამოჯავრდეთ: იგი მაშინებს. დახმარებას როგორ აღმომიჩინო?

— მე შევძლებდი თქვენს დახსნას საძაგელი აღაშინისაგან.

— ღეთის გულისათვის, ხელს ნუ ახლებთ, არ გაბედოთ ხელი შეახოთ, თუ მე გიყვარვართ, — მე არ მინდა რაიმე საშინელების მიზეზი გაეხდეთ.

— ხელს არ ვახლებ, თქვენი სურვილი ჩემთვის წმინდააწმინდაა. თავის სიცოცხლეს თქვენ ვიშლივდი, არასოდეს თქვენი სახელით ბოროტმოქმედებას არ ჩავიდენ, თქვენ წმინდა უნდა დარჩეთ ჩემს დანაშაულშიც. მაგრამ, როგორ დავიხსნათ თქვენი სასტიკი მამისაგან.

— ჯერ იმედი არ დამიკარგავს. იმედი მაქვს ჩემი ცრემლებითა და სასოწარკვეთილებით გული მოვუღებო. მამა ჯიუტია, მაგრამ მას ისე უყვარვართ.

— ტყვილი იმედი ნუ გექნებათ: ამ ცრემლებში იგი დაინახავს ჩვეულებრივ ზიზღსა და შიშობობას. ასე იქცევა ყველა ახალგაზრდა ქალიშვილი, როცა ისინი თხოვდებიან არა სიყვარულით, არამედ კეთილგონიერი ანგარიშით: რა ვქნა, თუ იგი დაიცივებს თქვენს გაბედნიერებას თქვენი სურვილის წინააღმდეგ: თუ ძალით წაგიყვანს ჯვარის დასაწერად, რათა თქვენი ბედი სამარადისოდ დაუმორჩილოს მოხუცი ქმრის ბრძანებას.

— მამინ, მამინ რაღას ვიზამ, მომაკითხეთ, მე თქვენი ცოლი გაეხდები.

ღებროვსკი აჯანყალდა; ფერმკრთად სახეზე კარხლისფერი დაედო, და იმავე წუთში წინანდელზე უფრო გაფითრდა. დიდხანს სდუმდა იგი თავდახრილი.

— მთელი სულთერი ძალები მოიკრიფეთ, მამას ემუდარეთ, ფეხქვეშ ჩაუვარდით; დაუხატეთ თქვენი მომავლის მთელი საშინელება, თქვენი ახალგაზრდობა, რომელიც დასკვნება უძღური და გარყვნილი მოხუცის მახლობლად: თავი გადასდეთ სასტიკი ახსნისათვის: უთხარით, თუ იგი უღმობელი დარჩება, მამინ... მამინ თქვენ საშინელ თავდაცვას მიმართეთ... უთხარით, რომ სიმღირე ერთ წუთსაც ვერ მოგანიჭებთ ბედნიერებას: ფუფუნება მხოლოდ სიღარიბეს ანუგეშებს და ისიც ერთი წამით და იმიტომ, რომ სიღარიბე ამას დაჩვეული არ არის. მამას არ მოეშვა, არ შეუშინდე არც მის წყრომას, არც მუქარას — სანამ გექნება ოდნავი იმედი, ღეთის გულისათვის, არ მოეშვა. და თუ უკვე სხვა საშუალება აღარ იქნება...



— და დუბროვსკიმ სახე ზელვით დაიფარა; მას თითქოს სული ეხუთებოდა. მაშა სტიროდა...

— ჩემი საბრალო, საბრალო ხეველი, — სთქვა დუბროვსკიმ — სთქვა და მარტო ამოიხრა. — თქვენთვის სიცოცხლეს გავწირავდი, შორიდან თქვენი დანახვა, თქვენი ზელის შეხება ჩემთვის ნეტარება იყო. და მაშინ, როდესაც შესაძლებლობა მაქვს უძვირფასესი არსება აღელვებულ გულზე მივიყრა და უთხრა: ანგელოზო, მოვეკვდეთ. მე საბრალომ უნდა მოვეყრიდო ამ ნეტარებას, მთელი ძალღონით უნდა მოვიშორო იგი. ვერ ვხედავ თქვენ ფეხს ქვეშ დავეცე, ეას მადლობა შეგწირო ამ გაუგებარი, დაუმსახურებელი ჯილდოსათვის. ოჰ, როგორ უნდა მძაგდეს ის კაცი... მაგრამ ვგრძნობ, ახლა ჩემს გულში სიძულვილს ადგილი არა აქვს.

მან მსუბუქად მოხვია ხელი მის მოხდენილ ტანს და გულზე ნელა მიიყრა. მაშა მიმდობლად დახარა თავი ახალგაზრდა ყაჩაღის მხარზე. ორივე სდუმდა.

დრო მიჰქროდა

— წასვლის დროა. — სთქვა ბოლოს მაშამ. — დუბროვსკი თითქოს ძილი-საგან გამოფხიზლდა. ხელზე ხელი მოჰკიდა და თითზე ბუჭედი გაუკეთა.

— თუ გადასწყვეტთ მე მომმართოთ, — სთქვა დუბროვსკიმ, — მაშინ ბუჭედი აქ მოიტანეთ, ამ ბუხის ფულდუროში ჩაუშვით, მე მეცოდინება, რა გავაკეთო.

დუბროვსკიმ მაშას ხელზე აკოცა და ხეებში მიიმაღა.

თავი მეთექვსმეტი

თავადმა ვერეისკემ მაშას ცოლად წაყოლა რომ სთხოვა, მეზობლებისათვის ეს უკვე საიდუმლოება არ იყო — კირილე პეტრეს-ძე მილოცვებს იღებდა, ქორწილისათვის ემზადებოდნენ. მაშა დღე-ღამეზე სდებდა გადაწყვეტ პასუხს. მას მოხუც საქმროსთან ცივი და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. თავადი ამის გამო თავს არ იწუხებდა; სიყვარულისთვის არ ზრუნავდა, კმაყოფილი იყო მისი უსიტყვო თანხმობით.

მაგრამ დრო მიდიოდა. მაშამ ბოლოს გადასწყვიტა ემოქმედნა და თავად ვერეისკის წერილი გაუგზავნა. მაშა ცდილობდა თავადის გულში დიდსულოვნების გრძნობა აღედრა; გულწრფელად გამოუტყდა, რომ მის მიმართ არავითარ სიბოძის არ გრძნობდა; ემუდარებოდა მის შერთვაზე უარი ეთქვა და თვითონ ეკისრა მისი დაცვა მშობლის უფლებებისაგან. მაშამ მალულად გადასცა წერილი თავად ვერეისკის; თავადმა წერილი წაიკითხა და თავის საცოლეს გულ-აბდილობას მცხთვის გული სრულიად არ აუჩვილებია. პირიქით, მან საჭიროდ დაინახა ქორწილი დაეჩქარებინა და ამისათვის საჭიროდ სცნო წერილი მომავალი სიმამრისათვის ეჩვენებინა.

კირილე პეტრეს-ძე გაცოფდა; თავადმა ძლივს დაარწმუნა ტროეკუროვი მაშასთვის არ ეგრძნობინებინა, რომ მისი წერილი წაიკითხული აქვს. კირილე პეტრეს-ძე დასთანხმდა მაშასთვის არაფერი ეთქვა, მაგრამ გადაწყვიტა დრო არ დაეკარგა და ქორწილი მეორე დღისათვის დაიწყო. თავადმა ეს მეტად ეთილგონიერად სცნო, თავის საცოლესთან მივიდა და უთხრა; თქვენმა წერილმა ძალიან დამაღონა, მაგრამ იმედი მაქვს თქვენი სიყვარული დაეგმოსაბურთო; თქვენი დაკარგვა ჩემთვის მეტად სამძიმოა და მე არ შემიძლია ჩემს სასიყვარუ-

ლო განაჩენს დავეთანხმო. ამის შემდეგ მამას მოწიწებით ხელზე და-
გაემგზავრა. არაფერი უთქვამს კირილე პეტრეს-ძის გადაწყვეტ-
მადგინებელს. მაგრამ თავადმა ძლივს მოასწრო ეზოდან გამგზავრება, რამ-
შვილთან შევიდა და პირდაპირ გამოუცხადა, ხვალისთვის მზად იყავით. მარიამ
კირილეს ასული, უკვე აღელვებული თავად ვერცხვის განმარტებით, ცრემ-
ლად დაიღვარა და მამას ფერხთ ჩაუვარდა.

— მამილო, — დაიძახა მან საცოდავი ხმით, — მამილო, ნუ მღუპავთ, მე
თავადი არ მცყვარს, მისი ცოლობა არ მინდა.

— ეს რას ნიშნავს, — მრისხანელ სიტყვა კირილე პეტრეს-ძემ. — ამდენ ხანს
შენ სდუმდი და თანახმა იყავი, ახლა კი, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტი-
ლია, შენ გაჯიუტება და უარის თქმა იფიქრე? სისულელეს ნუ სჩადიხარ,
ამით ჩემგან ვერაფერს მოიგებ.

— ნუ მღუპავ, — იმეორებდა საწყალი მამა — თქვენგან რატომ მდენით და
მათხოვებთ კაცზე, რომელიც არ მიყვარს? განა თავი მოგაბეზრეთ, მინდა
თქვენთან დავრჩე ძველებურად. მამილო, თქვენ უჩემოდ მოიწყენთ, და კიდევ
უფრო დაღონდებით, როცა იფიქრებთ, რომ მე უბედური ვარ; მამილო, ნუ
მაიძულლებთ მე გათხოვება არ მინდა...

კირილე პეტრეს-ძეს გული აუჩვილდა, მაგრამ თავისი შეკრთომა დაძა-
რა, მოიშორა მამა და მკაცრად უთხრა:

— ყველაფერი ეს სისულელეა, გესმის თუ არა, მე შენზე უკეთესად ვიცი,
შენი ბედნიერებისათვის რა არის საჭირო, ცრემლები ვერ გიშველის, ზეგ შენი
ქორწილია.

— ზეგ, — წამოიძახა მამამ, — ღმერთო ჩემო! არა, არა, შეუძლებელია, ეს
არ მოხდება, მამილო, მომისმინე. თქვენ თუ გადასწყვეტთ ჩემი დაღუპვა, მე
ვინაღვი დამცველს, რომელზედაც თქვენ არც კი ფიქრობთ, თქვენ ნახავთ,
შეძრწუნდებით, სანამდე მიმიყვანეთ.

— რაო, რაო? — სიტყვა ტროეკუროვმა, — მუქარა! მემუქრები, — თავხედო
გოგო! იცი თუ არა, მე ისეთ რამეს გიზამ, რაც შენ არც კი წარმოგიდგენია.
შენ მიბედავ დაშინებას დამცველით, ვნახოთ, ვინ იქნება შენი დამცველი.

— ვლადიმერ დუბროვსკი, — უპასუხა მამამ სასოწარკვეთილებით.

კირილე პეტრეს-ძემ იფიქრა, ქალიშვილი კეჟიდან შეიშალაო, და მას გაო-
ცებით უცქერდა.

— კარგი, — უთხრა მამას მცირე დუმის შემდეგ, — შენს მხსნელად ვისაც
გინდა უცადე, ჯერჯერობით კი ამ ოთახში იჯექი, აქედან ფეხს ვერ მოიცი-
ლი ქორწილამდე, — ესა სიტყვა და კირილე პეტრეს-ძე გავიდა, კარები ჩაუკეტა.

საწყალი ქალიშვილი დიდხანს სტიროდა, წარმოიდგენდა ყველაფერს, რაც
მას მოელოდა, მაგრამ ცხარე განმარტებამ გული შეუმსუბუქა და მშვიდად
შეეძლო ემსჯელა თავის ხვედრსა და იმაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინა. მის-
თვის მთავარი იყო საზიზღარი ქორწინებისაგან თავი დაეღწია, ყაჩაღის მე-
უღლეობა მას სამოთხედ ეჩვენებოდა, იმასთან შედარებით, რაც მას მოელო-
და. დუბროვსკის მიერ დატოვებულ ბეჭედს შეხედა. მამას ძლიერ უნდოდა
იგი მარტო ენახნა და ერთხელ კიდევ გადასწყვეტი წუთის წინ მასთან დიდ-
ხანს ეთათბირნა. წინათგრძნობა ეუბნებოდა მას, რომ ამ საღამოს დუბროვ-
სკის ნახავდა, ბაღში ფანჩატურის მახლობლად. მამამ გადასწყვეტა წასული-
ყო და იქ დაეცადა მისთვის, როგორც კი შებინდებოდა. დაბინდდა. მამა



მოემზადა — მაგრამ კარები დაკეტილი დახვდა. მოახლე ქალი კარს უკან უბასუხებდა, რომ კირილე პეტრეს-ძეს მისი გამოშვება არ უბრძანებდა. დაპატიმრებული იყო. ღრმად შეურაცხყოფილი, ფანჯარასთან ტეტილი მჭიმჭიმდებდა, ტანთგაუხდელი. უძრავად ბნელ ცას შესცქეროდა. ვარიეტაჟზე ჩასთვლია, მაგრამ ფრთხილი ძილი სევდიანმა სიზმრებმა დაუფრთხო, და ამომავალი შუის სხივებმა იგი გამოაღვიძა.

თავი მჩხვილმეტი

მამამ გაიღვიძა და თვალწინ დაუდგა თავისი მდგომარეობის მთელი საშინელება. დარეკა. მოახლე შემოვიდა და მის კითხვებზე უბასუხა: კირილე პეტრეს-ძე საღამოს არბატოვოს გაემგზავრა და შინ გვიან დაბრუნდა; სასტიკი განკარგულება გასცა, მამა ოთახიდან არ გამოეშვათ და თვალყური ედევნებინათ, რათა არაფერი დალაპარაკებოდა; არ ჩანს, არავითარი განსაკუთრებული სამზადისი ქორწილისათვის, იმის გარდა, რომ მღვდელს უბრძანეს, არავითარი საბაბით სოფლიდან არ გახვიდეთ. ამ ცნობების მიწოდების შემდეგ მოახლემ მარიამ კირილეს ასული დასტოვა და კარები ისევ ჩაუკეტა.

ახალგაზრდა განდევნილი მოახლის სიტყვებმა გააბოროტა. თავი უხურდა, სისხლი უღვღღა; მან გადასწყვიტა ყველაფერი ღუბროვსკისათვის ეცნობებინა და დაიწყო საშუალების გამოძიება ბეჭდის გასაგზავნად აღთქმული მუხის ფულუროში. ამ ღროს მის ფანჯარას კენჭი მოხვდა, მინა აზრიალდა; მარიამ კირილეს ასულმა ეზოში გადაიხედა და დაინახა პატარა საშა, რომელიც იდუმალ ნიშნებს იძლეოდა. მამამ იცოდა მისი ერთგულება და გაუხარდა, ფანჯარა გააღო.

— გამარჯობა, საშა, — უთხრა მან, — რატომ შეძახი?

— მე მოვედი, დაიკო, გასაგებად, რაიმე ხომ არ გჭირდებათ. მამიკო გაჯავრებულია და მთელ სახლს აუკრძალა შენ დაგემორჩილოს, მაგრამ მე მიბრძანე, რაც გნებავთ; და თქვენთვის ყველაფერს გადავეთებ.

— გმადლობ, ჩემო საშენკა, გამიგონე: შენ იცი ფულუროიანი ძველი მუხა, ფანჯატურთან რომ არის?

— ვიცი, დაიკო.

— მამ, თუ გიყვარვარ, გაიქეცი იქ სასწრაფოდ და აი, ეს ბეჭედი ფულუროში ჩადევი, მაგრამ ფრთხილად იყავი, არაფერი დაგინახოს.

ესა სთქვა და ბეჭედი გადაუგდო, ფანჯარა დაკეტა.

სამამ ბეჭედი აიღო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა — სამ წუთში ხესთან გაჩნდა. აქ საშა შეჩერდა სულშეხუთული, აქეთ-იქით მიმოიხედა და ბეჭედი ფულუროში ჩასდო, საქმე რომ მშვიდობიანად დაასრულა და უნდოდა ეს მარიამ კირილეს ასულისათვის ეცნობებინა, უეცრად წითური და ელამი, ჩამოგლეჯილი ბიჭი ფანჯატურიდან გამოხტა. მუხას მივარდა, ფულუროში ხელი ჩაჰყო. საშა ციყვზე უსწრაფესად ბიჭთან მიიჭრა და მას ორივე ხელი ჩასჭიდა:

— შენ აქ რას აკეთებ? — უთხრა მრისხანედ.

— რა შენი საქმეა? — უთხრა ბიჭმა, თან ცდილობდა მისგან თავი გაეთავისუფლებინა.

— ხელი გაუშვი ამ ბეჭედს, წითელი კურდღელი! — ყვიროდა საშა, — ან მე ჩემებურად ჰკუას გასწავლი.

პასუხის მაგიერ მან მუშტი სახეში ჩაართვა, მაგრამ საშა ხელი არ გუშუშა — და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:

ერკუნულნი
ბიზლნიქნიქნი

— ქურდები, ქურდები! აქეთ, აქეთ!

ბიჭი ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა. იგი, აღბათ, საშაზე ორი წლით უფროსი იქნებოდა და ბევრად უფრო ღონიერი, მაგრამ საშა უფრო მარდი იყო. ისინი რამდენიმე წუთს იბრძოდნენ. ბოლოს მწითური ბიჭი მოერია. საშა მიწაზე წააქცია და ხელი ყელში სტაცა.

მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ძლიერი ხელი ჩაავლო მას მწითურ ჯაგარისებურ თმებში და მეზღვე სტეფანემ იგი მიწიდან ნახევარი აღლის სიმაღლეზე ასწია.

— ეხ, შენ მწითური მხეცო, — უთხრა მეზღვემ, — აბა, როგორ ბედავ პატარა ბატონის ცემას...

საშამ აღგომა და დამშვიდება მოასწრო.

— შენ, ცუდლუტობით წამაქციე, — სთქვა მან, — თორემ ვერასოდეს ვერ წამაქცევდი. მომეცი ახლავე ბეჭედი და დაიკარგე.

— ვერ მოგართვით, — უპასუხა მწითურმა ბიჭმა და უეცრად ადგილზე გადატრიალდა, სტეფანეს ხელიდან თავისი ჯაგარი გაითავისუფლა.

ის-ის იყო გაქცევა დააბირა, მაგრამ საშა დაეწია, ზურგში ხელი ჰკრა და ბიჭი ფეხმოწყვეტილი წაიქცა. მეზღვემ იგი ისევ დაიჭირა და ქამრით შეჰკრა:

— მომეცი ბეჭედი! — უყვიროდა საშა.

— მადროვე, ბატონო, — სთქვა სტეფანემ, — ჩვენ იგი გასასამართლებლად მოურავთან წაიყვანათ.

მეზღვემ თავისი ტყვე ბატონის ეზოში წაიყვანა, საშა კი მას თან ახლდა, თავის დაგლეჯილ და ბალახით დასვერილ შარვალს დასცქეროდა. მოულოდნელად სამივე აღმოჩნდნენ კირილე პეტრეს-ძეს წინ, რომელიც თავისი თავლის დასათვალისწინებლად მიდიოდა.

— ეს რა ამბავია? — ჰკითხა მან სტეფანეს. სტეფანემ მოკლედი უამბო, რაც მოხდა.

კირილე პეტრეს-ძემ ყურადღებით მოუსმინა.

— შენ მოუსვენარო, — მიუბრუნდა საშას და ჰკითხა, — ამას რას აპყობი ხარ?

— მან ფულუროდან ბეჭედი მოიპარა, მამიკო, — უბრძანეთ ბეჭედი მომცეს.

— რა ბეჭედი, რომელი ფულუროდან?

— ჰო, მე მარიამ კირილეს ასულმა... ჰო, ის ბეჭედი...

საშა აიჩიო. დაიბნა. კირილე პეტრეს-ძემ წარბები შეიკრა და სთქვა თავის ქნევით:

— აქ მარიამ კირილეს ასული ურეგია, ყველაფერში გამოტყდი, ან ისე გაგწიკვლა, რომ თავი ველარ იცნო.

— ღმერთმანი, მამიკო, მე, მამიკო... ჩემთვის მარიამ კირილეს ასულს არაფერი უბრძანებია, მამიკო!

— სტეფანე, აბა, წადი და მომიტყერი კარგი არყის ხის ქორფა წკეპლა.

— მოიცადე, მამიკო, — ყველაფერს გიამბობთ. მე დღეს ეზოში დაერბოდი, დაიკო მარიამ კირილეს ასულმა კი ფანჯარა გააღო და მე მისკენ გაიქეცი. დაიკოს უცაბედად ბეჭედი ხელიდან გაუვარდა, მე კი ფულუროში შევიწიხე, და... და... ამ მწითურ ბიჭს ბეჭედის მოპარვა უნდოდა.

— უცაბედად გაუვარდა, შენ კი გინდოდა შენახვა... სტეფანე, წადი წკეპლებსათვის.



— მაშეო, მაცალე, ყველაფერს გაიამბობ. დაიკო მარიამ კირილეს გულშია მიბრძანა მუხასთან მიმერბინა და ბეჭედი ფულუროში ჩამედო: *ქაქუცავანიძე* ბეჭედი ჩაედევ, — ამ საძაგელმა ბიჭმა კი...

გინგლინიძე

კირილე პეტრეს-ძე საძაგელ ბიჭს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ ვისი ხარ?

— ბატონ ღუბროვსკებისა. მე ვლადიმერ ანდრიას-ძე ღუბროვსკის შინაყმა ვარ, — უპასუხა მწითურმა ბიჭმა.

კირილე პეტრეს-ძეს სახე მოედუნა.

— შენ, როგორც ჰგავს, მე ბატონად არა მოვლი, კარგი, — სთქვა მან, — ჩემ ბაღში რას აკეთებდი?

— ეოლოს ვიპარავდი, — უპასუხა ბიჭმა დიდი გულგრილობით.

— აჰა, — უმა ბატონს ჰგავს, როგორიც ბერი, ისეთი ვრი. ეოლო ჩემთან განა მუხაზე იზრდება?

ბიჭმა არაფერი უპასუხა.

— მაშეო, უბრძანეთ ბეჭედი მომცეს, — სთქვა საშამ.

— დანუმიდი, ალექსანდრე, — უპასუხა კირილე პეტრეს-ძემ, — არ დაგავიწყდეს, რომ შენც გაგისწორდები. წადი შენს ოთახში. შენ—ელამო-მარჯვე ბიჭად შეჩვენები, ბეჭედი მომეცი და შინ გასწი.

ბიჭმა ხელი გაშალა და დაანახვა, რომ ხელში არაფერი ჰქონდა.

— თუ ყველაფერს მეტყვი, მაშინ არ გაგწიკლავე. კაკლის საყიდლად შეურიანსაც მოგცემ, თუ არა და ისეთ დღეს დაგაყრი, არც კი დაგსიზმრებოდეს აბა!

ბიჭი არაფერს უპასუხებდა და თავდახრილი იდგა, ნამდვილი სულელის გამომეტყველება მიიღო.

— კარგი, — სთქვა კირილე პეტრეს-ძემ, — ჩაჰკეტეთ საღმე და ყური უგდეთ, რომ არსად გაიქცეს, თორემ მთელ სახლს ტყავს გაეძრობ.

სტეფანემ ბიჭი სამტრედიეში შეიყვანა, შიგ ჩაჰკეტა და მცველად მოხუცი მეფრინველე ალათია მიუყენა.

— ახლა გაემგზავრე ქალაქს მაზრის პოლიციის უფროსთან, — სთქვა კირილე პეტრეს ძემ, — თან ბიჭს თვალი გააყოლა, — და რაც შეიძლება მალე.

— აქ არაფერი საეჭვო არ არის, მაშა განაგრძობს ურთიერთობას წყევულ ღუბროვსკისთან, მაგრამ ნუთუ ნამდვილად მას უძახოდა საშველად? — ფიქრობდა კირილე პეტრეს-ძე, ოთახში ბოლთას სცემდა და გულმოსულად უსტვენდა: „გამარჯვების გრიალი გაისმას“ — შეიძლება მე თბილ კვალს მივაგენ და იგი ზელიდან ველარ გაგვისხლტება. ამ შემთხვევას გამოვიყენებთ. სუ! ზანზულაცი, მადლობა ღმერთს ეს მაზრის პოლიციის უფროსია. — ჰეი, აქ მომიყვანეთ დაჭერილი ბიჭი.

ამასობაში ფორანი ეზოში შემოვიდა და მაზრის პოლიციის უფროსი, ჩვენი ნაცნობი, ოთახში შევიდა, ერთიანად გამტყვერიაუნებულ.

— კარგი ამბავია, — უთხრა მას კირილე პეტრეს-ძემ. — მე ღუბროვსკი დავიკირე.

— მადლობა ღმერთს, თქვენო აღმატებულებავ, — სთქვა მაზრის პოლიციის უფროსმა ვახარებული სახით. — სადღაა?

— ესე იგი არა ღუბროვსკი, არამედ ერთი მისი ბრბოდან. ახლავე მოიყვანენ. იგი დაგვეხმარება თვით ატამანის დაჭერაში. აი, კიდევ მოიყვანეს.

მაზრის პოლიციის უფროსი, რომელიც მრისხანად ყაჩაღს მოელოდა, გაოცებულ დაჩნა, როცა 13 წლის, საკმაოდ სუსტი გარეგნობის ბიჭი დაინახა. უფ-

როსი გაკვირვებული მიუბრუნდა კირილე პეტრეს-ძეს და განმარტება ელოდა. კირილე პეტრეს-ძემ დაიწყო მოყოლა დილანდელი ამბისა. უჩვეულად მაკრამ კირილეს ასული კი არ უხსენებია.

მაზრის პოლიციის უფროსმა მას ყურადღებით მოუსმინა, თან წამდაუწუმ გადახედავდა ამ პატარა არამზადს, რომელმაც თავი მოისულელა და არაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა, ყურადღებას არ აქცევდა.

— ნება მომეცით, თქვენო აღმატებულეზავ განმარტობით მოგელაპარაკოთ, — უთხრა ბოლოს მაზრის პოლიციის უფროსმა.

კირილე პეტრეს-ძემ იგი მეორე ოთახში გაიყვანა და კარი ჩაიკეტა.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი ისევ დარბაზში გამოვიდნენ, სადაც დატყვევებული თავისი ბედის გადაწყვეტას მოელოდა.

— ბატონს უნდოდა, — უთხრა მას მაზრის პოლიციის უფროსმა, — შენი ჩასმა ქალაქის საპატრიარქოში, გამათრახება და მერე გადასახლება, მაგრამ მე გამოვესარჩლე და შენთვის პატივზე გამოვთხოვე. — ხელფეხი გაუხსენით.

ბიჭს ხელფეხი გაუხსნეს.

— ბატონს მადლობა მოახსენე, — სთქვა მაზრის პოლიციის უფროსმა.

ბიჭი კირილე პეტრეს-ძესთან მივიდა და ხელზე აკოცა.

— შინ წადი, — უთხრა მას კირილე პეტრეს-ძემ, — ამას იქით ფულუროებიდან ყოლო აღარ მოიპარო.

ბიჭი გავიდა, პარმადიდან მხიარულად გადახტა, უკან არ მოუხედავს, მოკურცხლა მინდვრით კისტენევეკსკენ. სოფელთან რომ მიიბრინა შეჩერდა განაპირას მდგომ ნახევრადღანგრეულ ქოხთან და ფანჯარა დააკაუნა. ფანჯარა აიწია, და დედაბერი გამოჩნდა.

— ბებია, პური, — სთქვა ბიჭმა, — დილიდან არაფერი მიჭამია, შიმშილისაგან ვკვდები.

— აჰ, ეს შენა ხარ, მიტია, სად დაიკარგე, კინკაბიჭო? — ჰკითხა დედაბერმა.

— მერე გიამბობ, ბებია, ღვთის გულისათვის, პური.

— ქოხში შემოდი.

— არა მცალაია, ბებია, — მე კიდევ ერთ ადგილას უნდა მივირბინო. პური, თუ ღნერთი გწამს, პური.

— რა მოუსვენარი ხარ, — ჩაიბურღლუნა დედაბერმა, — აი, შენ პური, — და ფანჯრიდან შავი პურის ნაჭერი მიაწოდა.

ბიჭმა პური ხარბად მოჰკბინა და ლეჭვით იმწამსვე წავიდა.

ღამდებოდა. კისტენევეკას ქალისაკენ გასწია, კარაპნებს, ბოსტნებს ჩაუარა. ქალის მოწინავე დარაჯებად მდგარ ორ ფიჭვთან რომ მივიდა, შეჩერდა, ყოველ მხარეს მიმოიხედა, დაუსტენია გამგმირავად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად — დააყურა: პასუხად მსუბუქი და ხანგრძლივი სტენა მოესმა, ვიღაც ჰალიდან გამოვიდა და ბიჭს მიუახლოვდა.

თავი მეთვრამეტე

კირილე პეტრეს-ძე დარბაზში ბოლოს სცემდა და უფრო ხმამაღლა, ვიდრე ჩვეულებრივად თავის სიმღერას უსტვენდა. მთელი სახლი ამოძრავებული იყო. მოსამსახურეები დარბოუნენ, მოახლე ქალები ფუსფუსებდნენ. ფარდულში შეეტლავები კარეტაში ცხენებს აბამდნენ. ეზოში ხალხი ირუოდა. ქალიშვილის საპირფარეოში სარკის წინ, მოახლე ქალებით გარშემო შემოხვეული მანდილოსანი რთავდა ფერმკრთალ, უძრავ მარიამ კირილეს ასულს. ბრი-



ლიანტების სიმძიმის ქვეშ თავი მოთენთილად ეხრებოდა; მაშა ზღნავ შეკრთებოდა, როცა გაუფრთხილებელი ხელი უჩხვლევდა, მაგრამ სულმცხარე კეში უახროდ იცქირებოდა.

— მალე მორჩებით? — გაისმა კარებთან კირილე პეტრეს-ძის ხმა.
 — ამ წუთში, — უპასუხა მანდილოსანმა, — მარიამ კირილეს ასულო, აბრძანდით, სარკეში ჩაიხედეთ, კარგად არის?

მარიამ კირილეს ასული წამოდგა და არაფერი უპასუხა. კარები გაიღო:
 — პატარძალი მზად არის. — სთქვა მანდილოსანმა, — ბრძანეთ კარეტაში ჩასხდნენ.

— გზა მშვიდობისა, — სთქვა კირილე პეტრეს-ძემ და მაგიდიდან ხატი აიღო. — მოდი ჩემთან, მაშა, — უთხრა მან გულაჩვილებული ხმით, გლოცავ...

საწყალი ასული მამას ფერხთ ჩაუვარდა და აქვითინდა.
 — მამიკო... მამიკო... — ამბობდა იგი აცრემლებული და ხმა უწყდებოდა.

კირილე პეტრეს-ძე მის დალოცვას ჩქარობდა, მაშა ააყენეს და თითქმის ხელით გაიყვანეს კარეტისაკენ. მასთან ჯვარის დედა დაჯდა და ერთი მოახლე ჯალი. ისინი საყდრისაკენ გაემგზავრნენ, იქ საქმრო უკვე ელოდა. ვერეისკი პატარძლის შესახვედრად გამოვიდა და მისი სახის ფერმკრთალობამ და უცნაურმა გამომეტყველებამ გააოცა. ისინი ერთად შვეიდნენ ცივსა და ცარიელ საყდარში. მათი შესვლის შემდეგ კარები ჩაჰკეტეს. მღვდელი საჭურთხველიდან გამოვიდა და მამუნე დაიწყო ჯვარისწერა. მარიამ კირილეს ასული ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, ერთ რამეზე ფიქრობდა, დილიდანვე ღუბროვისკი ელოდა, იმედი ერთი წუთითაც არ დაუკარგავს, მაგრამ, როდესაც მღვდელმა ჩვეულებრივი კითხვებით მიმართა, მას ქრუანტელმა დაუარა და გულს შემოეყარა, მაგრამ ჯერ კიდევ აყოვნებდა, კიდევ ელოდა. მღვდელმა მის პასუხს არ დაუცადა და წარმოსთქვა სიტყვები, რომლებმაც მამას ბელი გადასწყვიტა. ჯვარისწერა დასრულდა. მამამ იგჩნო არასაყვარელი ქმრის ცივი კოცნა, მას ესმოდა დამსწრეთა მზიარული მილოცვები და ჯერ კიდევ არ შეეძლო დარწმუნებულობა, რომ მისი ცხოვრება საუკუნოდ შეიბოჭა, რომ ღუბროვისკი მის გასათავისუფლებლად აღარ მოფრინდა. მამას თავადმა ტკიბილი სიტყვებით მიმართა, მისი ნათქვამი მარიამ კირილეს ასულმა ვერ გაიგო; საყდრიდან გამოვიდნენ, კარიბჭესთან პოკროვსკოელი გლეხები შეჯგუფულიყვნენ, მამამ მათ თვალი უცხად მიმოავლო და მერე ისევ წინანდებურად უგრძნობი გახდა. ახლადჯვარდაწერილი კარეტაში ჩასხდნენ და არბატოვს გაემგზავრნენ. კირილე პეტრეს-ძე წინასწარ გაემგზავრა, რათა ნეფედლოფალს იქ დახვედროდა. თავადი, ახლგაზრდა ცოლთან მარტო რომ დარჩა, მამას ცივი გამომეტყველებით სრულიად არ შემკრთალა. თავს არ აბეზრებდა მას მეტისმეტად ტკიბილი განმარტებებითა და სასაცილო აღტაცებებით, თავადის სიტყვები იყო უბრალო და პასუხს არ ითხოვდა. ამგვარად, დაახლოებით ათი ვერსი გაიარეს, ცხენები სწრაფად მიჰქროდნენ სასოფლო გზით კოლბოხებზე და ინგლისურ — რესორებიანი კარეტა თითქმის არ ქანაობდა. უეცრად მოისმა მღვერების შეძახილები. კარეტა გაჩერდა — მას შეიარაღებული ბრბო შემოეხვია, და ნახევარნიღაბიანმა კაცმა იმ მხრიდან საღაც ახალგაზრდა კნენი იჯდა, კარი გააღო და უთხრა მას:

- თავისუფალი ხარო, გამობრძანდით.
- ეს რას ნიშნავს! — დაიყვირა თავადმა, — შენ ვინა ხარ?
- ეს ღუბროვისკია, — უთხრა კნენამ.

თავადი არ დაიბნა, გვერდის ჯიბიდან საგზაო დამბანა ამოიღო და წილა-ბიან ყაჩაღს ესროლა. კნენამ დაიკივლა და შეძრწუნებულმა ყარაჯიყისკენ დაიხარა. ღუბროვესკი მხარში დაიჭრა. სისხლმა გამოიკვლია და მისი წილი არ დაუკარგავს, მეორე დამბანა ამოიღო, მაგრამ მას სროლა აღარ დააცალეს, კარები გაღო და რამდენიმე ძლიერმა ხელმა იგი კარებიდან გამოათრია, ხელიდან დამბანა გამოგლიჯეს, მის თავზე დანებმა გაიფეხა.

— ხელი არ ახლოთ! — დაიძახა ღუბროვესკიმ. სხეულშტმა მისმა თანამზრახველებმა უკან დაიხიეს.

— თქვენ თავისუფალი ხართ, — კვლავ გაუშეორა ღუბროვესკიმ ფერდაკარგულ საბრალო კნენას.

— არა, — უპასუხა მამამ, — გვიანაა, ჯვარდაწერილი ვარ, მე თავად ვერისკის ცოლი ვარ.

— რას ამბობ! — დაიყვირა სასოწარკვეთილმა ღუბროვესკიმ, — არა, თქვენ მისი ცოლი არა ხართ, თქვენ ძალა დაგატანეს, თქვენ არ შეგეძლოთ დასთანხმებოდით...

— მე დავთანხმდი, ფიცი მივეცი, — უპასუხა მამამ მტკიცედ, — თავადი ჩემი ქმარია, უბრძანეთ გაათავისუფლონ და მე მასთან დამტოვეთ. მე არ მომიტყვილებხართ. უკანასკნელ წუთამდე გელოდით, მაგრამ ახლა, გეუბნებით. გვიანაა, გაგვიშვით.

მაგრამ ღუბროვესკი მამას უკვე ვეღარ უსმენდა, ქრილობის ტყვიელმა და ძლიერმა სულიერმა მღელვარებამ ძალა წაართვეს. იგი კარების თვალთან დაეცა, ყაჩაღები გარს შემოეზვივნენ. ღუბროვესკიმ მოასწრო მათთვის რამდენიმე სიტყვა ეთქვა, იგი ცხენზე შესვეს, ორ ყაჩაღს ეკავა, მესამეს ცხენის აღვირს ხელი მოჰკიდა, და ყაჩაღებმა განზე გადაუხვიეს; დასტოვეს კარებზე შუაგზაზე, შეკრული შინაყმები, გამოშვებული ცხენები, მაგრამ არავინ არ გაუძარცვავთ და ერთი წვეთი სისხლი არ დაუღვრიათ თავისი ატამანის სისხლის შურისსაძიებლად.

თამი მცხრამეტი

ულრანი ტყის შუა ადგილას, ვიწრო კორდზე აღეპართათ პატარა მიწური სიმაგრე, რომელიც მიწაყრილისა და თხრილისაგან შესდგებოდა, რომლებს იქით რამდენიმე კარავი და მიწური იყო.

ეზოში უამრავი ხალხი იჯდა ქუდმოსხილი და სადილობდა საერთო ქვების გარშემო. ისინი ჩაცმულობის ნაირნაირობითა და შეიარაღებით შეიძლება მამინევე ყაჩაღებულ მიგელოთ. მიწაყრილზე პატარა ზარბაზნის მახლობლად გუშაგი იჯდა, ფეხმოკეცილი; თავის ტანისამოსს ერთ ადგილას ნაჭერს აკერებდა. ნემს ისეთი ოსტატობით ხმარობდა, რომ ეტყობოდა გამოცდილი მკერავი იყო, და წამდაუწუმ ყოველ მხარეს იცქირებოდა.

თუმცა აზარფეშა რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადავიდა, ამ ბრბოში მინც უცნაური სიჩუმე სუფევდა; ყაჩაღებმა ისადილეს, ერთი მეორის შემდეგ ადგნენ ლოცვის თქმით. ზოგიერთნი კარებში წაიღეს-წამოვიდნენ, სხვები ტყეში მიმოიფანტნენ, ან დასაძინებლად წამოწნენ, რუსული ჩვეულებისამებრ.

გუშაგმა კერვა დაასრულა, თავისი ძველმანი გაბერტყა და დანაკერის ცქერით ერთხანს სტებებოდა, ნემსი სახელოზე დაიბნია, ზარბაზნის გადააჯდა და მთელი ხმით ძველი რუსული სევდიანი სიმღერა დაიწყო:



„დაწყნარდი, დედაე მწვანე მუხნარო,
ნუ მიშლი ვაჟკაცს ფიქრს და ოცნებას...“

ეროვნული

ამ დროს ერთ-ერთი კარავის კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა მარტოველი ქალი თეთრი თავსაბურთით, გამოკანკლული სუფთა ტანისამოსი ეცვა.

— გეყოფა, სტიოპკა, — სთქვა მან გულმოსულად, — ბატონი ისვენებს, შენ კი ღრიალებ, თქვენ არც სინდისი, არც სიბრალული არა გაქვთ.

— დამნაშავე ვარ, ეგოროვნა, — უპასუხა სტიოპკამ, — კარგი, მეტს აღარ ვიხამ, დაე ჩვენმა ბატონმა დაისვენოს და განიკურნოს.

მოხუცი ქალი წავიდა. სტიოპკამ კი მიწაყრილზე სიარული დაიწყო.

კარავში, საიდანაც მოხუცი ქალი გამოვიდა, ტიხრს იქით იწვა სამგზავრო საწოლზე დაჭრილი ღუბროვსკი. მის წინ პატარა მაგიდაზე დამბაჩები ელაგა. ხმალი კი სასთუმალთან ეკიდა. მიწურის იატაკი და კედლები ძვირფასი ნივთებით იყო მოფენილი. კუთხეში იდგა ქალის ვერცხლის სატუალეტო მაგიდა და ტრიუმო. ღუბროვსკის ხელში გაშლილი წიგნი ეპირა, მაგრამ თვალზექული იყო, და ეგოროვნას, რომელიც ტიხრს მეორე მხრიდან უცქეროდა, ვერ გაეგო ღუბროვსკის ეძინა, თუ მხოლოდ ფიქრებს მისცემოდა.

უეცრად ღუბროვსკი შეკრთა... სიმარგეში განგაში ატყდა, და სტიოპკამ მასთან ფანჯარაში თავი შემოჰყო.

— ბატონო ელადიმერ ანდრეას-ძევე! — დაიყვირა მან, — ჩვენები ნიშანს გვაძლევენ, ჩვენ დაგვეძებენ.

ღუბროვსკი საწოლიდან წამოიჭრა, იარაღს ხელი სტაცა და კარაიდან გავიდა. ყაჩაღები ეზოში ხმაურობით შეეგუფდნენ. ღუბროვსკის გამოჩენისთანავე ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა.

— ყველა აქ არის? — იკითხა ღუბროვსკიმ.

— ყველა, გარდა მზევრაეებისა. — უპასუხეს.

— თავ-თავის ადგილას! — დაიძახა ღუბროვსკიმ, და თითოეულმა მათგანმა მისთვის მიჩენილი ადგილი დაიკავა.

ამ დროს სამმა მზევრაემამ მოიბრინა ალაყაფის კარებთან, ღუბროვსკი მათ შესახვედრად წავიდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა მათ.

— ტყეში სალდათებია. — უპასუხეს, — ჩვენ ალყას გვარტყამენ.

ღუბროვსკიმ ბრძანა ალაყაფის კარები დაეკეტათ, თვითონ პატარა ზარბაზნის შესამოწმებლად წავიდა. ტყიდან რამდენიმე ხმა მოისმა, მოახლოება დაიწყო, ყაჩაღები მდუმარედ იცდიდნენ, უცბად ტყიდან სამი თუ ოთხი სალდათი გამოჩნდა, მათ მაშინვე უკანვე დაიხიეს, სროლით ამხანაგებს ნიშანი მისცეს.

— საბრძოლველად მოემზადეთ, — სთქვა ღუბროვსკიმ, ყაჩაღებში ყრიაბული გაისმა; ყველაფერი ისევ მიწყნარდა.

მერე მოესმათ მოახლოებულნი რაზმის ხმაურობა, ზეებს შორის იარაღები აკაშკაშდნენ. დაახლოებით ასორმოცდაათი სალდათი ტყიდან გამოცვივდა და ყვირილით მიწაყრილისაკენ გაეშურა. ღუბროვსკიმ პატრუქს ცეცხლი მოუკიდა, სროლა მარჯვე გამოდგა, ერთს სალდათს თავი წაჰკლეფა, ორი დასტრა. სალდათები აირ-დაირივნენ, მაგრამ ოფიცერი წინ გაიჭრა. სალდათები მას მიყვნენ და ორმოცდაათი გაიქნენ. ყაჩაღებმა მათ თოფები და დამბაჩები ესროლეს, ნაჯახებით დაიწყეს დაცვა მიწაყრილისა, საითენაც გაცოფებული სალდათები მიიწვედნენ. ორმოცი დაახლოებით ოცი დაჭრილი ამხანაგი დასტოვეს. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, ჯარისკაცები უკვე მიწაყრილზე იყ-

ნენ, ყაჩაღებმა დახვეა დაიწყეს. მაგრამ ღუბროვსკი ოფიცერთან მივიდა, მკერდზე დამბაჩა მიიბჯინა და ესროლა, ოფიცერი გულადმა ადგა და წამოდგინა. დენიშე ჯარისკაცმა ოფიცერს ხელი სტაცა, ჩქარობდნენ მის წაყენებას. დანარჩენები, უფროსი რომ დაჰკარგეს, გაშორდნენ. გამხნეებულმა ყაჩაღებმა ასარგებლეს ამ წუთიერი დაბნეულობით, გადათელეს ისინი, ორმოსკენ დაახვეინეს, ალყის შემომტყმელნი გაიქცნენ, ყაჩაღები მათ ყოყინით დაედევნენ. გამარჯვების ბედი გადაწყდა. ღუბროვსკი დარწმუნდა, რომ მტერი სრულიად დაშლილი იყო, ყაჩაღები შეაჩერა და სიმაგრეში ჩაიკეტა, ბრძანა დაპრილებისათვის მოეელოთ, გუშაგები გააორკეცა, განკარგულემა ვასცა არსად წასულიყვნენ.

უკანასკნელი ამბების გამო მთავრობამ უკვე სერიოზული ყურადღება მიუქცია ღუბროვსკის გაბედულ ყაჩაღობას. შეჰკრიბეს ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ, დაგზავნეს საღლიათთა ასეული, რათა ღუბროვსკი მკვლარი, ან ცოცხალი ხელში ჩაეგდოთ. მისი ბრბოდან რამდენიმე კაცი დაიჭირეს და მათგან გაიგეს, რომ ღუბროვსკი უკვე მათ შორის აღარ იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ღუბროვსკიმ თავისი თანამზრახველები შეჰკრიბა და გამოუცხადა: განზრახული მაქვს სამუდამოდ დაგტოვოთო, მათაც ურჩია ასეთი ცხოვრება მიეტოვებინათ.

— ჩემი მეთაურობით გამდიდრდით, თითოეულ თქვენთაგანს აქვს მოწონება, რომლითაც უშიშრად შეგიძლიათ რომელიმე სხვა გუბერნიაში გადახვიდეთ და იქ გაატაროთ დარჩენილი სიცოცხლე პატიოსან შრომასა და სიუხვეში. მაგრამ თქვენ თაღლითები ხართ და, ალბათ, თქვენი ხელობის მიტოვებას არ ისურვებთ.

ამ სიტყვების შემდეგ ღუბროვსკიმ ისინი დასტოვა, თან წაიყვანა მხოლოდ ერთი, არაფინ იცოდა, სად გადაიკარგა. პირველად ეპვი შესდიოდათ ამ ჩვენებათა სისწორეში. ცნობილი იყო ყაჩაღის ერთგულობა ატამანის მიმართ, ფიქრობდნენ, რომ ყაჩაღები ღუბროვსკის გადარჩენას ცდილობდნენ, მაგრამ შედეგებმა მათი ჩვენება დაადასტურა. მრისხანე თავდასხმანი, ხანძრები და ძარცვა შეწყდა — გზები განთავისუფლდა. სხვა ცნობებით გაიგეს, რომ ღუბროვსკი საზღვარგარეთ მიიმალა.

თარგმანი ივანე ჯავახიშვილისა

პუშკინის ბაღი



თბილისს ამშვენებს პუშკინის ბაღი
ხელისგულივით სუფთა, პატარა.
ეჭურჩულემა ნიავე ლაღი,
ვინც მთელი ხალხის ტრფობით გამოთბარა.

აქ დგას რუსეთის ბულბულის ძეგლი,
დინჯად გუშაგობს მოედანს ფართოს.
ცისკრის სხივები — მზის ანარეკლი
ხუჭუჭა თმებზე ციმციმით ათოვს.

გარს ახვევია საყვარელ პოეტს
ნორჩი ხეების მწვანე კრებული.
ის უკვდავებს დუმბილშიც პოებს,
უმწერს ყვავილებს ჩაფიქრებული.

რა იცის ნაძვმა, ან ამ ჭადარმა
ლექსით უმღერდა ის ამ განთიადს!
ლექსი ვერ სძლია ეამთა აედარმა,
შივ ცისარტყელა შვიდფერად ანთია.

არ ეკარება მის ნათქვამს ჟანგი,
არ ელოდება პწყარს ვახუტნება.
მასში წყრილებს ქართული პანგიც,
ჩანს საქართველოს ტურფა ბუნება.

ქუჩას გაკუერებს მგოსნის სახება
ძველ ბრინჯაოში ამოკვეთილი.
დგას და უსულო ქვად ინახება
მარადუკვდავი ბრძენი კეთილი.

ძეგლსაც არ ძალუძს ლხენას ფარავდეს,
ესმის მოედნით ხალხთ ერიამული.
ისიც შეხარის ჯარის პარადებს,
როცა ზეიმობს ჩვენი მამული.

ხედავს დროშებზე ბელადის სურათს,
ვინც მთელ სამშობლოს ატარებს გულში.
დანათის მზე და, ლაქვარდი ხურავს
დაფნის გვირგვინით შემოსილ პუშკინს.

მთარ მამურობა

პუჟინისალი



წავიდა ის დრო, დაწყდა ბორკილი
ვერაგობის და კაცთ დამონების.
დღეს შენ საფლავთან ვართ თავმოყრილი,
მკერდს გიდაფნავენ მილიონები.

როგორ მოგკლავდა მტრების მახვილი,
როცა მომავლის ძახილს ისმენდი.
ქარიშხალივით როცა გარხედა
ამბოხი სული დეკაბრისტების.

საქართველოში დატყბი ბუნებით
გზიბლავდა ზეცა და მზის ნათელი.
შენი სიმღერით ნასალბუნები
შემოგეგება ყველა ქართველი.

და როცა გზაზე იდექ მხედარი,
ამბობდი: „ამ მთებს მაინც ვენდობი“.
მაშინ მოქონდათ თბილი ცხედარი,
ქვით ჩაქოლილი გრიბოედოვის.

გულს შემოგენთო სევდა ახალი.
უცებ შესძახე სულმოუთქმელად:
„თქვენ მიპასუხეთ, მთანო მალაღწო!
საით ვეძიო თავისუფლება“.

წავიდა ეს დრო, სისხლით ნაწეიმი.
მზე მოგვიტანა დიდმა გენიამ.
გორის ციხიდან აფრენილ არწივს
შენთვის ნათელი დაუფენია.

დღეს ამღერებულ ბულბულს ედრები,
სიკვდილი ვერ კლავს ლექსებს ცეცხლიანს.
შენ არ მოკვდები, არც დაბერდები,
ძეგლი დაგიდგა თვით პოეზიამ.

ღავით აღვაშენებელი

ბრილოზია¹

პარი მისაშო



XIV

ნაპარმაგვეის მინახში

მტკრის ფონზედაც არ იყო გადასული ღავით მეფე და მისი ტაძრეული, უკვე ქოსსა ჰკრეს ნაპარმაგვეის ციხეში.

საი ქართლისაის ათასეულს, რომელიც ორ მწკრივად მიჰყვებოდა სამეფო კორტეეს, უკან მოსდევდნენ თრიალეთის ერისთავი, საზღუელთა და ამალითურთ, ხოლო ამ უკანასკნელთ ჩუხჩინი, შეკარვენი და საბარგულნი.

პირველ გოდოლზე აღმართულ სეფე დროშის დანახვაზე უსიამოდ შეიშმუნა კლდეკარის ერისთავი, მოაგონდა ის ბნელი ღამე, როცა შავი ჯვალთი თავპირშებურვილი მოიყვანა იგი ნაპარმაგვეს ჯონდი შამანისძემ.

იოანე დუკისძე ცხენის კისრის სერტეზე ჩამორჩენოდა ლიპარიტსას. იოანეს გულშიაც რიალებდა უსიამო ძრწოლა.

გზა ბეჭობზე გადადიოდა. ამიტომაც მან შორიდან დაინახა, თუ როგორ გამოვიდა ნაპარმაგვეის ციხიდან თოროსან ცხენებზე აღმხედრებულ რაინდთა ასეული, დუკისძემ თვალი ვეღარ გაუშართა მათ მუზარადებზე ამდგარ ლიკლიცს ნასამხრალ შშისას.

ერთი გადახედა დაღერემილ ლიპარიტს, უნდოდა შესიტყვებოდა მას, მაგ-

რამ, ერისთავის² უკან ცხენდაცხენ მომავალი მახარა რა დალანდა, დადუმდა და თავის ცხენს წაუცაცუნა დეწი.

თვალზე ხელი მიიჩრდილა იოანე დუკისძემ, რაინდთა ასეულს გამოეყო ნაპარმაგვეის ციხისთავი ჩრდილელი გიორგი.

მან ჯერ ჰენებით წამოიყვანა თავისი ცხენი, საპატიო მანძილზე მოსწყვიტა იგი, ხმალი გაიძრო ანახლად და ასე მიეახლა პატრონს.

ამასობაში მახარამ მათრახი უთავაზა თავის ცხენს, უემურივით ჩაუარა როგორც ლიპარიტსა და იოანეს, ისე მათ წინ მიმავალ კატაის, დედისიმედის, გვანცას და მანდილოსანთა ამაღის ცხენებს, მეფის ტაძრეულს შეუერთდა ჰენებით.

ჰენებითვე უკან მიჰყვა მათ ხუთასიოდე ჩუხჩინი, მათი ცხენების ფლოჰეგებიდან ამდგარმა მტკრის ბულმა დაბურა როგორც ლიპარიტის, ისე იოანე დუკისძის ლაღაბა თორ-მუზარადნი.

მეფისთვის თვალისმოკერას წადილით შეძრულნი მღაბიორნი, ქალნი და კაცნი ისრისებოტნენ ბრბოში. ყველას წინ წამოწყევა ეწადა. ბაღღებიანი ქალებიც გააფთრებულნი იბრძოდნენ. რათა თვალით დაენახათ მეფე დავითი, რომელიც იშვიათად თუ ენახა ულითამოდ ვისმეს, ამ მხარეში.

მოისწრაფოდა ახალი და ახალი ტალღა მოსეირეთა, ისმოდა ჩოჩქოლი, ღია-

¹ გაგრძელება. „მნათობა“ № 4.

ცების წრიალი, ბალღების ღნავილი, ცხენების ჭიხვინი, ომახიანი შეძახილი ჩუხჩოთა, რომელნიც ვეღარ აჯაგებდნენ ხალხს.

მხოლოდ ამის ცდაში იყვნენ ქონდაქარნი მეფისა, როგორმე პირველ გოდოლისაკენ მიმავალი გზა არ გადაეკეტა მოსხიერეთ მეფისა და ტაძრეულისათვის.

მეფე მშვიდად იჯდა მაღალ ტახტიან უნაგორზე, ხან ალერსიან მზერას ესროდა მისი ნახვის წადილით აღტყინებულ ხალხს, ხანაც მომღიმარე ესაუბრებოდა ცხენდაცხენ მის გვერდით მომავალ ნიანია ბაკურიანსა და ჯონდი ერისთავს.

ფეხშიშველა ბიჭებით დახუნძული იყვნენ რკონის მინდორზე დარჩენილი მუხები და ცაცხეები.

ჩუხჩინი ვეღარ ამაგრებდნენ ყმაწვილებს, რომელნიც ხეებზე ვეღარ დატეულიყვნენ, დაშლივინებდნენ მხედრების ცხენებს შორის.

ფრთხებოდნენ მოისართა და ჩუხჩოთა ცხენები წითელპერანგა ბალღების ფუსფუსზე.

ვერც ჩუხჩოთა მათრახების ტყაცუნი, ვერც მოისართა გამაფრთხილებელი შეძახილი ვეღარ აოკებდა მათ.

გადაურბენდა რომელიმე რაზმეულს მთელი ტალღა წითელპერანგა ბალღებისა. ფეხშიშველა ბიჭები გარბოდნენ...

ენას უყოფდნენ ჩუხჩებს, მერმე წინ წაუსწრებდნენ ტაძრეულს, შესდგებოდნენ ერთს, თვალს მოჰკრავდნენ ლითამახილ დავით მეფეს და ისევ გარბოდნენ, გარბოდნენ

სწყრებოდნენ, ბუზღუნებდნენ, გრძელუღვაშიანი, მოღუშელნი ჩუხჩინი, დაუტატანებდნენ ახალგაზრდებს, ახლა ახალი და ახალი ტალღა ბალღებისა წამოვიდოდა ყიფინით ცხენოსნების მწყრივებს შორის, წინ წაუსწრებდნენ ბიჭები ტაძრეულს, ივინიც თვალს წაატანდნენ უმოვართა და გლახაკთა

მეფეს და მხიარული ეფილით გარბოდნენ, გარბოდნენ, გარბოდნენ.
 იოანე დუქისძემ, რა შენიშნა გაგვეცალაო „ქოსა სატანა“, ცხენი ანაზღად გაუსწორა ლიპარიტ ერისთავს და ეუბნება ოდნავ გასაგონად:

„ღმერთმა ქნას ერისთავთერისთავო, მე და შენ მშვიდობით გაგებრუნდეთ, ამ ტილ ციხიდან როგორმე, ნაჰარმაგვეის დილეგში განა ჩვენისანების თავები გამხმარა.

ამ ციხეში მოიხმო ბაგრატ მეოთხემ აბაზიასძე ვამეხ, მთელ კვირას ანადირა ირმებზე. ვამეხს თავის აზნაურთა ამალა ახლდა, ამიტომაც ნადირობის დროს ვერაფერი მოუხერხა დიდ აზნაურს მეფემ.

ერთ საღამოს, როცა სასახლეში უკან ბრუნდებოდნენ სტუმარ - მასპინძელი, ბაგრატმა აბაზიადის ამალა აიყოლა და ნაჰარმაგვეს გაბრუნდა, ზოლო ვამეხი ვარზაბაქურ გამრეველს შეატოვა ხელში.

გამრეველი ჩააცივდა სტუმარს: ვიბანაეთოთა ლიახეში.

ვამეხი მოქანცული იყო ხანგრძლივი ნადირობისაგან, ამიტომაც გაბრწყინდა ბედმაგი.

მერმე ის იყო, ცხრა მუხის ჭვემით, ლიახეის მორევეში აყვინთვინა და აყვინთვინა ბანაობის დროს აბაზიადეს, სანამდის წყალში არ ამოხადა სული.

მერმე მისი ჯაჭვის პერანგი და მუზარადი დაუგზავნა მეფემ მგელციხეში რუისის ეპისკოპოსის ხელით ვამეხის დედას, სამძიმარი შეუთვალა და საჩუქრებიც თან გაატანა“.

რადგან ლიპარიტმა ეს ამბავი უფრო დაწვრილებით იცოდა თავათაც, მღუმარედ მოუსმინა დუქისძეს, მცირე ხანს თვალს აღევნებდა, თუ როგორის ზეიმით ეგებებოდა რკონის მინდორზე მოგროვილი ხალხი თავის ჭაბუჯ მეფეს, მერმე ოდნავ გადმოიწია უნაგორიდან და თითქმის ჩურჩულით გადაულაპარაკა დუქისძეს:

„შენ რად დაგაგვიანდა გუშინ, ლიპარიტის უბანში მოსვლა?“

„არ იქნა და ვერ მოვიცილე ის წყეული მახარა. რუსთაველიდან ბერი ბეცია გამოეგზავნა რატის, უთენია მოაღწია მათხოურის ქონებებში გადაცემულმა ბერმა, მასთან საუბარიც არა მქონდა მოთავებული, ის-ის იყო ვისაუხშეთ თუ არა, მახარამ და ორმა ჩუბჩუმა შემოაგვლევს ცხენები ეზოში, წითელპერანგებიანი¹ მიმინოები მარცხენაზე ესხათ სამივეს.

წამო, ყარყატზე ვინადიროთ!
სალამოს ერთად წავიდეთო ლიპარიტის უბანში!

ცხადზე უცხადესია, მახარას ეშენოდა თრიალეთში არ დავრჩენილიყავ, ალბათ მახარამ და ქარიშხან სეტყელმა იყნოსეს რაღაცა. ამ ბოლოხანს მეფეც არ მიყურებდა მაინც და მაინც წყალობის თვალით.

ხომ ამჩნევდი, ნაჭარმაგვეს მოსვლამდის ერთი წუთითაც არ მოგვცილებია, მახარა, იგი ხანდახან ჩამოგვრჩებოდა, გავიზღვადელი, ისევ ჩემი ცხენის ძლის უკან ამოჰყოფდა თავს ეს ჩქედნეს ნაშობი.

მე ისიც მაფიქრებს, ეგებ ნაჭარმაგვეშიც არ მოგვეშეეს იგი.

ლიპარიტმა სთქვა:

— რაო, რას გწერდა რატი?“

იოანე დუკისძემ უკან მოიხედა და თითქმის სხაპასტუბით მიუგო:

„აგრე იუწყება: ვიღრე ზედაზენის ციხიდან შიდა ქართლში შემოვიჭრებოდეთ, ბეცია ბერს გამოვიგზავნით და ეცადეთ, როგორმე გამოიპაროთ ნაჭარმაგველიდან ღამით, ან არა და ნადირობა მოიმიზეზეთ, თორემ გააეებული მეფე თავებს დაგაყრვენიებთ უცილოდ“.

„ისპაპანიდან თუ ისმისო რაიმე?“

„თანადგომას გეპირდებიანო თურქენი“.

„დაიქცა მათი ოჯახი, ეს რამდენი წელია გეპირდებიან ეს წყეული უბანითა-ნადგომას, მაგრამ შენაბრებულსა მსაქულემა ჯერ აღარსად სჩანს.

მაინც რას ამბობდა მოციქული, რას უცდიანო ეგ უშჯულონი?“

„რატიც იუწყება და ბეციათაც ეგა სთქვა, არ დაადგა საშველი ბარქიაროკსა და მის ძმებს შორის ატეხილ ტახტის გამო ცილობას.

ვარსიმ ვარძელსა და კოზმან ბერს წიგნი მოუწერია კვირიკე მეფისთვის: აღარ ვიცით ვის ველაპარაკოთო, ხან ბარქიაროკი იმარჯუებს, ხანაც მისი ძმები; მოჰამედი და ამირ სინჯარი.

უკანასკნელად მაისში შეკითხვები ვარსიმ ვარძელი სულტან ბარქიაროკს: როდის და შეიჭრესო შიდა ქართლში კახეთ-ჰერეთის მეფე?

იმ დღეს შემთხვევით ფხიზელი ყოფილა სულტანი: დაბეჯითებით უთქვამს თურმე: თუ დავით მეფემ წაიუღლსაც აღარ მოგვცა ხარაჯა, ძაგან ერისთავს და ტფილისის ამირას დაუკავშირდეს კახთა მეფე კვირიკე და საერთო ძალით აიღეთო ნაჭარმაგვენი“.

მცირე ხანს სდუმდა ლიპარიტ ერისთავი და მერმე უგუნებოდ და ყოყმანით სთქვა:

„თუმცა მე ეს ამბავი მაინც და მაინც არ მიმანია სარწმუნოდ, მაგრამ შესაძლოა სხვა რიგად წარიმართოს საქმე.

როგორც ყური მოვკარი, ნაჭარმაგვეს ჩამოვლენ გიორგი მეფე და მარიამ დედოფალი, ისინი ჩემის ცნობით, მოწადინებულნი არიან, ამ ზაფხულში მოათავონ მეფის ჩვენთან დამოყრების ამბავი.

თუ ეს მართლაც მოგვარდა, შესაძლოა ჩვენ კიდევაც მოგვიხდეს რატის გამოხმობა კახეთ-ჰერეთიდან და მეფესთან მისი შემორიგება.

თუმცა გულმბეცია მეფე დავითი, მაგრამ არა მგონია, რომ არ შეირიგოს

¹ ცხენით მგზავრობის დროს მონადირენი აბრეშუმის პერანგს აცვებენ მიამისს.

რავი, თუ მეფე მართლაც დაგვიმოყვრდა, ჩვენ ამ ზაფხულში.

მაშინ შესაძლოა თრიალეთის საერისთავოს საქმენიც მოგვარდეს კიდევაც უსისხლოდ.

„თუ ყოველივე კეთილად წარიმართა და ჩემი ოჯახის თავმოყვარეობას ფეხი არ დაადგა მეფემ, მე როგორმე განიშნებ წინასწარ, შენ მოიმიზეზებ საოჯახო საქმეებს, თრიალეთს გაბრუნდები, ხოლო იქიდან რუსთავის ციხეში ჩახვალ, რატისა და ჩვენს აზნაურებს თან წამოიყვან.“

თავით უნდა წახვიდე უცილოდ, წიგნის წერით არაფერი გამოვა“.

როგორც თრიალეთელნი ციხოვანნი აზნაურნი საერთოდ, ისე იოანე ღუკისძეც წინასწარ დაწმუნებულნი იყვნენ, რომ ვერც დამოყვრება შეარიგებდა ბაგრატივანთა და ორბელიანთა ოჯახებს.

მათთვის საზარალოც იყო ეგ შერიგება, რადგან კარგად იცოდნენ; ციხოვან აზნაურთა თავგერძობას მიჯნას დაუღებდა „გულბოროტი მეფე დავითი“.

მათ დაბეჯითებით სჯეროდათ: უჯი-ათი დავით მეფე არამც და არამც არ გაიყვანდა თავის სპას თრიალეთის ციხეებიდან. ხოლო ამის გარეშე რა ბედენა იყო მხოლოდ ერისთავთ-ერისთავის სახელწოდება შერჩენოდა ლიპარიტ ორბელიანს?!

ეს იჭვი ამჟამად არ გაამჟღავნა იოანე ღუკისძემ და ცალკუბად მიუგო თავის პატრონს;

„ღმერთმა კნას, ყოველივე კეთილად წარიმართოს, ერისთავთ-ერისთავო, ბატონო“.

ლიპარიტმა სთქვა:

„ყოველ შემთხვევაში დიდი სიფრთხილე გემართებს, ჩემო იოანე. სიფრთხილე მელისა და შეუპოვრობა ავაზისა. ამ ზაფხულში ბევრი რამ უნდა გამოიჩვენას.“

შენ კი ვაყვაცი ხარ, ფრიად შეუპოვარი, მაგრამ გამარჯვებისათვის, ხანდა-

ხან სიფრთხილე სჯობს შეუპოვრობას.

შენ მოუჩიდეგელი საუბარი ვჩვევია და ეგ თუ არ მოიშალა, სიფრთხილეს ვენებ საერთო საქმეს“.

ნაქარმაგვეის პირველ გოდოლთან გიორგი ჭყონდიდელი და შვიდი ეპისკოპოზი დაუხდნენ მეფეს. მაშაი გიორგი გადაეხვია დავითს და ამცნო, გიორგი მეფისა და დედოფლების: ელენესი და მარიამის ჩამობრძანება.

მესტუმრეთუხუცესი შეუძღვა ლიპარიტ ერისთავს, მის სახლელსა და მისსავე ამაღას მწვეანე დარბაზში.

ლიპარიტი თუმცა დიდხანს იჯდა ნაქარმაგვეის დილეგში, მაგრამ თავით სასახლე აროდეს ენახა.

უწინარესს ყოვლისა მას თვალში ეცა ამ დარბაზის ბრწყინვალეობა, ხოლო დედისიმედის ყურადღება მიიქცია ბაგრატიულ, ძველ სკარამანგებში გამოწყობილ მანდატურთა ანაგობამ და მორთულობამ.

წერილმანებისთვის გამახვილებულმა ქალურმა თვალმა შენიშნა; ამ სასახლეში შემოსვლის წუთიდან მას თვალს არ აცილებდა გრძელწვერა საბია, — მემამხალეთუხუცესი.

მანდილოსნები სადიაკოში გაიყვანა საბიამ და როცა მათ ხელ-ფეხის დაბანა და გადაცმა მოათავეს, ბროლის დარბაზში შეუძღვა სტუმრებს მოხუცი მანდატური, რომელიც მომეტებულის თავით ექცეოდა როგორც დედისიმედს, ისე გვანცას.

ოღნავ გამოჩერჩეტებულმა საბიამ იგიც კითხა ორავეს:

ღები ხომ არა ხართ?

არაო, რა მოესმა, კითხვა მოუწეცლა:

ნათესავეები თუ ხართ?

არც ეგაო.

? ? ?

გამტერდა საბია და აღბათ სხვა რამეებსაც გამოჰკითხავდა, მაგრამ მესტუმრეთუხუცესი მიეახლა კატაის და აღუყვა: დიოფალი ელენე და დედოფალი მარიამი ბროლის დარბაზში გიცდითო.

კატაის თავის სიყმაწვილეში ნანახი ჰქონდა ბროლის დარბაზი. სადღა იყო ნახანძრალი სასახლის გარუჯული კედლები, რომელთაც ლანდებივით ძლივს აწნდათ ძველ პატრიარქთა, ერის მთავართა და წმიდანთა გამოხუნებული ფრესკები, სანთლებჩამოდვარული ოქროს სასანთლენი.

კედლის მხატვრობა განეახლებინათ, ბაგრატ მეოთხე თავის ქუჯაიზე აღმზიდრებული გამოეხატა ოსტატს, სულ სხვა ფერადებით ვიდრე გეგუთის სასახლისა, ფაფარაშლილი, ნესტოებდაბერილი ცხენი ისეთის ხელოვნებით იყო შესრულებული, აგრე ეგონებოდა მაცქერალს, სადაცაა აჭიხენდებოა სამარი ცხენი.

აქვე იყო ქართულთა განმანათლებელი ნინო, შარავანდითმოსილი მეფე მირიანი, სანადიროდ მცმავალი.

გაქვეულ ჯეირანებსა და მათ უკან მორბენალ მწვერებს ცოცხალთა სიკისკასე ზედ შერჩენოდათ, ბაგრატ მესამე და გიორგი პირველი იღვნენ ცალი ხელით ხმალს დაბჯენილნი, ცალშიაც ტაძრების მოდელები ეპყრათ.

ამ ფრესკებს ისე არ გაუოცებია კატაი, როგორც ბროლის სასანთლებსა და ოქროს გარდამოსხნებს, რომელნიც ამკობდნენ კედლებში გამოჰკრილ ნიშებს, ძელქვის კარადების კედლებზე დადგმულ მინიატურულ ბროლის სპილოებს, რომელთაც რუბინის თვალემა ჰქონდათ ჩადგმული.

ამ კარადების გასწვრივ ჩამომწკრივებულ ქართულ ტახტებზე, რომელზედაც ირანული ორხოვა იყო გადაფენილი, ბალიშებსა და მუთაქებზე წამოწოლილნი დაუხვდათ მათ მარიამ დედოფალი, დიოფალი ელენე, მეფე გი-

ორგი, სამი ეპისკოპოზი და რამდენიმე ქალაჩა ერისთავი.

მათ გასწვრივ დარბაზში მირიან მეოთხეში დავით მეფე, ჯონდი ერისთავი და ნიანია ბაქურიანი ოქროქედლილ სელზე მჯდარ გიორგი მეფეს თავზე აღგნენ და მხიარულად ემასლაათებოდნენ.

ხანგრძლივად ჰკოცნიდნენ გიორგი მეფე და ორივე დედოფალი კატაის და დედისიმედს.

მარიამმა დედისიმედი გვერდით მოისევა, ეალერსებოდა, წარამარა თავზე ხელს უსვამდა პატარა „ქალაის“.

დედოფალმა საამბოროდ მიანება თავისი მშვენიერი ხელი ღიპარიტს.

ღიპარიტს გამოჰკითხა ჯანმრთელობის ამბავიცა, მერმე ისევე დედისიმედს დაუწყო ისეთი, თითქმის ენამოჩლექილი საუბარი, როგორიც ჩვენ ყველას გეჩვევია ხოლმე ღამაში და საყვარელი ბაღვების მიმართ.

ამ ამბის თანადამსწრენი ამჩნევდნენ, თუ როგორც დედობრივი რუღუნებით შეეგება დიაცთა შორის უღამაზესი თავის მეტოქეს მომავალს.

ელენე დედოფლის მახვილმა თვალმა ყველაზე ადრე შენიშნა მსუბუქი წყენის ჩრდილი, გვანცას სახეზე ანაზად მიფენილი.

მოდი, მოდიო!

შესძახა შეცფუნებულ ქალწულს, შემღვამ ამისა, მარიამ დედოფალს მიუბრუნდა თავაზიანად:

„შენ ვერ იცანი, მაიკო, ჩვენი გვანცა, შამან ერისთავის ასული“?

„უამე, დაგიბერდი, დიოფალო ბატონო, თვალში სინათლე დამკლებია, გეთაყვანე, როგორც სჩანს.“

წმიფე ატმისფერ ლოყაზე აკოცა გვანცას და ახლა იგიც გვერდს მოისევა, მეორე მხრიდან.

დავით მეფე გიორგი ჰყონდიდელს უჯდა გვერდით და ხმადაბლა ესაუბრებოდა.

ჰყონდიდელმა ახარა მას გვარამ ერისთავის შარალანს მშვიდობით ჩასვლის ამბავი.

როგორც კი მისწვდა მარიამის სტუ-
ვები დავითის სმენას, მან თვალი შე-
ასწრო სამ ლამაზმანს.

უპირეტლა სამივეს და ვერ გარკვე-
ულიყო, თუ რომელი იყო ამ სამთა შო-
რის უღამაზესი?

გიორგი კყონდიდელი დარბაზიდან
გავიდა.

ნაყოფსავსე ქართლური შემოდგომა
ანათებდა თავის იგავითწვედნელი
მშვენიებით თაკვერცხა და თრიალეთის
გაზაფხულთა შორის.

გიორგი მეფემ ლიპარიტ ერისთავის-
თვის დაადგმევინა ოქროქედილი სელი,
მის მახლობლად.

ეუბნება ერისთავს:

„მადლი უფალს, ვეყო, ყოველივე
აგრე მშვიდობიანად რომ დასრულდა,
ხნდახან წაყიდებაც ამკვიდრებს ხოლ-
მე მეგობრობას, ვეყო.

არც მე და არც დედოფალს ელ-
ჩეს დაგვიკლია ცდა.

რა დროს განხეთქილებოა, ვეყო, ხომ
ხელად მთელი საქრისტიანო გაერთიან-
და უშჯულო თურქთა წინააღმდეგ.

არული ძველ მტრობასა და ძველ
შულს. უნდა შემოკრბეთ ერისთავნი
და ერისმთავარნი სამეფოს ტახტის
გარშემო. ვინძლო გადავარჩინოთ ჩე-
ნი ხალხი ავარიანთა მიერ დამონებას.

მე და დიდოფალი ელენე გახარებულ-
ნი ვართ; ჩვენმა უჯიათმა დავითმა
რომ იცეალა საგრძნობლად ზნე.

როგორც ვატყობთ დადინჯების გზას
დაადგა იგი“.

ლიპარიტ ერისთავი თავს უქნევდა
გიორგი მეფეს.

დიხაც დადინჯდაო მეფე დავითი.
ამბობდა:

„სულურობითეულ ბაგრატ მეფესა
ჰგავს ამაშიაც იგი. ნეტარხსენებულ მა-
მინეშისაგან მაქვს განაგონი: სიჭაბუ-
კეში შმაგი ყოფილა თურმე მეფე ბაგ-
რატიცა, მაგრამ დროს სიჭაბუკე თან
მიჰქვს, საშავიეროდ სიბრძნის მომტა-
ნიც იგია უთუოდ“.

მეფე გიორგიმ სიტყვა ჩამოართვა
ერისთავს;

„იგივე დროი, ზამთრის ხნითა
სიმწიფის და ფოთოლთა შეყვითლების
გამომწვევია, იგია სიბრძნისმიერი სი-
დინჯის მომგერული, ვეყო“.

იოანე დუკისძე მიეახლა ამ საუბარ-
ში გართულთ.

იგი მუხლის თავზე ემთხვია ოქრო-
ქედილ სელზე მჯდარ მეფეს და როცა
ამ უკანასკნელმა უბრძანა დამჯდარი-
ყო, მან სამეფხა სკამი მოაჩოჩა და ციყ-
ვივით წელში მოდრეკილი დაღუპდა
ზედ.

ყურს მიუგდებდა ორთა საუბარს,
ამარბალებდა ბუსუსებთან წამწამებს.

ლიპარიტმა სთქვა:

„მე არ ვამტყუნივ დავით მეფეს,
კესაროსო, ჩვენი პატრონო, მას ჰაბუ-
კური სისხლი უღულს ჯერაც, ძალა
ერჩის მტრებთან საბრძოლველად, მაგ-
რამ რაკი სულაჯუციანთა სულტანი
ბარქიაროკი ომებშია გართული. ამი-
რომაც არ აძლევს იგი დავით მეფეს
შებრძოლების საბაზს.

ჰარბი ძალა წყალსა ჰგავს დიდროაის
დროს მოზღვავებულს, იგი სადენს
ეძებს სათანადოს.

ამ გარემოებით ისარგებლეს ავის-
მთხრობთა, წამკიდეს დავით მეფე, ჩე-
ნი პატრონი.

ცხადზე უცხადესია, სულგრძელო კე-
საროსო, მე შევეცოდე ეკლესიისა და
სამეფუფო ტახტის წინაშე, მაგ გარეწო-
რის, ცრუ წინასწარმეტყველის მაჰმა-
დის შჯულზე რომ შევდქი. მაგრამ გო-
ნა მარტო მე ვიყავი ამ საქმეში პირვე-
ლი?

კახთა მეფეებსაც ჩაუდენიათ ჩემზე
ადრე ავითივე მკერებელიობა. თავთაც
გახსოვს მეფეე ბატონო, აღსართან კახ-
თა -მეფე წავიდა ისპაჰანს მალეკშაჰ-
სულტანის წინაშე. დაუტევა ქრისტი-
ანობა და შეეძინა სარკინოზთა შჯულსა-
და ამით ღონითა აიღო სულტანისაგან
კახეთი.

და ეს ჩავიდინე მე არამც თუ ანგარიშების რაიმეს მეოხებითა, არამედ ჩემი საერისთავოს გადასარჩენად, მხოლოდ და მხოლოდ.

მე სხვა არა მქონდა გზა, მეფეე ბატონო. შენ მოღლილი იყავი შინაითაშლილობასა და გარეშე მტრებთან ბრძოლისაგან, ხოლო დავით მეფე მაშინაც ჯერაც ყრმა იყო, კახთა მეფეს თურქნი მოისარნი ჰყავდა თავის ციხეებში.

ტფილისი ბანუ-ჯაფარს ეპყრა. დღედაღამ მოდიოდნენ ჩემთან მალექ-შამ სულტანის მიერ წარმოგზავნილი მოღებნი და ხოჯები, ჩამჩინებდნენ:

შამადის შჯული იწამე, თორემ სარანგს წარმოგზავნის სულტანი სპითა და ქართველთა სისხლით შევღებავთო აღვეთის წყალსა.

ამით ისარგებლეს მოენეთა და ავისმითხრობთა და, მერმე ის იყო, აგრე ვაგლახად, წამკიდეს მეფეს.

იოანე დუქსძემ აპირაღა სამეფხა სკამი, მეღისებრ წაწვეტებული ცხვირპირი მიაშვირა მეფე გიორგის და შეკადრა:

„თუ ნებას მიბოძებს მეფეთ-მეფე და კესაროსი ამის გამო, მე საწყალობელსა და ენაბრგვნილს, ერთ იგავს მოგახსენებდით...“

გიორგი მეფეს იგავები უყვარდა და ამიტომაც თავი დაუქნია:

სთქვიო!

„როცა ღმერთმა ციდან გამოიკვია ეშმაკები და მტკიცედ დაახშო საქანელნი ცისანი, მოეწადინა რამდენსამე ეშმას, როგორმე ცას მისწვდნოდნენ კვლავ და ყური მოეკრათ, თუ რას უჩურჩულებოდა ცათა მეუფე თავის ანგელოზებს დღისით და ღამით.

ერთმა ქოსა ეშმაკთაგანმა სთქვა: მე მომენდვეთ და ცას მიწვდებითო.

გაოცდნენ თურმე ეშმაკეულნი:

ცაში ვიყავით და იქიდან ძირს გადამოგყარეს, აწი როგორღა მიწვდეთო ცას?

აბა მოსჯარდით ჩემს გარშემო.

თქვენთაგანი ერთი შეჰყვდნენ მტრებზე, მას მეორე, მეორეს უმეტესად მესამეს — მეოთხე, აგრე ათორმეტს, ათცამეტი და აგრე შემდეგ, ასი, ათასი, ბევრჯერ ასი და ბევრჯერ ათასი, ვიდრე უკანასკნელი ეშმაკთაგანი ცას არ მიაპყრობს ყურს.

ეს სთქვა ქოსა ეშმაკმა.

შეასხდნენ თურმე ეშმაკები ურთიერთს მხრებზე, მათ შორის უკანასკნელი ცას წაეპოტინა და როგორც იქნა, ყური მიუგდო ღეთის საუბარს ქერუბიმებთან.

მაშინ განრისხდა ამის შემცნობი უფალი, წარმოგზავნა ქვეყნად ანგელოზთაგანი ერთი და უბრძანა იმ ქოსა ეშმაკისათვის სარმა გამოეკრა.

როცა იგი წაიქცა, დანარჩენნი ეშმაკეულნი დაცვიდნენ მიწაზე და მოიშალა ამირიგად არაწმინდათა მიერ ცაზე მიდგმული კიბე.

აგრეა, ჩვენო პატრონო, კაცთა ბუნების წესია აგრეთი: როგორც სიკეთეს, ისე სიავეს ამ ქვეყნად ერთი ჰყავს ხოლმე მოთავე და იმ ერთის მხრებზე აღიან ხოლმე მერმე და მერმე სხვანიცა.

ღიბარიტ ერისთავი შეკრთა, მიხვდა, თუ ვის გულსხმობდა ამ იგავში იოანე დუქისძე, მაგრამ იგიც შენიშნა გიორგი მეფის უბოროტო თვალეებზე, რომ იგი ვერ ჩაწვდა ამ ანალოგოსის შეფარულ შინაარსს.

ამიტომაც დაფიქრებაც არ აცალა მეფის, ასეთი რამ ჰკითხა მას ანაზღად:

ჯოჯიკიმ თუ გამოგიგზავნაო ისპაჰანიდან ავაზები, მწვერები და კვიციები?

ამ ცხოველების ხსენებაზე ვარდი მოეფინა სახეზე გიორგის. მსახურთუხუცესს წამუყო და უბრძანა: აქ მომგვარეთო მახარაი და მენადირეთუხუცესი ახლავე.

მსახურთუხუცესი ჯერაც არ იყო დარბაზიდან გასული, როცა მარიამ დედოფალი წამოღვა, დედისიმელსა და

გვანცას ხელები გადახვია მხრებზე და იმ კუთხისკენ გამოემართა, სადაც მეფე გიორგი და ლიპარიტ ერისთავი საუბრობდნენ.

ზეწამოიჭრნენ ლიპარიტი და იოანე დუქისძე. ეს უკანასკნელი კედელს აგერა და შორიბალოდან ყურს უგდებდა და საუბარს.

დედოფალი მარიამი არ მალავდა თავის სიზარულს ლიპარიტის შემორიგების გამო. თანაც აქებდა მეფეთა სულგრძელობას, ეამიდანამდე მხერას გადაკრავდა თავის ძმის დიდროსს, სიკეთით სავსე თვალებს.

ამბობდა:

ალექსი კომნენმაძე ნამდვილი ქრისტიანული გულმოწყალება გამოიჩინათ შეიჭმულთა მიმართ. მას არ უნდოდა არც ერთი მეამბოხის დასჯა, მაგრამ იმ უფმურმა კონსტანტინეპოლის ეპარქმა იმპერატორის უკეთხავად თვალები დასთხარათ რამდენსავე კაცს.

„დროა მთელი საქრისტიანოს მეფენი და ერისმთავარნი გაერთიანდნენ ამ უწყალო სელჯუკიანთა ნათესავის შესწესრავად“.

ესა სიტყვა მარიამმა, ლიპარიტ ერისთავს ალერსიანად ხელი დაადო მხარზე და უთხრა:

„მე დაუცხრომელად ვწერდი წიგნს ამ საქმის გამო ჩემს ძმასა და დიოფალს, ელენეს, ახლა ერთი რამ დავგრძნა მოუგვარებელი, გეთაყვანე: რატი უნდა შემოვირიგოთ“.

ამის გაგონებაზე გული აუთრთოლდა დედისიმედს. ეწადა დავით მეფე აქვე მჯდარიყო და ეს სიტყვები თავათ მოესმინა.

მარიამმა განაგრძო:

„მე არა ერთგვის ვესაუბრე მეფე გიორგის გეგუთში და ჩემს ძმასწულსაც მოველაპარაკე, როგორც კი დროს მოვახელდება.“

გიორგი ჰყონდიდელი მიამბობდა გულმამ, ლიპარიტის უბნიდან მოციქულნი გაუგზავნიათ თურმე დავით მეფესა და გიორგი ჰყონდიდელს, წიგნი

მიგიწერა: თურმე პირადღე შენცა, საგრამ გაჯიქებულა რატოქრქუნულნი დაბ მ. ვწერეთ წიგნნი გლეხნი ქმნიეთ დაუდასტურა ლიპარიტმა.

„მე არაფერია, გეთაყვანე, განაგრძო მარიამმა, მთავარზე უმთავრესი იყო შენი შემორიგება მაინც და მაინც.“

რატის გაჯიქებება ეს ახალგაზრდული თავგერძობის ამბავია, ჰაჰ, ჰაჰ როგორი ბრმა ახალგაზრდობა ხშირად!

კაი ვაჟაკია რატი, მაგრამ ჯიუტია, გეთაყვანე, ჯიუტია..

ნაცვლად იმისა, რომ იგი ქრისტიან მეფეებს მხარში ამოუდგეს და საერთო ძალით შეუტონ აგარიანთა, აღსართან კახთა უფლისწულს აპყოლია, ამ ცუნდრუქასა და სვედავისისს, დაიხსომე ჩემი ნათქვამი, ლიპარიტ ბატონო, ვერას გახდებიან ისინი თურქებთან ჩურჩულითა.

სელჯუკიანებს შავი დღე აღვიათ მესობოტამიასა და სირიაში... მე ამასწინათ ყურმოკვრით გავიგე გონსტანტინეპოლში, რომის პაპი ურბანი ჯვაროსანთა ახალსა და ახალ ლაშქარს ადგენს თურმე.

ქუდზე კაცი ჰყავთ გამოძახილი მთელი საქრისტიანოს მეფეთა და ერისმთავართა. იმპერატორი კომნენი ქირის სპასა კრეფს ბალკანეთში ბოქემუნდი ბაღდადს აიღებს მალე.

ეგონოს კვირიცე მეფესა და ბანუ ჯაფარს, სულტან ბარქიაროკს ეცალოს ამქამად მაშველი ჯარის კახეთ-ჰერეთში გამოსაგზავნად, ნურც რატი დაენდობა მათ შეპირებასა, გეთაყვანე“.

რატის ხსენებაზე დედისიმედს თრთოლვა გაუდგა იოგებში, ლიპარიტი აიღეწა და წაილულულდა:

„რატი და კახთა მეფე! რატი და თურქებში ჯერ ერთი არაიენ უწყის, ავგუსტა, თუ სად გადაიკარგა რატი. ქვეყანამ იცის, მე წიგნი მივწერე ჩემს ვაჟს, ვემუდარე: შერიგებოდა დავით მეფესა, მან დასთმო ფარცხისი უსისხლოდ და გარდაიხვეწა, ვინ იცის, ეგებ ცოცხალიც არ იყოს ის სვედავისილი.“

არც თუ არსებობს რაიმე ცნობა კახეთ-პერეთს გადასულიყოს იგი“.

როცა ამას ამბობდა ლიპარიტ, მან თვალი მოჰკრა გიორგი მეფის ზურგს უკან მდგარო მახარასა და მერემეთ-უხუცესს.

მახარამ არ აცალა პასუხის ვაცემა მარიამს, ისე შეესიტყვა ლიპარიტს:

„შესაძლოა, შენ არ იცოდე ერისთავთ-ერისთავო რატის სადაურობა, მაგრამ ჩვენ... ჩვენ კი არა, ქარნიან სეტყელმა კარგად უწყის, რომელ საათს გადალახა მან თრიალეთის საერისთავოს საზღვრები, ან მტკერის ფონზე როდის გადავიდა, რუსთავის ციხეს ვასწვრივ“.

ლიპარიტს ბრაზი წაეკიდა, ლაწვის თავები შეუწითლდა, მარიამ დედოფალს მიაშტერდა და სთქვა:

„შვილები დამეხოცოს, ავგუსტა, ცხენი წამქეცოდეს აქედან შენ გაბრუნებულს მტკერაში და წყალში დამელიოს სული, თუ ან მე, ან ჩემმა ოჯახმა იცოდეს, თუ სად იმყოფება ამჟამად რატი“.

შემდგომ ამისა მახარას გაუმართა განარისხებული მზერა და განაგრძო:

„შენ და შენი ღმერთი, ჩვენსას სტუმრობდით ხომ იმ დღეებში თქვენ ყველანი, როცა ფარცხისი დასთმო რატიმ“...

დედისიმედი გამოეცალა ხელიდან მარიამ დედოფალს და გაემართა იმ საკარცხლულისაკენ, სადაც კატი გვერდით უჯდა დიოფალ ელენეს.

ხოლო ლიპარიტმა განაგრძო:

„მე ახლადმობრუნებული ვიყავი კლდეკარის ციხიდან, ისე გაოგნებული და დასნეულებული, რომ ჩემი სასახლის ზღურბლზე არ გადამიდგამს ფეხი. სანადიროდაც კი არ გავსულვარ ტყეში“.

მახარამ იოანე დუქისძეს გადახედა. იგი გახევებული იდგა ლიპარიტის ზურგს უკან და ფიქრში წასული დასჩერებოდა აგურის იატაკს.

„არაფერია, ლიპარიტ ჩემო, ვადავმინა იგი მარიამმა, მე კარგად ვიცი, რა დიდ პატივს მცემს რატიმ...“

ლიპარიტი გააშხნევა დედოფლის ეგზომ თავაზიანმა კილომ და სთქვა:

„შენ თუ არ გცემს ჩემი ვაჟი პატივს, სხვას ვისლა უნდა სცეს პატივი, ავგუსტა, შენ ხომ ჩემი ოჯახის მფარველი ანგელოზი ხარ, ავგუსტა, არა მარტო ჩემი ოჯახისა, სრულიადი საქართველოისა, ავგუსტა, მთელი საქრისტიანოს სასიქადულო თვალისჩინი“.

კიდევ ამირებდა ხოტბის განგრძობას ლიპარიტი, მაგრამ მომეტებული ქება ეხამუშა დედოფალს და სთქვა:

„რაკი მახოს სცოდნია მისი ადგილსამყოფელი უკვე... მე წივსს მივწერ მას... ჩემდამი პატივისცემა ერთია, ეგეც რომ არ იყოს, რატი ხომ მართლმორწმუნე ქრისტიანია...“

აქ ლიპარიტმა თავაზიანად ჩაურთო მის საუბარში სიტყვა:

— „მე ვიტყვოდი, დედოფალო ჩვენო პატრონო, არამცთუ მართლმორწმუნე, არამედ ბრმად მორწმუნეცა, დავით მეფის მიერ შეწყალებული მთელი ციხიონი ფარცხისისა, დაამოწყებს, თურმე თვით ფარცხისის გარემოცვის დროს ქენჯნის ქამარს ირტყამდა წელზე რატი, დღე და ღამ ლოცვითა და მარხვით გართული“.

„ოპო, კიდევ უკეთესი, გეთაყვანე... ბრმადმორწმუნეობა სააუგო როდია ქრისტიანთათვის. მით უმეტეს, მით უმეტეს, გეთაყვანე“.

გიორგი მეფე წამოდგა, მარიამ დედოფალს მიეახლა, ლიპარიტს მკლავზე მოუცაცუნა ხელი და ეუბნება ორივეს:

„მოვეშვათ აწი ძველ ამბებს, ძველ მტრობასა და შეუღლს ერთდერთი წამალი უნდა, ეგ არის დაეწყება“.

ბაღში გავიდეთ, მახო გინვენებთ თავის ქორ-მიმინოებსა და ავაზებსა, ჯერ გიორგი ჰყონდიდელის ვენახი დაეათვა-

ლიეროთ, მერმე მენადირეთა საჩიხენი ენახოთ.

დიდი და მცირე თან გაჰყვა მეფე გიორგის და მარიამ დედოფალს ბაღში. გიორგი ჭყონდიდელი წინ შემოეგება მათ, იგი მერუებსა, მერწყულებსა და შესაბანჯეებს ხელმძღვანელობდა თურმე. ბირკათი შემოსილიყო მისი ბერული ჩოხა.

„მე სულ თვალში მაკლდა მამაი გიორგი, უთხრა მარიამმა გიორგი მეფეს, თურმე ბაღში მუშაობს იგი“.

გიორგი ჭყონდიდელმა ბირკა ჩამოიბერტყა ჩოხის ფეშანიდან და ეუბნება დედოფალს:

„ხეთა და მცენარეთა შორის მე სულიერ მშვიდობას ვიხვექ, ავეუსტა, მე მგონია ესენი ყველაზე უფრო საყვარელნი, უტყვნი და უჩინარნი არიან უფლის მიერ შენაქმნ არსთა შორის, მე დიდ შეებას მგერის მათი მორწყვა, მათვის მიწის გაფხვიერება და ეენახის ვასხვლა.“

ერთ გაზაფხულს მე და გიორგი მეფე ტაოში დავრჩით ერთ ციხეში თურქების მიერ გარემოცულნი, დამდამობით ნაპარმაგევის ეენახი მესისზრებოდა გოლვისაგან დასიბხული, გაყვითლებული ფოთლების ცვენა და უკურნებელი ტერილი ვაზისა“.

მარიამ დედოფალს მხარდამხარ მიპყებოდნენ გიორგი მეფე და გიორგი ჭყონდიდელი, მათ უკან მისდევდნენ დავით მეფე, ნიანია ბაქურიანი, დედისიმიედი და გვანცა.

მარიამი აღერიას მშერას ესროდა ეენახს გადაღმა მდგარ გოლიათურ მუხებს, ეერხვეებსა და ნეკერჩხლებს, ბლის ხეებს, ვაშლებსა და მსხლებს, რომელთა ჩრდილებში ბაგრატ მეოთხესა და გიორგი პირველს ჭქონდათ გატარებულა თავთავიანთი სიყრმე და სიქაბუჯე.

ნაკლებად გამოცვლილიყვნენ ნაპარმაგევის ვაზები, რომელნიც ზღაპრულ ურჩხვლებსავით შესეოდნენ ასწლოვან ხეებს, მტევენებს დაედრიკა ხურმისა და ნეკერჩხლის ხეთა შტოები, ფულუ-

როებისაგან გადმოლევნითლ თაფლს, ფუტკრები და კრაზანებარ წსნისუნ. ფუტკრების ერთობლივი მშენილობილგა ეენახში.

„ნამდელი მიწიერი სამოთხეა, სთქვა მარიამ დედოფალმა, ბერძნები მიწაზე აწვენენ ვაზს. ეს არ ვარგა, რკუნი, ზღარბნი და მაინი, ყოველივე ქვეწარმავალნი და მწერნი წამოეხევიან ხოლმე მწიფე ყურძენს. კარგია ქართული წესით, სარზე და ხეზე მიშვება ვაზისა“.

დავით მეფე ჯერ დედისიმედსა და გვანცას შორის მიდიოდა, მაგრამ კურობალატისსა მელიტა ამ ჯერად გვანცას სილამაზით იყო მოხიბლული. ენაქარტალა დიაცმა დიდსა და მცირეს თავი წასუპამა გვანცას ქებთა.

გვანცას ბერძნული არ ესმოდა, ხოლო მელიტამ რამდენიმე სიტყვა-ღა იცოდა ქართული: „გენაცვალე, მაკოცი, მშვენიერო, ტაბლო“.

მან ცალი ხელი ნიანია ბაქურიანს წაელო, ცალიც გვანცას და მოურიდებლად ეუბნება რაინდს:

„მე რომ შენისთანა ლამაზი ვაეკაცი ვიყვე, ნიანია ბატონო, გვანცას მოვიტაცებდი, ისე როგორც თქვენ ქართველებს გრევეით ხოლმე“.

რა თქვა, რა თქეო?

შეეკითხა გვანცა. ქვეშეცნულად მიხვდა იგი, რაღაც საჩოთირო რამა სთქვაო ამ დიაცმა.

ნიანია უსწოროდ გადაუთარგმნა: ბატონი მელიტა აგრე ამბობსო, ლამაზი ქალიაო გვანცა.

გვანცა მიხვდა ეგ არ უნდა ყოფილიყო მთლად სწორი თარგმანი და სთქვა:

„აჰ, როცა დიაცი დიაცს აქებს, ეგ ნაკლებად სარწმუნოა, ნიანია ბატონო. ასეთი რამ ან პირმოთნეობითაა გამოწვეული, ან მომეტებული თავაზიანობითა, გადაქარბებულ თავაზიანობასა და პირმოთნეობას შორის მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ნიანია ბატონო, ხომა?“

დავით მეფე მღუმარედ მიდიოდა დედისიმედის გვერდით, — გრძობდა შო-

რიახლოდან მათ უკან მოპყებოდნენ დედოფალი ელენე და კატაი.

კუროპალატისსა მელიტა ენას არ ასვენებდა:

„აჰ, ერთი კონსტანტინეპოლში წამოიყვანდეს მარიამ დედოფალი გვანცას, ლამაზო, მშვენიერო გვანცა, წამოხვალ ჩვენთან?.

ეკითხება იგი გვანცას და ლოყაზე უტაცუნებს ხელს.

ბუკოლეონის სასახლის უბრწყინეაღესი კუროპალატები გაშორდებიან მეორე დღესვე თავიანთ ცოლებს.

აჰ, რა ლამაზი ქალია გვანცა, ახლა გასაგებია ჩემთვის, კოლხი ქალი რად მოიტაცა იაზონმა. ხმელეთის პირზე ქართველ ქალზე ულამაზესი ქალი არაა. მარტო ჩვენი მარიამ დედოფალი რადა ღირს! გარდა ამისა, რა ლამაზი მთებია აქ, რამდენი მზე რამდენი სინათლე!

ნინია ბაქურიანმა მშვიდად მოუსმინა ბერძნის ქალს და მერმე სთქვა:

„მე არ მიყვარს, როცა ჩემი ხალხის ლამაზ ანაგობას, ან ჩვენი ქვეყნის სილამაზეს აქებენ უცხონი“.

„რათაო ვითომ?“

იკითხა მელიტამ.

„ჩვენს ქვეყანაში მოსულს, ხაშს ჩვენი ხალხის სიამავე აოცებდეს, უწინარეს ყოვლისა, მთები რომ ლამაზები გვაქვს, ეს ჩვენი დამსახურება როდია, კუროპალატისსა ბატონო, არა მგონია ჩვენი დიაცების სილამაზეც რომ იყოს ჩვენი დამსახურება.

მე მგონია, ჩვენი ხალხის დამსახურება ისაა, ეს ლამაზი ქვეყანა რომ შევიჩინეთ.

თქვენ იციით თუ არა, გურჯანის ზღვის გადაღმიდან თქვენსკენ დაძრული ურდოები ჯერ ჩვენს ხალხსა და მოთებს შეეხეთებოდნენ და მერმე მიემართებოდნენ ჩვენთან ბრძოლისგან მოღლილი თქვენსკენ“.

არც დედისიმედს ესმოდა ბერძნული კარგად. წარამარა ეკითხებოდა, რას ამბობსო კუროპალატისსა მელიტა?

ბოლოს როცა მას წინ მიმავალთა საუბრის შინაარსი გადაუხედა, მელიტა მას, ქალმა სთქვა: ზინტლინიშქა

„არ მომწონს ეს დიაცი, მეფეზე ბატონო, მე აგრე ვფიქრობ: განსაკუთრებით ბალსა და დიაცს არ შეშვენიეთ ენამრავლობა. გარდა ამისა, ძლიერ მიკვირს ჩვენს სათაყვანებელ მარიამ დედოფალს რად დაჰყავს ეს ენაგალაქსარებული შიმუნეარი თან?!“

„იცი რა გითხრა, სულო, ბუნების წესია აგეთი: მახინჯი ლამაზთან ყოფნას მიელტვის მუდამ, მანკერი — უმანკოსთან, რეგვენი ბრძენს აეკიდება ხოლმე, ყბედი—მდუმარეს, ხოლო ლამაზი გმირს.

როგორც ყოველი, თითქმის ყოველი ლამაზი ქალი, მამადანემიც უნებისყოფაა ოდნავ, მას არ გააჩნია ის უჯიბათობა ხასიათისა, რომელიც მახინჯ დიაცებსა და უნიკო მწერლებს ახასიათებთ ხოლმე.

არსთა განმრიგე მეტად ძუნწია ნიჭთა გაცემაში, ყოველგვარ ტალანტს ერთსა და იგივეს როდი მიუბოძებს.

ბულბულის ტკბილხმოვანება არწივისათვის რომ მიეცა ღმერთს, ფრინველთა მეფე ხომ ვერ ექნებოდა ეგზომ მძვინვარე და შეუბოვარი.

რადგან სინაზე და სიძლიერე ერთ ხალთაში ჯერ აროდეს დატეულან“.

მცირე ხანს დღემილით მიდიოდნენ მწიფე ატმებს ქვეშ.

ერთი ატამი მოსწყვიტა მან ნაყოფით დაბუნძულ შტოდან, უყნოსა და შესთავაზა ქალს.

კვლავ შემოესმათ მელიტას ხმა.

დავითმა სთქვა:

„ნამეტანს აქებს კუროპალატისსა გვანცას.

გვანცას ალბათ არც ეპიტნავენა მისი ქება“.

მეფემ მიუგო:

„მე მგონია, როგორც ხორციელად, ისე სულიერად სრულწმინდს, თუ კი ასეთი მოიპოვება სადმე, სრულიად არ ესაჭიროება ქება, როცა აღამიანს

ძაგების შეეშინდება, შექება მოსწყურდება მყისვე, სჩანს, მას კარგად აქვს შეგნებული, რომ ბევრი რამ აკლია.

როცა იგი მაქებას დაუწყებს ძებნას, ამ გზით მას სწადია ქებით მიჩქვალის საკუთარი სულის აჩარაობა მოყვასთა თვალში.

სწორედ ამიტომაც ჰყავდათ დაქირავებული კარისმებობებთა მთელი დასტა ბიზანტიელ უნიჭო მეფეებსა და სელჯუკიანთა უზნეო სულტანებს¹.

მარიამ დედოფალმა ლიბარიტ ერისთავი აიყოლია და ვაზის თაღანს ქვეშ დასტოვა გიორგი ჰყონდიდელთან საუბრით გართული გიორგი მეფე.

უხმოდ ეალერსებოდა მისი მწერა ნაპარმაგევის ბაღს ნუშებს, ატმებსა და ლელვებს, ჩრდილმრავალ კაკლებსა და წელსმოგახნიქილ ბროწეულებს ბაღის კედლებზე.

მელღვეები დაქროდნენ ცაში, მობალურები უსტეენდნენ ყვერში.

უკვირდა, უხაროდა: რამხელანი გაზრდილანო ეს საყვარელი ხეები!

აგონდებოდა თავისი უღარდელი ბაღლობა. აგრე ეგონა: მხოლოდ გუშინ იყო ეს ყოველივე. გუშინ დარბოდათ ამ კაკლების, ამ ატმების, ამ ლელვებს ქვეშ იგი.

მხოლოდ ერთი დაფახულება თვალისა გასულიყო თათქოს მას შემდეგ, რაც ამ ბაღს, ამ სასახლეს მოსწყვიტეს მარიამი და თავის ტკინებთან ერთად ჩაიყვანეს ბუკოლეონის სასახლის ოქროს დარბაზებში.

ლიბარიტ ერისთავს სხვა ცეცხლი სწავდა. უცნაურად ლელავდა იგი. თვალებს აცეცებდა აქეთიქეთ, ხელმარჯვე დროის მოხელემა ეწადა, როცა იგი დედოფალთან განმარტობას შესძლებდა სიტყვას დასძარავდა თრიალეთის საერისთავოს და თავის ოჯახს საკმაოდ დაბურდულ საქმეთა გამო.

სტუმრები ბილიკებს მიჰყვებოდნენ ჯგუფჯგუფად, ასე რომ ლიბარიტსა და მარიამს ხან გიორგი მეფის როხროხა

ხარხარი მოესმოდა, ხან ექვთიალტრისა მელიტას ტარიცაყვერს უხარავდნენ. გამოჰყოფდა ყვერიდან ნაძვრები ნებოდა ნიანია ბაკურიანსა და ჯონი ერისთავს, ძლოკვები ეჭირა ხელში, ემიდინჯამზე შეათამაშებდა ჰაერში.

კოვოდა მათ დანახვაზე მელიტა, რადგან გველებსაგან ვერ არჩევდა იგი ძლოკვს, ხანაც მესაბანჯეთებუცისისა და ეზოსმოძღვრის ცინცილუკის მოტვლებილ თავებს მოჰკრავდა ერისთავი თვალს.

ბოლოს მარიამმა და ლიბარიტმა მიყრუებული ბალიკი განვლეს და კაკლის ხელების მიადწიეს. კაკლის ნამორები ეწყო მის გარშემო წრიულად.

„დავიდალე, ლიბარიტ ბატონო, ერთი დავიმუხლოთ ამ მშვენიერ კაკლის ქვეშ მცირე ხანს“.

სთქვა მარიამმა და ჩამოჯდა ნამორზე.

რამდენჯერ მომიკრეფია ამ აღგილას ნიგვზის ლეკვები!¹ გარს მოვიწყობდი, ვითომ წიწილები იყვნენ ესენი. ვაგროვებდი, ვეფერებოდი ველოლიავებოდი მათ.

აჰ, რა მცირე რამ კმარა ბაღლის გასახარებლად ამ ქვეყნად და რა უძღვებია გონსმოსულის გული, ვეთაყვანე!

იმ ბროწეულებს ყვავილები ჩემი დედოფალები იყვნენ, მოვის წითელ პერანგებში მორთული დედოფალები.

რა საყვარელნი, რა მშვენიერნი! საქართველოდან თან წამყვა უცხოეთში ამ კაკლის ლეკვებსა და ბროწეულის ყვავილების უკურნებელი დარდი.

ღმერთო, ღმერთო, ჰეშმარიტად ბედნიერი მხოლოდ ბაღლობაშია ადამიანი! ადამიანის გული სატაცურსა ჰგავს ერთ რამეში, გაზაფხულზე იგი ქორფა და სათუთი, სანუკველი, მაგრამ როგორც კი ძალას მოიციქვს ადამიანის ბუნებაში გონება, იგი მოძველებულ სატაცურსავეთ გახვედება უთუოდ.

¹ ნიგვზის ლეკვები ეწოდება ამ ხის ყვავილს.



ლიბარტმა სთქვა:

„მე არც ბალობა მქონია, დედოფალ ბატონო, ტკბილი. შეიდი წლისაც არ ვიქნებოდი, როცა მამაჩემი წაიკიდა სულკურთხეულ ბაგრატ მეფესა.“

მეფისა და ერისთავის წაიკიდებას მოჰყვა ქვეყნის აღრევა, ცალკერძ სელაჯუკიანი შემოესივნ საშეფოს, ცალკერძ ბერძენნი.

სულა კალმახელმა შეიპყრო პაპაჩემი ლიბარტ და მამაი — ივანე, თრიალეთში შიშინობა ჩამოვარდა, ნეტარსხენებულმა დედაჩემმა ჯერ გრემს წამოიყვანა კახთა მეფის სასახლეში, სახალი შემეყარა მანდ, ჩქიდან ბოქორმას ჩამოიყვანეს, ბოქორმიდან რუსთავის ციხეში, აქ ციებამ და ყბაყურამ დამირეს ერთბაშად ხელი, ასე დამათრევედნენ კატის კნუტივით!

ღმერთს ყოველი ჰასაკი ნაკურთხი აქვსო, იტყვიან. მხოლოდ უმწიფარ ადამიანებს ჰგონიათ, თითქოს სიბერე ისევე სანუგეველი არ იყოს, როგორც სიკაბუტე და სიჭარბაგე, სიბერე გონების განათებაა, ვნებათა დაცხრომა.

სიბერე რთველია მოწვეული ვენახისა, ზოლო სიყმაწვილე — უნდილი ისარი. ადამიანურ ცხოვრებაში სიკვდილს გარდა ყველაფერი ტკბილია, აგვუსტა.

ახლა სიბერეც გამიმწარდა, როგორც ჰხედეთ თქვენი ბედნიერი თვალებითა, აგვუსტა.

ჩემი თვალის სინათლე ვაგი უჯზო-უკვლოდ გადაიხვეწა, ჩემი ერთადერთი ქალი...“

ესა სთქვა ლიბარტმა და მოსახრებული ჰქონდა დედოფლისათვის შესაჩივლედი და სწორედ ამ დროს მენადირეთუხუცესმა გამოჰყო ევერიდან თავი და აუწყა დედოფალსა და ერისთავს:

ნადირთა საჩიხესაკენ წამობრძანებას გთხოვთ გიორგი მეფე.

დედოფალი წამოდგა და საჩიხესაკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვა. ლიბარტს აგრე ეგონა: ჩამოგვეცილდება მენადირეთ-

უხუცესი და გზადაგზა განვაჩინებთო საუწყებელს, მაგრამ მენადირეთუხუცესი ჯერ აუხდგა საჩიხესაკენ და მერმე უკან გაჰყვა დედოფალსა და ერისთავს.

მარიამი არ დაერიდა მერემეთუხუცესს, ოდნავ წინ გაუსწრო ლიბარტს და ეუბნება საკმაოდ მკათიოდ მასვე:

„უიღრე შენ სათქმელს მოათავებდე ერისთავთ-ერისთავო, ბატონო, უკვე ვიცი რაც უნდა მათუყო და მითხრა: ღმერთს ვიმოწმებ, ამჯერადაც საქართველოში ჩემი ჩამოსვლის მიზანი იყო ჩემი მისწულისა და შენი ქალის ურთიერთობათა კანონიერი მოგვარება.“

კარგად გეხსომება, ალბათ, რამდენი უსიამოვნება შემხვდა ქუთაისში ყოფნისას შენი ოჯახის გამო.

ახლაც არა ვმალავ, იმ საცოდავ დედოფალყოფილი რუსუდანის შემონაზუნებაში განსაზღვრული წილი მიმიძღვის მეცა, იგიც ცნობილია თქვენთვის, არც იმ გაჯიუტებულ ქუთათელი მთავარპისკოპოზის დაოცებაც არ მომხდარა უჩემოდ.

ღიანო.

დაუმოწმა თავმოდრეკილად ლიბარტმა.

„ალბათ გეხსომება, თუ როგორ ებლაუტებოდა ნომოკანონს ის გაყერბული ბებერი. ბოლოს როცა დედოფალყოფილი რუსუდანი მონაზუნად აღიკვეცა სოხასტერში, და როგორც იქნა, მოგტეხეთ ქუთათელი მთავარპისკოპოზი, შეყოყმანდა და გაჰირვეულდა შენი თანამემცხედრე — კატაი.“

ხან ამბობდა: რატის გამომჯობინებას მოვეუცადოთო, ხან თრიალეთს გვეპატივებოდა, ლიბარტის უბანში გავმართოთო ნიშნობა.

რა საჭიროა ყოველივე წერილად გაგახსენო, ერისთავო ბატონო, ერთი რამ ცხადია: როგორც შენ, ისე შენმა თანამემცხედრემ და შენმა ვაჟმა რატიმ, ყოველივე ისე წარმართეთ, თითქოს წინასწარ შეთქმულნი იყავით: როგორმე სიცოცხლე გაგემწარებინათ თქვენი

ოჯახის იმ უმწიკვლო ანგელოზისათვის.

ვგონებ გასაგებია, თუ ვის ეგულისხმობ ამ შემთხვევაში, ერისთავთ ერისთავო.

არც ის უნდა იყოს შენთვის გაუგებარი, რომ მე, როგორც მაჰიდას, ყველაფერი შემიძლია დაეუშალო ჩემს სათაყვანებელ ძმსწულს, მაგრამ მერწმუნეთ, სიფხიზლეს ვერასოდეს დავუშლი მას.

„ხომ აგრეა, გეთაყვანე?“

ღიახო.

მიუგო ლიპარიტმა.

ამ სიტყვების გაგონებისას უსიამოდ გააეროლა ლიპარიტს და თავჩაქინდრული მიჰყვა ბილიკზე მიმავალ დედოფალს.

მხოლოდ მარიამმა განაგრძო:

„ამ შემთხვევაში დავით მეფეს დაკისრებული ჰქონდა არა მარტო მოვალეობა მიჯნურისა, არამედ მეფისა და მამულიშვილისა“.

მენადირეთუხუცესის ნაბიჯთა ჩქამი მკაფიოდ შემოესმა მარიამს და ახლა ოდნავ უფრო ხმადაბლა განაგრძო:

„მე მანდილოსანი გახლავართ და თუ არა ეცდები, არც ისე ტლანქი, უსიამო ამბავთა შეხსენებას სასიამოვნოთა მოგონება რომ არ მერჩიოს.“

ეგეც ხომ ეგრეა, ერისთავთ ერისთავო, არა?“

აგრეაო,

დაუდასტურა ლიპარიტმა.

„არ მსიამოვნებს ეს ყოველივე, მაგრამ უნდა მოვაგონო რატის უსაქციელობა და მისი უტნაური ახირება. გეგუთის სასახლეში სტუმრად ყოფნის დროს: მეფემ და მახარამ განზრახ მოაყვანინესო ყიფჩაღური ცხენი სკეითია, რათა დავეშავებინეო როგორმე ცხენს.“

შენ და შენი ღმერთი, შენც ხომ იქვე იყავი, რატი უკითხავად შეახტა იმ ცხენს.

პოლოს თამაში გამართა სტუმრების პატივსაცემად მეფემ და გაუფრთხი-

ლებელმა რატიმ ჩოგნით დაძაგა მასპინძელი, ეგეც ხომ გახსენებულა!

მე არამც და არამც არა შეუქრდა შენ და რატის თუ რაიმე მიწერმოწერა გქონდათ სელჯუციანთა სულტანთან. სანამდის ჩემი თვლით არა ვნახე არაბულად შენთვის მოწერილი ეპისტოლა სულტან ბარქიაროკისა და ვარსიმ ვარძელის წერილი.

შეპირად მახსოვს ერთი იდგილი ბარქიაროკის მიერ მოწერილ წიგნიდან:

„ჩვენ სმენამდის მოაღწია იმ ამბავმა, რომ ამირა ლიპარიტ, ნაცვლად აღთქმულისა, დავით მეფეს შეპირებია კვლავ და სპასალარობაც უქისრნია მისი.“

იგივე დაწერილა ბრძენთაგან: ნურავინ ინდომებს თანადგომას ბოროტისასა, რამეთუ ღერღეტი იმითომ დაბკლეს, რომ იგი ყორანს დაუმეგობრდა და მწყერიც იმითომ მოუკლავთ, რომ იგი შეაოსანთან დასეირნობდაო თურმე“.

ლიპარიტს დაწვისთავეები შეუწითლდა, აეთო და წამოიძახა:

„წიგნიო! სულტანის მიერ გამოგზავნილი წიგნიო?“

რომელი წიგნი, ავგუსტა?“

„არაბულად დაწერილი, ვარსიმ ვარძელის მიერ ქუთაისის ციხეში გამოგზავნილი იღუმალ“.

„მე ყოველივე მახარას მიერ შეთხზული წიგნია, ავგუსტა“.

„რასა ბრძანებ, ერისთავთ-ერისთავო, მახარამ არაბული კითხვა ღიხაც იცის, მაგრამ არაბულად წერა თვით არაბ მწიგნობრებს უძნელდებათ, ეგ შენც მოგხსენება“.

„სად იყო ეს წიგნი, პირველად მესმის ასეთი წიგნი ვინ მიიღო, ან თქვენ ვინ გამოენათ?“

„ამის გამხელის უფლება ჯერ არავის მოუცია ჩემთვის“.

ლიპარიტმა მხრები აიჩჩია.

კოზმან ბერის ლანდი აიტუზა მის წარმოდგენაში. ბრახმორეულმა გაიმეორა:



„პირველად მესმის“.

მარიამმა განაგრძო:

„იმავე წიგნშივე ეწერა: სულტანმა პალექ-შაჰმ უსიამოდ შეცნო, რომ ამირა ლიპარიტ დავით მეფეს ჰპირდებოდა თავის ქალს.“

იმავე დღეს მაჩვენეს ვარსიმ ვარძელის უსტარი:

„რაცა შეეხება რატის მიერ უკანასკნელ ბარათში გამოთქმულ სურვილს ბარქიაროკთან დამოყვრების გამო, ამის საპასუხოდ სულტანის ვაჟმა მიბრძანა მომეხსენებინა შემდეგი: ამ შემთხვევაშიაც მრავალი რამ ამირა ლიპარიტისა და ასულის მისის გამუსლიმებისაგან არისო დამოკიდებული, ცხადია, შენ გინდოდა დედისნიშნის გამუსლიმებაც.“

ეგვეც მახარამ მოვიგონა?

დასასრულ, ლიპარიტის უბანში ბარქიაროკის მსტოვართა მისვლა-მოსვლა, გვეცა?

რომელი ერთი მოვიგონო? შენს მიერ შჯულის გამოცელა?! ეგვეცა?

სად გაჯონილა, ვეთაყვანე, ყოველივე, რაც შენ ნებსით, თუ უნებლიედ ჩავიდინია, იმ სევედასილ მახარას გადააბრალო?

ყოველივე ის რამაც გამოიწვია შენი დატყვევება... ფუჟა ეშმას, მე არ მინდოდა ამ უსიამო ამბების წამოტეხილება ჩვენი მეხსიერების ზედაპირზე.

მართალია ეს ყველაფერი წარსულს ეკუთვნის, მაგრამ მთავარი ისაა, მე ვერ ვიტყვოდი, დღესაც ვერა ვხედავდებ დამბროლებას, ისევ და ისევ შენი ოჯახისა, უკეთ რომა ვთქვათ, შენი ვაჟის მიერ შექმნილსა.

მე ვვულისხმობ რატის კახეთ-ჰერეთს გაქცევას, ესე იგი, დავით მეფის მტრებთან გაქცევას“.

აჲ ლიპარიტმა ევლარ შეიკავა თავი, შესდგა და წამოიყვარა: (მენადირეთ-უხუცესის სიახლოვეც გადააფიქვდა).

„როგორც სჩანს, ჩემი ფიცი არა გჯერა, აგუხსტა“!..

„როგორ არა მჯერა, მაგრამ“.

„მაგრამ რაო?“

„ეიმეორებ: ასეა თუ არა, უნდა ვთქვათ ოჯახის ერთერთი წევრის მსხვერპლად წინ ეღობება იმ ანგელოზის ბედნიერებას, ეგ ხომ უცილოდ, აგრეა?“

გულწრფელად მოგახსენო, ლიპარიტ ბატონო, განზრახული მაქვს ამ საქმეთა გამო უთუოდ გამოველაპარაკო ჩემს ძმისწულს, მაგრამ თავათ წარმოიდგინე, როგორ შემძლია მე, ვისაც თავათ განმიცდია, როგორც მრავალ ქირანხულ მეფის ასულს და ორი სევედამწარებელი იმპერატორის ცოლყოფილს, რომელსაც თავათ უგრძნია თუ როგორ განსაცდელს უშზადებს ქვეყნის მმართველს თუნდაც ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი პირად ცხოვრებაში დაშვებული, ვერჩიო ჩემს ძმისწულს წინდაუხედავად მოქმედება ამ შემთხვევაში?

წარმოვიდგინოთ, რომ შენ არ უწყვი, თუ სად იმყოფება შენი ვაჟი ამჟამად, მაგრამ დავით მეფეს ხომ სრული საბუთი აქვს, ვინც მასთან არ არის, იგი თავის მტრების ბანაკში ეგულუბოდეს, არა“?

ლიპარიტს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სიტყვა გაეხირა ხორხის არეში. ერთი შესდგა გზის პირად, მაგრამ ისევ განაგრძო დედოფლის გვერდით სვლა.

გულშიერმა ქალმა შენიშნა, ეს ყოველივე ციდან დაშვებულ მეხივით დაცა ლიპარიტს თავზე და ამიტომაც შეეცადა მარიამი, ოდნავ შეერბილებინა თავის მიერ თქმულის ზემოქმედება, ამიტომაც სთქვა:

„მე ერთხელ დიდხანს ელჩიინებდი ჩემს ძმისწულს შენსა და შენი ვაჟის მიმართ სულგრძელობის გამოჩენისაგან. მოვუწოდებდი შემოირიგე-მეთქი, მაგრამ იცით, რა მიპასუხა?“

სულგრძელობა ხან მშინარობის საფარველიაო, ხანაც ქარაფშუტობის უსუსური გამოვლინება. და მე მგონია, ეგ ზედმიწევნით მართალია, ლიპარიტ ბატონო“.

მცირე ხანს მდუმარედ მიჰყვებოდა დედოფალი ბილიკს, მზერა შეეღო მის გვერდით მიმავალ გაფითრებულ ლიპარიტს და უთხრა:

„რა თქმა უნდა, მე მჯერა რომ არც შენ და არც კატამ არ იცი, თუ სად იმყოფება ამჟამად რატი, მაგრამ ვინ დამარწმუნებს მე: თითქოს დავით მეფემ იმაზე მეტი არ იცოდეს ამ საქმის გამო, რაც იმ ბედშვებ მახარას წამოსცდა!“

ხომ შესაძლოა, დავით მეფემ გაცილებით მეტი უწყოდეს ამ საქმის გამო, არა?“

შესაძლოა.

მიუგო ლიპარიტმა.

„თუ ეგ აგრეა, მე რა პირით უნდა ეურჩიო ჩემს ძმისწულს, მან როგორმე დასთმოს როგორც სიფხიზლე, ისე ზრუნვა საკუთარი სამეფოსთვის?!“

— გოორგი მეფე და გოორგი ჭყონდიდელი წინ შეეგებენ ვენახიდან გამოსულ დედოფალსა და ერისთავს.

გოორგი მეფემ უსიტყვოდ შეიკნო უგუნებოდ შექმნილიყო ლიპარიტი, მიხედა: ალბათ მარიამ დედოფალი ეტყოდოა რაიმე საწყენს. შეეცადა მის გამხიარულებას და ამიტომაც თავაზიანად უთხრა კლდეკარის ერისთავს:

„წამო, ლიპარიტ ჩემო, ისპაპანური ავაზები და ივმენის კვიცები უნდა გიჩვენო ერთი...“

XV

შაში ბაზილიკა

დავითი და დედისიმედი შორიახლოდან უკან მიჰყვებოდნენ მარიამ დედოფალსა და ლიპარიტ ერისთავს. დავითმა ლიპარიტის ხმა რა გაიგონა, ნაბიჯს აუჩქარა და მიჰყვა ვენახის სიგრძეზე მიშვებულ რუს ნაპირს, წყალი ლიკლიკით მიჰყვებოდა არხს.

საუბრით გაერთიანენ უკან მომავალნი ისევ და ლიპარიტის ხმა უფრო მკაფიოდ ისმოდა უკვე.

სულ რამდენიმე ფრანხის წაწყვეტიდან მიხედა დედისიმედი, როგორც კი გამოჰქონდათ საუბარი წინაშეაქცობს.

გუნება გაუფუქლა ანაზად ქალს, თავის ტყვილი წამოეძალა, მთვარეულსავეთ მილასლასებდა დავითის გვერდით, საფეთქლებში ოფლმა გამოსტეხა, ჰაერი ეცოტავა მწვეანის ამ კრცულ საუფლოში.

მიდიოდა, ვენახის ლერწებით დაბარდნილ ბილიკს მიჰყვებოდა, მოშავო და მოყვითალო ბურთულეები რიალებდნენ მის თვალწინ.

ერთ ორჯერ შეეშინდა არ წაეიტყეო, ღონეშიხდილი წაეპოტინა მიჯნურის მკლავს. ახლა დავითი სცდილობდა როგორმე ჩამორჩენილიყო დედოფალსა და ერისთავს, მაგრამ დედისიმედი წინ მიიწვედა, გონებადაფანტული ყურს მიუგდებდა მეფის ნაუბარს.

მარიამ დედოფლისა და ლიპარიტის საუბარი არა ცხრებოდა. ხან ცალკეული სიტყვები მოაღწევდნენ უკანმიმავალთა სმენადის, ხან მთელი წინადადებანი, ხანაც ნაფლეთები მათი, ხან ხმას დადაბლებდნენ მოსაუბრენი, ხანაც მკაფიოდ მოისმოდა მათი ნათქვამი.

ბოლოს იძალა დავითმა, მკლავში ხელი წაავლო ქალწულს, რუს გადაღმა გადაიყვანა, ბილიკს დასცლდნენ და ირიბად გადასჭრეს ვენახი. ვენახიდან რა გამოვიდნენ, ტრიაპელი ველი გადაიშალა მათ თვალწინ. უზარმაზარი მუხები და ნეკერჩხლები გაფანტულიყვენ მასზე.

მხარმარცხნით საბაზიერო სახლი იდგა, ხოლო მის გვერდით ნადირთა საჩიხე, მხარმარჯვენე მომცრო ბაზილიკა იყო ერთი, შავი ბაზალტის ბაზილიკა, რომლის დარი აროდეს ენახა დედისიმედს.

ამ სამლოცველოს გასწვრივ ისრის მისაწვდენზე სხვა ბაზილიკა იყო, მაგრამ არა შავი, არამედ მტუტისფერი. იმავე ფერისა იმავე მოცულობის, თანაბრად ურთიეჭთისაგან დამორებულ-

ნი მთელი მწკრივი ტანმორჩილი ბაზილიკებისა აღმოსავლეთის თვალსაწიერამდის გასდევდნენ ველს.

თვალსაწიერას კიდებზე, იქ სადაც ფირუხისფერი ცარგვალი მიწას ეხებოდა, მოსჩანდა ცადაზივნილი ციხე, რომლის ქონებურები ცადაქნილს შემბჯენოდა, როგორც კოლოსალური ეშვი.

აურაცხელი ხალხი ირეოდა ამ ბაზილიკების გარშემო, დასადავებელი ცხენები ნერგებზე მიეხათ კონკლებზე შემდგარი, ჩარდახიანი ურმები მუხებს ქვეშ მიეტოვებინათ.

ცხენების კიხვინი, საკლავის ბლავილი, ფალნიანი სახედრების ყროყინი ასმოდა შორიდან.

„მლოცველების ბრბონი მოსდებოდნენ თვალწევდენ ველს, შავი ბაზილიკიდან დაწყებული, ვიდრე ციხემდის.“

„რა ეკლესიაა მეფევე ბატონო, ვა?“
— შევეითხა დედისიშვილი დავითს, შავ ბაზილიკას მიაშვრა ხელი.

„ამ სამლოცველოს შავ ღვთისმშობელს უწოდებს ხალხი.“

„რად აუგიათ ასეთი პაწია ეკლესიები?“

„გულწრფელად ვითხრა, კარგად არ ვიცი, მაგრამ გიორგი ჭყონდიდელისაგან მაქვს განაგონი ჩემს ბაეშობაში, ამგვარ სალოცავეებს აგებდნენ ჩვენი ხალხი მირიან მეფის დროიდან უკვე.“

აგრე მიაშობდა მამაი გიორგი: იმ ხანებში დიდი ტაძრების ასაშენებლად არც საშუალებანი გაჩნდა ერს, არც თუ ეძალუბოდნენ დიდი ეკლესიების აგებას, რადგან მტერს თვალს მოსჭრიდა დიდშენთა ბრწყინვალება, დაღუწავდნენ და გააოხრებდნენ მათ.“

„თუ კიდევ სადმეა ასეთი სამლოცველონი?“

„როგორ არა, ამგვარი ბაზილიკებით მოფენილია როგორც ტაოკლარჯეთი, ისე შავშეთი, ზემო, შიდა და ქვემო ქართლი. არგვეთისა და მარგვეთის საერისთავოშიაც მინახავს მრავალი.“

დედისიშვილი შეევედრა მეფე, მკირე ხანს შევიაროთ ეკლესიებში ღვთისმშობელს თაყვანს მთავრად მეფემ კარგად იცოდა, იქ მისული შორიდანაც რომ დაელანდა მლოცველებს, ზღვა ხალხი შემოერტყმოდა გარს და ვინ დააცლდა ეკლესიაში შესვლას, ან ლოცვას.

ლითამი არა ჰქონდა მის მუზარადს ამ ჯერად და ბოლოს უამალოდ და ულითამოდ, იგიც ახალგაზრდა მანდილოსნის გვერდით, მისი მანდ გამოჩენა უხერხული ექნებოდა ფრიად.

ეს ყოველივე არ გაუმხილა ქალს და სულ სხვა რამ მოიმიზეზა:

„მიმწუხრამდის მოვიცადოთ, ამასობაში მლოცველები დაიშლებიან ალბათ, მერმე მე და შენ მარტონი ვეწვით შავ ღვთისმშობელს. გარდა ამისა, უხერხულია გამოვეთხოთ სტუმრებს.“

დაწინაურდა წითელ-ყვითელ სკარამანგში მორთული ბაზიერთუხუცესი, რომელსაც წოწოლა, ყვითელი მუყაოს ჩაიი ეხურა თავზე, მხრებზე ეყენები ჰქონდა დაკერებული, ფეხზე ეღრიალა დეზები, ეყენებით დამშვენებული შ.მის ფესვლები ეკიდა ხმლის ვადაზე.

ასე რომ ბაზიერთუხუცესის ყოველი მოძრაობა ერთობლივ ეღრიალს იწვევდა.

„ელარუნა, შესძახა მახარამ ბაზიერთუხუცესს, აბა გვიჩვენე სატურქლენი შენი.“

ელარუნა დაჯღანა, ენა გამოუყო მახარას, ერთი შეარხია ზემო წელი, ისე როგორც წყალში გაწუმბული ფრინველი შემაგამაღლება ხოლმე, წვიმის ნამცვრევების შემოსაბერტყად. დეზების რაჩხუნით და ეყენებს ეღრიალით შეუძღვა საბაზიერო სასახლეში სტუმრებს.

შენადრეოთუხუცესი და მახარა უკან მისდევდნენ მას, ხოლო ამ უკანასკნელთ გიორგი მეფე და ლიპარიტ ერისთავი, დავით მეფე და ნიანია ბაკურიანი, ჯონდი ერისთავი, შერგილ ლიპარტიანი,

ჩრდილელი გიორგი და რაინდები უკან მოჰყვენენ მათ.

მანდილოსნებმა: მარიამ დედოფალმა, კატაიმ, კურაპალატისსა მელიტა ცხვირსახოცები მოიშველიეს, რადგან მათ სახეში ეცათ ფრინველთა სკორეს სუნი.

დედისიმედი და გვანცა არ განიცდოდნენ ამ სუნს ისე მძაფრად, როგორც ქორ-მიმინოთა მოყვარულნი დიაცთა-განნი.

გაფუყულნი, ნაქრტენაბურჰგენილნი ყვინთადნენ ხარიხებზე ფოლადისფერი. ქრუნი, კლდისფერი, ჯაშვისფერი, ქვიშისფერი, შავი და თეთრი მიმინოები, ქორები და შევარდნები.

ისმოდა ეყენების ვლრიალი, ხანაც ის საოცარი ხმა, რომლის შესატყვისი არც ერთ ენაზე არ მოიპოვება, ხმა, რომელსაც ფრინველთა დამცხიკვება უნდა ეუწოდო მე აქ პირობითად.

ამ მტაცებელთა შორის, კაცთა ორანის შემცნობნი, ილლიდან ზანტად გამოიღებდნენ ხოლმე თავს, შეფრთხილდებოდნენ ერთს, შალა ასწევდნენ თავკისერს და მერმე მოჰყვებოდნენ ხორბლისფერ თვალების ბრიალს, ხოლო შორეულ ხარიხებზე მსხდარნი, ამთქნარებდნენ ზანტად, ამცხიკვებდნენ ჟამიდან-ჟამზე.

აქ იყვნენ სხვადასხვა ჯილაგისა და ანაგობის ქორ-მიმინონი, ახლადშეპყრობილნი, დაუგეშავნი და ახლად-დაგეშვილნი. ძველთაძველი კაბუტეტიცია, რომელთაც არაერთგზის უცვლიათ ნაქრტენი.

დაწინაურდა მახარა და პათეთიურად მიმართა ბაზიერთუხუცესს:

„ელარუნა, აბა გააცანი ჩვენს საპატო სტუმრებს ლურჯი მიმინო „არმოეშვა“.

ელარუნდა ელარუნა, გვერდით ჩაუარა რამდენსამე ხარიხას და შესდვა შალად ფეხებზე შემდგარ, ვაყვაცურად კისერმოღერილ ყვითელნიკარტიან და ჩალისფერ ფეხებიან მიმინოს გასწვრივ.

თვალების ირგვლივ მას ყავისფერი

წრეები აჩნდა, კისერისა და ზურგს, ფრთათა ზემო მხარეს წამწამსქრამი გადაპყრავდა, მოშავო ტრუტისა დაწმწკლულს, მკერდისა და ჩინჩაყვის არეები ვერცხლით სხურებულს მიუგავდა, ხოლო ფრთეთა ქვეშ მთლიანად ჩალისფერი ნაქრტენი ამშვენებდა მას.

როცა ელარუნა მიუახლოვდა მიმინოს და დაუწრუწუნა, მტაცებელმა იცნო მისი მოამაგე და ზედ მიშვერილ ტყავის თათმანიან მარცხენას დანდობილად დააფრინდა.

„აბა, ჩვენი საბაზიეროს სიამაყე ლურჯი მიმინო!“

სიტყვა ელარუნამ და ოდნავ ჩრდილიან არედან სამზეოზე გამოიყვანა იგი. სტუმართა შორის თანადამსწრეთ აგრე ეგონათ, მართლაც ლურჯ მიმინოს აჩვენებდნენ მათ.

ახლა მახარა მიეხალა ელარუნას, ცერი გაუშვარა მიმინოს, მანაც დაუწრუწუნა და როცა შორილი და თავმოდრეილი მტაცებელი შეაჯდა მარცხენაზე, სულ ახლოს მიჰგვარა მიმინო.

ლიბარიტ ერისთავი პირველი მიუახლოვდა ამ მიმინოს, დაინტერესდა: მართლაც თუ ლურჯიათ ეგ მიმინო?

შენიშნა: დიდრონი სმარაგდები ქონდა მას ეყენებს შორის ფეხებზე შებმული, მაგრამ, მახარაზე გაბოროტებულმა, არ ინდომა რაიმე ეკითხა მისთვის.

მახარამ უკითხავდაც განუმარტა სტუმრებს!

„ეგ მიმინო ლურჯი გეგონათ ალბათ, მის ფეხებზე შებმულ სმარაგდების გამო შევარკვეით მას ლურჯი მიმინო.“

კურაპალატისსა მელიტა გამოიყვო მანდილოსნებს, ხელი გაიშვარა მტაცებლის ფეხებზე შებმულ სმარაგდებისთვის, რათა დარწმუნებულყო, ნამდვილი პათიოსანი თვლები თუ იყვნენ ისინი, თავი დადრცია მიმინომ და დაპირა ცნობისმოყვარე დიაცის ხელის დაკორტენა, მახარამ უკან დასწია იგი, ხოლო კურაპალატისსა მელიტა ისე

შეერთა, ნიანია ბაკურიანს მიახალა თავისი განიერი და სავსე თეძოები.

მარიამ დედოფალი საერთოდ გულგრილად ექცეოდა საბაზიერო საქმეებს, რადგან ორივე მისი ქმარყოფილნი, უნიჭო ლეკსებმა ჯღაბნითა და ლოცვით იყვნენ მუღამ გართულნი:

მას პატროსანი თვლები უყვარდა განუწმელად და გარდა ამისა, არც გაეგონა ოდესმე მიმინოსთვის პატროსანი თვლები შეება ვინმეს.

ამიტომაც ეკითხა:

„მართლაც ნამდვილი სმარაგდებია, მახო?“

„ნამდვილი სმარაგდები, შენმა მშემან, მაიკო“.

განცვიფრდა მარიამ დედოფალი, მიამაშტერდა მიმინოს, მიმინოს კი არა, მის ფეხებზე შემბმულ სმარაგდებს.

მახარამ კვლავ გაიმეორა:

„ნამდვილი სმარაგდებია, არაბული, თუ არა ეცდები“.

ლიბარიტ ერისთავი გაოგნებული მისხერებოდა მიმინოს, მიმინოს და არა სმარაგდებს, ბოლოს არც აცივა და არც ატებლა, შეეკითხა მახარას:

სადაურიაო ეგ მიმინო?

„თუხარისის ციხისთავმა გამომიგზავნა ძღვნად, შავშეთიდან. ამ სამი წლის წინად მენადირებებს შეუბყრაოთ იგი, როგორც მაცნობეს, ხმა დარხეულა ხალხში: ქილირჯ არსლანს გაქცევიაო ნიკეიდან ეს მიმინო, სხვა არაფერი ვიცი მისი სადაურობის გამო“.

ლიბარიტ ერისთავი კვლავ მიამაშტერდა მიმინოს და თავი გააქნია რატომღაც. კუროპალატისსა მელიტამ ცნობის წადილი ვერ დაიოკა და ბერძნულად შეეკითხა მახარას:

„ჰო, მაგრამ ეს პატროსანი თვლები რად შეაბეს ფეხებზე მიმინოს?“

„არაბთა ხალიფები, სელჯუქიანთა სულტანები და ამირები რუბინის, ზურმუხტის, ვიშრისა, ქარვისა და სმარაგდის სამკაულებს უყვებდნენ მიმინოს“.

ეგ ცნობილია, მალიკმა სულტანს ერთი მიმინო გაექცა ნადირობის დროს ბაღდადის მახლობლად. მალიკმა მისი ღირქემის საფასური პატროსანი თვლები ჰქონდა თურმე ამ მიმინოს ფეხებზე შემბმული.

ნიხამ აღმუქის ვაჟს, მუეიდ აღმუქს სამი ქორი მოჰპარეს თურმე ასსასინებმა, ამ ქორებს ბარე ხეთი ათას ღირქემად ნაყიდი პატროსანი თვლები თან გაჰყოლია“.

ლიბარიტმა კარგად არ იცოდა ბერძნული, მაგრამ სახელებისა და ღირქემების ხსენებაზე დაახლოებით მიუხედა ნათქვამს.

ახლა კვლავ მიმინოს ათვალიერებდა ლიბარიტ ერისთავი და მის გულში აღსდგა ბრაზნარევი ძრწოლა.

ამ ხეთიოდე წლის წინად აჩუქა მას ტფილისის ამირამ ზუსტად ამ ფერის, ამ ანაგობის მიმინო.

ის მიმინო გაუფრინდა ლიბარიტს ყარყატზე ნადირობის დროს შაორის ხეობაში.

„სად ნიკეა და სად თუხარისი, სად ქილირჯარსლანი და სად თუხარისის ციხისთავი!“

ნიკეიდან გაქცეული მიმინო, თუხარისამდის როგორ მოაღწევდა, ვინ იცის, ეგებ ჯონდი ერისთავმა და მისმა თაკვერელებმა ჩაიგდეს ეგ მიმინო თრიალეთში ყოფნის დროს ხელში და მახარას უსახსოვრეს ნაპარმაგევეში.

არა, ქილირჯ არსლანის ამბავი, მახარას მიერ მოჭორილია უთუოდ“.

გაოგნებული შესცქერის ლიბარიტ ერისთავი ამ მიმინოს და ფიქრობს:

„სმარაგდებით? ვინ იცის, ეს სმარაგდები თავათ შეაბა ეგებ მახარამ მიმინოს, რათა გზაკვალი აუბნიოს მის პატრონს?“

დავით მეფემ ციხენი წაართვა ლიბარიტს, ხოლო ქოსა სატანამ მისი მიმინო მიითვისა.



ეს ყოველივე ემთხვეოდა ლიბარიტის თვალში წარსულის ერთ მოგონებას, მისთვის ფრიალ და ფრიალ სამწუხაროს:

როცა სულა კალმანელმა და მესხებმა შეიპყრეს ლიბარიტ დიდი და ძე მისი ივანე, მიპყვარეს ახალქალაქში ბაგრატი მეფესა, ლიბარიტ საბერძნეთს გადაასახლა მეფემან და მანგლისის სასახლიდან მოუტანეს მას ხმალი, თორაბეჯარი და მიმინო ლიბარიტისეული.

ბრაზი წაეკიდა ლიბარიტ ერისთავს გულზე. ბაგრატივანებისადმი მტრობა კვლავ ალაღობდა მის გულში.

მანდილოსნები მორიგეობით მიდიოდნენ „ლურჯ მიმინოსთან“, მახარას ახლოს მიჰყავდა მათთან იგი, ქალები მომეტებულის ყურადღებით ათვალიერებდნენ არა მიმინოს, არამედ მის ფეხებზე შებმულ პატოსან თვლებს.

ხოლო ლიბარიტ ერისთავი თვალს არ ამორებდა მიმინოს და მისი გული უფრო და უფრო ივსებოდა ბრაზით.

იგი მზად იყო ხმლით აეკუწა ეს „ქოსა სატანა“, სწორედ ამ წუთში გიორგი მეფემ მას მკლავში წააგლო ხელი და უთხრა ტყბილად:

„ახლა ნადირთა საჩიხე ვნახოთ, ჩემი ავაზები უნდა გიჩვენო, ლიბარიტ“.

ლიბარიტ ორბელიანი ფიქრებისაგან გამოიერყვა და თავმოდრეკლად თან მიჰყვა საჩიხესკენ მიმავალ მეფეს.

.
.

ნიანია ბაკურიანი ნაჭარმაგვეს ჩამოსვლის წუთიდან ხელმარჯვე ღროს ეძებდა, მარიამ დედოფალს. ვასაუბრებოდა როგორმე, მაგრამ ვერც პურობამდის. ვერც მას შემდეგ ეს ველარ შესძლო.

ხან დედოფალი ელენე და გიორგი მეფე, ხან გიორგი კუონდიდელი და ლიბარიტ ერისთავი ესაუბრებოდნენ მას. ნასადილევის შამან ერისთავი ფეხზე წა-

მოდგა ნაავადმყოფარი ეახლა მათთან საუბარს შეუდგა იგი. *მარტინეული*

ნიანია კმაყოფილი იქნა უკანსკანსკრამ შეატოვა ხელში კუროპალატისსა მელიტა.

ახლა ჯონდი ერისთავს არა სცილდებოდა ნიანია, ცდილობდა როგორმე ახლოს მისულიყო დედოფალთან, აგრე ფიქრობდა: დამინახავს თუ არა, მიხმობსო.

ბოლოს როცა დედოფალი მარიამი ნადირთა საჩიხესკენ გაჰყვა გიორგი მეფესა და ლიბარიტ ერისთავს, ნიანიამ აიყოლია ჯონდი და სულ ახლოს მივიდა მარიამთან, რომელიც ისპაჰანურ ავაზებს ათვალიერებდა რკინის გალიაში გამომწყვდეულთ.

ძუს მიწაზე დაედო თავი, გალურსული სთვლემდა, ხოლო ხეადი ფეხზე მდგარი ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდა სტუმრებს.

მახარამ გალიის კარი შეაღო და უშიშრად შევიდა შიგ, თანაც შიგნიდან გადაარაზა იგი.

მანდილოსნები შეძრწუნდნენ, მარიამ დედოფალმა წამოიძახა:

რას ჩაიხიზარო, მახო?

ლიბარიტ ერისთავი და ივანე დუკისძე რკინის გალიას მიეახლენ, გამალებული თვალს ადევნებდნენ ამ სანახაობას.

გიორგი მეფე მიუახლოვდა მარიამს, მკლავში ხელი წააგლო და ეუბნებდა:

„ნუ გეშინია მაიკო, მახარას შემოჩვეული ჰყავს ისინი“.

მართლაც და ავაზები თავაზიანად შეგებნენ მას.

მახარა ჯიქურ მივიდა ხვადთან, ორივე ხელებით ყვრიმალები დაუსრისა ნადირს, მერმე ძუ წამოაყენა, ხელი გადაუსვა ქელზე, დაუყვავა, მასაც დაუწყო ყვრიმალებში ღიტიანი.

აეაზა თვალებს ნაბედა სიამისაგან და ისე ამოდ ხრუტუნებდა, როგორც ეს შინაურ კატებს ჩვევით ზოლმე.

როგორც კი გალიიდან გამოვიდა მახარა, მარიამმა გულდამშვიდებით ამო-

იოხრა, ლიპარიტ ერისთავი იოანე დუქისძესთან დასტოვა და თავით ჯონდისა და ნიანის შორის ჩადგა.

დედოფალმა ალერსიანად მიმართა ჯონდის:

„შენი მგზავრობის ამბები წვრილად მომიხრო გიორგი ჭყონდიდელმა გეგუთში, ჯონდი. ალექსი კომნენსაც მოახსენეს ტატიკუსმა და მისმა ასისტავებმა შენი თავგანწირვისა და ეპეჯავობისათვის.

ბარაქალა შენს ცაკობას, შამან ერისთავის ეპისაგან არც მე მოველოდი სხვა რაიმეს, გეთაყვანე“.

ჯონდის მამლის ბიბილოსავით გაუწითლდა განზე გამდგარი ყურები, ეხამუშა შექება, წაიდუღუნა მხოლოდ: „მე რა, დედოფალო, მე ჩემიანებს ვიციადი მხოლოდ, გმირები სხვანი იყვნენ იმ ომებში, ავგუსტა“.

ნიანა ბაყურიანს გული ეტყინა არა იმის გამო, რომ მარიამმა აქო ჯონდი, არამედ იმიტომ, ორთა შორის პირველად მას რომ არ გაესაუბრა მარიამი.

საერთოდ ნაჭარმაგვეში მასთან შეხვედრით მაინც და მაინც კმაყოფილი არ იყო ნიანია. დედოფალმა საკმაოდ გულგრილად მიანება ეაეს საამბოროდ გაწვდილი ხელი, არც კი მოუკითხავს, ისე მიაჩეჩა იგივე ხელი წვერცანცარა იოანე დუქისძეს.

ამჯერად მარიამ დედოფალი გამოცვლილი ეჩვენა ნიანიას. ფერმკრთალობა ვადაპკრავდა ოდნავ უფრო გამხდარ სახეზე, ჩვეულებრივი სიკისკასის ნაცვლად, ვასხებილ თავაზიანობას ამკლავნებდა იგი როგორც მსცოვან, ისე აბალგაზრდა ერისთავთა და დიდებულთა მიმართ.

მაყვლისფერი კაშემირის ფონზე შეფარებული მწუხარების ჩრდილი რიალებდა მის სახაზე.

როცა მახარამ მეღიების, მგლების, ტყისკატების საჩიხესთან ვაატარა სტუმრები, დედოფალი შესძრა გალიებიდან გამოსულმა უსიამო სუნმა, ცხვირსახოცი აიფარა ტუჩპირზე, ასე

მიჰყვებოდა რაინდებს მცირე ხანს და მერმე შეეკითხა ჯონდის: „თუ ავადმყოფობდარ დედოფალყოფილი გზაში?“

„არაო.“

მიიღო პასუხი.

„ხომ არა კრთოდა განსაცდელთა პირისპირ ბედშაეი?“

„პირიქით, ავგუსტა. საცებით გაუგონარი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა დედოფალყოფილმა. ეს იყო ოღონდ, მემინოდა შემშლის არ ემსხვერპლნა იგი.“

ხორცეულს ზომ რა სკამდა მონაზონი რიფსიმე, ზოლო სამარხვოს იშვიათად თუ მოვახელებდით ზოლმე, მცირეოდენ ზეთისხილს, მწვანილს ან ოსპს; სადილობის ეამს როგორც კი შენიშნავდა მოხუცებსა და მონაზუნებს არ ეყოფათო საყვები, მყისვე აღიკვეთდა ჭამას.

გამუდმებული ლოცვითა და წყლით იკმაყოფილებდა თავს. *

თავისი იშვიათი თავმოდრეკილობითა და განსაცვიფრებელი თმენის უნარით იგი მაგალითს აძლევდა დიდსა და მცირეს.

თვით თურქების თავდასხმებისა, შავი ეამისა და ერთობლივი სიკვდილიანობის შემთხვევებში, როცა მრავალი ათასი ადამიანი მკალივით იქლიტებოდა ჩვენს თვალწინ, დედოფალყოფილი გულდამშვიდებით ეგებებოდა განსაცდელს.

უკვე იერუსალიმში ჩასულს მიამბობდნენ მონაზონთაგანნი მისნი მზღებელნი: მხოლოდ ერთი რამ აწუხებდაო დედოფალყოფილს, თავისი პირმშოს უფლისწულის დარდი.

ეგ არისო ერთადერთი და უკურნებელი იარა ჩემს გულში ამ ცხოვრებიდან წამოყოლილი“.

როცა ამას ყოველივეს მოახსენებდა ჯონდი ერისთავი მარიამს, იგი ეამიდანეამზე განზე მიიქცედა ზოლმე პირს, ვრემლები მოწაწყამებდნენ მის ლაწვებზე და ისე ლელავდა, ცხვირსახოცის ამოღებაც ავიწყლებოდა.

„იერუსალიმში ჩასვლის უმაღლეს დიდძალი ოქრო და პატროსანი თვლები შესწირა დედოფალყოფილმა ქართულ მონასტრებს, რამდენსამე ეკლესიაში პარაკლისები გადაახდევინა უფლისწულის დემეტრეს მზეგრძელობისათვის“.

დასძინა ჯონდიმ.

დავით მეფე მარიამ დედოფალს მიეახლა, შეეკითხა: დედისიმედი შენთან ხომ არ იყოფო წელან?

ჯონდიმ მყისვე შესწყვიტა რუსუდანის გამო საუბარი.

მეფემ მკლავში ხელი წაავლო მამიდას, ირმების საჩიხესკენ მამავალ ბილის დაადგნენ ორივენი.

დაწრიალებდა უზარმაზარ გალიაში ხეადი ლომი, მოუსვენრად იბრაგუნებდა ფერდებზე კუდს.

„ეს ირმები ოესთა მთავარმა მოგვიძღვნა შარშან, შვიდი ხარია, სამიც ფური, ის ერთი წყვილი, ანაკოფიის ციხისათვის მიერაა წარმოგზავნილი. ერთიც, ქვემოლარე — ნუკრია“.

საქვა მეფემ.

მახარამ მერე მკლავში ხელი წაავლო დედოფალს და უთხრა:

„ეს ნუკრი ავადყოფობს თურმე“.

მახარამ საჩიხეში შეიპატიოა სტუმრები. მარიამმა გულგრილად შეიხედა შიგ, შესვლა არ მოისურვა და განაგრძო გზა.

მცირე ხანს უხმოდ უკან მიჰყვებოდნენ დედოფალს ნიანია და ჯონდი.

როცა ირმების საჩიხეს გასცდნენ და გარეული თხებისას მიეახლნენ, დედოფალი ნიანიას მიუბრუნდა და თითო უჩვენა საჩიხეში ლანდივით მორიალე ნადირზე.

„ეს ჯიხვია თუ არჩვი, შენ რას იტყვი ნიანია, აა?“

„არც ერთი და არც მეორე ავგუსტა. ნიანია ძირს დაიხარა, დაკვირვებულად შეათვალეირა ნადირი და განაგრძო:“

„ეს ვახლავთ აჰუ, სპარსნი აგრე უწოდებენ მას.“

ჩვენში ასეთი რამ მე არ შემხვედრია

არც დავაღეთსა, არც კახსა და არც კეხ-ხაზეთში“.

გინგლიჩიშვილი

„აჰუ!“

გაიმეორა დედოფალმა და დააკვირდა ამ უცნაურ ცხოველს. რამდენიმე ნაბიჯი გადასდგეს და ექვისოდუ ცალი კიდევ დაღანდეს ამგვარი აჰუ.

დედოფალმა სიტყვა:

„როგორი სილამაზით შეუმგვია ეს ნადირნი არსთა განმგებელს! მათ თავათ არ უწყიან თუ როგორი საყვარელნი და მშვენიერნი არიან.“

დამაცათ, მოვიფონო... მე მინახავს ბრიზოტრიკლინის სასახლეში სასანიდების მიერ ბიზანტიელ იმპერატორებისადმი მიძღვნილი სურათები ამ ნადირთა, რომელთაც შენ აჰუ შეარქვი, ნიანია, წელან.

მაგრამ ვანა ადამიანს ძალუძს, გეთაყვანე, უფლის მიერ შენაქმნის სილამაზის გადმოცემა კალმითა და ფერადით!

უნდა ვითხრათ, ჩემო კარგებო, მე არ მიყვარს ამ ტყვექმნილ ნადირთა და ფრინველთა წამებით გართობა. ბუკოლეინის სასახლეში უამრავი ლომები, ვეფხვები, ავაზები და ირმები დამახვედრა იმპერატორმა ბოტანატესმა.

ესენი ოდესღაც გამოეგზავნათ არაბთა ხალიფებს, სელჯუკიანთა სულტნებსა და ამირებს კონსტანტინეპოლში, ხან ძღვნად, ხანაც ძღვენთა სამაგიეროდ.

ამ უბედურ ნადირთა დვრინვისა და ბლავილისაგან ძილი მქონდა გამკრთალი. შევევედრე ჩემს ქმარყოფილს, ბოტანატესს: ამაცდინე მეთქი ეს სიმძიმილი.

მერმე ის იყო კეისარყოფილმა უბრძანა ნადირობის ლოგოთეტს: ირმები დაჰკლეს, ხოლო ლომები, ვეფხვები და ავაზები გალღერებში ჩასვეს და კუნძულზე გადაასახლეს.

ბოტანატესი არც ნადირთა უყვარდა და არც ნადირის ზორცი. იგი ერისკაცობისას შინაურ ცხოველთა ზორცის მოტრფილად იყო, განავონი გეჰნებათ

ალბათ, ტახტის დაკარგვისა და შემონახუნების დროს მის მიერ ნახუმრები: იმპერატორის გვირგვინს როდი მივსტირი, ეგ ლა მაწუხებხ: ხორცის ქაპა რომ აღმეკვეთათ.

მუდამ ამას ამბობდა: რა სჯობიან ბატკნებისა და ციკნების მწვადებს! ხშირად იფონებდა კომეროსის ცნობილ ლექსს, რომელშიაც ქურდში ხრიზე აყვედრის აპოლონს, ვერცხლის მშვილდოსანს.

...სმიტეუს, მე ხომ გიგებდი დიდშენთა ტაძართ.

ხომ გიბრაწავდი თხის მწვადებს, შენდამი მირთმეულს მსხვერპლად". ილიადას ეს სტროფი ბერძნულად წართქვა მარიამმა და განაგრძო კვლავ: „გორგი მეფისაგან ისწავლა მან ქართულად შეწვა სუკებისა, ბევის მოხარშვა და ჯიგრის შეკაშვვა ნივრითა და რეპანით.

მე ვიცი, თქვენ ორივენი ნადირობის მოტრფიალენი ხართ და ამიტომაც გეტყვობთ, რასაც ახლა გეტყვით, ჭაბუკნო.

ადამიანურ ვნებათა ყოველგვარი გამოვლინება ვასაგებია ჩემთვის, მაგრამ ერთი რამ არ მესმის: ეგაა ნადირობა.

ასე გამოდის, ნადირობის მოტრფილე წარჩინებულნი შიშობენ, როგორც სჩანს, არავის დაეიწყდეს, რომ მათთა წინაპართა წინაპარნი ველურები რომ ყოფილან ოდესღაც.

როცა თქვენ მტაცებელ ნადირებს ხოცავთ, ეს ბუნებრივია, მაგრამ რას ერჩით ამ ტანხატულა ხოხბებსა და კაკბებს, ღურაჯებსა და ქედნებს, ირმებს, ჯეირნებს, არჩევებსა და თუნდაც ამ მშვენიერ აქუსს..."

მარიამ დედოფალი საჩიხეს კართან მომდგარ აქუს დააკვირდა კვლავ.

„როგორი კოხტა გიშრის ჩლიქები აქეს ამ ლამაზს, როგორი პრილა ბეწვი, მის მშვენიერ თვალებში მე ერთ რაჰეს ვკითხულობ: ეგ არის გაოცება.

გაოცებულაიათ თითქოს ეს უმწიკველო

და უზადო პირუტყვი, კაცთა გულმხეცობისაგან შედრული. ერკონესული რას მერჩითო მე უმწიკველია მწიკველობელს, უბოროტოსა და უენებელ პირუტყვს?!

რას გიშაგებთ, ან რას გიჭამთ მე უბედური, თქვენ რა ჯაფა დაგდგომით იმ ნეკერის დარგვაში, რომელიც ტყეში ამოსულა ანაზდად?!

ჰაჰ, ჰაჰ რა უგულაო და უმართებულო კაცთა მოდგმა, ვაგებო!!"

აქუს საჩიხეს უკვე გაცდენილნი იყვნენ, როცა გვანცა მიუახლოვდა სამთავეს, მანაც დედისიმედი იკითხა, მერმე ჯონდის მკლავში წაავლო ხელი:

წამო დედისიმედი მოვძებნითო.

ამოდ ემუდარა ნიანია მარიამ დედოფალს: მახარასთვის ფხოვერი დათეები ჩამოუყვანიათ და ვნახოთო, მაგრამ მარიამი უარზე დადგა და ისევ საბაზიერო სახლისაკენ გააბრუნა იგი.

უკვე სიღამე ეშვეებოდა მახლობელ ველებზე.

ფარშეანგების ძახილი ისმოდა ბალიდან.

„მე მგონია, სთქვა მარიამმა, ფრინველთა და ცხოველთა შორის, ერთად ერთს—ფარშეანგს უნდა ჰქონდეს შეცნობილი საკუთარ ნაკვრტენთა მშვენება“.

ნიანიათ გაიცინა:

„მე აგრე მეოცნებება ავგუსტა: ასევე ემართება ხოლმე კაცთაგანსაც, როცა იგი თავის სიღამაზით, სიბრძნით გინა გმირობით ქადილს დაიწყებს, იგინიც ისევე უსიამოდ მოსასმენია, როგორც ფარშეანგი“.

დედოფალმა ღამილით მიუგო:

„შენ ამ ჯერად ცამდის მართალი ხარ, ნიანია, მაგრამ ეს უნდა გითხრა გულწრფელად:

თქვენ მამაკაცები ერთ რამეში ჰვახართ ფარშეანგს“.

???

„მანც რითი, ავგუსტა?!"

„თქვენ როგორც კი შენიშნავთ, რომ ვინმეს გული შესტკივა თქვენთვის, ამას

თქვენ საკუთარ ტალანტებს მიაწერთ ხოლმე და ფარშავანგით გაიფუცებით“.

„რად ინებებთ იგავების ენაზე ჩემთან საუბარს, ავგუსტა?“

„არა, მე შემძლია შეუფარველადაც გითხრა, რასაც ვგრძნობ“.

„მე უიგავოდაც ვგრძნობ, გულნატკენი რომა ხართ ჩემს მიმართ“.

„შენ როგორ და იგრძენი ეს? მე მკვირვებს ეგა“.

„რათა ვითომ? ნუთქ აგრე უგულოდ წარმოგიდგენივარ, ავგუსტა?“

„თქვენ მამაკაცები ასეთნი ხართ, საერთოდ. თქვენ მართო სხეულზე როდი გაცეით აბჯარი, ვგონებ გულზედაც“.

მე არ ვამტყუნებ თქვენს ჯილავს, მამაკაცი იძულებულია გულცივი იყოს და გრძნობიერებისათვის შეუვლიც უამიდან-ეამზე“.

საკმარისია თქვენ ზღვა გადალახოთ, ან მთა გადაიაროთ, რაც ზღვის გაღმა, ან მთის გადაღმა დაგრჩებათ, ეგ იქნება მხოლოდ ბუნდოვანი მოგონება, სხვა არაფერი“.

„არამც თუ ყველა კაცი, არამედ ყველა ზე როდია თანაბარი, ავგუსტა, მაგალითისათვის შეგახსენებთ, ნეკერჩხალსა და ძელქვას უფრო მეტი მზურვალობა აქვს წვისას, ვიდრე იფანს, ან თხმელას“.

„მე მგონია კმარა ირიბი ლაპარაკი“.

„არც მე მიყვარს, ავგუსტა, ეგა. კაცი შუბივით პირდაპირი უნდა იყოს და არა ღრიანკელივით დაღვარქნილი, არა?“

„შენ გულნატკენი ბრძანდები, ავგუსტა, მაგრამ მე არ დამიშასხურებია, ვგონებ“.

„გულნატკენიო?“

აქ შეყოყმანდა დედოფალი და დასძინა.

„გულნატკენი არა და გულნაწყენი რომა ვარ, ამას ვერ დაეფარავ, ნიანიი, ჩემო“.

მე არა მჯერა, შენ არ შეგძლებოდა ორიოდ თვეს კონსტანტინეპოლს დაეყვინებულეიყავ, ჩემი გუმანი სწორი აღ-

მოჩნდა. ამ ხნის მანძილზე როცა რომი ატეხილდა და არც აღლუმის დაელოდა და ვით აუფეს, ზომა? „გინჯლინიშიჰა“

„ომი მე არ მომიმიზეზებია, ავგუსტა. მე მოგახსენე, აღლუმი. გიორგობას, შაორის ხეობაში უნდა შემდგარიყო იგი“.

„ხომ არ შემდგარა, მერმე?“

„უჩვეულო თოვლიანობამ ხელი შეგვიშალა, ავგუსტა“.

ესა სთქვა ნიანიამ და აქწინებულნი მელიტა მიეჭრა დედოფალს.

რა მოხდაო?

ეუბნება მარიამ დედოფალი.

„დედისიმელს დაეძებს ლიბარიტ ერისთავი. ეენახი და ბალი შემოვიარეთ მე და გვანცამ მესტუმრეთუხუცესი სასახლეში წარვგზავნეთ, ვერც მანდ იბოვეს იგი“.

მარიამ დედოფალი შეკრა, ნაბიჯს აუჩქარა და სასახლისაკენ მიმავალ ბილიკს მიჰყენენ სამივენი.

როცა დავით მეფე შინ მიბრუნდა, ნაპარმავევის სასახლეში დიდი და მცირე ფეხზე იდგა. კატის გარს მოსხლო-მოღწენ დედოფლები: მარიამი და ელენე, ლიბარიტ ერისთავი და გიორგი მეფე თავათაც შეჭრწუნებულნი იყვნენ, მაგრამ უიოლებდნენ მანდილოსნებს წუხილს.

მესტუმრეთუხუცესმა და მახარამ მანდატურნი თან წაიყვანეს, ბაღსა და ეენახს მოსჩხრევენო ხელახლა.

ლიბარიტმა სთქვა:

„სიყრმიდანვე განმარტოება სჩვევია მას, დიდი სტუმრობის დროს არა ერთხელ დაგვკარგეით აგრე, ვეძებდით, ვეძებდით, სადმე ცაცხვის ფულუროში გვიპოვნია გატვინული ბაღლი“.

როცა შემამზლებებმა ალყა და ქონი შემოიტანეს, სასანთლეთა ანთებას შეუდგნენ და მოხშირდა ლანდების ლასლასი მწვენი დარბაზში, დავითმა დრო მოახელა და უჩუმრად გავიდა დარბაზიდან, მიჰყვა ვიწრო დერეფნებს, ციხე-დარბაზის ეზოსკენ მიმავალს.

მოუსვენრად დარბოდნენ მანდატურ-

ნი და მემამულენი, ეძებდნენ ყოველ კუნძულში ერისთავის ასულს.

ციხე-დარბაზის ეზოში ჩიჩქოლი იყო, ხელჯალიანი მსახურთუხუცესი დაქოთქოთობდა, ლანდები დაღასლა-სებდნენ აქაც.

მეფემ გადაიარა ვრცელი ეზო და ვენახისკენ მიმავალ გვირაბში შევიდა. როცა იგი ვენახში გადადიოდა, კაკლის ქვეშ საბი მანდატური წინ შეეფეთა, ვერც ერთმა ვერ შეიცილა იგი, ბოლოს მეფემ შეაყენა ერთი მათგანი, რომელსაც ჩამქრალი მამხალა ეპირა ხელში.

სად იყავით?

შეეკითხა მეფე.

იმ გადაკარგულ სტუმარს ვეძებდით, უფლისწულო ბატონო.

კაკლის ჩრდილში მდგარ მანდატურის სახეს ვეღარ ხედავდა მეფე, მაგრამ მიხედა, საბია უნდა ყოფილიყო ეგ, რადგან მხოლოდ საბია უწოდებდა მას ჯერ კიდევ, „უფლისწულს“.

სახარა ხომ არ გინახავს?

მშვილად შეეკითხა დავითი.

სახარა და ჯონიდი ერისთავი ჩვენ წინ მიდიოდნენ, ნუთუ არ შეგხვედრიათ?

საბიამ მემამულენი დაითხოვა და თან გაჰყვა ვენახისაკენ მიმავალ მეფეს.

„ამოდ მიბრძანდებით, უფლისწულო მანდეთკენ, ჩვენ ერთობლივად მოვიზრიკეთ, როგორც ვენახი და ბაღი, ისე საბაზიერო და საჩიხენი, ახლა კვლავ ციხის ეზოში დავძებნით.“

ეგებ რომელიმე კოშკის ტალანში შეიტყუა მაგ დიაცი ცნობის წადილმა, თუ მანდაც ვეღარ ვნახეთ, მერმე ლიახვში უნდა ვეძიოთ, უფლისწულო ბატონო, იგი“.

ამ სიტყვების გაგონებაზე გველცემულივით შეკრთა მეფე, ნაბიჯს აუჩქარა და ვენახისაკენ მიმავალ შარას მიჰყვა.

მემამულეთუხუცესმა არ ინდომა მართო დატოვება მეფისა, უკან მისდევდა, მამხლებს მოვატანიებო ახლავე.

ჩემი მამხალა ჩამიქრა, ახლავე მოვატანიებო სხვათა.

მეფეს არ ეპრიანებოდა მისი წამოსვლა, უკმეხობის გამოჩენის შემდეგ, ვეღარ შეჰკადრა მოხუცებულს მამამცილდით.

ეს და უთხრა: ნუ უხმობო მემამულეებს.

მიჩაჩქაქებდა მემამულეთუხუცესი ბნელში, დუღუნებდა თავისთვის:

„შე მას დაეკვირდი ამ საღამოს, უფლისწულო ბატონო, რალაც დაზაფრული მეჩვენა ეგ დიაცი მენა.“

არც ეგ იამა მეფეს, მაგრამ ხმა არ გაიღო და განაგრძო ცაცხვების ჩრდილებს ქვეშ სვლა.

როცა ჩრდილეთიდან გამოვიდნენ, ხელის გულივით გამოჩნდა დაბლარი ვენახი. ამოდ ეძებდა დავითის თვალი ამ შემოგარებში ადამიანის ლანდს, არსად ისმოდა უმცირესი ჩქამიცა, ზღარბნი და რკუნი დაჩალიჩობდნენ აქა-იქ.

ცას ვარსკვლავი მოსწყდა.

საბია შესდგა და მეფის გასაგონად ჩაილაბარა ხამაღლა:

„წრეულს ისე მოხშირდა ვარსკვლავთა ცვენა, ომი იქნება უთუოდ. იმ წელსაც აგრე იყო, უფლისწულო ბატონო, როცა შენ დაიბადე, იმ წელსაც... დროული კაცები ამბობდნენ მაშინა: მომბარი მეფე შეგვეძინაო.“

მეფემ არა მიუგო რა, შესდგა და ახლა ცას.

„მთვარეს დააკვირდი, უფლისწულო, ბატონო, გამოხურვებულ ოქროსებრ წითელი გარო მოსდგომია გარს. დიდი თურქობის დროსაც აგეთი იყო მთვარე.“

ჩემს სამთვაროშიაც ვერა სჩანს მაინც და მაინც კაი ამბები, უფლისწულო ბატონო“.

დავითი სღუმდა ისევ, მან აღარ იცოდა როგორ მოეცილებინა მოხუცი, სხვა დროს დიხაც უყვარდა მას საბიას უნაითო ბეუტური, ახლა სამსკვალისვით ეცემოდა მისი სიტყვები გულზე.

მეფე ხედავდა მოწყურებოდა მასთან საუბარი მოხუცს, მიტომაც გადასდია ახლა ვენახში.

დავითი შესდგა, მიუბრუნდა საბიას:

„ნუ დაშვრები, ჩემო საბია, მე თავი მტკივა, გავივლი მცირეს“.

„არა რა მიშავს, შენთან ყოფნა ლეხნაა ჩემთვის. დაგვიძვარდა შენი ხილვა, მეფევე ბატონო“.

აგრე იარეს მცირე ხანს ორივემ, ბოლოს მეფე გამობრუნდა და ეუბნება მოხუცს:

„შენ დაბრუნდი, ჩემო საბია ახლა, მახარა მოსძებნე და უთხარი ვენახში გადმოვიდეს, მე აქ ვიქნები ახლომახლო სადმე“.

მეფე შეყოყმანდა. დაენანა, რად შევაწუხოვო აქ მოსვლით მოხუცი. ახლა ეს შესძახა საბიას; შენ წადი და ნურც მახარას უხმობო ჯერ.

საბია შესდგა, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა და ციხისაკენ გაბრუნდა კვლავ.

მეფემ გადაიარა დაბლარი, ახლა მცირე ვენახი დაიწყო, ბაბილოვანი¹. წელში გადრეკილი იდგნენ კომისი, ატმის, დამასხის ხეები, მათ უსუსურ შტოებზე დაბუნძული შტევენები ქვისგან გამოკვეთილივით მოსჩანდნენ ჩრდილის არშიათა ფონზე.

თავშიშველი მიდიოდა მეფე, რთვილის სიგრავს გრძნობდა მღელვარებისაგან გახურებული შუბლი. აქაც დუმილი დაენებულებო ირგვლივ, ადამიანის ლანდი არსად ჰკავნებდა.

დიდ ვენახში გადავიდა, უზარმაზარ ხურმებზე, მსხლებზე და კაკლის ხეებზე გასულ ვენახს ქვეშ ერთობლივი ჩრდილი იყო განფენილი მიწაზე, აქ ეგულეობდა მეფეს დედისიმედი საოცნებოდ მარტოკა გასული.

ჩამიჩუმი არსად ისმოდა აქაც, მარტოხელა ჰოტი იძახოდა სადღაც.

ახლა ჩელტის კარი გააღო მეფემ და ველებისაკენ მიმავალ შარას დაადგა გულშემოყრილი.

ყოყმანობდა, შავი ღვინის მშობლს კენ წასვლას.

იცოდა: მშიშარა იყო და მარტოკა როგორ წავიდოდა ამ სიმორეს. გეანცა და ლელაი სასახლეში იყო, სხვას ვის წაიყვანდა თან?

ეგეც არ იყოს, თუ ლოცვა უნდოდა, ნაპარმაგვეის კარის ეკლესიაში შეიძლებოდა უთუოდ.

ცხენების რემა სძოვდა მიმოფანტული ნერგების მახლობლად, ნერგებს გადაღმა მუხებისა და ცაცხვების ნაჩრდილენი გოლიათური ნაბდებივით განფენილიყენენ ტრიამელ ველზე, ხოლო მათ გადაღმა მოსჩანდნენ ბაზილიკების მრუშე სილუეტები, აღმოსავლეთის თვალსაწიერის კიდემდის ჩამწკრივებულნი.

არსად რიალებდა უმცირესი ლანდიცა, ამ უკაცრიელ ველზე უკვე იღარ სჩანდნენ ხატიონთა ჩარდახიანი ურმები, აღარც კოცონები ენთო, არც თუ ჩქამი ისმოდა უმცირესიცა სადმე.

ტურების კვიელი ისმოდა. უცნაურად ბედითი ეჩვენა ამ ნადირთა გზასი, თვალი მოავლო ველს, არსად სჩანდნენ ეს მოზარენი.

როგორც ეჭნა მიადწია შავი ბაზილიკის გასწვრივ მდგარ მუხასთან. შავი ძალი იწვა მიწაზე, ხატიონების მიერ დაყრილ ძვლებს ღრღინდა ბუჯითად.

მუხის ჩრდილში შემდგარმა დავითმა დაზეერა ეკლესიის შემოგარენი, მოქლონები ეკიდა ტაძარზე მიღგმულ შრამელებზე, ღია დაეტოვებინათ ბაზილიკის კარი.

მის გასწვრივ რამდენიმე ლანდი შენიშნა მეფემ, მიწაზე განრთხმული ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ესენი.

როცა ისრის მისაწვდენზე მიეახლა ეკლესიის კარებს, უფრო თვალნათლევ გამოჩნდნენ მუნ მწოლარე მათხოვრების ლანდები.

შეყოყმანდა მეფე, ვაჰ თუ ფეხის ხმაზე წამოცვიდნენ და შემიცნობო, მაგრამ დაქანცული ადამიანებო იწვნენ,

¹ ბაბილო — ეწოდება ამ ხეს, რომელზედაც ვენახს მიუშვებდნენ ხოლმე ძველ საქართველოში. ჩვეულებრივად ბაბილოდ მინდულს ჰქონდათ ნაყოფიანი ხეები.

ზოგი თავქვე, ზოგიც პირადმა, მთვარე დანათოდა მინარეთა სახეებს.

ერთობლივი ხროტინი ისმოდა ირგვლივ. შეეხარბა მღელვარებისაგან შეძრულს ამ უბოვართა სახეზე აღბეჭდილი უდრტვინველობა.

სულ რამდენიმე ნაბიჯი უკლდა ბაზილიკის ღია კარის ზღურბლამდის, საკმევლის სუნი ეცა, თანშერწყმული იმ უსიამო სუნთან, რომელიც ხალხით გავსილ ეკლესიებში საცნაური ხდებდა ხოლმე.

საკუთარი გულისცემა შეიცნო დავითმა.

სიმწრის ოფლი გამოუვიდა შუბლზე, ეშინოდა ზღურბლზე გადალაგებისა უკვე.

ერთიც ვნახოთ, აღარც მანდ აღმოჩნდეს.

მაშინ?

მაშინ, ვინ იცის, ეგებ ენამ უყვილა მაგ ოჯახქორ საბიას და მართლაც ღიახეში საძებარი გახდესო!

ფეხაკრფით შევიდა ტაძარში. ბნელოდა ოდნავ.

დალუღული სანთლები თაფლისა უნიათოდ ბეჭუტავდნენ კანკელის წინ.

მიმოიხედა მხოლოდ წმინდანების შარავანიდან თავებსა და ხმალაკარჭით აღჭურვილ ერისმთავართა ფრესკები დალანდა.

აჩრდილებივით ატუზულიყვნენ ისინი კედლებზე.

დავითს თვალში ეცა ღვთისმშობლის პირქუში სახე. უნიკო ბიზანტიელ მეზატის მიერ შესრულებული ოდესლაც.

კუთხედებიან მხრებზე წამოკოტილი, წოწოლა თავი, უპროპორციო მკლავები, მრისხანედ შეყრილი, შავი წარბები. ზღმარტლისებრ მოყვითალო და მოვ-

რძო თვალები, ნარივით წაქსნული ცხვირი, გაავებული დიკტიკი კეფრეფანა, ლურჯი ტუჩები, ფერფერისფერ-ხოვანი ნიკაბი (ჩამობერტილ ძუძუ-მკერდზე ზედ მიბჯენილი), განზე გაშვერილი, ფიჩხივით გაფშეკილი თითები, ამაზრზენი ეჩვენა ეს ყოველივე დავითს.

საერთოდ ძირბნელ მოირას მაცნეს მიაგავდა ეს შავი ღვთისმშობელი, ბედისწერასავით პირგამეხილს.

უცნაურად მოუღუწდა პუზლის იოგები დავითს, დაბარბაცდა ტაძრის შუაგულში, რომელიდაც პატრიარქის სარკოფაგას წამოჰკრა ნახევრად ბნელში ფეხი, ძლივს შეიკაფა თავი.

ძირს დაიხედა და აქ შენიშნა შავოსან. ღიაცი განრთხმულიყო აგურის იატაკზე...

სტიროდა, ხელებზე დაყრდნობილი. წამოიწყოდა,

შუბლს ახლიდა იატაკს,

ქვითინებდა და ლოცულობდა.

იღვა სავსებით გაოგნებული მეფე-ამჩნევდა: შავოსანის ლანდს, მისი მოახლოება არც კი უგრძენია ექსტაზში შესულს.

მეფე მიეახლა ნიშს, შანდლიდან გადმოიღო სანთელი ოდნავ მბეჭუტავი, შუქი რა მიეფინა მლოცველს, დავითმა შეიცნო იგი. მხარზე წაუცაცუნა პირქვე დამხობილს ხელი.

როცა შემკრთალი შავოსანი ზემოიჭრა.

მეფემ ეს ლა უთხრა მას:

„რამ მოგიყვანა ამ სიშორეს, სულო?!“

„მარტოობამ, მეფეე ბატონო“.

.

(გაგრძელება იქნება)

გმიერთა სისწლით¹

★

XXXI

კოვპაკის შენაერთის პარტიზანთა შორის შეხედვებით ყოველგვარი პროფესიის ადამიანებს: აქ იყვნენ მუსეები, კოლმეურნეები, ინჟინრები, მასწავლებლები, პოეტები, მხატვრები, დურგლები, კალატონები და წარმოიდგინეთ — იყო ერთი ცირკის მსახიობიც-კი.

სამწუხაროდ, ამ ცირკის კლოუნის გვარი და სახელი არ დამახსოვდა. არც დღიურში მაქვს არსად ჩაწერილი. მარტო ის-ღა მახსოვს, რომ ის ქალაქ ომსკიდან იყო და პარტიზანები მეტ სახელად „ადას“ ეძახდნენ.

ამ სახელს ის იმდენად შეეჩვია, რომ ნამდვილი სახელი და გვარი, რომ მივგეშარათა — იქნება არც კი მოიხედავდა.

ჯერ ის მინდა გითხრათ, საიდან დაერქვა მას ეს სახელი. ადრე, ვიდრე პარტიზანობას დაიწყებდა ის მოქმედ არმიასი იყო. ცხარე ბრძოლის დროს მას თურმე კონტუზია დაემართა. ამან ჩქარა გაუარა, მაგრამ საწყალ ბიჭს ენის ბორძიკი დასხემოდა; და როცა აღელდებოდა, ან ჩქარობდა, ან შეწუხდებოდა, მაშინ თითქოს რაღაც გაეჩხირებოდა ყელში, შოშისასავით აღებდა პირს და სიტყვა ვეღარ ამოელო... თითქოს მარწუხით ეწევაო სიტყვას ყელიდან, მერე უცებ წამოიძახებდა „ადა“

და სიტყვას გზა გახსნილი ჰქონდა. ასე, რომ ეს „ადა“, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი მეტყველების გასაღები იყო. ამ „ადას“ რომ წარმოსთქვამდა, მერე თუ გინდა მთელ მოხსენებას ჩაარაყრავებდა.

აი ეს ადა ისეთი ხუმარა იყო, რომ სადაც გამოჩნდებოდა და ორიოდ სიტყვას იტყოდა — სიცილ-ხარხარი ატყდებოდა ხოლმე; პარტიზანებს უკეთესი გამართობი არ ჰყავდათ და არც ენატრებოდათ. თუ სადმე ტყეში ხმამალალი სიცილ-ხარხარი ესმოდა — უნდა გცოდნოდეთ, რომ „ადა“ იქ იყო.

სიცილისაგან ქანცგადაწყვეტილ კოვპაკს ვინ იცის რამდენჯერ წამოუძახებია:

— თვალთ ადარ დამანახოთ ეგ ეშმაკისფეხი; ადარ შემიძლია, ფერდები მტკივა ამდენი სიცილითაო...

— ახ, ნეტა ერთი ჩემი ცოლი აქა მყავდეს — იტყოდა ხოლმე „ადა“, — ისიც ცირკის მსახიობია, ისიც ჯარშია აბლა. აბა მაშინ გენახათ სიცილი. ესეთ ნომრებს გიჩვენებდით, რომ თქვენც სიცილი იქნებ დრონტის გადაღმაც გაეგონათ...

ამ თავისი გამუდმებული ხუმრობის გამო ადას ერთხელ ძალიან ცუდი ამბავი შეემთხვა: საწყალი მაგრად გაიღახა, მითრახებით ზურგი აუჭრელეს პარტიზანებმა.

საქმე ასე იყო. კარბატებიდან უკვე შავ ტყეში ვიყავით ჩამოსულნი, როცა ვერშიგორამ კულბაკას უბრძანა — ყო-

¹ გაგრძელება. „მნათობი“ № 3.

ველი მხრით მზვერავეები დაგზავნენ, მათ მიერ მოტანილი ცნობები შეაჯამე, დააზუსტე და მერე ყველაფერი მომახსენეო. კულბაკამ გამოჰყო მზვერავეთა ჯგუფები და სხვადასხვა მხარეს დაგზავნა. ერთს ჯგუფს „ადაც“ გაჰყვითურმე, როცა „ადას“ ჯგუფი ბანაკიდან შორს გზატკეცილზე გავიდა, — მზვერავებმა მტრის მსუბუქი ავტომანქანა შეამჩნიეს. ჩაუსაფრდნენ. მანქანა რომ მოუახლოვდათ, — ერთდროულად ძლიერი სროლა აუტეხეს და მოჰკლეს შოფერიცა და მანქანაში მჯდომი გერმანელი პოლკოვნიკიც. მოკლულ პოლკოვნიკს საბუთებს რომ აცლიდნენ, ადას რაღაც ეშმაკურმა აზრმა გაურბინა თავში, საჩქაროდ გადაიკვა გერმანელი პოლკოვნიკის მუნდირი, დაიკიდა მისი ორდენები, დაიკერა სმხრეები და მერე ამხანაგებს შეეხვეწა:

— ბიჭებო, თქვენი ჭირამე, მოდიეთ, კულბაკასთან გაბაწრული მიმიყვანეთ, უთხარით, პოლკოვნიკი დავიპირეთ ტყვედ-თქო დანარჩენი ჩემზე იყოსო...

ბიჭებმა შეხედეს და სიცილი წასკდათ. ადა მართლაც ძალზე ჰგავდა გერმანელ პოლკოვნიკს: ინდაურივით იფხორებოდა, ბნელიანივით წამოისროდა ხოლმე თითოთროლა სიტყვას და სტეკს მალიმალ იტყუებოდა გაპრილებული ჩექმის ყელზე.

და აი წამოიყვანეს ბანაკში „გერმანელი პოლკოვნიკი“.

ბანაკში სწორედ იმ დროს მოვიდნენ, როცა შებინდებისას კულბაკა პარტიზანებს შორის იყო და რაღაცაზე ესაუბრებოდა. კულბაკას ჯგუფში ოცდაათამდე კაცი იყო. მიუხედავად საღამოს ბინდისა, ყველამ დაინახა, რომ მზვერავეებს გერმანელი პოლკოვნიკი მოჰყავდათ. „პოლკოვნიკი“ ამჟამად მოაბიჯებდა პარტიზანებს შორის, აი მოახლოვდა კიდევ, თავხედურად გააჩრდია პარტიზანების წრე, ერთ მებრძოლს ხელი ჰკრა, მეორეს მუჯღუფუნინ უთავაზა, მესამეს წინხლი ამოჰკრა, მერე წრეში შეიჭრა ორი თითო მალა ასწია და სამ-

ჯერ საშინელი ისტერიული ხმა წამოიკივლა: „ჰაილ, ჰაილ, ჰაილ“.

გაბრაზდნენ ბიჭები, გერმანელი მზვერავეთა გადაუარათ სახეზე. მოდი და ნუ გაბრაზდები: ეს ოხერი და მუღრეგი ტყვედ იყო ჩავარდნილი და მაინც როგორ თავხედობდა; ვიღამაც ისეთი მადლიანი სილა უთავაზა, რომ „პოლკოვნიკი“ ლავაშივით მიწას გააკრა, მეორემ მათრაბი გადაჰკრა; „ადას“ ამხანაგებმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრეს, რომ მათ მიერ მოყვანილი „მოენე“ უკვე მიწაზე იყო გამშლართულ, ხოლო თავითონ ადას, როგორც ყოველთვის სხვეოდა ხოლმე აღელვებისას, სიტყვა ჩაუწყდა და ბოლოს, როცა კარგად მიტყვიპეს — უეცრად გაისმა „ადაა“...

ახლა კი ყველაფერი გამოირკვა.

შეეცოდათ ბიჭებს ტყუილ-უბრალოდ გალახული ადა, მაგრამ კულბაკამ მას უთხრა:

— აი, რას გეტყვი, ამობილო! უნდა იცოდე, სად და როდის იხუმრო. აბა, დაზვერვის დროს ხუმრობა ვის გაუგია, შე კაი კაცი! ხომ ხედავ ამ შებინდებულზე ბიჭებმა მართლა გერმანელ პოლკოვნიკად მიგიღეს... უადგილო და უდროო ხუმრობას მუდამ ასეთი შედეგი მოჰყვება.

ამის შემდეგ ადას ხუმრობისათვის თავი არ დაუნებებია, მაგრამ ასეთ წრეგადასულ მასხრობას უკვე ერიდებოდა.

XXXII

ვერშიგორას დაზვერვის საქმე მუდამ კარგად ჰქონდა მოწყობილი. ახლაც, შავ ტყეში ყოფნის დროს, მისმა გამოცდილმა მზვერავეებმა დროულად აუღეს ალლო მტრის განზრახვებს. ამ ტყის აზლო-მახლოს გერმანელებმა საგრძნობ ძალებს მოუყარეს თავი. ყველაფერიდან სჩანდა, რომ ისინი ჩვენზე შემოსატყვევად ემზადებოდნენ. ცხადია, ასეთ პირობებში შავ ტყეში ხანგრძლივად დარჩენა უაზრობა იქნებოდა.

ეს კარგად გაითვალისწინა პეტრო ვერშიგორამ. ის, როგორც კოვპაჟის მოადგილე, სათავეში ჩაუდგა კარპატებიდან წამოსულ ყველა პარტიზანულ ჯგუფს, რომლებმაც შავ ტყეში მოიყარეს თავი. ამასთან პეტრომ მეთაურთა თათბირიც მოწვია, მატუშენკოს ჯგუფის შტაბის უფროსად გორკუნოვი დანიშნა და ახალი სამხედრო ოპერაციების გეგმაც დაამუშავა.

რასულნის ბრძოლების შემდეგ ჩემს ასეულს პოლიტბელი აღარა ჰყოლია. უპოლიტბელოდ მუშაობა კი ძალზე მიძინელებოდა. აპირებოდა გადაპირით მოვითხოვე პოლიტბელი მოეცათ ჩემთვის. ვერშიგორამ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა, პოლიტბელად დამინიშნეს ლიონია რუდენკო. ლიონია აღრე მესამე ასეულის პოლიტბელი იყო, შავტყეში ანისიმოვთან ერთად მოვიდა, ეს ძალზე კარგი კანდიდატურა იყო. ლიონია რუდენკო მთელს შენაერთში ცნობილი იყო როგორც ნაცადი, პოლიტიკურად გამოზრდილი ადამიანი.

ეს კი იყო, ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდა რუდენკოს: წყევითი სავესე ჩიბუხი სულ პირში ჰქონდა გაჩრბილი. ბრძოლის დროსაც კი არ იშორებდა მას. წყევს მარაგით საველე ჩანთა სულ სავესე ჰქონდა. ვეტყვოდიტ ხოლმე — ლიონია არ ვარგა ამდენი წყევს წვევა, ღამ-ღამობით მაინც მოეშვიო. — ის პასუხად ყოველთვის ერთდა იმავეს იმეორებდა: „მე უამისოდ სიცოცხლე არ შემძლიაო“.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ვერშიგორამ დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და ლიონია რუდენკო მეცბრე ასეულის პოლიტბელად დანიშნა.

ვერშიგორას გაეახსენე, რომ ვიდრე კარპატების რეის დავიწყებდით, შავ ტყეში ყოფნის დროს ებრაელების ბანაკს წავაწყვდით. მაშინ ლტოლვილ ებრაელებს იარაღიც დავუტოვეთ; მაინტრერესებდა, რა დავმართათ მათ; ვერშიგორამ მიპასუხა, რომ შავ ტყეში მოვლით თუ არა, მათი ძებნა მეც დავიწყ-

ყო, მაგრამ, სადაც დავტოვეთ, იმ კლარ აღმოჩნდნენ. ვაეგოთ უმეტესე ჩვენზე თადასხმას აპირებსო. ~~დავამოწყვეტე~~ ლიყენენ, ტყის უშიშარ ადგილებში მისალულიყენენ. როგორც იყო მოენახე ისინი, რამდენიმე კაცი ამჟამად ჩემს ჯგუფშია, ექიმი ციმერიც მათ შორის იმყოფებაო — მითხრა ვერშიგორამ.

ექიმ ციმერს მეც ვიცნობდი. ვერშიგორას ვთხოვე ის ჩემი ასეულის ექიმად დაენიშნა. ვერშიგორამ არც ამ თხოვნაზე მითხრა უარი.

ასე მიდიოდა დღეები. ერთი მძიმე სადარდელი გვაწუხებდა ყველას — დიდსა და პატარას, მეთაურსა და მებრძოლს: არ სჩანდა ჩვენი მამაცი მეთაური, მამასავით საყვარელი სიდორ არტემისძე კოვპაჟი. სად არ გავგზავნეთ მზვერავეები, მაგრამ კოვპაჟის აღმოსაჩენად მიღებული ყველა ღონისძიება ჯერჯერობით უშედეგოდ რჩებოდა.

სწორედ იმ ხანებში პარტიზანთა ცალკე ჯგუფებმა შევფერთეთ აკუმულატორები და, როგორც იყო, შევქელით მოსკოვთან დაკავშირება. ვერშიგორამ მოსკოვს პირველ რიგში აკუმულატორების საყვები ნივთიერების გადმოგზავნა სთხოვა. მოსკოვიდან ადგილიქვეს — რასაც თხოულობთ, ყველაფერს თვითმფრინავებით მოგაწვდითო. თვითმფრინავების მიღების ორგანიზაცია ვერშიგორამ მე მომანდო, მეც სამზადისს შევეუდექი. ბანაკის მახლობლად პატარა მინდორი შევარჩიეთ, დაღამდა თუ არა, ამ მინდორის შუაზე ცეცხლები გავაჩაღეთ. დიდი ღონის არ დავგვირებია, მალე თვითმფრინავი გამოჩნდა, ორჯერ მოხაზა წრე მინდორის თავზე, შეტრიალდა და უკან გაბრუნდა. დიდხანს ველოდეთ შემდეგ თვითმფრინავს, მაგრამ აღარ გამოჩნდა. გაოცებული ვიყავით: ვერ აგვესსნა, რას ნიშნავდა თვითმფრინავის ასეთი მოულოდნელი უკან გაბრუნება! ის უდავოდ ჩვენთან იყო მოსკოვიდან გამოგზავნილი, მაგრამ როგორც სჩანდა ამ უკანასკნელმა ცეცხლი ვერ შენიშნა

და უკან გაბრუნდა. ვერ შენიშნა ალბათ იმიტომ, რომ მინდორი პატარა იყო, მაღალი ხეებით შემოზღუდული. შემდეგ ორ ღამეს ზედიზედ გავიმეორეთ ცეცხლის ნიშანი, მაგრამ თვითმფრინავი არც ერთხელ აღარ გამოჩენილა. ამ გარემოებამ ყველა ძალზე დაგვალონა; დავღონდით იმიტომ, რომ მოუთმენლად მოველოდით მოსკოვიდან აკუმულატორის საკვები ნივთიერების მიღებას. მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცემოდა საშუალება კოვბაკს დაეკავშირებოდით.

მძიმე საგონებელში ჩავარდა ვერსიგორა, არ იცოდა რა ექნა. დაფიქრებული, განმარტოებული დადიოდა, მოხუცზე ფიქრი არც ჩვენ გვასვენებდა, მისი აზვის შეუტყობლობა ყველას მძიმე ლოდად გვაწვა გულზე. საკმაო იყო მტერს გავგო კოვბაკის არყოფნა ჩვენს შორის და დაუსრულებელ განგაშს ასტეხდა: „დახეთ, კოვბაკი არ არის პარტიზანებთან, ის დელიატინის ბრძოლაში დაიღუპა“. ან უნ იყის, რა საზიზღარ ცილისწამებას შესთხზავდნენ...

მატუშენკოს ჯგუფი დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობდა, ჩვენ კი ვერსიგორას შევეურთდით.

ახალი ცნობა მიიღო შტაბმა: მტერს ჯარების კონცენტრაციას ახდენს, დიდი ძალები მოჰყარა მან ხმელიოვკაში, გლეზოვკაში და გრამოვკაში. მშვერავებს თავისი ს თვლით ენახათ, თუ როგორ მიიზღაზნებოდნენ ამ სოფლებისაკენ გერმანელების ტანკები და ქვეშეხები. ხმელიოვკასა და გლეზოვკაში წასული მშვერავები თავის დროზე დაბრუნდნენ. არ სჩანდნენ გრამოვკაში გასტუმრებული მშვერავები. როგორც შემდეგ გავიგეთ მტერს მიმარებით მოემწყვდია ჩვენი მშვერავები ალყაში და გაეწყვიტა.

ახლო-მახლო სოფლების დაკავებას გერმანელების მიერ ის მოჰყვა, რომ სურსათის მოპოვების წყაროც ჩაგვეკეტა. მარაგიც გამოგველია, საგონებელში ჩავეპარდით. შავი ტყე უნაყოფო

იყო, უბრალო სურთ რა არის, რიც არსად სჩანდა. შავ ტყეში რაღაცაა და, რომ სიმშლისაგან გულში მსგავსი იოდა.

ერთ დღეს მშვერავებმა ბანაკში მოიბრინეს და შეგვატყობინეს: გერმანელები გვიახლოვდებიან, სადაც არის ალყაში მოგვაქცევინო! ამ ცნობას ჩოჩქოლი მოჰყვა, ყველამ იარაღს სტაცა ხელი, ვერსიგორამ სწრაფად განსაზღვრა, თუ რა ნაბიჯი გადაგვედგა: საჭირო იყო გავცლოდით აქაურობას. ჯერ-ჯერობით მატუშენკო ისევ ჩვენთან იყო. პირველ რიგში ვერსიგორამ მატუშენკოს ჯგუფი გაისტუმრა. საჩქაროდ მივანგრ-მოვანგრეთ საცხოვრებელი მიწურები და იმ არე-მარეს ჩვენც გავცილდით. როგორც უკვე აღვნიშნე, შავ ტყეს უზარმაზარი ფართობი უჭირავს, მაგრამ მას კალისავით შეესივნენ გერმანელები, ტყე მტრის ჯარით გაივსო და ის თავშესაფარად აღარ გამოდგებოდა.

წამოვედით ტყიდან და გეზი აღმოსავლეთის მიმართულებით ავიღეთ. ის იყო შეღამდა, როცა შარა გზასა და მის პარალელურად მდებარე სტანისლავეკალუქას რკინიგზის ხაზს მივადექით. დაეპირეთ ორივე გზებზე სასწრაფოდ გადარბენა, მაგრამ ამ დროს მშვერავებმა მოგვისწერეს, გავფიქრთხილეს: როგორც შარაზე, ისე რკინიგზის ორივე მხარეზე მტერია ჩასაფრებული.

ვითარება რთული იყო. აქ ვერსიგორამ ნაცად პარტიზანულ ზერხს მიმართა: „მტერს იქ უნდა მიუხტე, სადაც ის ნაცლებად მოგელსო“. გეზი სტანისლავეისაკენ ავიღეთ. როგორ წარმოიდგენდა მოწინააღმდეგე, თუ ჩვენ სტანისლავეის მიმართულებით წავიდოდით, ეს ხომ ნიანგის და ხახაში ჩავარდნას უდრიდა. სტანისლავეს სულ რაღაც ათითორმეტი კილომეტრით დავუახლოვდით, როცა თავზე დავვათენდა. დღე ქალაქის მახლობლად, ტყეში გავატარეთ. მთელი დღე გაძლეობული მცველებს რაზმი იცავდა ჩვენს ბანაკს.

მტერმა ეკვითაც არ იცოდა, რომ ჩვენ ქალაქთან ასე ახლოს ვიყავით. ამ შემთხვევით ვისარგებლეთ და დამის რვა საათზე გადავედით ორივე გზაზე, გავცილდით რკინიგზის ხაზს და ტვე-რივით აზიდულ მწიფე სიმინდის ყანა-ში შევედით. ყანაში შიგა და შიგ ცერცვი იყო დათესილი. საშინელი ხმაური ატყდა, პარტიზანებმა დაიწყეს სიმინდის ტარობის ტეხვა-მსხვრევა. ან კი რა ექნათ ბიჭებს, ძალზე შიოდათ. მებრძოლებს წესრიგისაკენ მოვუწოდეთ, უღბრძანეთ სიმინდის ნარჩევი და ფუჩჩი გზაზე არ დაეყარათ, ამ ნიშნით მოსალოდნელი იყო მტერს ჩვენი ნაკვალევი აღმოეჩინა. მებრძოლები გაფრთხილდნენ: სიმინდის და ცერცვის ნარჩევებს უბეში იწყობდნენ და შემდეგ მოფარებულ ადგილას, ჩირაგვებში მალავდნენ. ის-ის იყო სიმინდებიდან გასასვლელად ვემზადებოდით, როცა ორთქლმავლის საყვირის ხმამ შესძრა იქაურობა. მატარებელი ქშენით ჩვენსკენ მოდიოდა. საჩქაროთ ჩაეწყვეით სიმინდებში და მიწაზედ გავიტმასნეთ. მიეფარა თუ არა მატარებელი თვალს, წამოვდექით და გზა განვაგრძეთ.

იმ დამეს მუხლი აღარ ჩაგვიხრია. ის იყო მდინარე ბისტრიცას მივუახლოვდით. ამ მდინარეს ჩვენი პარტიზანები კარგად იცნობდნენ. ყველანი უფნებლად გადავედით მდინარის მეორე ნაპირზე. პორიზონტს აღმოსავლეთით ვარდისფერმა დაჰკრა. თენდებოდა, გზის გაგრძელება საზაფათო იყო. დაბურულ პატარა ტყეს თავი შევაფარეთ და მთელი დღე იქ გავატარეთ. გათენებისას შავი ტყის მხრიდან ქვემეხების გრუხუნი მოგვესმა, თურმე ცეცხლში ვახვიეს გერმანელებმა ჩვენს მიერ დატოვებული ბინები. ბევრი ტყვიანობა შეალიეს ფრცხვებში ჩვენი ნამოსახლარის განადგურებას. მაგრამ დაბომბილ ადგილას ვერც ერთი პარტიზანის გვახსოვს რომ ვერ ნახეს, ყურები ჩამოაყარეს და დაგვიშლ მებრძოლებით ჩვენი ნაკვალავის ძებნა იწყეს. ჩვენ კვლავ წინ

გავსწიეთ და მტერს თვალიდან მივებალეთ.

არ ვიცოდით რა დღეში იქნებოდა მტერის ჯგუფი. ეს კი ვიცოდით საით წავიდა ის; სულ მალე მატლშენკოს მხრიდან არტილერიის და ნალმტყორცნების ძლიერი ხმა გაისმა. სიანდა მატლშენკოს და გერმანელებს შორის ცხარე შეტაკება გაიმართა. აღელდნენ პარტიზანები, ყველას აწუხებდა მატლშენკოს ბედი. მშვიდათ იყო მართო ვერშეგორა. „ნუ სწუხდებითო, — ამბობდა ის, — მატლშენკო ბრძოლის ქარცეცხლს ბევრჯერ დაძრომია ხელიდან, ის მოქნილი და გამოცდილია, ამ შემთხვევაშიაც დაუსხლტება მტერს ხელიდან უზიანოდ და გერმანელებს კი საკმაო ზიანს მიაყენებსო“.

ბისტრიცას ვალმა-გამოღმა ნაპირებზე ბლომად სიანდა ხეტორები. სურსათისათვის მშვერაგები შევგზავნეთ ერთ-ერთ მოზრდილ ხეტორში. სურსათ-საწოვავით დატვირთულები დაბრუნდნენ ხეტორიდან ჩვენი ბიჭები: იმდენი ნალები, მოხარული კართოფილი და პური მოიტანეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში გვეყოფოდა. მშვერაგებმა გვიამბეს:

ჩვენს დანახვაზე სოფლელები პირველად დაფრთხნენ, ეტყობოდა პოლიციელები ვეგონეთ, ვერ შეგვიცნეს. ჩვენ მამინ სოფლის შესავალში ჩავსაფრდით და გლუხებთან უკრაინელი პარტიზანები მივგზავნეთ, რომ გაეგებინებინათ ვინ ვიყავით. როგორც კი შეიტყვეს პარტიზანები არიან, სოფლის ახალგაზრდობამ იმ წამსვე გამოსწია ჩვენსკენ. მხიარული სიცილ-კისკისით შემოგვეხვიენენ. მალე ხნიერი ხალხიც მოვიდა. „გაკვებარდა თქვენი დანახვა, თქვენი ბრძოლის ამბავი შეტყობილი გვაქვს. ბოლო ხანებში გერმანელებმა ტრაპაზს უკლეეს, რაღაც შემკრთალები არიან და რაშია საქმე, გავგაგებინეთო, — ეთქვათ მათ ჩვენი მშვერაგებისათვის. პარტიზანებმა ყველაფერი აუხსნეს სოფლელებს, ისიც უთხრეს, რომ

მტრის საქმე წასულია ხელიდან, რომ პიტლერელთა აღსასრულის დღე მოახლოებულია.

გახარებულმა გლეხებმა აღარ იცოდნენ როგორ გადაეხადათ მადლობა პარტიზანებისათვის.

შავი ტყიდან ბისტრიცას ნაპირებზე მდებარე ხუტორებამდე ჩვენ ისე მოვალწით, რომ მტერმა ჩვენი ასავალდასავალი ვერ გაიგო. ეს იმის შედეგიც იყო, რომ ხალხი ჩვენდამი განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენდა, სიკვდილს არჩევდა გლეხკაცი და პარტიზანს კი არ ვასცემდა, თავს გვევლებოდა და მოსახლეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტებს ხალხი ტერორქვეშ ჰყავდათ დაყენებული, გლეხები მაინც სულ ადვილად ახერხებდნენ ჩვენთან დაკავშირებას. რა დასამალია, ჩვენთან შეგობრობა სოფლელებისათვის ზოგჯერ საბედისწერო ხდებოდა: გერმანელები გაიგებდნენ თუ არა, ესა და ეს კაცი პარტიზანებს დაეხმარაო — მაშინვე მხეცურად უსწორდებოდნენ მსხვერპლს, მაგრამ არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ სოფლელებს ამ უბედურებათა გამო ჩვენს მიმართ საყვედური დასცდენოდეთ. პირიქით, ხალხი მოძალადე მტრისადმი კიდევ მეტი ზიზღით და სიძულელით იმსკვალებოდა. პარტიზანები ვუტოვებდით სოფლელებს იარაღს და თან ვავალდებით პარტიზანული რაზმები შეეჭმნათ და იარაღით ხელში ებრძოლათ დამპყრობლების წინააღმდეგ. მართლაც, სადაც კი პარტიზანებმა გაეიარეთ, ყველგან გაიარდა პარტიზანული მოძრაობა, ხალხი გამოფხიზლდა და ფეხზე დადგა. სინანულს გამოსთქვამდა ხოლმე კოვბაკი: ბლომად რომ იყოს იარაღი ჩვენს განკარგულებაში, მტრის ზურგში მთელ არმიებს შეეჭმნითო.

როცა მდინარე დნესტრს დავუახლოვდით, საშა ლენკინის, „უსაჩის“ და სერგო ანისიმოვის ხელმძღვანელობით შერჩეულ ბიკებისაგან შემდგარი მწვე-

რავთა რაზმი წინ გავგზავნეთ. მწვერავებმა შეგვატყობინეს, ქვემო ყუბანის გზაზე მდებარე ხუტორებში მარცხენა მხარეა, არსად გერმანელები არ არიანო.

ნაბიჯს ვუმატეთ, ვერშიგორა კოლონიების თავსა და ბოლოში გარბოდა-გამობოდა, მებრძოლებს აჩქარებდა, გაქანებული მატარებელივით იწყევს სირბილი პარტიზანებმა.

ამაოდ კი არ აჩქარებდა ვერშიგორა კოლონებს. მან კარგად იცოდა, რომ როცა გერმანელებმა შავ ტყეში ვერ გვიმოგნეს მერე ფეხდაფეხ გამოგვეყვებოდნენ. მტრის დიდძალ ჯარებს ჯერ-ჯერობით ჩვენ ხელიდან ყველგან დავუხსნლტით, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ დნესტრის ნაპირებთან მოწინააღმდეგეს შევხვდებოდით. „გათენებამდე უნდა მოვასწროთ დნესტრზე გადასვლა, ამით მოსალოდნელ ზიფათს თავიდან ავიცილენთ და დიდი მსხვერპლისაგან თავს დავიზღვევით“, ამბობდა ვერშიგორა.

და აი ჩვენც უფრო ავიჩქარეთ ფეხი. წინ მწვერავები მიგვიძლოდნენ, მთავარი იყო ახლა მტრის ჩასაფრებას სადმე თავზე არ წავდგომოდით, ყველას ხელთ გვეპყრა მომარჯვებული ავტომატები. ხუთი საათისათვის დნესტრის ნაპირს მივაღწიეთ. აქ ერთ პატარა ხუტორში შევედით, ჩვენდა გასაოცრად სრული სიჩუმე იყო ხუტორში, გერმანელები არსად სჩანდნენ. ვაშშვლებული აღმოჩნდა მდინარის ნაპირები. ხელსაყრელი ფონი ვიპოვეთ, ბორანიც აღმოვაჩინეთ, პარტიზანების ერთი წყება ბორანით გადაიყვანეთ, უმრავლესობა ფონით გავედით და სულ რაღაც ნახევარ საათში ყველამ უკლებლივ დნესტრის მარცხენა ნაპირზე ამოვიყავით თავი.

დნესტრის მარცხენა ნაპირს ფართო შარა-გზა მისდევდა. გზაზე მოძრაობა არ იყო, გზის გადაღმა ხევი შევამჩნიეთ, ხეცს იქით ტყე იყო. პარტიზანების ნაწილი ხეც-ხეც წამოვიდა, ნაწილი კი

ტყეზე მოდიოდა. უეცრად შორიდან გუგუნე მოგვესმა, პირველად ის თვითმფრინავის ხმა გვეგონა. ყველამ ცაში დაიწყოთ ცქერა, მაგრამ საპაერო მანქანა არსად სჩანდა. კიდევ რამდენიმე წუთი და ამკარად დაკრწმუნდით, რომ ეს თვითმფრინავის კი არა, მოტოციკლეტის მოტორის ხმა იყო. მალე ორი მოტოციკლეტი ხეეს გაუპირისპირდა. ათი პარტიზანის ერთდროულმა ზაღპმა მოტოციკლეტების გუგუნე შესწყვიტა; მიუხედავად: ექვსი დაცხრილული გერმანელი ეგდო მოტოციკლეტების ორთავე მხარეზე. საყურადღებო დოკუმენტები აღმოაჩნდათ დაპოვილებს. სტანისლავის გარნიზონის უფროსი ფიცხელ მოწერილობას უგზავნიდა ხეტორებში თავის რწმუნებულებს; ბრძანებამი აღნიშნული იყო: „პურის ჩაბარების საქმეში დანაშაულებრივ უღარდებლობას იხენთ, წინადადებას გაძლევთ სამ დღეში მოაწესრიგოთ პურის მიღება-გაგზავნის საქმე. ამ განკარგულების ზუსტად შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებთო“. აქვე იყო მეორე ბრძანებაც: „გავრცელდა ხმები, — ატყობინებდა თავის ხელქვეითებს გარნიზონის უფროსი, — თითქოს პარტიზანები ახლოვდებიან. შიშა და პანიკას ნუ მიეცემით. დღეს მთელმა მხარემ იციხე პარტიზანების განადგურების ამბავი, მხოლოდ სჩანს თქვენ ჯერ კიდევ ვერ გარკვეულხართ ამ უბრალო ქეშმარიტებაში. არ არის საჭირო ყველგან, ყველა ხეტორში, ჯარისკაცების ჩაყენება. ჯარის ნაწილები დიდი რაოდენობით არის ჩვენს მიერ დაგზავნილი მნიშვნელოვან პუნქტებში, გადარჩენილ პარტიზანების სალოკიდაციოდ და ეს ღონისძიება სრულიად საკმარისიაო“.

გასაგებია თუ რატომ ჩქარობდნენ გერმანელები პურის მთლიანად გაზიდვას. მათ ეცოდნენ, რომ მათი აქ ყოფნის დღეები დათვლილი იყო.

მოტოციკლეტებთან შეხვედრის შემდეგ კვლავ წინ გავსწიეთ. დნესტრი-

დან ათიოდე კილომეტრის დაშორებით ვეება სოფელს წაეაწყდით, სოფელში მისვლისთანავე გლუხეზღვირეზღვირულეს:

— ვილაც ოხერი მოეთრია ჩვენს სოფელში და სიცოცხლე გაგვიმწარა. გერმანიიდან ჩამოვიდა, ამ სოფლის ბატონ-პატრონი მე ვარო — გაძახის. სოფელი დაბევრა. ჩვენ თავის ყმებად გამოგვაცხადა. ნატურალური ბეგარის გარდა, ყველა გლეხი ვალდებულია თავის ბატონისათვის კვირაში სამი დღე იმუშაოს. ემუშაობთ ახალი ბატონის ბაღჩაში, ბაღში, ღორებისა და ძროხების ფერმებში. ნეტავი ერთი გაჩვენათ ჩვენი ბატონი, რა ჯოჯო რამ არის, დაბალი და რგვალია, ნესვივით ყვითელი თავი აქვს, მუთაქის მსგავსი კისერი, ღიბი გიდელავით აქვს მიდგმული და ფეხები მორგვს მიუგავს. არავის ის გალიმებული ჯერ არ უნახავს, გვიყვირის და ღორბლებს ჰყრის ჩვენს დანახეაზე.

— ამხანად სად იმყოფება თქვენ ბატონი? — ეკითხებით გლეხს.

— ამ დროს სახლშია ყოველთვის, ფერმებიდან ახალდაბრუნებული იქნება.

— მაშ ასე, თქვენ არ შეგაწუხებთ, მას ჩვენ თვითონ ვინახულებთ, ვეუბნებით გლეხებს. — ვერშიგორამ სახელდახელოდ გამოჰყო მებრძოლთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელოდ პავლოვსკი მიუჩინა. პავლოვსკი ჩვენს შენაერთში ცნობილი იყო როგორც სახელოვანი მებრძოლი, ძველი პარტიზანი. სამოქალაქო ომის დროს შიორისის პარტიზანული პოლკის კომსარაი იყო. სამამულო ომში კოვპაკთან ერთად იბრძოდა, პარტიზანულ ჯგუფს მეთაურობდა. სტარაია გუტასთან ბრძოლის დროს ის ფეხებში მძიმედ დაიჭრა, არ იმჩნევდა, თორემ სანახევროდ ინვალიდი იყო. ამიტომ სიღორ არტემის-ძემ ის პარტიზანულ შენაერთის მწედ დანიშნა. ახლა კი პავლოვსკის ახალი დავალება მიეცა. ის ხალისით გაეშურა დაკისრებული ამოცანის შესასრულებ-

ლად და ნახევარი საათის შემდეგ მემამულე უკვე დატყვევებული ჰყავდა. გასაოცარი სიზუსტით აღწერეს იგი გლეხებმა: გერმანელი მართლაც ნამდვილი ჯოჯო იყო. როდესაც მას განუცხადეთ: დაპატიმრებული ხარ, წინ გაგვიძევიო, მან სისხლიანი თვალები შემოგვანათა: „პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალმომრეობის გამო, ამ წუთში ფიურერს დეპეშას გავუგზავნიო!“

— შენი ფიურერის სულაც არ გვეშინია, — უყვირა მას ბოკარემა — აეთრიე ახლავე...

— მაინც არ ვიცი, ჩემგან რას თხოვლობთ? — ისევ იკითხა მემამულემ.

— ჩვენს მიწა-წყალზე, საბჭოთა ქვეყანაში მემამულეები დიდი ხანია არ არსებობენ და ვერც მომავალში იარსებებენ... გაიგეთ, ახლა რას ვთხოვლობთ?..

— მე ფიურერის განკარგულებით ვარ აქ გამოგზავნილი..

— გაიგე, რომ შენს ფიურერს მალე ზურგზე ბოლი აუვა, შენ რომ ახლა დღეში ხარ, ამ დღეში ჩავარდება...

მემამულემ ახლა კი შეატყო, რომ არა ვხუშრობდით, მაინც ჩხტიბარი არ გაიტეხა და სთქვა: მაშ დამანებეთ თავი, გამიშვით, ახლავე გერმანიაში წავალო!

— ნურას უკაცრავად, სანამ წახვიდოდეთ, მანამ ჩვენთან მობრძანდით, ნაბიჯით წინ! — უბრძანეს გათავებულ და ყბედ მემამულეს ბიჭებმა და ძულუბული გახადეს ის ბაჯბაჯით წინ გაგვძოლოდა: როდესაც გოროზი მემამულე პარტიზანებმა სოფლის მთავარ ქუჩაზე დაპატიმრებული ვაატარეს, გლეხების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. პარტიზანებმა გერმანელი ბატონის საქონლის ფერმები დაშალეს.

პელოუსკისთან ერთად სამნეო ნაწილში მსახურებდა მებრძოლი სერდიუკი. ძალზე დარღიმანდი და მოხერხებული კაცი იყო, ამავე დროს კარგი ეკვაციც. ამ წუთს რომ სამნეო საქმეს

ასრულებდა, მეორე წუთს, თუ კი ამას საქმე მოითხოვდა, იარსებებდა იბრძოდა. სერდიუკის ტრფილის საგანი ცხენი იყო. თუ სადმე, ჩვენს ახლო-მახლო ახლად მოყვანილი ცხენი გაჩნდებოდა, პირველად ზედ სერდიუკი უნდა შემჯდარიყო. გაიგო თუ არა დაპატიმრებულ მემამულეს კარგი ცხენი უბია თავლაშიო, სანქაროდ გაეშურა, გამოიყვანა თავლიდან კობტა თეთრი ცხენი და ზედ შემჯდარი, სანადირო თოფით მხარზე მოგვევლინა პარტიზანებს.

მოცვისა და სიმინდის ულუფის შემდეგ გავიხსნილეთ, წითლად შებრაწული ღორის ხორციით დამშვენდა პარტიზანების სუფრა, თვლიც გაძა და კუპიც.

მხიარულების დღედ იქცა ის დღე ჩვენთვის. პარტიზანების სიცილ-ხარხარი ცას წვდებოდა; აგერ გამოჩნდნენ დატვირთულ აილებზე მჯდარი, ფრაკებში გამოწყობილი პარტიზანები, თეთრი ხელთათმანები წამოეცვით და თავზე პანამის ქუდები დაეხურათ. ყველაფერი ეს მემამულის სახლიდან წამოვლოთ და სეირის გულისთვის გადაეცვათ.

ბევრი აცინა ხალხი პარტიზანმა ვასია რიბოიმი. ვასიას გვარი შენაერთში თითქმის არავინ იცოდა, დიდი და პატარა მას რიბოის ეძახდა, რადგანაც საზე ჰქონდა ნაცვავილევი. შეუღარებელი ზუშარა იყო ვასია. ფერმიდან ის მემამულის ცხენით დაბრუნდა, ფრაკი და გახამებული პერანგი ეცვა, გაქათათებული თეთრი საყელო ჰქონდა გაცეთებული. ქოჩორა თავზე ნაწი პანამის ქუდი ჩამოეფხატა და ჯიბეები ლიქიორის და კონიაკის ბოთლებით გავსო, უხანგებზე შემდგარი ვასია და-

აქანებდა ცხენს ქუჩებში და უხვად ურიგებდა გლეხებს კონიაკს და ლიქორს.

ვასია უკვე დიდი ხანია ჩვენს რაზმში იყო, ის ჩაირიცხა შენაერთში მაშინ, როდესაც ბრიანსკის ტყეში ვიყავით. ვასია საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეულიყო და კარგახანს ერთ-ერთი პატარა ხუტორისათვის შეეფარებინა თავი. იქ უსაქმოდ ჯდომა მოწყენოდა და ქალი შეერთო, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩასიძებულებოდა ერთ ოჯახში. ჯერ თავლის თევც არ მოეთავებინა ახალბედა სიძეს, როცა გაეგო, სულ ახლოს პარტიზანების რაზმიყო. თურმე პარტიზანებთან წასვლის ნებართვა აელო ცოლისაგან და კიდევ მოვიდა ჩვენთან. ვასია ჩემს ასეულში გამოგზავნა კოვპაკმა. ის დიდი რიხით მომიახლოვდა, მხედრული სალაში მომცა:

— სადაური ხარ - მეთქი, — ვაითზე მას.

— ტაშკენტიდან ვახლავართ, — მიპასუხა და მერე უცებ დაუმატა:

— გთხოვთ ასეულის მნელ დამნიშნოთ, ჯარშიაც სამნეო ნაწილში ვმუშაობდი...

— არა ამხანაგო, პარტიზანებთან მნეობა ხელსაყრელი არ არის მეთქი, — ვუთხარი და მხვერავთა რაზმში ჩავრიცხე.

ჩინებული მხვერავი დადგა ვასია; მისი უბედურება ის იყო, რომ სმა უყვარდა. დაღევდა და მთელი დღე დამუნჯდებოდა, ხმას არ ამოიღებდა.

ასეულების აგიტატორები მოეფინენ ქოხებს და მოსახლეობას საუბარი დაუწყეს. ძალზე კმაყოფილნი დარჩნენ ჩვენი სტუმრობით სოფლელები, მით შეგვატყობინეს, რომ გერმანელები სოფელში ორჯერ მოდიან კვირაში. წაიღებენ სურსათს, კარაქს და ნაღებს, ქათამს და კვერცხს და კვლავ ახალ ნორმას დააწესებენ.

ჩვენ დაბეჯითებით ვუთხარივთ გლეხებს, რომ ყველაფერი გადაემალათ. გერმანელებისათვის არაფერი არ მიე-

ვათ. ამის შემდეგ აღჩქარებლად დატოვეთ სოფელი და აქვეყნებთ გაგსწიეთ.

ზინგლინიოთიქა

XXXIII

მტერს განსაკუთრებით მაგრად შეკრული ჰქონდა რკინიგზები და გზატკეცილები. ამ გზებზე უნებლად გადასვლა ისეთი დიდი შენაერთისა როგორც იყო ჩვენი, ფრიალ ძნელ საქმეს წარმოადგენდა. კარპატებიდან ბარში ჩამოსვლის პირველ ხანებში მტერმა ძლიერ შეგვევიწროვა, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში პარტიზანებმა ბევრჯერ, სადაც კი ბრძოლების წარმოება დაგვიჭირდა, მტერს მრავალი დამარცხება ვაგვიმეთ.

შავი ტყიდან წამოსვლის შემდეგ, გერმანელების წინააღმდეგობა, შედარებით წინა პერიოდთან, შენედა. მოწინააღმდეგე ჩასაფრებას იშვიათად-და თუ გვიმართავდა. სტანისლავს აქეთ მტერს მცირერიცხეოვანი გარნიზონები ჰყავდა ჩაყენებული. დნესტრის მარცხენა მხარეზე მდებარე რაიონები მტერს გამაგრებული არ ჰქონდა და ეს სწორედ იმიტომ, რომ გერმანელები ფიქრობდნენ — პარტიზანებს კარპატებშივე გაეანადგურებთო. ამიტომ ახლა უმთავრესად მტრის სასურსათო რაზმები გვხვდებოდა. ეს რაზმები ყოველდღიურად ძარცვავდნენ სოფლებს, მიჰქონდათ რძის ნაწარმი, ხორცი და პური. უკანასკნელ ლუკმას აცლიდნენ გლეხებს. ხარბად იტაცებდნენ სურსათ-სანოვაგებს და გზავნიდნენ ფრონტზე და გერმანიაში.

პარტიზანები ამ მხარეში ისეთ დროს მივედით, როდესაც აღგილობრივი მოსახლეობის მღელვარება და სასოწარკვეთილება ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ერთ სოფელში, რომლის სახელი აღარ მახსოვს, გლეხებმა შემოგგჩიველეს:



— პირდაპირ ჯოჯოხეთში ვართ, აღარ ვიცი რა ვქნათ! გერმანელები ისევე ჰკრეფენ სოფელში ვაეებსა და ქალიშვილებს გერმანიისი გასაგზავნად. წასაყვანთა სიები უკვე მზადა აქვს გე-ბიტსკომისარს.

— როდისათვისაა დანიშნული გაწვევა?

— სულ მოკლე დროში წაიყვანენ... მონებად მიჰყავთ ჩვენი ბიჭები და გოგოები.

— მერე მტრის ამ თავხედობას გულგრილად უტკეპრით?..

— აბა რა ვქნათ, რა გაგვივა?!

— ტყეში მიმალეთ ახალგაზრდობა. სულ მალე აქედან სხვის წაყვანას კი არა, თავათ ვერ გაასწრებენ გერმანელები, ყველანი აქ ჩარჩებიან.

— ნეტავ თუ ეს მართლა ასე იქნება?

— რასაკვირველია, ეს ასე იქნება; ზღაპარს არ მოგახსენებთ. დათელილია მტრის დღეები.

— აბა უნდა გამოგიტყდეთ, ნაწილი გაწვეული ახალგაზრდობისა უკვე გავიდა ტყეში...

— ჩინებულად მოქცეულან, კარგად უქნიათ. რაც ფრიცებს მოგპრიალებათ, თქვენ იმის შესრულებას თუ შეუდევით, თქვენი ნასახლარების მეტი აღარაფერი დარჩება.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ჩვენი მწვერავები დაბრუნდნენ. ორმა ახალგაზრდა მწვერავმა საკმაოდ უცნაური ამბავი გადმოგვცეს. აქ ზუსტად მოვიყვან მათს ნაამბობს:

„— სოფელ ტოლსტი სადის მახლობლად სამს შეიარაღებულ კაცს შევხვდით; იმდენად უფიქარი და მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა, რომ იარაღისათვის არც ერთ მხარეს არ მიუშარათავს. ვინა ხართო—გვითხეთ, მათ გვიპასუხეს: „ადგილობრივი მემამულის მცველები გახლავართო“. მცველები ვერ მიხვდნენ, რომ ჩვენ პარტიზანები ვიყავით, ვისაჩვენებლეთ ამით,

პაპიროსები მივაწოდეთ და საუბარი დაუწყეთ.

— თქვენ ვინა ხართო? — შეგვეკითხნენ პოლიციელები.

— სოფელ დუბინოვიდან მოვიდით. პოლიციელები ვართ პარტიზანების საძებრად წამოვედით, ასე ამბობენ ამ ჩვენს მხარეში ხელმოკრედ გაჩნდნენ პარტიზანებიო, — ვუპასუხეთ.

პოლიციელებმა იმავე წუთს ხალას ქეშმარიტებად მიიღეს ეს სიტყვები, მიჯდნენ ჩვეთან ერთად ხის ძირში და გადმოალაგეს, რაც იცოდნენ გერმანელებზე, გვითხრეს თუ რა ხდებოდა მემამულის საბრძანებელში.

— მართალია პარტიზანებზე დიდი მითქმა-მოთქმაა ჩვენს სოფელში, — სთქვეს მათ. — მხოლოდ ამ ახლო-მახლო რაიონებში ჯერ არ დადგმულა მათი ფეხი და ვერც მომავალში იხილავენ აქაურობასო.

დაუწყვირდით ამ მცველებს და გავოცდით. ძალზე ყვეჩები, ფუქსავატები და ქეუამოკლენი იყვნენ. გვიკვირდა, საიდან აარჩიეს ასეთი კრეტინები. ეფიქრობთ — „ვთი თქვენი ბატონის ბრალი, თუ თქვენისთანა მცველები ჰყავს თქვენს ბატონს, მაინც დაღუბულა, ის შორს ვერ წავაო“. ურშა ნაგაზების შთაბეჭდილებას უფრო სტოვებდნენ ისინი, ვიდრე გონიერი ადამიანებისას. ერთად-ერთი მათი სადარდელი — კუქის ამოგება იყო, ოღონდ ყოველ დღე ჰქონდათ ცხიმიანი ბორში და ქერის არაყი და მეტი აღარაფერი ადარდებდათ. სასაცილო იქნებოდა ამ ხალხთან პრინციპულ საკითხებზე სიტყვის ჩამოგდება, ბატონის ქოფაკებს ფეხზე ვკრდათ ყველაფერი, მწყალობელი კარგად ჰყოლოდათ, მისი ნუსუფრალი არ მოკლებოდათ და მეტს არას დაგიღვედნენ.

— მოწყალე და კეთილი პანი გყავს. — წამოიწყო ერთმა მცველმა. — ეკირას სალოცავად წასვლის წინ

განკარგულება გასცა: მცველებს დღეს კარგად გაუმასპინძლდით, ორკერძიანი სადილი აჭამეთო.

მეორე მცველი ძალზე ბედნიერად სთვლიდა თავს:

— ბატონმა დილით გამომიძახა და ძაღლების დაბანვა-დაფარცხნა მე დამავალათ.

— ეტყობა დიდი კეთილი ვინმე უნდა იყოს თქვენი ბატონი, — ვეუბნებით მცველებს.

— დიდი, დიდი კაცია, ძმობილო, ამ ახლო-მახლო სოფლებში ბადალი არა ჰყავს.

— გლეხები რას ამბობენ მასზე?

— გლეხები? იმათ რა ესმით, ისინი ბატონს არ ემორჩილებიან, ლანძღავენ, მაგრამ სამაგიეროდ იმიტომაც აუტყრელდებათ ხოლმე ზურგი მათრახებითო.

ახლა კი უკვე საბოლოოდ ნათელი იყო ჩვენთვის, თუ ვისთან გვექონდა საქმე. მაინც ვეუბნებით:

— დახეთ, თქვენი ბატონი მართლაც რომ კარგი კაცი ყოფილა, საიდან მოვიდა ის თქვენს სოფელში?

— ეგებ, ის ზომ ახალი შემამულე არ არის, წინათაც, ბოლშევიკების ზელისუფლების დამყარებამდეც ფლობდა ის აქ მამულებს, მისი მამა და პაპაც აჭაური შემამულეები იყვნენ.

— საბჭოთა ზელისუფლების დროს სად ცხოვრობდა?

— ბოლშევიკების დროს საზღვარგარეთ იყო წასული... ახლა კი, რაც რამე გაჩნდა, გერმანელებმა უკლებლივ დაუბრუნეს მას, კიდევ მეტიც მისცეს.

— ბევრნი ხართ ბატონის მცველები?

— ოცდაათი კაცი ვართ.

— ამ ხანად თუ არიან თქვენს სოფელში გერმანელები?

— გუშინ მოვიდა თავის ამალით გერმანელი პოლკოვნიკი, ბატონთან გაჩერდა, ეს ორი დღეა გადაბმული ქეიფი აქვთ.

— ეგ, ბედნიერები ხართ თქვენ, ნეტავი რომ ვსთხოვოთ თქვენს ბატონს, გაგვხდის ღირსს, მცველებს შეგვიღებს?

— მგონი უარს არ გეტყვით, მთავარია, აქ ერთგულება დანახოთ; თუ არა, მეორე დღესვე გაგისტუმრებთ.

— რასაკვირველია, მთავარი ერთგულებაა.

უქანასკნელად კიდევ მივაწოდეთ თითო პაპიროსი და გავისტუმრებთ“.

ასე დამათავრეს მშვერალებმა ამბის ახრობა.

ეს მებატონე სწორედ ომის დაწყების წინ გაქცეულიყო დასავლეთ უკრაინიდან გერმანიაში და ახლა გერმანელების დახმარებით უკან დაბრუნებული, ძველებურად სოფელს განაგებდა. საჭირო იყო მისთვის და მისი სტუმრისათვის, გერმანელი პოლკოვნიკისათვის ქუა გვესწავლებინა.

და აი შევეუდექით მზადებას. ვერშეგორამ უბრძანა კულბაქას თავისი ნაწილით წასულიყო სოფელში და შემამულე სტუმრებიანად და მცველებიანად დაეტყვევებინა. კულბაქას თან ჩემი ასეულის მშვერალებიც გაატანეს.

კულბაქა სასწრაფოდ გაემგზავრა. პარტიზანებმა სოფელ ტოლსტი-სადს ალყა შემოარტყეს. სიმთვრალისაგან ცნობა დაკარგულმა გერმანელმა პოლკოვნიკმა, როცა გაიგო სოფელს პარტიზანებმა ალყა შემოარტყესო, განკარგულეა გასცა: „დაუყონებლივ დაატყვევეთ ყველა პარტიზანი და აქ მომგვარეთო“.

მაგრამ სად იყო მისი ბრძანების ამსრულებელი, შემამულის მცველები თავის სოროებს ეძებდნენ.

როდესაც პოლკოვნიკის განკარგულება ველარაგინ შეასრულა, მან ავტომატი აიღო და თავის ჯარისკაცებთან ერთად პარტიზანებთან, შესაბამელად გაეშურა. პოლკოვნიკს არ დასცალდა პარტიზანებთან შეხება, ის პირველ შეტაკებისთანავე დაეცა. როგორც კი პოლკოვნიკი მოკლეს, კულბაქამ შემამ-

მულე დაატყვევა. მან პარტესტი განაცხადა: „ვინ ბედავს ჩემს დატყვევებასო“. პარტიზანებმა შემამულე „დაამშვიდეს: „თქვენთვის უკეთესი იქნება, თუ წინააღმდეგობას არ გაგვიწიეთ და დაგვმორჩილდებითო“.

— არასდროს არავის არ დაემორჩილებივარ და არც ახლა დავემორჩილები. ჯერ იყო და სტუმარი მომიკალით და ახლა დამოკებას მიბრძანებთ, თქვენ გიჩვენებთ,—პყვიროლა გაღეშილი მემამულე.

როდესაც ყბედი მემამულე ავტომატების კონდახის ცემით პარტიზანებმა წინ გაავდეს, განებივრებულმა დესპოტმა ხმა ჩაიკმინდა და პარტიზანებს ჭუნძულით გაჰყვა.

მემამულის მცველებმა გაიგეს თუ არა სოფელს ალყა შემოარტყესო, უციხლავ გაავდეს ხელიდან იარაღი და ცხვრის ფარასავით გაიფანტნენ, ძლივს მოასწრეს პარტიზანებმა სამიოთხი მცველის დაკვება, დანარჩენები მიიშალნენ.

დაკვებულ მცველთა შორის ერთი ისეთი მხეცი და ბოროტი იყო, რომ მის დაქვრას გლეხები ენითგამოუთქმელი სიხარულით შეხედნენ.

— მაგრად გაუკარით მხრები მაგ ძალს, ჩვენი სისხლის მსმელს, მოსვენება არა გვაქვს მაგისაგან, ყოველდღე აწიოკებული ვყავართო. — ამბობდნენ გლეხები.

ჩვენ დავინტერესდით დატყვევებულ მცველის ვინაობით და გლეხებს პასზე ცნობები მოვკითხეთ:

— თქვენ არ იცით, რა მხეცია ეგ გათახსირებული: სინდისზე ხელაღებული, თორემ აქვე ადგილზე ჩააძალღებდითო. — გვითხრა მოხუცმა გლეხმა.

— მაინც რა ჩაიღინა, რა ჰქნა ასეთი? — ეკითხვებით მოხუცს.

— ათასი ბოროტება და სისაძაგლე! გერმანელების მიერ კარაქის შეგროვება აქვს სოფელში ამ ქოფაკს დაეალებული. კარაქსაც ორზომად ჰკერფეს და გლეხებსაც სცემს, ყოველად უმსგავ-

სოდ იქცევა. მიუტან მშვენიერ კარაქს, მაინც იყვირებს: ეს სუფთა კარაქი როდია, ლორებს გადაუყარეთო. კარაქს მანელები არ მიიღებენ, თქვენ არ იცით, რომ გერმანელები წმინდა რასის არიანო, ასე მოგვდებს შარს, დაგვერევა მათრახით და გვეცემს, სანამ ვულს არ იჯერებს. ფხიზელს ხომ ვერასდროს ვერ ნახეთ. საღამოს ექვსი საათიდან მცხოვრებლებს აკრძალული გვაქვს ქუჩაში გამოსვლა. ამ დროიდან გერმანელების გარდა ქუჩაში სხვას არავის შეუძლია გამოსვლა, მაინც მიღის ეგ არამზადა ბატონთან და ჩასჩურჩულებს: ღამ-ღამობით გლეხები საღლაც დამერებიან, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი საექვო პირებს უკავშირდებიან, თუ დროზე არ იქნა მათ წინააღმდეგ მიღებული ზომები, ბევრი უსიამოვნება შეუძლიათ შეგვახვედრონო. „თუ იცით, ვინ არიან ეგ საექვო პირები?“ — ჰკითხავს ხოლმე მას ბატონი. „როგორ არ ვიცი, ყველანი ვიცი, გნებავთ მოგახსენებთ?“ ეუბნება ბატონს ეგ არამზადა.

— ამ ათი დღის წინათ მახლობელი გარნიზონიდან შტრის ოცი მანქანა მოგვადგა კარზე. გერმანელებმა გამოიძახეს ხუთი გლეხი, გაუტრეს მხრები და წაიყვანეს, შემდეგ არ ვიცი რა ბედი ეწიათ საწყლებს, უკან აღარ დაბრუნებულან. სწორედ იმ დღეს, როდესაც გერმანელებმა გლეხები დაატყვევეს, ეს ვაებატონი, სპირტით გაღეშილი მოვიდა ჩვენთან და გვითხრა:

— აბა როგორ გეგონათ, ვის შერჩენია ავკაცობა; ხომ დაინახეთ თქვენი თვალებით გერმანელებმა გლეხები როგორ წაიყვანეს. ეგ დასაწყისია, შემდეგ ნახეთ რა ამბები დატრიალდებია. გასაგები გახდა ჩვენთვის, რომ ამ ვაებატონის ბინძური ხელით იყო გაკეთებული ეგ საქმე, ამ გარეწარი მცველის მიერ იყენენ დაღუპული საწყალი გლეხები. ძალა აღმართსა ხნავსო, ნათქვამია, ენაზე კბილი დაეაჭირეთ და გაე-

ჩემდით, აბა მოხუცებულებს რა უნდა ვეძინა.

ახლა ეს მხეცი ჩვენს წინაშე იდგა. გრძნობდა, რომ მოახლოებული იყო მისი აღსასრული, იდგა და თრთოდა ეს ქოფაკი ძალღი.

— შენი სახელი? — შეეკითხა მას კულბაკა.

— პეტრე მქვია, ბატონო! — ამოიხრიალა მან.

— რა კარგ სახელს აფუძვებ, შე ოხრის შვილო. — წამოიძახა კულბაკამ, საშინლად ეწყინა მას, რომ ეს არამზადა მისი სენხია იყო.

ამ დროს ერთი კოჭლი მოხუცი მოგვიახლოვდა. მან პირდაპირ კულბაკას მიმართა:

— ერთი მაგ ძალღთაპირსა ჰკითხე, შვილო, საწყალი აღათი რად მოჰკალითქო.

— პეტრე, რად მოჰკალი აღათი?

მცველი უსიტყვოდ იდგა, უაზრო ბრწყინელი თვალები ზეცისაყენ აეპყრო, თითქოს მას არ ეკითხებოდნენ.

— ძაღლო, შენ გეკითხებიან, რად მოჰკალი წყაროს თავზე ჭალი?

მცველმა გამოყვეჩებული თვალები ძირს დახარა, სპირტივ გაღურჯებული სახე გაუფითრდა და ოდნავ გასაგონად წაილღლღლდა: მთერალი ვიყავი, არც მახსოვს მე მოგვალი, თუ მკვდარი დამხვდა ის წყაროს თავზე!

— კარგი, — ეუბნება კულბაკა მას — არ არის საჭირო მეტი განმარტება, გავგიძიხი წინ, — წინ გაიგდეს პეტრე და გლეხების თანხლებით სოფლის მოედანზე მიიყვანეს. ამ სურათის დანახვაზე მოგროვდა მთელი სოფელი, ბებერი და ახალგაზრდა.

— რომ არ შერჩებოდა ამდენი ბორტება და აეკაცობა, განა ეს არ ვიცოდით?! — იძახდნენ დედაბრები.

— რას უპირებთ პეტრეს, თან ხომ არ წაიყვანთ? — ეკითხებოდნენ გლეხები კულბაკას.

— დახტთ როგორ სდუმს, თითქოს

აქ არაფერიო, — მცველის მსაჯრანად ნაილაპარაკა ერთმა *ლუკიტრემული*.

ვერსიგორამ გასცაბ *მანუჩაყცყცყცა* — მცველი საჯაროდ, სოფლელების თვალწინ ჩამოაბრჩეთ.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ — მაგონდება პეტრო ვერსიგორას სახე. ის გაფითრებული იყო და შეძრწუნებული. მის წინაშე ხომ საშინელი ბორტმოქმედი იდგა; და მამაცი ვაყეაცის — პეტრო ვერსიგორას გულს მისთვის სხვაგვარი განაჩენის გამოტანა არც შეეძლო. ასე მოიქცევოდა ყოველი ჩვენგანი. ბიკებმა სახელდახელოდ იშოვეს სუფთა ფიცრის ნაქერი და ზედვეება ასოვებით წააწერეს: „ეს დღე მოელის ყველა მოლაღატეს და ხალხის ამწიოკებელს!“ ფიცარი მცველს გულზედ დაჰიდეს, ხმაძლდა ჰკითხულობდნენ წარწერას სოფლელები და თან ეუბნებოდნენ პარტიზანებს:

— დაილოცოს თქვენი სამართალი, ეგ ძაღლი მარტო სახრჩობელას ღირსიაო.

სახელდახელო მიტინგი გაიმართა, სულგანაბულნი უსმენდნენ სოფლელები მიტინგზე სიტყვით გამოსულ კულბაკას, მან ილაპარაკა საერთაშორისო მღგომარეობაზე, აღნიშნა გერმანელების დამარცხების გარდუვალობა და სიტყვა ასე დაასრულა:

— ამხანაგებო, არიან გარეშე და შინაური მტრები, ისინი ერთნაირად ბინძური არიან... ერთნაირად საძულველნი... ეს პეტრე, ეს არამზადა ახლი მიიღებს იმ სასჯელს, რასაც ვერც ერთი ფაშისტი ვერ აცდებდა... თვითონ ძაღლი ჰიტლერის ბოლოც ეს იქნება.

ბოლოს კულბაკამ დაძახა! — ხალხის მოსისხლე მტერს სიკვდილი, ჯალათი პეტრე აი ამ ხის ტოტზე საჯაროდ უნდა ჩამოიხრჩოს!

ხალხს ამ სიტყვებზე კმაყოფილების გმინვა აღმოხდა, თითქოს მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლდნენო.

კულბაკას ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ახალგაზრდა პარტიზანი

აიციდა ასწლოვან მუხაზე და მის მძლავრ ტოტზე მარყუჟიანი თოკი გადმოჰკიდა.

ჯალათი საჯაროდ ჩამოეხრჩეთ. კმაყოფილი ხალხი ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდა.

ძლიერ ნერვიულობდა დაპატიმრებული მემამულე. „ოღონდ გამათავისუფლეთ და ხელწერილს დაედებ, ჩემს სიცოცხლეში ფეხი არ დაედგა ამ არემარეზეო“, მაგრამ ჩვენ გვახსოვდა, რომ კრილოვის მგელიც ასე ამბობდა, როდესაც მწყემსებმა ცხვრის ფარეხში შეისწირეს.

გლეხები გვეუბნებოდნენ:

— დღევანდელი დღე ჩვენთვის მუდამ სამახსოვროდ დარჩება, დღეს სისხლისმსმელ ჯალათზე გული ვიჯერეთ, მაგრამ ვაი, როგორ ჩაგვიმწარებენ ამ დღეს გერმანელები!

ასე ლაპარაკობდნენ სოფლელები და თან ბეჯითად თვალბში ჩაგვეკეროდნენ, თითქოს პარტიზანების გამოშეტყველებაში სურდათ ამოეკითხათ, მოგველის თუ არა მართლაც განსაცდელი!

— თქვენ რა შუაში ხართ? — ვეუბნებოდით მათ — თუ ვინიცობაა მართლაც ვინმე კვლევამიებას დაწყებს, მიდით მასთან და თამამად უთხარით: პარტიზანები იყვნენ აქ და სოფელი ააწიოკეს, ჩვენი მამა, ჩვენი იმედი ბატონი თავისის მცველებით სადღაც წაიყვანეს, სტუმარი პოლკოვნიკი თავის ძალით ერთბაშად ამოხოცეს და შემდეგ საჩქაროდ სოფლიდან გავიდნენ. იმ საშინელ წუთებში ჩვენ სახლებში შევაფარეთ თავი-თქო.

— დაგვიჯერებენ?!

— რა გზა აქვთ, რომ არ დაგვიჯერონ. უიარაღო გლეხები შეიარაღებული ბატონის მცველებსა და პოლკოვნიკის ამალას რომ ვერ მოერეოდით, ამას ბაგეშვიც კი მიხვდება. კიდევ ერთ რამეს გასწავლით, — ეუბნებოდა გლეხებს კულბაკა, — დაუყონებლევ გაიანადგუ-

რეთ კარაქის სადღეები სეპარატორები და ასე უთხარით გერმანელებს!

— ხომ ხელაეთ, რა იმედი გქონდა გლეხებს პარტიზანებმა, სეპარატორები დაგვიღწეს, კარაქი წაგვართვეს და ხანამშრალი დაგვტოვეს-თქო. ამ გზით თქვენ შესძლებთ ორი საქმის გაკეთებას, ერთი რომ გერმანელებს რისხვას თავიდან აიცილნით და მეორე კარაქის ბეგარასაც აღარ გადაიხდით.

მოეწონათ კულბაკას სიტყვა გლეხებს, მიღწე-მოღწევეს სეპარატორები.

როცა პირველი მღელვარება მიწელდა, სოფლელებმა გვიამბეს, თუ როგორ დაბრუნდა მათი ბატონი, რომელიც საზღვარგარეთ გაქცეულიყო დასავლეთ უკრაინის გათავისუფლების შემდეგ.

— სიყვდილი მოგვანატრა, ბიჭებო! დაბრუნდა თუ არა, იყვირა: ამა სად არიან ის ვაგებატონები, აქედან რომ გამაძევეს, მითხრან ერთი, რა უფლების ძალით დაეპატრონენ ჩემს ქონებას? ვინ მიისაკუთრა ჩემი ცხენები და ძაღლები, ვინ გაბედა და დასცალა ჩემი ბეღელი და საკუჭნაობები?! თუ ორ დღეში არ დაგისახლებიათ ჩემი ქონების გამნიავებლები, ყველას ციხეში ჩავსვამთო.

— მერე რა ჰქენით, როგორ მოიქეცით?

— არც ერთი თანასოფელი არ გავიცვია, გარდაცვლილებს დავადეთ ხელი, და რაც მთავარია, ისეთებს, რომლებიც წინათ ბატონის მონა-მორჩილნი იყვნენ.

— სტყუით. ამკარად სტყუით! — დავიკატანა გაბრახებულმა ბატონმა. — ისინი ვერ გაბედადნენ ჩემი ქონების ხელყოფასო.

— გვინდოდა ბატონისათვის გვეთქვა, რომ სიმართლეს მოვასხენებდით, მაგრამ როდი მოგვისმინა, აიღო იმ სულწაწყმენდილმა და რაც რამ გვებოდა, ყველაფერი წაგვართვა, არ შეგვარჩინა ოთხფეხი, ფრინველი, მაგის გარდა, ახალი მოსავლიც დაგვიბეგრა!

— კმარა, მეტი განმარტება არ არის საჭირო, — ეუბნება გლეხებს კულბაკა — თქვენი მემამულე იქით გავისტუმრეთ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან...

ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ გერმანელები პოლკოვნიკის და მემამულის სიკვდილს გლეხებს დააბრალებდნენ, სოფელს მოსთხოვდნენ პასუხს. ამიტომ ყველა ღონისძიება მივიღეთ, რომ სოფლელებისათვის ეს რისხვა აგვეცდინა თავიდან. დაეტოვეთ მუქარის წერილები, დაცლილი ვაზნები, გლეხებს ვურჩიეთ, გერმანელების მოსვლისთანავე ჩვენზე ცუდად ელაპარაკათ, ყველაფერი ჩვენთვის დაებრალებიათ.

ჩემი ხანგრძლივი პარტიზანობისას შემჩნეული მქონდა: საკმაო იყო პარტიზანებს სოფელში შეგვედგა ფეხი და იქიდან ქუჩრი კატებივით დაუყოვნებლივ გაიპარებოდნენ ხოლმე ჯაშუშები და ადგილობრივი პოლიცია. გვხვდებოდა მხოლოდ ხალხი, რომელსაც აღარავისი აღარ ეშინოდა, ამიტომ იყო, რომ გლეხები პირველ შეხვედრისთანავე ესოდენ გულთბილად გვეპყრობოდნენ.

როცა გერმანელები მოდიოდნენ ჩვენს მიერ დატოვებულ სოფლებში, პოლიციას და ჯაშუშებს მათთვის სათქმელი არაფერი ჰქონდათ. ისინი ხომ აღრევე გაიქცეოდნენ ხოლმე, შემდეგ კი თავს ასე იმართლებდნენ: „ძნელი იყო ჩვენთვის პარტიზანებთან გამკლავება, იძულებული გავხდით გავქცეოდით მათ რისხვას, სიკვდილის სასჯელს დავერიდეთო“. ამრიგად თავისი ჯაშუშებისა და პოლიციელებისაგან მტერი ვერაფერს გაიგებდა, ხოლო პასუხის გამცემი გლეხებს შორის არაფერი იყო.

გერმანელები ხედავდნენ, რომ მოსახლეობა მათ ვაჟრობდა და მარტონად ბრალელები, სისხლის სამართლის დანაშაულები კისრულობდნენ მათთან თანამშრომლობას. ხედავდა მტერი ამას და ამიტომ იყო, რომ სოფლელებს ასე

მკაცრად აწიოვებდა, ცეცხლით ნუგავდნენ ყველაფერს.

ჩვენ მუდამ ეცდებოდით, რომ მტრისათვის სოფლელების მიმართ შერისძიების საბაზი არ მიგვეცა. მივდიოდით თუ არა სოფელში, პირველ რიგში ვკითხავდით, არიან თუ არა აქ გერმანელების აგენტები, თუ არიან, ამჟამად სად იმყოფებიან? პასუხი ყოველთვის თითქმის ერთი და იგივე იყო:

— ადგილობრივმა ნაძირალებმა, როგორც კი გაიგეს, პარტიზანები მოვიდნენო, გაქცევით თავს უშველესო.

თუ ეს არამზადები გაქცევას ვერ მოასწრებდნენ, მათ სიცოცხლე არ ეწერათ...

ზევით არაერთხელ აღვნიშნე, რომ პარტიზანების სიმამაცე პირდაპირ საბრაკო იყო. ჩვენს მშვერავებს გამოჰქონდათ ცნობები მტრის დივიზიებით და პოლკებით გაქედული ქალაქებიდან. პარტიზანთა რიგები ახალი ძალებით მოსახლეობის წიალიდან იესებოდა, ხალხი გვაწვდიდა უტყუარ ცნობებს მტრის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, ხალხი უწევდა შშობლიურ მხრუნველობას ჩვენს დაპირილ-დაავადებულ მემარებს.

პარტიზანული მოძრაობა ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი იყო ამიტომ, რომ მას ხალხი ყოველმხრივ მხარს უჭერდა. ხალხი გვაწვდიდა საზრდოსაც, როდესაც ამის საჭიროება იყო. ხალხი რომ არ ყოფილიყო ჩვენი დასაყრდენი, პარტიზანული რაზმები განწირული იქნებოდნენ, უამისოდ ჩვენ ერთ თვეს ვერ გაეძლებდით და კატასტროფის წინაშე დავდებოდით.

XXXIV

ჩვენს პარტიზანულ შენაერთში იყვნენ ბიჭები, რომლებსაც გადაკერა უყვარდათ. ამ საქმეში ჩვენ ძალიან დიდ სიფრთხილეს ვიჩენდით და მებრძოლებს გადაჭარბებულ სმას ვუყარდავდით. კერძოდ ჩემი ასეულის სასმლის



მოთუთიებული ჰურჭელის გასაღებს ხომ მუდამ ჯიბით ვატარებდი. მაინც ზოგჯერ ახერხებდა თითო-ოროლა პარტიზანი, ჩემდა შეუმჩნევლად, სასმელის შოვნას. ერთხელ სუბოცი დაზვერვიდან ძალზე შექეითანებული დაბრუნდა, ზომაზე მეტი გადაეყრა; მე ის სასტიკად გაეციებე.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა სუბოცი, სიტყვის შეუბრუნებლად მომშორდა და ხის ძირში მიწვა.

ასე დაემართა კულბაკასაც. ისიც ნაქეიფარი დაბრუნდა ერთხელ დაზვერვიდან და მოხსენებით წარუდგა ვერშიგორას. თუმცაღა მას გადაჭარბებული არაფერი უთქვამს, სრული სიმართლე ილაპარაკა, მაგრამ ცოტა „მალლა საართულბში“ რომ იყო ასული, ამას ვერშიგორას ხომ ვერ გამოაპარებდა. კულბაკას ეგონა, ვერშიგორა ვერაფერს ვერ მამჩნევსო; საუბრის დასასრულს ვერშიგორამ მოულოდნელად ჰკითხა მას: სასმელები თუ იშოვებოდა იმ არე-მარეზეო.

კულბაკამ გაიგო, რომ ხელმძღვანელი ყველაფერს მიხედა. წამოწითლდა, მას შერე მუდამ ისიც ფრთხილობდა.

ერთხელ ჩემმა მეკავშირემ, პატარა ვასია შიროშეინმა დაზვერვიდან დაბრუნებისას, პარტიზანული მეთაურისათვის ცოტა არ იყოს შეუფერებელი საჩუქარი მომიტანა. ეს იყო ფეტრის ქული, ზოგიერთები შეცდომით „ცილიანდრს“ რომ ეძახიან; თურმე ვიღაც შემამულის ბინა აეწიოკებინათ მშვერავებს და ვასიასაც ამ ქულისათვის დაეტაცნა ხელი.

გულკეთილმა ბავშვმა გადმოშვა ეს ქული და მითხრა:

— ამხანაგო მეთაურო, თქვენი პილოტურა ძალიან დაძველდა და გაჭოჭყიანდა. სანამ ახალს შეიძენდეთ, იქნებ ეს ქული ატაროთ?!

ბავშვს საჩუქრისათვის დიდი მადლობა გადაუხადე. როგორ გავეოცდი, როცა ომის დამთავრების შემდეგ, უკვე აქ, თბილისში, მოსკოვური ილუსტრირ-

ებული ჟურნალი მივიღე და იმ ჟურნალში ვნახე ჩემი სურათი ნიშნის ქულით თავზე. კარგად მახსოვს, რომ ქულში სურათი არასდროს არ გადამიღია. სჩანს, ჩემდა შეუმჩნევლად ვერშიგორა წამომპარვია და ფეტრის ქულში ჩემთვის სურათი გადაუღია. ეს რომ ასეა, იმან უფრო დამარწმუნა, რომ სურათთან ერთად იმ ჟურნალში დაბეჭდილი იყო ვერშიგორას წერილი.

ვერშიგორას ჯიბის ფოტო-აპარატი, როგორც მდღევლს ძეწკვიანი ჯვარი, მუდამ გულზე ეყიდა!

ზევით უკვე აღვნიშნე, რომ დნეტრის მარცხენა ნაპირზე პარტიზანები შედარებით მეტ მყუდროებას ვერძნობდით. მაგრამ ეს არ ნიშნავდა თითქოს მტერმა ჩვენს დევნაზე საბოლოოდ ხელი აიღო. გერმანელებმა იცოდნენ, სად ვიმყოფებოდით იმხანად პარტიზანები კვალ-დაკვალ მოგვდევენ. ამ გარემოებამ იძულებული გაგვხადა სოფლებში დიდხანს არ გავჩერებულყავით, ჩვენც პატარა განმარტებულ ტყეს შევაფარეთ თავი. ტყის სიღრმეში შტაბი მოთავსდა, პარტიზანები ირგვლივ შემოეწყვენ; ჩემი ასეული ამხანად რეზერვში იყო და ცხვენებდა. თავდაცვის მოწყობა საშა ლენცის და სტეფანე ეფრემოვს მიენდო.

1943 წლის ორ სექტემბერს შემოდგომის საამური დილა გათენდა. ჩადგა ზაფხულის სულშემსხუთავი სიცხე.

ამ დღეს სამხრეთის მხრიდან ჩვენსკენ მომავალი უცხო პირები შევნიშნეთ. „კოვპაკის ჯგუფის პარტიზანებიო!“, — გვითხრეს მშვერავებმა. ფართო ნაბიჯით მოაბიჯებდნენ ჩვენსკენ ილიაში ავტომატ-გამოჩრილი ბიჭები, შეინძრა პარტიზანთა მთელი ბანაკი, დიდი და პატარა ყველა ფეხზე დადგა.

— სალამი კოვპაკისაგან და მისი ჯგუფის პარტიზანებისაგან! — იყო მოსულთა პირველი სიტყვა.

— სალამი ძვირფას ამხანაგებს! — ვაისმა ჩვენი პასუხი.

მომე შეთბეჭდილება დასტოვეს მო-

სულეზმა, ისინი ლანდებს უფრო გავ-
დნენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს:
ჩვენს წინაშე იდგნენ გამხდარი, ფეხ-
შიშველი, ძონებში გახვეული პარტი-
ზანები, მაგრამ ყველანი ჯანმრთელად
იყვნენ, მზეს გაერუჯა მათი სახე.

— საიდან მოსულხართ, როგორ მო-
გვაგენით, სიღორ არტემის-ქე როგორ
არის? — სეტყვასავით მიაყარეს დამხ-
ლურებმა მოსულებს შეკითხვები.

— ყველანი კარგად არიან, — წინ
წამოდგა და ბუჯითად გვიბასუხა არა-
ქათგამოლულმა პარტიზანმა. — თქვენს
საძებრად შავ ტყეში გამოგვგზავნა მო-
ხუცმა. იმ დროს მივედი თქვენს მიერ
დატოვებულ ტყეში, როდესაც იმ არე-
მარეს მტერი არტილერიიდან და ნაღ-
მტყორცნებიდან გააფთრებით უშენდა.
შეუძლებელი ვახდა იმ ქარ-ცეცხლში
თქვენამდე მოღწევა, მხოლოდ შემდეგ-
ში გავიგეთ, რომ იმ ხანად ტყიდან გა-
სული ყოფილიყავით. მტერი ცარიელ
ნაბინადარს უშენდა. კოვბაკი ამ დროს
თავისი ჯგუფით, ორმოცო კილომეტ-
რის დაშორებით ტყეში იყო დაბანაკე-
ბული. კარპატებიდან მოყოლებული
მტერი კვალ და კვალ მოგესდევდა: ვე-
ცადეთ მტრისათვის კვალი დაგვებნია,
მაგრამ ვერ მოვახერხეთ, თითქოს იცო-
დნენ, რომ ჩვენს ჯგუფში მოხუცი იმ-
ყოფებოდა... ბევრჯერ რკალი გავარ-
ღეით, მაგრამ ამაოდ, ისევ ხელმოგრედ
რკალში ამოვყავით თავი. როცა შავი
ტყიდან მოხუცთან დავბრუნდით, ის
მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში ჩაბ-
მულიყო. გზაში ორჯერ დავესხლტით
მტერს ხელიდან და დიდის ვაივაგლა-
ხით ჩვენს ნაწილს შევუერთდით. მო-
ხუცის უშუალო ხელმძღვანელობით გა-
ვანადგურეთ თავდამსხმელები და გავ-
ფანტეთ მისი ძალები. მხნედ არის მო-
ხუცი. ვაჭირებდა ბევრი შეგვხვდა, მაგ-
რამ არც ერთხელ არსად მარცხი არ
გავციდია. კოვბაკს ხელიდან ავტომა-
ტი არ დაუგდია, მისი უშუალო მონაწი-
ლეობის გარეშე არც ერთი ბრძოლა არ
ჩატარებულა. დავბრუნდით რა შავი

ტყიდან, კოვბაკს ვუამბეთ რა ვახეთ
და გავიგონეთ. მოხუცმა სიხარულ-
ყოფილობა დაეტყო: **გმამხარობა** კა-
ლისათვის მივიგნით. რალად გაგიჭირ-
დათ მათი ნახვა?!... — სთქვა მან ნალე-
ლიანი კილოთი.

ეულ ხასიათზე იყო ხელმძღვანელი.
დადარდიანებული იყვნენ ბიჭებიც. არ
სჩანდნენ ბაზიმა და მასთან მყოფი მე-
ომარები — სენიჩენკო და ბოჩკოვი.

მოხუცმა კვლავ ორი მხრით გაგზავნა
მშვერავები თქვენსა და ბაზიმას საძებ-
რად. ჩვენც ამ გაგზავნილთა რიცხვში
მოგხვდით. როცა ხელახლა უკან დაებ-
რუნდით, კოვბაკს ახალ ადგილზე გა-
დაენაცვლებია. ველარ ვიპოვეთ მოხუ-
ცი. ძებნა განვაგრძეთ, იმდროიდან მო-
ყოლებული დღემდე მის ძებნაში ვართ.
მოვიარეთ მთელი ეს მხარე, მაგრამ
უშედეგოდ, და ამასობაში სრულიად
მოულოდნელად თქვენ წაგაწყვიდით.

— რომელ ტყეებში და სოფლებზე
გამოიარეთ? — შეეკითხა პარტიზანს
ვერშიგორა.

— ვიყავით იმ ადგილებში, სადაც
თქვენ ყოფილხართ და გამოვივლიათ,
მაგალითად, პანის ტყეში და სოფელ
გლებიოვკაში. გლებებმა გვიამბეს: ამა
და ამ დროს აქ პარტიზანები იყვნენ,
მტერთან ბრძოლები ჰქონდათ, შავ
ტყისაკენ წავიდნენ, გრძელწვერებიანი
უფროსი ჰყავდათო. ეს რომ გვითხრეს,
აღმათ, ვერშიგორას ჯგუფმა ჩიაარათ,
ვიფიქრეთ.

მშვერავებმა ამის გარდა ერთი ძალ-
ზე საინტერესო ამბავი შეგვატყობი-
ნეს: როცა კარპატები დაეტოვეთ და
ბარში ჩამოვედით, ერთ სოფელში გლე-
ხებმა გვითხრეს, რომ მთაში მწყემსებს
შაფულვამებიანი პარტიზანი ენახათ,
სამკურნალოდ მოეყვანათო. ის შავ-
ულუაშიანი პარტიზანი კომისარი ყო-
ფილა, უკვი გამოჯანმრთელებული კო-
მისარი ბარში წასასვლელად ემზადე-
ბოდაო.

ცხადია, ლაპარაკი რუდნევეზე იყო.
მაგრამ სამწუხაროდ ეს ცნობაც სიმარ-



თლეს არ შეიცავდა. ეს მხოლოდ პარტიზანების დაუცხრომელი სურვილი. მათი ტკბილი ოცნება იყო, ოცნება ადამიანებისა, რომელთაც არ სჯეროდათ თავისი მამაცი კომისრის სიკვდილი, რომელთაც მისი ხილვა ენატრებოდათ.

მოსულებს გულუხვად გავემასპინძლდით. ნადავლი სასმელები, კონიაკი და ლიქიორი ჩვენს განკარგულებაში იყო და ამ შეხვედრისას არ დაგვიზოგავს. მწვერავები რომ დანაყრდნენ, ხალისიანი საუბარი დაიწყეს, ისინი კვლავ კოვბაყის ამბებს დაუბრუნდნენ.

თავგანწირულად იბრძოდა მოხუცი, მუდამ შუა ცეცხლში იყო და უვნებლად სამშვიდობოზე გამოდიოდა. მებრძოლები სთხოვდნენ მოხუცს ბრძოლებში არ მიეღო მონაწილეობა, მაგრამ აპაოდ. კოვბაყი თავისას არ იშლიდა. იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც ის ალყის გარღვევის დროს, ჭაბუკივით იბრძოდა.

მწვერავებთან შეხვედრამ ნადიმის სახე მიიღო. ბევრი თბილი სიტყვა ითქვა და კარგი სადღეგრძელოებიც დაიღია, მათ შორის დიდი პათოსით წარმოვსთქვით საყვარელი ხელმძღვანელების — კოვბაყის და რუდნევის სადღეგრძელო.

ნადიმზე ბოლომდე არ დავრჩენილვარ, დაღლილი ვიყავი და მონადიმენი ადრე დავტოვე. ასეულში წავედი, ახლა ძილზე ლაპარაკიც შეუძლებელი იყო. მწვერავების ცნობების მიხედვით მტრის თავდასხმის მოლოდინში ვიყავით.

მივედი ასეულში, მაგრამ ჩემი მოაღვილე სუხოცი იქ არ დამხვდა. მეზობელ ასეულში გადასულიყო. აი ის დაბრუნდა კდეც. სწორედ ამ დროს ძლიერი სროლა ატყდა, ზმირ სიმინდებში მტერი შემოპარულიყო. სანამ თავზე არ დაგვადგნენ, ვერ შევამჩნიეთ.

სასწრაფოდ განგაში ავტებე, ასეული ფეხზე დავაყენე და მოხუც მტერს ბრძოლა გავუმართეთ.

გაშმაგებული ბრძოლა გაიმართა, მალე პარტიზანებმა ბრძოლის ინიციატივა

ჩელთ ვიგდეთ და მოწინააღმდეგე წელში გაეტყვეთ.

სიმინდებში შემოჭრულნი უკანვე გარბოდა. ოცზე მეტი დაზოცილი ჯარის-კაცი და ოფიცერი დასტოვა ბრძოლის ველზე მტერმა.

— სუხოცი მოკლეს, სუხოცის ცხედარი ეს-ეს არის სიმინდებიდან გამოიტანეს! — გაიძახოდნენ შემფოთებული პარტიზანები.

დაუყოვნებლივ გავეშურე შტაბისაკენ. იქ ჩემი თვალით დავინახე მოლზე დასვენებული ცხედარი სუხოცისა.

ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე გამოჩენილმა მებრძოლმა და მეთაურმა.

სუხოცის სახით ჩვენი ასეულის მებრძოლებმა დაჰკარგეს საუკეთესო მეგობარი და ადამიანი. ამ ბრძოლაში სუხოცის გარდა მოგვიკლეს კდეც ერთი მებრძოლი, ტომით გუცული. ეს უკანასკნელი ბრძოლის დაბოლოებამდე ვაკეცურად იბრძოდა. ბრძოლა ის იყო დასასრულს უახლოვდებოდა, როცა გუცული ზეზე წამოღვა და გაქცეულ მტერს დაედევნა, ამ დროს მას მუხანათურმა ტყვიამ მოუსწრო და პარტიზანი-გუცული წუთისოფელს გამოასალმა.

ამვე ბრძოლის დროს ფეხებში მიძიმედ დასტრეს ჩემი ასეულის პოლიტბელი ლიონია რუდნეკა.

სიმინდებში ბრძოლა, როგორც უკვე ვთქვი, მტრის დამარცხებით დამთავრდა. დაზოცილ გერმანელთა შორის აღმოჩნდა ბატალიონის უფროსიც. მის საველე ჩანთაში ფრიალ საყურადღებო მნიშვნელობის დოკუმენტი ვიპოვეთ: კოლომეტრის მასშტაბიან რუკაზე სიზუსტით იყო აღნიშნული ჩვენი ჯგუფების მოძრაობის ადგილები. ვაოცებული დავრჩით ამ სანახაობით. ჩვენ ზომ კოვბაყის დაუსრულებელ ტებნაში ვიყავით, კოვბაყის მწვერავებამაც დაჰკარგეს თავისი ჯგუფის გზაკვალი, აღარ იცოდნენ სად ეტებნათ კოვბაყი. მტრის ბატალიონის უფროსის რუკაზე კი გარკვევით იყო აღნიშნული პარტი-

ზანთა ოთხივე ჯგუფის მოძრაობის მარ-
შრუტები. თვალსაჩინოდ, იყო რუკაზე
აღნიშნული მტრის ნაწილების განლა-
გებაც, რუკას დართული ჰქონდა ვრცე-
ლი წერილობითი განმარტება იმის შე-
სახებ, თუ როგორი წესით უნდა მომზ-
დარიყო პარტიზანთა ოთხივე ჯგუფის
აღყაში ერთდროული მომწყვდევა. ამ
გეგმის მიხედვით ჩვენთვის ნათელი
გახდა მტრის განზრახვა, შეეიტყუეთ რო-
გორი წესრიგით აპირებდა ის ჩვენს გა-
ნადგურებას.

ახლა მთავარი იყო მტერს ხელიდან
გავსლტომოდით და აღყაში მოქცევი-
სათვის თავი დაგვეღწია. ამ საქმეში
დიდი სამსახური გაგვიწია ნაპოვნმა
რუკამ; რომ ეს რუკა არა, ჩვენ ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთისაკენ ვაპირებდით,
წავსვლას, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ
მტერს ხაზაში ჩავეარდნოდით. ნაპოვნი
გეგმისა და რუკის მიხედვით ამკარა
იყო, რომ სწორეთ ეს გზა ჰქონდა
მტერს საგანგებოდ გამაგრებული. ამ
მიმართულებით რკინიგზის ხაზი გადი-
ოდა და მტერს ამ ხაზის მისადგომები
ძალზე გაემაგრებინა. მტრის აღყის
გარღვევა ჩვენგან დიდ მსხვერპლს მო-
ითხოვდა, ამ შემთხვევაში, როგორც
ეს სხვა დროსაც, ვერშიგორამ მეტად
პრაქტიკული და მნიშვნელოვანი გეგმა
წამოაყენა. ვერშიგორა ასე მსჯელობ-
და: მტერმა უკვე იცის ჩვენი ადგილ-
სამყოფელი, ამიტომ საჭიროა ამ არე-
მარეს დაუყოვნებლივ მოვშორდეთ.
ჩვენ ვერ ვივლით ძველი მარშრუტით,
ვეღარ წავალთ ჩრდილო-აღმოსავლე-
თისაკენ. სხვა გზებიც არ არის დიდად
საიმედო, მტრის აღყა თითქმის ყველა
გზას ეკვრის. მიზანშეწონილი იქნება
აქედან დაუყოვნებლივ შეუშინველად
სამხრეთის მიმართულებით წავიდეთ.

— აღყის გარღვევა ჯერ საჭირო
არ არის, ვივლით აღყაშემორტყმულ
ტერიტორიაზე, ისე, რომ ჩვენი მარ-
შრუტი წრისებური იქნება, ამრიგად
დავბრუნდებით იმავე პუნქტში, საიდა-
ნაც გამოვდით. მხოლოდ ამ გზით შე-

გვიძლია მტერს თვალი აეღუნოთ და
გზაკვალი დაეუბნოთ. მტრის ხელ-
დღეს პატარა ტყეში გავეტარებთ. ეს
ტყე აქედან ათი კილომეტრით არის და-
ცილებული, შემდეგ აქვე, ამ ტყეში
გადმოვინაცვლებთ, საღამოს გავეძვრე-
ბით მტრის აღყაში და ისევე აღმოსავ-
ლეთის მიმართულებით წავალთ.

ვერშიგორას გეგმა ყველას მოეწონა.
გამგზავრების თადარიგს შევეუღებით.
შეღამდა თუ არა, ადგილიდან დაეიძა-
რით და მთელი ღამე ფეხაკრფით ვი-
არეთ. მთავარ გზებს ახლო არ გავკარე-
ბივართ, ჩვენმა ფიზიკურმა მზვერავებმა
უვნებლად გაგვატარეს ყველა სახიფა-
თო ადგილზე.

ახალი დამანაკების ადგილი არ იყო
საიმედო. მტრის მოსვლა საათობით და
წუთობით იყო მოსალოდნელი. ცალკე
ასეულებად გაეფანტენით, მთელი დღე
აქ უნდა გაგვეტარებინა.

მცველების გაძლიერებული რაზმი
იცავდა ტყის ყველა მისადგომს. განგა-
შის მოლოდინში ვიყავით, ხანგრძლი-
ვად უსუსრსათოდ ყოფნამ ხომ წელში
გაგვტეხა. როდესაც მეომარი უსაქმუ-
რად ზის, შიმშილს გაორკეცებულად
გრძნობს.

შეზინდა. ფეხზე დადგენ პარტიზა-
ნები, გაჩაღდა ხმადაბლა საუბარი. ტყი-
დან გასასვლელად ვემზადებით, ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთისაკენ ავიღეთ გეზი.

— პაპიროსი! ეგ რომელია, გააგდე
ხელიდან. პაპიროსი არ დაინახო! —
საკმაო ხმამალა მიმართავდნენ პარტი-
ზანებს მეთაურები, მეზრძოლები უფ-
როსების განკარგულებას სწრაფად ას-
რულებდნენ. პაპიროსებს მიწაზე აგ-
დებდნენ და ფეხით სრესდნენ.

ფეხაკრფით გავდივართ ტყიდან.
მკლავმაგარმა ბიჭებმა ხელი დასტაცეს
საკაცებზე მწოლარე დაჭრილ პოლიტ-
ხელს და კოლონების შუა რიგებში მო-
აქციეს.

ზევით უკვე ვსთქვით, რომ ამ ბოლო
დროს იშვიათად-ღა წავაწყდებოდით
ხოლომე მტრის ჩასაფრებას, ძალზე მცო-

რე რიცხოვანი იყო მტრის გარნიზონები შედარებით იმ ჯარებთან, რომლებიც კარპატების მახლობელ რაიონებში გვებრძოდნენ. მაგრამ სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა ეს შესვენება. მტერი ისევ გააფთრებული ბრძოლები-სათვის ემზადებოდა.

კარპატების მთებიდან პარტიზანების მთლიანად წამოსვლა და ბარში გადმო-ბარგება მტრის მხედველობიდან არ გამოპარვია. მთაში დაბანაკებული ჯარის ნაწილები გერმანელებმა ბარში გადმოისროლეს. კვლავ ჯართულდა მღვთმარეობა, ავტომანქანებით, ტან-კებით და ქვემეხებით გაივსო შარა-გზები, თვითმფრინავებმა იწყეს ზუზუნი ჰაერში. კვლავ დაძაბულ ვითარებაში მოგვდით: საითაც გაიწივით, აღმოსავლეთით იყო ეს, თუ დასავლეთით, ვნა მტრის მიერ იყო მოჭრილი და გადაკეტილი.

მოწინააღმდეგის ჯარების დისლოკაცია სწორედ ისეთი იყო, როგორც ამას გვიჩვენებდა ჩვენს მიერ მოკლული გერმანული ბატალიონის უფროსის ჩან-თაში ნაპოვნი გეგმა. ვფიქრობ, მტერმა არ იცოდა რომ ის გეგმა ჩვენს ხელთ იყო, თორემ ალბათ, ძალებს გადააჯ-გულფებდა და სამოქმედო გეგმასაც შე-სცვლიდა.

ბარში ამ ხანად შეგვეძლო ტანსაც-მელის შეძენის საქმე მოგვეწესრიგებინა, ალღებიც გვეშოვნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ ნაადრევად ვთვლიდით ამ ნაბიჯის გადადგმას. ჩვენ ზომ სი-მინდის ყანებზე, ქაობებში და ნაპურა-ლებზე გვიხდებოდა სიარული.

თავის დროზე ავწერე, თუ რა პი-რობებში დაიღუპა მერვე ასეულის მე-თაური ვორლანოვი. ვორლანოვის სი-ცდილობს შემდეგ მერვე ასეულმაც შე-სწყვიტა დამოუკიდებლად არსებობა. ის შტაბის განკარგულებით დაშალეს და მებრძოლები სხვა ასეულებში ჩა-

რიცხეს. რამდენიმე ათეული პარტიზანი, ვორლანოვის მოადგილე რეზინოვიცის ჩათვლით, ჩემს მეცხრე მსჯელობა-ერთეს.

სუხოცის დაღუპვის შემდეგ ასეულ-ში მოადგილე აღარ მყავდა. ჩემი თხოვ-ნით ვერსიგორამ დემიდოვი ჩემს მოა-დგილედ დანიშნა. დემიდოვი მდგარი მებრძოლი და მტკიცე ნებისყოფის პარ-ტიზანი იყო. ის კოვპაის შენაერთში იბრძოდა ცხრაასორმოცდაერთი წლი-დან, რმ დღეებიდან, როცა ეს შენაერთი ჩამოყალიბდა.

შემოდგომა ძალაში შედიოდა. ნათე-ლი მზიანი დღეები წვიმიანმა ამინდებმა შესცვალეს. წყლის გუბებში დაღა-გზებზე, წებოვანმა ტალახმა შეგებოქა, მოძრაობა გვიძნელდებოდა; დამწეულ პარტიზანებს აღარ შეეძლოთ დაპრილ-რუდენკოს საკაცეთი ტარება და იძუ-ლებული ვავხდით ავადმყოფი სოფელ-ში დაგვეტოვებინა.

მზეერაყების რჩევით და წინადადე-ბით დაპრილი პოლიტხელი სანდო ვლუხს ჩავაბარეთ. მძიმე დრო იყო, პარ-ტიზანის ამ ხანად ოჯახში შეჩიზვნა მასპინძლისათვის სასიკვდილო განაჩენ-ზე ხელს მოწერას უდრიდა. კაცთმო-ყვარე, პატრიოტმა ვლუხმა შიში ახლოს არ გაიკარა, მან ლიონია რუდენკო თა-ვის ბინის სხვენზე აიყვანა და იქ მოა-თავსა. გამგზავრების წინ მასპინძელს ვთხოვეთ ავადმყოფისათვის კარგად მო-ველო და მსრუნველობა გაეწია.

— ჯავრი ნუ გაქვთ, — გვითხრა მან. — ავადმყოფს ვუპატრონებ და კარ-გად მოვეუვლი, ყოველ ღონეს ვიხმარ მალე ფეხზე დაეაყენო!

დავტოვეთ ავადმყოფი სოფელში და წინ გავსწივით. შემდეგ დამეს ოცდახუ-თი კილომეტრის გავლა შევძელით. დღისით ახლა აღარ ვმოგზაურობდით. დღე, — გერმანელების დრო იყო, და-მე კი ჩვენი — პარტიზანებისა.

ჭრელი ბაღბალი



თრიალეთის კალთებზე ნაადრევმა სიცივეებმა ხანშიშესული მეცხვარეებიც კი გააკვირვა. თითქმის ათი დღე იყო, რაც იალალს ნისლი ჰქონდა ჩამოწოლილი და ნაცრისფერი ცა განუწყვეტლავ წვიმასა სცრიდა.

ასეთ ამინდში ცხვარს მგელი და აფთარი ადვილად ეპარებოდა, მაგრამ ყელჩანგლიანი ძაღლები დღედაღამ ირგვლივ უვლიდნენ. და ნადირთან ნაბრძოლ-ნასისხლარ ტყავზე სიავისაგან ბალანი აშლილი ჰქონდათ. შუადღის ხანს ნისლი შეთხელდა, თანდათან აიკრიფა, თავკვეთილას მთებს გაეკრა. საბოვარზე თეთრად გაშლილი ცხვარი გამოჩნდა. ქვევით კი პატარა ბეჭობზე ყორეთი ამოშენებულ მწყემსების ბინას, ფიქალის ზეთრი ქსახურავი გამოუჩნდა. იქვე მწყემსები ტრიალებდნენ, აქა-იქ დარჩენილ ცხვარსა პარსავდნენ, დაგროვილ ნაპარსის აწონვა-ჩაბარებას ეშურებოდნენ, რადგან ფერმიდან წასვლის ნებართვას თითქმის ყოველ დღე მოელოდნენ.

ბინიდან პატარა ბიჭი გამოვიდა, ხელში შრატით სავსე გობი ეჭირა, უკან ექვსი თუ შვიდი ჩასუქებული ლეკვი მოსდევდა. ლეკვებმა ბიჭს გზა გადაუჭრეს, შარვლის ტოტებზე წაებოტიდნენ, მოუთმენლობისაგან ფერადი ცხვირები ზევითა ჰქონდათ აწეული, პატარა აგრეხილი კუდები უცახცახებდათ. ბიჭმა გობი ძირს დადგა, თითონ კი ბეჭობისაგან მომავალ მგზავრს დაამტერა, და რაკი მოახლოებული იცნო,

მწყემსებისაგან გასაქცევად შემობრუნდა. იცოდა გრძელი წინსაფარი ტალახში სირბილს დაუშლიდა, კალთა აუგრიხა, იღლიაში ამოიღო და თავქვე დაეშვა. მგზავრის დანახვაზე ლეკვებმა წკაფწკაფი იწყეს. ტალახში გაწოლილმა ბეჭებმა ქოფაკმა წამოიწია, ბოხი ზარმაცი ხმით შეიყუფა. ამაზე მწყემსმა მატყლის ბარდანის გაეკრვას თავი დაანება.

— აი, თქვე სამგლეებო! — შეუტია ახმაურებულ ძაღლებს და ფერმიდამ ამოსულ ზოოტექნიკოსის შესაგებებლად გაემართა. ბიჭი კი ხმაურით მწყემსებში გაერია.

— ძია სანდრო! ახლა კი წავალთ, გვეშველება. დათიკოა, თუ არა გჯერა, წამოდი, ნახე, — იძახდა სულმოუთქმელად.

მწყემსი, რომელიც აქამდე ზურგით იდგა და ტყავის ქულაჯაში განიერი მხარბეკი მოუჩანდა, აღჩქარებლად შემოტრიალდა, წარბებამდე ჩამოწეული ტყავის ქული ზევით ასწია და შუბლზე ქალარა თმები ჩამოეფანტა.

— ბიჭო, კედელს ცერცვი შეაყარეო, სწორედ რომ შენზეა ნათქვამი. რამდენჯერ უნდა ვითხრა, რომ უბრალო რამეზე ორომტრიალს ნუ აგვიტეხავთ ხოლმე შენ და შენი ლეკვები, — და უნდოდა კინკლლისფერი, გაშლილი სახე კუმტალ შეეკრა, მაგრამ სწორედ იმ დროს ზოოტექნიკოსი დაინახა, ნაბაღში შეხვეული მოპირდაპირე მიმართულებით მიდიოდა, უკან რამდენიმე

მწყემსი მისდევდა სანდრომ იცოდა რომ, მას ახალგაზრდა მწყემსისავე ეკურა გეზი, რომელსაც პარსეა დაემთარებინა და პატივებზე დაყრილ ბეწეებს იბერტყავდა.

ახალგაზრდა მწყემსმა წამოიწია, ასხებილი მალალი ტანი ოდნავ რხევით წამოიღო, ზოოტექნიკოსს თუმური ქუდი მოუხადა, სველ ქუდს ხშირი, ხუჭუჭი ქონორი დაეტყვნა, დაეგრძელებინა, თმა შუბლზე რგოლებივით შემოხვეოდა.

— შაქრი, უამინდობა ცხვარს, აღბათ, შეაწუნებდა, — შეეკითხა ზოოტექნიკოსი და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა.

— რძესავით ბალახი უამინდობას გვაეწიყებს, თოხლი დამრგვალდა, — ლაპარაკობდა შაქრია და წაბლისფერი გაბრწყინებული თვალები შორს გაურბოდნენ თვალუწვდენელ საძოვრებისაკენ, სადაც გაშლილი ცხვარი ისე მოსჩანდა, თითქოს მწვანე ხავერდი თეთრ წერტილებს მოუჩითათო. ზოოტექნიკოსი ღიმილით უგდებდა ყურს და იმის ცივ, ერთი შეხედვით მიუგარებელ სახეს ეს ღიმილი სასიამოვნო იერს აძლევდა.

— ბარში ამბობენ, ხმელობაო, — შეეკითხა მწყემსი.

— ამიტომ ჩვენ გადაეწყვიტეთ, სანამ მზისაგან მოშუშულ ბალახს შემოდგომის წვიმები გამოაცოცხლებს, ცხვარი ცივ გომბორის კალთებზე გადავიყვანოთ, — უბასუხა ზოოტექნიკოსმა, იქვე ბერიკაშვილს მიუბრუნდა, რომელიც შეუშინევლად მოსულიყო, მკლავზე დაყრდნობილი ყურს უგდებდა. — რას იტყვი ამაზე, სანდრო?

— კარგი იქნება, — უბასუხა ცოტა დაფიქრების შემდეგ: — ცხვარი თითონაც ისწრაფის ბარში, მაგრამ ჯერ მარამობის თეის მიწურულია, ცივ გომბორზე კი მთისა და ბარის ჰაერი კარგად არის შეზავებული, არაფერს ავნიებს.

მწყემსებმა ბევრი იღვეს, ღლაპარაკს გზებისა და მგზავრეფეფე და კარგი გაიხსენეს; ისევე დასწრეფეფე რამ არაფრად აგდებდნენ, იღვნენ და სველი ქონრებიდან, ქუდების გრძელი ბეწეებიდან წვიმა ჟონავდა, სახეები კი თითქოს ბარის მზემ დაკრაო, ყველას ისე ქონდა გაბრწყინებული. კარგა ხნის შემდეგ დაიშალნენ. შაქრია და რამდენიმე მწყემსი ცხვარში წავიდნენ მორიგეების შესაცვლელად, იმათაც გაუზიარეს წასვლის ამბავი. ამაზე ახალგაზრდა მწყემსი გარეკახელს მზიარულად მიუბრუნდა:

— რა გიქირს, შეილოსა, შენ ჩახვალ და გაციებულ ძვლებს შენი საპატარძლო ხელად გაგიტობობს, ჩვენ ვინრელოთ, მე და შაქრიამ, რომ აქაცა გეციქა და იქაც კეთილი არ მოგველის. — როზროზა ხმით გაიციინა მწყემსმა და თეთრად მიწყობილი მსხვილი კბილები გამოაჩინა. შაქრიამ შუბლი შეიკრა, ვითომ არ გაუგია, იქვე მოკენტრუშე თოხლს კავი გამოსდო, დაიჭირა და დაშავებული ფეხი გულმოდგინედ გაუსინჯა. ამით საოხუნჯოდ მადაჯახსნილ მწყემსს აწყენინა.

— რად იუკადრისე, ბიქომ აქო და ძველი ბერებევით მწირ ცხოვრებას ვეწყევითო. შენც ისე გინდა პირი მოვეუმოთ! სიტყვა ქარია, შეილოსა, ეს ქარი კი გულს მოგიოხებს, — უთხრა მწყემსმა, მერე შეტრიალდა, კომბალი მხარზე გაიღო და უდარდელი სტვენით გასწია.

შაქრიამ ცხვრის ფარას შემოუჭრა. თავის ბროლას გამოელაპარაკა და კავზე დაყრდნობილმა ფიქრს მისცა თავი. რამდენ ხანს იყო ასე დაფიქრებული, აღარ ახსოვდა, ცას შეხედა. რუნმა ღრუბლებმა დასავლეთისაკენ იბრუნეს პირი, მთის ნიავმა უხმაუროდ ჩამოიქროლა, მინდორს გაეკრა, ბალახს და ყვავილს ნამიანი თავები შეუბერტყა, შეუშუსბუქა, ისინიც წელში გამართულნი აქეთ-იქით ირხეოდნენ, თავებს ერთმანეთს ატმასნებდნენ და

ეს თვალწევდებულ სამოვარზე ისეთ შრილად მოისმოდა, რომ ამ უკაცურ ადგილზე კაცს სალაპარაკოდ გამოიწვევდა. შაქრისაც ასე დაემართა.

მწყემსის სიტყვები აქამდე განუწყვეტლავ განებაში უტრიალებდა: — მწირ ცხოვრებას ვეწევითო. რა გესაქმება, ეინ რას იტყვის ჩემ ცხოვრებაზე, მე ამითაც კმაყოფილი ვარ, — გაიმეორა ხმაველა, ისევ დადიქრდა. რას ავითებენ ახლა ჩემი ამხანაგები? რას ავითებენ, ნეტავ, შექია, და ნაცნობმა თვალგმა ახლოს გაივლევს.

მწყემსებმა წასასვლელად ბინა აშალეს. პირველად ყველის გუდები და მატყლის ბარდანებით დატვირთული მანქანები გამოისტუმრეს. დანარჩენი ბარგი, ჯამ-ჭურჭელი, ტანსაცმელი, ქვაბები, ფქვილი და კეცები სახედრებისთვის გადაეკიდათ, ბრივადირების სათაღარიგო ხმა ისევ ისმოდა და ახალგაზრდა მწყემსები ამ დავალებების შესასრულებლად მირბოდ-მორბოდნენ. მალე ყველაფერი მიწყნარდა. სანდროს ომახიანი ხმა ყრუდ გაისმა ამ სიჩუმეში, ამოძრავებულ ცხვარს შოლტი ისე ღონიერად გაუტლაშუნა, რომ რამდენიმე შეკაზმულმა ცხენმა ერთად დაიკიხინა. შაქრია წინ გამოუძღვა ცხვარს. ხელში შოლტი ეჭირა, მხარზე თოფი ჰქონდა გადაიდებული, მაგრამ ნაბდის ყურები იმდენად განიერი იყო, რომ კონდახსაც და მწყემსის განიერ მხრებსაც კარგად იტევდა. მზისაგან დამწვარი და ნიავისაგან დამაშხული სახე ზეგითა ჰქონდა აწეული.

— აბა, ჩემო ბაბა, შენი ჯარი კარგად ატარე, — გაისმა ოთარის წკრილა ხმა და აბმახი ყოჩის წინ ლურსმანივით დაერქო, უზარმაზარ რქებზე ხელები მოუფათურა, მაგრამ ყოჩმა თავი მედიღურად შეარხია, ამით ოთარის ხელიც აიციინა და დარიგებაც იუკადრისა. ცხვარმაც იგრძნო ბარის სითბო, დაგუბებულ წყალივით მოსკდა, თითქმის მორბოდნენ და ისეთივე სიარბილით მოსდევდნენ მწყემსები, ცხენები, სა-

ხედრები, ძაღლები ძენძულით მოკვეთბოდნენ. გამოიარეს ბუჩქნარეულებმა, ალგეთის მთები, კოჭნის მთებზე გაათიეს, მანგლის-პრიუტი გადასტრეს და ერთი კვირის შემდეგ, შუალამისას, თბილისს მოადგნენ. ქალაქის მისადგომებში ცხვარი ღარივით გაიქიმა, გაიძაბა, მოძრაობა გაამერეს, გზების ბატონ-პატრონი გახდნენ, გახურებულ ასფალტზე ფეხებს უდარდელად მიაბაქუნებდნენ და დარგვალბულ ღუმებს მიაგორებდნენ.

თბილისის თავზე სიცხის ოხშივარი ნისლივით იდგა, მაგრამ უამრავი ელნათურების სინათლე ამ ოხშივარში სვეტბივით ჩამომდგარიყო და კეთხიდან კეთხემდის ანათებდა დიდი ქუჩებით დასერილ ქალაქს.

— სწორედ რომ საკირია, ეს დალოცვილი, — ჩაილაპარაკა სანდრომ და იტყვის ქულაჯა გაიხადა. მწყემსებმაც საკინძები შეიხსნეს, გულმკერდი ვადაილეს, იცოდნენ, აქ განსაკუთრებული სიფრთხილე მართებდათ. ცხვარს კვლბივით ჩარიგებოდნენ, მაგრამ შინაც ანდმატავით იზიდავდა იმათ თვალებს დიდი ქალაქი. არაგველების ზიღს გადასცდნენ და ორი დღით ორხევიში დაიბანაკეს.

მეორე დღეს ქალაქში გავლის პირველი ჯერი სანდროს შესთავაზეს. ისიც კმაყოფილებით დაეთანხმა და წასასვლელ სამზადის უმალევე შეუდგახურჯინიდან შეკრული ბოხჩა ამოიღო, ახალ ჩექმებს ღუმე გადაუსვა, დაარბოლა, შავი სატინის ახალისი გადაიცვა და მკერდზე შრომის წითელი დროშის ორდენი დაიმარა. თუშური ქულე დაიხურა და თავისებური ომახიანი ხმით მწყემსებს გასძაბა:

— რას დამაბარებთ, ბიჭებო, ქალაქს მივდივარ!

დავალბები ბევრი მოგროვდა, სანდრომ გაყვითლებული ქალაღი გამოძებნა და ლურსმნებვით ასოები აქა-იქ ჩაარგა.

მთები ალისფრად შეაფერადა. მწყემსებიც წამოიშალნენ, მთის ცივი წყაროთი ძილი დაიფრთხეს. ცხვარის აშლას კი არა ჩქარობდნენ, დილის ნამი თოხლებს ჩლიქებს უფუჭებდნენ — ასე ამბობდნენ, მაგრამ არც თოხლები და არც დედაცხვარი არ ისვენებდნენ, ბლაოდნენ, ბებერი ყოჩი ისევ ისე მედადურობდა, დანარჩენ ყოჩებს რქებს აჯახებდა. სანდრო ცხვრის დათვლას შეუდგა, ყველა ჩუმი დათვლის შემდეგ რიხიანი ხმით დაიძახებდა:

— ერთი ოცი... ორი ოცი...

— გავიგონე... — აძლევდა პასუხს იქვე მდგომი მწყემსი და პატარა დანით ჯოხზე ნაჭდევებს აკეთებდა. დათვლის ხმა მიწყდა, აბლაღლებულ ცხვარს წინ შაქრია გაუძღვა, იქვე მთის ფერდობს შეჰყენენ. ერთმანეთთან მიწყობილი ცხვარი ნელა იძვროდა და ისე მოსჩანდა, თითქოს დაგუბებულ წყალს ნიაფი არხეხსო. მთელი ოჯახი სახედრებით, ცხენებით, ძაღლებით, უშფოთლად მიიწეოდნენ წინ, მთის წვერისაკენ. შაქრიამ ზღის წინამძღოლობა სანდროს მიანდო, თვითონ კი წინა დღით არჩეული საძოვრის დასათვალიერებლად გაემართა. იალადს თვალი მოაელო და რაკი ბალახი ფეხდაფეხარებელი დახვდა, სახე სიამოვნებისაგან გაუბრწყინდა, ნაბადი მოიხადა, იქვე მწვანეზე გადაისროლა, თვითონ კი უკან გამობრუნდა, მის ნაბადს ბროლა დაეპატრონა. წინა ტოტები ზედ გადააწყო და გამურული ცხვირით ახალი ჰაერი შეიყინოსა. რაკი სიმშვიდე იგრძნო, საძილედ თვალი მიელულა. ამოსულმა ცხვარმა საძოვარი გადაათეთრა, მწყემსებმა ვუღლით ამოტანილ ყაურმას პირი მოუხსნეს, საჯის ლავაშები გადატეხეს, ძაღლებს ცხიმით შენელებული ფქვილი დაუდგეს და დილის საუზმეს ყველანი ერთად მხიარულად შეეკცნენ. მართო შაქრია არ მიეკარა, განზე იდგა, წყლისაგან დაღარულ კლდეს გადასცქეროდა, ხელში შემწყვარი ხორცი და ლავაში შერჩენოდა და იმასაც იქვე

ყვავილებში ჩაუტყვევლ უკაცებს უნაწილებდა. ისინიც ატყობდნენ უმადობას. ყველა იმის ზეგნისადაა მოძრაობას პატარა თვალებს აყოლებდნენ. მაგრამ შაქრია არამც თუ იმათ არ ამჩნევდა, იმის თვალის ძაფებს ვერ იჭერდა ხელისგულივით გადაშლილი მხარე, ალაზნის ველი ვენახებში და ბაღებში ჩაფლული სოფლები, გაუტეხავი უღრანი ტყეები.

დაბიდან რაიკომის მდივანს შემოეთვალა, ახალ ქართულ ცხვარზე საერთო კრებას მოხსენება გაუკეთეო. ამიტომ იყო, მთელი დამე თვალეზზე რული არ მიეკარა შაქრიას. იცოდა, რომ ხელ კრებაზე იმისი ყველა ნაცნობები და ამხანაგები დაესწრებოდნენ, რადგან იმ რაიონიდან იყო, იმავე დაბის ათწლეულში სწავლობდა.

შუქიაც იქ იქნება, — ფიქრობდა შაქრია, ალბათ ჩემ წერილს მიიღებდა, რომ აქა ვარ ეცოდინება.

ფრთხილი ნაბიჯით სანდრო მიუახლოვდა:

— ბიჭო, შაქრი! — უთხრა დინჯი ხმით, და შივიებისგან მოქსოვილ ქისას პირი მოუხსნა, ქალალზე თამბაქო გადმოყარა, — ხელ სკამებზე, მე ვიცი, გოგოებიც ჭრელი პეპლებივით ჩამოგისხდებიან, თვალების ციმციმს დაგიწყებენ, ე მანდ ფიქრი და გონება არ მოგტაცონ, დაიწერე სათქმელად, რაცა გწალია.

შაქრიამ იგრძნო გულმა კიდევ შეიფრთხილა და საგულეში ფრთხილად ჩაგორდა.

— ჩემ მართალ საქმეს, ძია სანდრო, თვალებით როგორ მომტაცებენ? — უთხრა ღიმილით.

— ეგ შენი პასუხი მომწონს, ბიჭო, მაგრამ ჩემ სათქმელს მაინც გეტყვი, იქნებ გენიშნოს, — და სანდრო კლდის წვერზე ჩამოჯდა, აბეღზე ციცხლი დააკვესა, თამბაქოს მოუკიდა, შაქრიაც გვერდით მოუჯდა. — ჰო და, შეილო, მე რომ ახალგაზრდობისას თებროს სახლის წინ ჩაივლიდი, თუ ვინიცა-

ბაა „ბალკონზე“ გადმომდგარს დავინახავდი, ფეხები აქეთ-იქით გადამეხლართებოდა, უბრალო სათქმელსაც კი ხეირიანად ვერ ვახერხებდი. შენ კი უბრალო სათქმელი ხომ არა ვაქვს. ხალხს ჩვენი სული და გული უნდა გადაუშალო, დაანახო, რომ ჩვენც კაცები ვართ და ქულები გვხურავს. საცაოთა-ვისას იტყვიან, იქ ჩვენიც არ დაივიწყონ.

შაქრიამ მხარზე ხელი გადაადო, გულიანად ხარხარებს, სანდროც იღიმება, ორივეს ფეხებს კლდიდან გადმომსკდარი ჩანჩქერის შხეფები უსველებს, მაგრამ არაფრად ავღებენ. ვინ იცის მერამდენედ უამბობს სანდრო თავის სიყვარულის ამბებს და შაქრიაც ასე მერამდენედ იცინის.

— სიყვარული როგორ არ ვიცი, შეი-ლო, უსიყვარულოდ პაა კაცი რის მაქნისია, ია რა არის — მოსწყვეტამ და თითებ შუა ისე გაგიძვრება, ვერც კი გაივებ, მაგრამ ისიც კი მიყვარს, ამოდენა კაცი თავისაკენ რამდენჯერ მიუტყუებდევარ, როცა ლურჯად მოხვედრდებოდა ფერღობები შემინიშნია. ასეთი გულის პატრონს ქალი როგორ არ მიყვარებოდა, რომელსაც იის სიმორც-ცხვე ჰქონდა და ვარდის სილამაზე. — და ორივენი უღარდელად ხმამალა იცინიან. შაქრიას ფიქრები დაავიწყდა, გულმა ბავშვივით გამოუღარა, მაგრამ იმათი ყურადღება ქვევით, სადაც უღრანი ტყე თავდებოდა, და შეთხელებული არყის ხეები აქა-იქ-ლა ქანაობდნენ შემოსულმა ქალებმა მიიქციეს. წინ მსხვილფეხა ნახირი მოუძლოდათ, უკან კი ჩაცმულობაზე ეტყობოდა ფშაველი ქალი მოპყვებოდა, რომელსაც ირგვლივ ჭრელკაბებიანი სამი ქალი ამოსდგომოდნენ. ცხვრისფარის დანახვაზე გაჩერდნენ. სანდრომ ფშაველი თინია იცნო, სამოვარზე ძროხები ხშირად დაჰყავდა. შაქრიამაც იმ სამში შუქია გამოარჩია, რომ უფრო კარგად დაენახა, ფეხზე წამოდგა, ხელით მზე დაიჩრდილა და რაკი დარწმუნდა რომ ის

იყო, კინალამ გადასაფრენად არ დასძრა, მაგრამ თავშეკავებამ რაღაც სხეულიც დაიჭირა, აუჩქარებლად ფერღობზე ჩასვლა იწყო, როგორც სჩვევოდა რხევით მიჰქონდა მაღალი ტანი. ერთხანს თითქოს მოეჩვენა, რომ ხელები მეტად დაგრძელებოდა, ტანთან შედარებით უადგილოდ მიქანაობდნენ, მაგრამ ეს აზრიც სიმხალელე მოეჩვენა, მუხლი ღონიერად გაამაგრა, კისერი ოდნავ მოიღერა და წაბლისფერი დიდრონი თვალები ისე პირდაპირ დაიჭირა, რომ ქალების მხერისაგან არც ერთხელ ზედმეტად არ დაუხამამებია.

— მარგალიტივით სტუმრები მომიყვანია, ბიჭო, — დაუძახა შორიდან თინიამ და სიცილისაგან, ვაშლებივით ამომჯღარ წითელ ლოყებში პატარა თვალები დაემალა. თითონ კი არ მოუღელდა შაქრიასათვის, ნახირი სამოვარზე არეკა ზევით.

ახლოს მოსულმა შაქრიამ პირველად პატარა ტანის ქალს გაუწოდა ხელი, მისი პატარა ხელი თითქმის ხელში დაეკარგა. წელიწადზე მეტი იყო, რაც შუქია აღარ ენახა. ისევ ისეთი იყო, მოკლესახელოიან კაბაში, მზისაგან გარუჯული საესე მკლავები მოუჩანდა, შუაზე გაყოფილი თმა უბრწყინავდა, რომლის ხვეულები შიშველა კისერზე ჩამოფანტოდნენ. მზისაგან მოხუტული თვალები სულ პატარად უციმციმებდნენ.

— ჩემი ამხანაგები არიან, შაქრი, — ორივე ქალზე ხელით ანიშნა.

— რამ გაგაბედინათ მთაში ამოსვლა? — შეეკითხა შაქრია და ხმის დასაწყმენდათ ოდნავ ჩაახველა.

— ჩვენმა მეგობარმა თინიამ წამოგვიყვანა. წამოსვლა კი ბევრმა რამემ გაგვაბედინა, რა კარგად მოვიქეციით, სულ არა ენანობ, რა ლამაზი ყოფილა აქედან კახეთი, — სულმოუთქმელად ლაპარაკობდა ერთი იმათგანი.

შაქრიამ ერთი შეხედვით ვერ გაარჩია ერთმანეთისაგან ეს ორი ქალი.

ორივენი მალეები იყვნენ, ორივეს ქრელი კაბები ეცვათ და თვალეები ისე მუქად უთამაშებდათ, რომ იმათ გარკვეულ ფერს ვერ დაიჭერდი, დასიცხულ გაწითლებულ ლოყებს ორივე ქრელი ცხვირსაზოცებით ინიავებდნენ.

— არა, გენაცვალე, — განაგრძო ისევ ჩქარა მოლაპარაკემ და შაქრიამაც ამ ნიშნით გაარჩია და დაიხსომა, — კარგია, როცა ერთი ან ორი დღით ამოხვალ, მაგრამ მუდამ აქ ყოფნა უხალხოდ, უსაზოგადოებოდ, სწორე გითხრა, გადამრევედა. მესმის ვისიმე გულისათვის თავი გასწირო. — და თვალეები შაქრიასკენ ეშმაკურად ააციმიციმა. — მაგრამ აღამიანი ცხვირისათვის გადმოიკარგოს? — თან გამოსაჯავრებლად გულიანად ვადიკისკისა.

შუქიამ დაბნეული მზერით შეხედა შაქრიას, იქნებ ხუმრობას ვერ მიუხედაო — გაიფიქრა. შაქრია გამწყრალ ბავშვივით იდგა, მაგრამ გრძელწამწამებთან თვალეები ისევ ისე პირდაპირ ექირა.

— ჩვენ აქ „მწარაყვავილის“ დასაჯრეფად ამოვედით, იმისი შეგროვება გვაქვს დავალებული, — შეაწყვეტინა ლაპარაკი შუქიამ და შაქრიასთან ისე ახლოს მივიდა, რომ ვაკეკაცის სითბო იგრძნო. „რა აქვს ისეთი, რომ თავისაკენ ასე მიზიდავს?“ — გაუელევა ქალს და შაქრიას ლურჯი სატინის ხალათს თვალი შეავლო, ოდნავ მოსრესილი საყელო სავეს მოღერებულ კისერს ისე მოხდენილად შემოხვეოდა, რომ შუქიამ გაიხსენა ყველა ნაცნობის გახამებული საყელოები და მინც ეს ამჯობინა.

შაქრია ყვავილეების საჩვენებლად გაჰყვა, დარეჯანი ისევ ისე ლაპარაკობდა, შაქრიას კი თავი მალლა ექირა და ისე მოხდენილად იღიმებოდა იმის ლაპარაკზე, რომ შუქიას თვალეებმა ესეც დაიჭირა და გადასწყვიტა, რომ შაქრია ყველა იმის ნაცნობებზე უკეთესი იყო, მწყემსობა არ უშლიდა და არჩევანშიც არა სცდებოდა. გამხია-

რულდა, იქვე ტათობში თერთ ყვავილებს ჩაუჯდა და კრეფა დაუწყო.

— თქვენ იცით ამ ყვავილების თესლი აქ ვინ მოიტანა, — შეეკითხა მოულოდნელად შაქრია და ღიმილმა სახე გადაუშალა.

— არა, არ მინდა, — ხელი მხიარულად გაასავსავა დარეჯანმა, — ინსტიტუტშიაც მაგის გვარის და ნათესავეების ლათინურმა სახელწოდებებმა თავი წამართვეს. აქ კიდევ ის მიუმატო, ვინ მოიტანა?

— აქ, ამ ყვავილის თესლი ჩვენ ცხვარს თავისი მატყლით წამოუღია, აქ დაუბნევია და მომრავლებულა, — უთხრა შაქრიამ.

— ოჰო, მაგას კი ცხვარისაგან არ მოველოდი, — შეაწყვეტინა დარეჯანმა და სამივემ მხიარულად გადაიკისკისეს.

— შერე ეს თქვენ საიდან იცით, — შეეკითხა მეორე ამხანაგი და კისერი კელუტად შეარხია.

— ჩვენ სამოვარზე ხშირად ბალახ-ყვავილი სჭარბობს, სწავლულნი ხშირად ამოდიან, გვეუბნებიან, დასვენებული სმენა იტაცებს, გონება ბეჭდავს და ენა კი იტყვის, აბა რას იზამს! — გა ცინა შაქრიამაც.

— ჩვენ კი ვინ იცის რამდენს გვეუბნებიან, გვასწავლიან, — ჩაილაპარაკა დარეჯანმა და სახუმარო კილო თითქმის გაუქრა, თვალეები წყნარად გაანერა და შაქრიამაც მუქი თვალეები ებლა პირველად შენიშნა.

— კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა! — ჩაერია ლაპარაკში თინია, რომელიც შეუმჩნეველად მოსულიყო და ყურს უგდებდა.

ლაპარაკი ცხვრის ფარის ჩამოსვლამ შეაწყვეტინა, წყლის დასალევად ჩამოერეკათ. შაქრიამ სტუმრებს სანდრო გაცნო, ახლა სამივეს ცხვარი ართობდა, ყველაფრისაგან აღტაცებაში მოდიოდნენ, ქართულ ახალ ცხვარს დახვეულ მატყლს უსინჯავდნენ, იცინოდნენ, როცა ორი ყოჩი ერთმანეთს რქე-

ბით ეჯახებოდა, სხვადასხვა ფერის ლეკვები ხელში აჰყავდათ. და ისეთი სახეები ჰქონდათ, რომ შეეძლოთ რამდენიმე დღე მუხლი არ ჩაეხარათ, ანდენივე ხანს შეუჩერებლივ ელაპარაკნათ და უბრალო რამეზედაც კი სულმოუთქმელად ეხიზნებოდნენ.

სანდრო ცდილობდა, რომ მათი ცხოვრება უფრო მიმზიდველად მოსჩვენებოდათ და როგორც მასპინძელი მდიდარ სასახლეში, ისე თავაწეული დაჰყვებოდა. პატარა ბორცვთან მიიყვანა, გადაახვდა.

— პირაქით ხომ ხედავთ, ალაზნის ველია, პირაქით კი ივრის ხეობა გაჭიმულა, ასე ამბობენ, ალაზნის იორაო, — ეუბნებოდა დაბალი ტკბილი ხმით. — მართალიც არის, ალაზნის ველს ლამაზი დედის ეშვი და იერი შერჩენია.

— ივრის ხეობას კი დაქალბული ქალიშვილის, არა მია სანდრო? — შეაწყვეტინა დარეჯანმა.

ამის დასადასტურებლად შუქიას და შაქრიას დაუწყო ძებნა, მაგრამ ისინი იქ აღარ იყვნენ, პატარა ბორცვს მოჰფარებოდნენ.

— ხვალ შენი მრხსენებაა, ხომ მოხვალ კრებაზე, — ჩურჩულებდა წყნარად ქალი.

— მოვალ კი არა, გადმოვფრინდები, — უბასუხა შაქრიამ და სანთლებით ანთებული თვალებით შუქიას სახეს კისერს, მკლავებს ცეცხლს უკიდებდა, თავს აბრევიებდა. სათქმელად კი მეტი ვერაფერი მოახერხა, — ან რა უნდა ეთქვა მეტი? — გაიფიქრა შაქრიამ და მთელი დღის ნომარაი, ნაბრძოლი გული ახლა კი ასწყდა საგულედან და ვრძელი ხელები, რომლებიც დღეს სიარულის დროს თითქოს უშლიდნენ, ახლა ისე ფართოდ გაშალა, თითქოს ამ პატარა ქალთან ერთად მთისა და ბარის გულში ჩაკერა გადასწყვიტაო. ქალი შეტორტმანდა, ბორცვისაკენ გადაიხინჯა, რომლის გვერდით ბროლა მიმდგარიყო, ორივეს მიძიმედ აყოლებდა თვალს. შუქიას მოძრაობა

არ მოეწონა, დაუღრინა და შექარით თითის სისხო კბილებით დაეჭყუჭყა. ქალმა შეჰკვილა და შეტორტმანდა საკენ გადაიწია.

— ხა-ხა-ხა; — გაისმა მწყემსის მხიარული სიცილი და შეშინებული ქალი გულთან მიიკრა. ამ ხმაურზე საძებრად წამოსულებმა ხმა მისცეს. ორივე ქალს სანდროსთან დამეგობრება მოესწროთ, მისამართებს უწერდნენ, ეუბნებოდნენ—დბილისში უსათუოდ გვიწახულო. იმის შემდეგ დიდხანს აღარ დარჩენილან, რადგან თინიამ თავისი ნახირი ჩამორეკა.

შაქრიამ თითქმის სოფლის მისასვლელამდე მიაცილა: — ხვალ რომ ქალაქს არ მივდიოდეთ, უსათუოდ თქვენ მოხსენებას დავესწრებოდით, — უთხრა შაქრიას დარეჯანმა და ყველანი კმაყოფილი სიცილით გზას გაუდგნენ.

— რა ლამაზი მწყემსი ვნახეთ, თინია, რა თვალები აქვს, ან როგორი თავის დაქერა იცის! — ლაპარაკობდა დარეჯანი. — კიდევ რამდენჯერმე რომ შეგხვედროდი, უსათუოდ შუქიას შევეცილებოდი, — და მეგობარს სიცილით გადაეხვია. — რა ჰკვიანი იყო ის სარქალიც, აღიზარ მთაში, მოულოდნელად ასეთ ჰკვიან ხალხს წააწყდები.

— რათ გიკვირს, ქალაუ, — ეუბნება დინჯად თინია, — მთაში გაზრდილობით კაცი როდი დაიწუნების, — მე ისიც კი გამიგია, ბარში რომ ჰქუა დაიკარგება, იმას მთაში მოსძებნიანო, — გულიანად იცინიან ამაზე ოთხივენი, მხიარულად შედიან ეზოში.

შაქრიამ მწყემსებთან ერთად ცხვარი დაბლობში დააბინავა, ცხვარს ასალოკად ქეამარილი დაუდო, თვითონაც იქვე წამოუწეა, ხელები თავქვეშ ამოიწყო, ვარსკვლავიან ცისათვის უნდოდა შეეხედა, უნდოდა შუქიაზე იმდროს ვისთანმე ელაპარაკნა, მაგრამ ერიდებოდა, იმის სახელი ეხსენებინა. მიიხედმოიხედა, თავთან ბროლა წამოცუტკებულყო და ისეთის სიყვარულით

დასცქეროდა პატრონს, რომ შაქრიამ ვერ მოითმინა, ცალი ხელი ყელზე შემოავლო, თავისი გულის დღილი გაუზიარა.

— მოგეწონა განა ის ქალი, ბროლა? ხომ არ იწუნებ, თვალებს რას ნაბავ? — ძაღლმა ხელი და მკლავი ბულოკა, შაქრიამ ისევე განავრძო, — პატარაა, ბროლავე, მაგრამ ჩემ წინ რომ ჩაივლის, იმისი ნიავე ამოდენა კაცს მბარბაცებს, როგორ გავაბით ჩიტვით მახეში დღეს მე და შენ. — ამის გახსენებაზე შაქრია გულიანად იცინის. — ხვალ შენზედაც ვიტყვი, ჩემო ჭკუიანო, რომ, უშენოდ მეც არ ვარგოდი, რამდენჯერ საფრთხისაგან გადაგვარჩინე!

ძაღლი ულოკავდა სახეს, ხელებს, ტანსაცმელს და კმაყოფილება რომ სხვა ვერაფრით გამოეხატა — იღრინებოდა.



სალამო ხანს ელექტრონით განათებული პატარა დარბაზი ხალხით გაიქცა. შაქრია ამხანაგების ჯგუფს გამოეცალა და კომკავშირის მდივანთან ერთად წინ წავიდა. ვრძელ მაგიდას მიუახლოვდა, დარბაზში ცხელოდა, მაგრამ ეს სიცხე შაქრიას განსაკუთრებულად აუტანლად ეჩვენებოდა, ხალათის ღილებს აწვალებდა. შეწითლებულ სახეზე დიდრონი თვალები აქეთ-იქით სრიალებდნენ, ყველას ამჩნევდა, ნაცრობებდა ცხრილავდა. დარბაზში სოციალისტური შრომის გმირი შემოვიდა. პირდაპირ შაქრიასკენ გამოემართა:

— ეს თქვენა ხართ, ჩვენ ახალ ქართულ ცხვარს რომ აშენებთ და ამრავლებთ? — შეეკითხა ისე ხამაღლა, რომ შაქრია სანამ პასუხს მისცემდა, სახე ბროწეულის ყვავილისფერად გადაექცა.

— მე იმ საქმეში ჩია კაცი ვარ, — უპასუხა მორიდებით.

გმირმა კი ღიმილით განიერ მხარბეკზე ხელი დაარტყა:

— მე არ მესწავლება, (შენ იც რა/ხარ და რას აეთებ, — უთხრა მისთვის)

შაქრიას თვალები კნინებდა. მკვერდზე ორდენებს მისჩერებოდნენ:

— მეც რომ როდისმე? — გაუღელვართ წუთს გონებაში, მაგრამ ბოლომდე არ დაანება ამ აზრს დამთავრება. თავი შეაჩხია და სულწასული ფიქრები მოიცილა, ისევე ხალხს გადახედა. დარბაზში ახალგაზრდები შემოდოდნენ. სკამებს, ფანჯრებს, კუნჭულებს ავსებდნენ. ხანში შესული ხალხი ადადილებს ღიმილით უთმობდნენ და თვითონ დარბაზის არეებს იჭერდნენ.

პირველი სიტყვა შაქრიას მისცეს.

— აქ მყოფნი თუმურ ცხვარს კარგად იცნობთ. — დაიწყო ჯერ ნელა, თითქოს გაბზარულ ფოლადს ურთოს სცემენო, მაღალი ხმა ისე უთრთოდა. — ეს ცხვარი ნიადავ მომთაბარებოდა, ეს იყო მიზეზი, რომ მრავალი ასი წლის განმავლობაში ფეხები და ჩლიქები უმაგრდებოდა, სიცხის და სიცივის ამტანი ხდებოდა, მაგრამ ტანად მორჩილი იყო. მატყლი კი იმდენად უხეში და უფარგისი ჰქონდა, რომ მარტო ფარდაგები და ნაბდები ითვლებოდა. ჩვენმა მეცნიერებმა ამ მატყლის გაუმჯობესება გადასწყვიტეს. — შაქრია გაჩერდა, სული მოითქვა, გრძნობდა, რომ სისხლი ვულ-მყერდს უთუთქავდა და მართალი სიტყვა, როგორც გახურებულ თონიდან, სათქმელად ისე მოიწვედა. — ეს ცხვარი ნაზ მატყლიან ყონებთან შეაჯვარეს და მიიღეს ახალი ქართული ჯიშში. — განავრძო ისევე.

დიდხანს ლაპარაკობდა იმ მეცნიერზე, რომელიც უდაბნოში გამოკეტილი ჩვილმეტი წელი ამ საქმეზე თავაულებლივ მუშაობდა.

— ჩვენი საქმე იყო ამ ცხვარის გამრავლება და შენარჩუნება, — მაგრამ ჩვენ გვიყვარს ჩვენი საქმე, — და ახლა მწყემსის სიტყვები ყრულ აღარ მოისმოდა. — ამის შენარჩუნება კი კარგი მოვლით და კვებით შეიძლებოდა. — და

შაქრია ლაპარაკობდა მწყემსების ბრიგადაზე, რომელიც უდაბნოს სუსხიან პირობებისაგან და მთაში მოულოდნელ სტიქიისაგან მზად იყვნენ საკუთარი მკერდით დაეცვათ ცხვარი, — ამბობდა შაქრია და გრძობდა დარბაზში გაფანტულ სიტყვებს ხალხი იჭერდა, ამ ხალხში პარტიის რაიკომის მდივანიც იყო, თვალს ადევნებდა შაქრიას ყველა მოძრაობას, ყველა იმის უბრალოდ ნათქვამ სიტყვას ყურს უვადებდა, და ეს მწყემსის ხმას ხალხის აძლევდა.

— თქვენ საძოვარზე სძოვს ეს ახალი ცხვარი, — განაგრძობდა შაქრია. — თუ ამოხვალთ და ნახავთ, უმაღლესე ატყობთ, გამძლეობა და ამტანიანობა თუშური ცხვარისა გამოჰყოლია, კულის ცხიმი და ზორცი გაცილებით მეტი აქვს ამ ცხვარზე, ზორცს კი ცვილილებების შემდეგ სასიამოვნო გემო არ დაუკარგავს, მაგრამ, რაც ყველაზე უფრო მთავარია, ამ ცხვარს, ახალი, ნაზი მატყლი უზნინავს.

— ძან ჯადო გაგიკეთებიათ ჩვენი ცხვრისათვის, — ვერ მოითმინა თუშმა ბაკურამ, რომელიც მოხსენების მოსასმენად მოსულიყო. შაქრიამ გაიღიმა და ლიმილიანი სახე დარბაზში ნელა შემოატარა. თვალი ცოტა ხანს დერეფანში გაუჩერდა. მოსახვევიანი ქალები ჯგუფებად იდგნენ, შაქრიასაკენ იციბირებოდნენ.

— ხვალ საღამოს ცხვარში ამოვალ და, როგორც შეფერის მწყემსების წესებს, იქ მოგილოცავ, — უთხრა შაქრიას თუშმა ბაკურამ და მალე გაერიდა. თუში ბაკურა შუქიამ შესცვალა. ეს ამბავი დერეფანში მდგომ ქალების თვალს არ გამოეპარა, შავებში ჩაცმულ მალალ ღედაკაცს თეთრ მოსახვევიანმა ქალმა ხელი გაჭკრა:

— ქალო, ზომ გაიგონე რა საქმეებშიც ჰქონია ხელი შენ სასიძოს, კიდევ იმიტომ ეპოტინება შუქიას, აბა გახედე, ერთმანეთს ისე შესციმიციმებენ, რომ შენ მაგათთან ველარაფერს ველარ გა-

აწყობ, — მაგრამ შუქიას დედაც კორივით თვალეზი გადუბრიალდა.

— მე მაგის საქმეებში ხომ არ უნდა ვხარხარა, დედად არაფერად მეპიტნავენა, ცხვარს წმინდა მატყლი კი არა ოქროს ბუწეები რომ გამოაბას, ცხვარი მიინც ცხვარად დარჩება, მწყემსი კი მწყემსად. — შეტრიალდა, მაგრამ ახლა შაქრიას რაიონის მოწინავე აღამიანები შემოხვეოდნენ.

რაიკომის მდივანმა ხელი გაუწოდა: — გისტრეებ წარმატებას, — ეუბნებოდა წყნარად, — სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობის განვითარება დიდ როლს თამაშობს, ამიტომ ყველა ახალ ცხვარს საკუთარ თავსავით უნდა უფრო თხილდებოდეთ.

შაქრიას ანთებული სახე და სანთლებივით აბდღერიალებული თვალეზი ამაზე უხმო დასტურით უპასუხებდნენ. კრება თანდათან დაიშალა. წასვლისას შუქიამ მარტო ის მოახერხა, რომ ჩუმიად ჩასჩურჩულა: წერილს თინიას გამოვატანო.

ჩამავალმა მზემ ძირს დაიწია. წითლად გაეკრა მთების ძირებს, მერე თანდათან დაცხრა, ჩამუქდა და საღამოს გრილმა სიომ ჩამოიჭროლა. ცივკომბორის მთებზე მწყემსები სტუმრებს მოელოდნენ, ამიტომ იყო ხევისაგან დაღარულ გზას, რომელიც დაბლობში ეშვებოდა თვალმოუშორებლივ მისჩერებოდნენ. მალე ხუთი ცხენოსანი მუქად გამოჩნდა. სანდრო წინ წავიდა, ქუდი თითქმის შუბლიდან გადაიწია, თვალის ძაფები დაქიმა.

— ერთი, ვიცანი, ბაკურა უნდა იყოს. დანარჩენი კი ვერ მიემხდარვარ, — ჩაილაპარაკა ხმამალა: — მაგრამ ვინც არ უნდა იყვნენ, რა ბედენაა, ჩვენი გამოსული სახლკარი ყველას დაიტევს, რას იტყვიო, ბიჭებო! — მოუბრუნდა ლიმი-

ლით მწყემსებს, რომელნიც ისეთივე ღიმილით მისჩერებოდნენ მოხუც სარქალს. ცხენოსანთა ჯგუფი კი თანდათან მოახლოვდა. ოთხნი ცხენიდან გადმოიქრნენ, მეხუთე კი აღმართზე ისევ ისე მიჯირობდა.

— ჰა ჰაი, ბაკურა, მგლის მუხლი რამ მოგჭრა, დაბერდი განა? — გასძახა სანდრომ სიყრმის მეგობარს და შესაგებებლად ძირს დაეშვა.

— ვაი რომ აგრეა, უპასუხა თუმში, ცხენიდან ნელა გადმოვიდა. ფეხი მიწაზე სიფრთხილით დადგა, ძველი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ. მერე კარგად დააქკერდნენ ერთმანეთს, პირზე გაბნეული ნაოქვები გაუსინჯეს, გათეთრებულ თმებს თვალი შეაეღეს, სანდრომ სინანულით თავი გადააქნია, თავისთან შედარებით ბაკურა მოხუცად მოეჩვენა.

— ეინ იცი მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს, — დაარღვია სიჩუმე ბაკურამ.

— ძალიან ცოტამ, ბაკურა, მაგრამ ჩვენი წუთისოფლის ჯამი მაინც გაავსო, თმა და პირი გადაგვიოთვრა. — უპასუხა სანდრომ მზიარულად. თუში დანარჩენებისაკენ შეტრიალდა. იმათ შაქრია, შეგებებოდათ ხურჯინების ჩამოღებას? შველოდა, რომლებშიაც ტიკტორების თავები და შოთი პურების წვერი მოსჩანდა.

— აი, ბიჭებო, სანდროს სახელი შორს არის გავარდნილი, იქნებ იცოდეთ მცნობი ბერაკაშვილი. თუ ჩვენში მეცხვარეებზე იტყვიან რამეს, იქ ამის სახელსაც ახსენებენ.

სანდრომ შორიდებულად გაიღიმა, ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— ამათ კი, სანდრო, შენ ისე ნუ უცქერ, ჩია კაცებად ხომ არ გეჩვენებიან! დეგებივით ცხრა სული უდგათ და იმ სულს მიწას უბერავენ, აფუებენ და ყველა ადღს ფუთობით ზორბალს აყ-

რევენებენ. ეს ორნი კი მელწინებია არიან. დისამტკიცებლად ეტყვიან უკუიტანეს, კარგი მუშაობდა მტყუნის ქაღალდი არიან დაბარებულნი, იქ მივიღივართ.

რასაც ბაკურა ამბობდა, კახელებს ეტყობოდა, ხშირად კჷმონდათ მოსმენილი. შევეგრემან, მზისაგან გარუჯულ სახეებზე სიღარბაისლე ეტყობოდათ. ოღონდ ილიმებოდნენ და დინჯად მოძრაობდნენ. დამაჯერებელი იერი არც ერთი წუთით არა სცილდებოდათ. სთხოვეს: სანამ დაბინდდება თქვენი ცხვარი მაჩვენეთ, ქარებმა ლოგინზე მიმაკრეს, თორემ აქამდე უნახავი არ დამჩრებოდათ. დანარჩენებს კი ყველას ენახა. მაინც ფარას სიამოვნებით შეერივნენ.

ბაკურა ბალახზე დაჯდა. ცხვრებს ხელები აქეთ-იქით შემოხვია, გულთან მიიკრა და ჭალარა სახეზე თითქოს მზემ დაკრაო სიყვარულმა ისე გაუშუქა, კახელებს მიუბრუნდა:

— ბიჭებო, ამ ახალგაზრდა მწყემსმა სახალხოვად გამოაცხადა, ჩვენ გვიყვარს ჩვენი საქმეო. ჰაი-ჰაი, რომ ასეთი შეგულზე მომხვდა. თქვენც გეინშნება, რამდენიმე წელს ლოგინად ვიყავ ჩავარდნილი, მაგრამ ცხვრის ბლავილზე, როცა კი მთაში მიდიოდა, ან უკან მთიდან ბრუნდებოდა, ლოგინში ვერ ვისვენებდი. დაპრილ ნადირივით ვბორგავდი, გამიყვანდნენ გზის პირად, ცხვრის ფარას გაეყურებდი. თვალი ძღებოდა, ვმშვიდდებოდი, — ლაპარაკობდა ბაკურა, თან გულდასმით უსინჯავდა მატყლს, ჩლიქებს, ფეხებს, ღუშას.

— გეუცნაურა განა, ბებერო მწყემსო, რომ შენ ცხვარს ჯაგარივით მატყლი აღარ ასხია? — ჰკითხა სანდრომ.

— თქვენმა ჯადოქრობამ გამაოგნა, უნდა ვალიაო, — უპასუხა ბაკურამ.

— ბიჭებმა იციან, ბიჭებმა, — ჩიხითხითა კმაყოფილმა სანდრომ, მერე სახე შეიკრა.

— დიდ საქმეს, როცა წინ სიყვარული კელაპტარივით გაუძღვება, მაშინ უკან გაუქეთებელი არა რჩება რა, არ ვესწავლებათ.

ესენი ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მწყემსები აქეთ-იქით დაფაცურობდნენ. „ლაზარეთიდან“ თოხლები გამოიყვანეს, თავიანთ ხანჯლებს ფხა გაუსინჯეს და ისე ელვის სისწრაფით ასხიბეს სახსრებზე რომ ხელში მარტო ჩლიქები შერჩათ. ხელის სიმარადეში საერთო მოწონება დაიმსახურეს. მოშორებით, სადაც გარდიგარდმო გადებულ მუხის კუნძებს ცეცხლი ვკიდა, შვინდის შამფურები ტრიალებდნენ და ჩამოღვენთილ მწვადის ქონი ნაპერწკლებთან ერთად ტკრციალებდა. მთის პაერი მწვადის ხორცის ოშხივართ იფლენებოდა. მოსასვენებლად პატარა ტაფობი აირჩიეს. წყაროს წყალი ყვავილებში უხმაუროდ მიცოცავდა. უნაგირები და ნაბდები ბლომად დაყარეს და სველ ხელადებს მხართეძობებზე წამოუწვენენ. ყვავილები მკერდამდის სცემდათ, ხის დიდი ჯამები ეჭირათ ხელში, მაგრამ ბაკურას თითქოს არაფერი არ ესმოდა, გარინდებული იჯდა და მოტიტვლებული შუბლი ნაოჭებდა ეკეცებოდა. უცებ შეინძრა, უბიდან რაღაც შეხვეული ამოიღო, ფრთხილად გახსნა, ხელში დაბერტყა რამდენჯერმე. ჭრელი ბაღდადი გაიშალა. გასასინჯად რამდენიმე ხელი ერთად წაეტანა, დაკოქრებულ თითებს ძაფები მოედვნენ, აბრეშუმში გამოქიმნეს.

რა ხელმა გააკეთა, რამ მოქარგა — ეკითხებოდნენ. საღამოს ბინდი უშლიდათ, მაგრამ თვალთან ახლოს მიჰქონდათ. კარვად არჩევდნენ აბრეშუმზე ამოქარგულ მთების არშისა, ოქროთი ამოქსოვილ თავთაფებს მძიმე თავები დაეხარათ, აქა-იქ მუხისა და ვერხვის ფოთლები თითქოს ცოცხლად ცახცახებდნენ.

— შაქრი, ეს შენთვის საჩუქრად მო-

მირთმევია, გუშინ რომ გითხარი, ცხვარში მოგილოცავ მეტყველებს.

— აიღე, ბიჭო, ისე როგორც თუში, შენს გაკეთებულ საქმეს ვერაფერ დაფანებს. გეტყვი, შვილო, რას მოასწავებს ეს ბაღდადი.

— ორი ბიჭი მყავდა, — დაიწყო ჩუმი ხმით ბაკურამ. — სანდრომ კი იცის მზეცა და მთვარეც იმათზე ამომდიოდა, მაგრამ ორივენი ომში გაგისტუმრე. ერთხელ უფროსი ბიჭი დედასა სწერდა:

„დედაჩემო, პირველად რომ მტრის ქალაქი ავიღეთ და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა, რამდენიმე დამის ნაბრძოლი და უძილო, მოქრილ-ხესავით გადავიჭეცი. შუბლზე ოფლი წურწურით მიმდიოდა, დაღლილი მკლავები კუნძებად გადამეჭტვა, ისე მიწდიოდა, დედაჩემო, რომ შენ აქა მყოლოდი, ის ოფლი შენ ხელებს შეემშრალებინაო“.

დაფიქრდა დედაკაცი, მწუხარებისაგან ტუჩები ერთმანეთზე მიეტკებნა. უსიტყვოდ იჯდა და ჰქარგავდა. არ მიკვირდა, იმათი ოჯახი მისხით მისხამდე ოქროს მქსოველებად ითვლებოდნენ.

ბაღდადი ვკათავა. შიგ პატარა წერილი ჩადო:

— შვილო, დედაშენი შორს არის. შენი გამარჯვების ამბავი ღმერთმა შორიდან ხშირად გამაგებინოს, ჩემს მაგივრად კი ის ოფლი ამ ბაღდადმა მოგიმშრალოს. ზედ შენი ქვეყნის მთა და ბარია ამოქარგული, რისთვისაც იბრძვიო. მაგრამ ბაღდადი უკან დაბრუნდა. დედაკაცს არ ვაჩვენე. დაუშალე, თურმე იმ სატილო მტრის ნიავს შეემშრალებინა ჩემი ბიჭისათვის ოფლი.

გაჩუმდა ბაკურა. სამარისებური სიჩუმე გაწეა, ხის დიდი ჯამები ხელში შერჩათ, გადატეხილ შოთებზე წითელი ღვინო იღვრებოდა.

— აიღე ბიჭო: როცა პატროსანმა ოფლმა სახე დავინამოს, შენც მაგ ბაღ-

დადით შეიმშრალე. — უთხრა სანდრომ. ამასობაში მთებიდან მთვარემ ცალი გვერდით ამოიწია, მერე მთელი ტანი ამოაცურა და მთის წვერიდან აღისფერად ღინჯად გადმოდგა, ნათელი სხივები ირგვლივ გაფანტა, ალაზნის ველს გადააწვდინა. ამ სხივებში ველი თანდათან ეხვეოდა, ნებივრობდა, ისეთი ეშხით იყურებოდა, რომ მაყურებელს ყველა ავ ფიქრებს ავიწყებდა.

— ჩვენც გვიყვარს ჩვენი საქმე, — ამბობდნენ წყნარად კახელები და თვალები ველისაკენ გაურბოდათ.

— იქ, როცა დაპურებულ თავთავს ნიავე აღვლევებს, ჩვენი გულებიც ისე ქანობს.

— როგორც წელან ბაკურა ცხვარს შეხაროდა, ჩვენც ყურძნის მტევნებს ისე ვეხვევით, — უმატებდა მეორე.

— რომ მეუბნებიან არა ბერდებიო, — დაიწყო სანდრომ, — ამის მაყურებელს რა დამაბერებს? — თვალები ირგვლივ მოატარა, — სხვა ცოდნა არაფერი არა მქონია. აი, ჩემი წიგნი და მასწავლებელი ესა ყოფილა. სამოცდახუთთ წელიწადი ამ წიგნსა ვფურცლავ და რასაც ღამე და ღღე სწერს იმას ვკითხულობ. იმიტომ არის თვალის ძაფები არ მეხუტება. ცა ვერასოდეს წარბის შეკვრასაც კი ვერ გამომაპარებს, იმიტომა მაქვს თვალი ასე გაწაფული და რამდენიმე ათას ბატკანში დედა ცხვარს თავის შვილს გამოვურჩევ და გვერდზე მოვუყენებ. ნასწავლი ხალხი კი წიგნებს ჩაუსხდებიან, დასწერენ, არ მოეწონებათ, დახევენ, კიდევ დასწერენ, ამასობაში თვალები უწყალდებათ და იმიტომ არის, ნაადრევად ცხვირზე სათვალეებს მიიკრავენ. მეც მიყვარს ჩემი საქმე. მე ამის ყურებაში ამიხელია თვალი და ამისავე ცქერაში, იცოდეთ, თვალები დასახუტად დამენანება.

ყველამ ჯამები გამოსცალა და ასე ეგონათ, თითქოს მხრების შერხვეით ღრუბლებს მისწვდებოდნენ. ხელის

აწვეით კი ვარსკვლავებს ჩამოვლენდნენ.

სანდრომ უბიდან საღვთისმეტყველებს ბაკურას გადააწოდა. ჩაპბერა თუმცა ააკენესა ლერწამი: „შენ ლოყას ვარდი ჰყვაროდა, შეენოდა ღია ფერია, ღაწვ მოციმიციმე ხალივით შურით დაფურენდა ნიავე, გირხევდა დალაღკავეებსა, წარბი-წამწამი ყორნისა ბურავდა გიშრის თვალებსა“.

ლულუნებდა სალამურის ხმაზე ბებერი ქედანივით სანდრო და შუქნარევი კეთილი თვალები ხან იქვე გადაშლილ კრელ ბაღდადს დასჩერებოდნენ, ხან კი ქვევით იმ ბაღდადის მსგავსად გაშლილ ქვეყანას გადააყურებდნენ.



— ჯერ დაგიწუნებენ, ბიჭო, შემდეგ ხელში ჩაგიკვებენ, მე ვიცი მკაათი ჯიში, — ეუბნებოდა საღვთისმეტყველო ტანაცმელში გამოწყობილი სანდრო შაქრიას, თან ძუისაგან დაწულ მათრახს ხელში ატრიალებდა, მოშორებით იმისი შავრა ცხენს ოფლის ცვარები ჯერ კიდევ აჩნდა, ის იყო დაბიდან დაბრუნებულიყვენ, შაქრიას თავის ქამარში ხელი ჩაველო და ქუთუთოებდახრილი იღიმებოდა.

— სიყვარულს მსუბუქი ფრთები აქვს, ბიჭო, ვინ იცის ჩვენი ბუდიდან გადაგაფრინოს, — ლაპარაკობდა ისევ სანდრო და ხმაში ნალველი ეტყობოდა. — შუქიას დედამ როდი მოსწონს ჩვენი ცხოვრება, ინეინერი სიძე მინდაო აუჩემებია, ალქაჯიან, იმის ეზოში რომ შევედი, ძაღლის მოსაგერიებლად ქვა ვერ ვიპოვე, კუდიანივით რკინის ფოცხით გადაებლოჯა. შრომისაგან ღამეც კი თვალს არა ხუტავს, იმიტომ არის ორსართულიანი სახლი წამოუჭიმავს, სარკე და ხალიჩა არ აკლია, მაგრამ გაბრიალებულ იატაკზე თუ შენი ფეხსამოსის კვალი დაეტყო, სახე საწვიმარ ღრუბელივით ჩაუშავდება, იმი-

სი თვალების შიში ბარგსაც ეტყობა, მაკრატელი კედელზე არის გაჭიმული და დაბერილი მუთაქ-ბაღოშები ისე აწყვია, რომ კაცის მიახლოვებისას თითქოს ყვირიან, არ მომეკარო, ემანდ გვერდები არ დამიფუშოვო. რაც იქ ვიყავი, ერთხელ ნიავმა ღია ფანჯრიდან შემოუბერა, კამოდის თავსაფარი ააფრიალა, არ მოეწონა, ფანჯარა გადაურახა, მე კი მაშინვე გულში გავიფლეს—საცა ნიავს თავის ნებაზე არ აქაჰანებს, შეიღს გულის არჩეულზე გათხოვებას როდი დაანებებს-მეთქი.

შაქრიამ ამაზე გულიანად გადიხარხარა, სანდროც უღვაშის გრეხით იღიმებოდა:

— მაგრამ ფერად-ფერადი დაპირებებით დაივიწყოლე, — განაგრძო სანდრომ და კმაყოფილებით სავსე თვალები შაქრიას თვალში გაუყარა. შაქრიამ თმაზე ხელები გადაისვა, სიმორცხვისაგან სახე შეუწითლდა, დაწერილებით ამბის მოსმენა მოერიდა, რალაც საქმე მოიმიწუნა, სანდრო მიუხედა, ლაპარაკი სხვა საგანზე გადაიტანა, ურჩია, ცხვარი მთის ძირში ჩაეყვანა, წვიმისაგან ახლადამოსულ იონჯანარევე ბალახს წვაფწყდით — ეუბნებოდა, მაგრამ საძოვარი ერთ ფარაზე მეტს ვერ დაიტევსო.

შაქრიას ამ სიტყვების შემდეგ დიდხანს აღარ დაუგვიანებია, ცხვარს ძირს ჩასარეკად შემოუარა და მწყემსების ბრიგადასთან ერთად თავქვე დაეშვა. დანარჩენი ცხვარი სანდრომ ზევით არეკა, თან რამდენიმე მწყემსიც გაიყოლა.

მშვიდი, უღრუბლო დილა იყო, სხივები ისრებივითა ცვიოდა მთაზე, ყველა სულდგმულს ხორცს უწიწკნიდა, წიფლიანი ტყის გვერდით გაიარეს, მაღალი ხეები არ ინძრეოდნენ, არც ბუჩქნარების თავს არხევედა სიო, ხანდახან ძაღლების ჩუმად კურდღელი თუ გამოჰყოფდა თავს. ან-და ხეებს მოფარებულ ტურის სიციხისაგან დაწირპლული

თვალეზი გამოჩნდებოდნენ. მშვილსულდგმული ამ მწვავე ეჭვით შემოებოდა.

— ეს ამინდი კარგს არაფერს მოასწავებს, რალაც ცუდად იკბინება, — ჩაილაპარაკა სანდრომ და ცას შეხედა, მოათვალეო, აღმოსავლეთის მხარეს პატარა რუხი ღრუბელი წარბივით სჩანდა, ცხვარს გადახედა, მერე ჯიბიდან რალაც წივნი ამოიღო, რომელსაც არც თავი ჰქონდა და არც ბოლო. მაგრამ გული ვერ დაუღო. ვერ წაიკითხა. კარგა ხანს იდგა გარინდებული, მერე ფიქრი მიმალულმა მზემ შეაწყვეტისა, უღრუბლო ცამ თანდათან პირი შეიკრა, ნიავმა იალალს სტევენით შემოუარა, თითქოს მთასა და ბარს ამცნო, რომ მისი თარეშის დრო დაიწყო. ცის კედლიდან მაღალი რუხი ღრუბლები ჯარად დაიძრნენ, მოგორავდნენ, სისწრაფისაგან ერთმანეთზე გადადიოდნენ და თავიანთ ნაკვალევზე ცას ამავებდნენ. ქვევით, მოხუცმა ხეებმა რხევა დაიწყეს. ელვამ რამდენჯერმე გაისრიალა და ყრუ ქუხილმა დღდამიწა ააზანზარა. მსხვილი სეტყვა წამოვიდა, სანდრომ ცხვარი მოაგროვა, მოხერხებულ ბორცვებს შეაფარა. სეტყვა თანდათან გაზშირდა, ქარისაგან მიწაზე გართხმული ყვავილები მიეფუ-მოეფუა. სანდრო ერთ ადგილზე იდგა და თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა იმ იალალს, სადაც შაქრია თავისი ცხვართ ეგულვებოდა. კარგად ხედავდა, აქ დარი იყო, ცის შუქი სჩანდა, მაგრამ ეს უფრო საშიშსა ხდიდა. სანდრომ იცოდა, ამ მთების ჯიშების წესი. პატარა ნიადვრისაგანაც კი იშლებოდნენ. ბიჭმა რა იცის, პირველად არის ამ საძოვარზე, — გაუელვა თავში. სწრაფად შემობრუნდა, ბრძანება ვასცა ცხვარს ამ ადგილიდან ფეხი არ მოაცვლევიოთო, თვითონ კი იქვე გაჩერებულ ცხვართან მიიქრა—ჩემო შაქრავ! — გავაზე ხელი დაუსვა.—მე და შენ ჩვენი ცხვარი უნდა გადაეარჩინოთ. — უთხრა ყურში ისე-

თი ხმით, რომ ცხენმა კისერი მოუბრუნა, გონიერი თვალები თვალში გაუყურა და აცახცახებული სველი ზურგი მიუშვირა. სანდრომ სწრაფად უნაგირი გადაადგა, გარსაკრავი გადაუქირა და ჯმუხი ტანი ბუმბულივით ასწია ასამხედრებლად. ქარივით დაეშენენ თავქვე, მაგრამ სწაღდათ რომ უფრო სწრაფად გაქცეულიყვნენ, ნიაღვარისათვის როგორმე ჩასვლა დაესწროთ. ტყის პირად გავლისას ქარი უშლიდა, მოხუც მალალ ხეებს ჰაკი-ჰუკი გაჰქონდათ, იზნიქებოდნენ და თითქოს გაშლილი მკლავებით, ერთმანეთისაკენ ჩასახვევად მიიწვედნენ. მაგრამ ქარი ამ დროს ღრიალით ჩაუქროლებდა, გადახნილი ტოტებს ამტრევედა და ისინიც, როგორც ბრძოლის ველზე დაქრილი ვაჟკაცები, ისეთი გმინით გვერდზე წებობდნენ.

სანდრო ტყეს გასცდა, ტაფობს დაავლო თვალი, თითქოს წვიმა უჩენებლად ამზახუნებდა, მაგრამ მთიდან დაძრული ნიაღვარი, რომელიც ეტყობოდა გზადგზა კიდევ წყალსა ჰკრეფავდა, ღელეში ვერ ეტეოდა, ნაპირებს აქეთ-იქით ეხეთქებოდა და გამშაგებული ქვა და ღორღს მოაგორებდა, თითქოს იცოდა, რომ რამდენიმე შეტევით მიწას პირს დაუხეთქავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა შლიდა და ამ დაშლილი მიწით, კირით და ქვით შემურვილი მღერიე პირით ტაფობისაკენ მიიწვედა, ტაფობში კი რკალსა ხაზავდა, იშლებოდა, განიერდებოდა და გრძელი ბორცვის ძირში ლარივით გაქიმულ ცხვარს თავისი გამურული, ღორბლიანი პირით უახლოვდებოდა. ცხვარი ნელა გადადიოდა ბორცვზე, რადგან დამბალ მიწაზე ფეხი უსხლტებოდა. ნიაღვარსა და ცხვარს შუა კი გამალებული მწყემსები მიმოზრბოდნენ, ცხვარს გადასვლასა ჰშველოდნენ.

ღრ-ღრ-ღრ-ღრ!.. — ისმოდა მწყემსების ხმა და ამ ხმაში მუქარაც იყო და ხეწნაც. ამის დანახვავზე სანდრომ

მკერდზე ხელი იტაცა, თითქოს გული გადმოვარდნისაგან დაეშინებინებოდა იმისი დანახვა მწყემსებზე დახმარებულ უზანგებში ფეხი გამართა, ფეხზე წამოდგა, ქული მოიძრო და ჰაერში რამდენჯერმე შეატრიალა;

— ძია სანდრო!.. — შებლაღელეს მწყემსებმა ერთად და, ამ პირქუშ ცაზე თითქოს ცისარტყელა დაინახესო, იმისი დანახვა გულზე ისე ეფონათ.

— ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, — გასძახა სანდრომ, მაგრამ ქარისაგან ჩახრინწულმა ხმამ იქამდე ვერ მიადგო. შაქრია ცდილობდა, ნახევარი ფარის მოწყვეტას, კლდესა და წყლის შუა ვიწროში გატარებას. შოლტსა ხმარობდა და ისეთი ღონით ატყლავუნებდა, რომ ყველა მოქნევაზე ელვასავით იკლავებოდა.

ამ დროს კი თავში, ბორცვზე მიმავალ ყოჩს ფეხი დაუსხლტა, ჩამოცურდა, წყლისაგან შევიწროებულ ადგილზე შეტორტმანდა, წყალმა ფეხებთან ნიადაგი ჩამოურეცხა, მერე ტალღა ფეხებში ეცა და თან წაიღო. ამის დანახვავზე მწყემსების ხმამ ცის ქუხილივით ჩაიარა წყალზე, იცოდნენ ასეთ ამინდში ცხვარს უყოჩოდ ადგილიდან ვერ დასძრავდნენ. შაქრიამ შოლტი გადაავლო, ნაპირს მივარდა, გაშლილი წყალი ღრმა არ იყო, მაგრამ ქვასა და ღორღს მოაგორებდა. სანდრომ დაასწრო, ცხენი წყალში ჩაადგაფუნა:

— არ გაბედო, მაცადე, ბიჭო! — ისეთი ბრძანების ხმით შეუტახა, რომ წყალთან შეტორტმანებული შაქრია ერთ ადგილზე გააშეშა. ყოჩს გზა უყველა, ცხენიდან გადაიწია, შაქრიას ყოჩი ნაპირისაკენ გამოუცურა. ამ დროს წყალმა მუქარითა და ბუმბულნიტ ქვა ჩაავგორა და ადამიანის კენესა ქვასთან ერთად უდარდელად თან წაიღო. სანდრო ცხენზე გადავიდა. კენესისაგან დამფრთხალმა ცხენმა შაქრიასაკენ იბრუნა პირი. გაოგნებულმა მწყემსმა სანდრო უზანგებს გამოაცალა, მაგრამ ქუთუთოების შეთამაშების მეტს ველა-



რაფერს მიუსწრო. სანდროს ცინკლის ფერი სახე თანდათან დაეტეკვნა, ტკივილისაგან აქა-იქ გაბნეული ნაოჭები გაუსწორდა.

— აითა თავდება ყველაფერი, შორხა, აღარაფერი ეშველება? — გაუბონა შაქრიას გონებაში და უკაცურ და უღბურ ადგილებს მიხედ-მოხედა.

წყალს დაეკლო. მწყემსებს ცხვარი ბორცვზე აპყავდათ. შაქრიასთან მარტო შაქრა დარჩენილიყო. პატრონს თავჩაქინდრული დასტკეროდა და კისერი ისე დაწვრილებოდა, რომ ყველა მალა დაეთვლებოდა. იმანაც აიხედა და ნაღვლიანი პირუტყვეული თვლებით შაქრიას გააგებინა, აღარაფერი ეშველებაო.

— არც ისე ადვილია ესეთი გულის გაციება — ფიქრობდა შაქრია და სანდროს ჯერ კიდევ თბილ გულს უხეღღა. ვერაფერი უშველა.

— ამისათვის დაგაცადე, ძია სანდრო? — უსაყვედურა და ნაბადზე ფრთხილად გადააწვინა. მღელარესავით ცხელი ცრემლები დაუზოგავად ჩამოყარა.

ცოტა ხნის შემდეგ მოგროვილი მწყემსები სანდროს თავთან დაუდგნენ, ფეხებთან ძაღლები ღმუილით გაწვენენ. დროდადრო შავრას ჭიხვინი მოისმოდა, ზევიდან დაბრუნებული ცხვარი გადარჩენილ ფარას ზღაველით უერთდებოდა. გამოიდარა. ცამ * ადამიანებთან შესარიგებლად შვიდფეროვანი ცისარტყელა გადაჭიმა. მზემ ღრუბლებს რიდე დაუწყვიტა და ცისფერ უჯრებიდან თავი გამოჰყო. მალეობ ადგილზე გამოტილი იწვა სანდრო, მკლავები აქეთ-იქით გადაეყარა, იმისი ოდნავ ღიად დარჩენილი თვალები კი ყველას წინაღლით ნათქვამს აგონებდა:

— მე ამის ცქერაში ამიხელია თვალი და ამასავე მაყურებელს, იცოდე, თვალის მოხუჭვა დამენანებოა.

ეროვნული

ზამთრის სუსხიან დღესა ჩამოსახლ-გაზრდამ მთავარ ქუჩაზე ჩქარი ნაბიჯით ჩაიარეს ყმაწვილი კაცის ახოვანი მაღალი ტანი ნიავისაგან დამაშუბლი ლამაზი სახე, ქალის მხიარული შავი თვალები გამველ-გამოველის ყურადღებას იპყრობდა. ღიმილით თვალს ადევნებდნენ. ისინი კი თითქოს ერთმანეთის მეტს ვერაფერს ამჩნევდნენ. პროსპექტი გადასჭრეს და მთავრობის სახლისაკენ გაემართნენ.

— შაქრი, მე ორი საათის შემდეგ შემოვივლი და აქ დაგიცდი, — აჩვენა ქალმა ხელით ეესტობიულზე.

შაქრიამ თავი დატყნია და ჩქარი ნაბიჯით ზემო სართულში გაემართა. ხალიჩებით მოფენილ იატაკზე შიშვალ მწყემს ეჩვენებოდა, თითქოს მუხლები ურბილდებოდა, მკაცვებოდა. გრძელი დარბაზის, ღია კარებში ფრთხილად შევიდა. პრეზიდენტის თავმჯდომარე ქართული ცხვარის გამოყვან მეცნიერ მუშაყთან და ზოოტექნიკოსთან საუბრობდა. შაქრიამ მიიხედ-მოიხედა, შავებში ჩაცმულმა შუახნის კაცმა იმისი მხერა მიიზიდა, თითქოს სადღაც ენახა. მოაგონდა; პრეზიდენტის მდივანიო, ალბათ, სანდროსგან ჰქონდა გავონილი და აღწერილი. ამის გახსენებაზე თვალები უფრო გაუბრწყინდა.

— თქვენ მწყემსების ბრიგადირი ივანაშვილი ხართ, ალბათ? — შეეკითხა ისევ ის კაცი და მწყემსისაკენ მხნე ახალგაზრდული ნაბიჯით გამოემართა.

— დიახ, — უპასუხა შაქრიამ და სიწითლე სახეს და კისერს მოეღო.

პრეზიდენტის მდივანმა ხელი ჩამოართვა, იმისი მხარბეკი თითქმის შაქრიას მხარბეკს გაუტოლდნენ:

— თქვენც ბევრი რამ გააკეთეთ ქართული ცხვარის გამრავლებაში, — უთხრა დინჯად, თითქმის ტუკნით. ისევ განაგრძო, — თქვენ კიდევ მოსა-

ლოცი გაქვთ, რომ ის ცხვარი გადაარჩინეთ, სტიქიას თითქმის პირიდან გამოსტაცეთ.

შაქრია შეიშმუშნა და განათებულ თვალებში თითქო ჩრდილი ჩამოეფარა:

— მე იქ არაფერი გამიკეთებია, ის ცხვარი ბერიკაშვილმა გადაარჩინა.

პრეზიდენტის მდივანმა გასაჩერებლად ხელი ოდნავ ასწია:

— მე ვიცი, — უთხრა ჩემი ხმით და გაშლილ სახეზე სინანულისაგან აქა-იქ ნაოჭები დაეფანტა, — მე ამ დარბაზში შეეხვედრივარ თქვენს სარქალს. ბერიკაშვილმა თავის განწირვით სამარადისო სახელი დაიმკვიდრა და მთავრობისაგან მეორე ჯილდო დაიმსახურა.

შაქრია მიხვდა, თვალბში ცეცხლი ისევ ჩაუდგა, აქამდე გაშეშებული ტანი სიხარულისაგან შეუქანდა, მაგრამ სწორედ იმ დროს პრეზიდენტის თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა.

ორი საათის შემდეგ ორდენებით დაჯილდოებულ ჯგუფს ეესტობიულში შაქრია ცოტა ხნით ჩამოშორდა. ჩა-

მოშორდა — კიდევ იმიტომ, რომ უნდოდა დამაჯერებელ სწამს დაეკრძალა პირისპირ მარტო დარჩენილი, უმჯობესის რაფას ხელი დააყრდნო, და იმის თვალბის წინ რხევა დაიწყო უზარმაზარმა საძოვრებმა გაშლილი ცხვარით, ზამთრის ბინებმა, უდაბნოს ქარმა და თოვლმა, მთის სეტყვამ და წვიმამ, მაგრამ მის გულს მაინც სიცივე ვერ აგრძნობინეს. მწყემსის მკერდზე დამაგრებული ორდენი ისეთი ძალით გიზგიზებდა, რომ ყველა სითბოს, რაც კი ოდესმე გამოეცადა, ეჯიბრებოდა, სჯობნიდა, იმის მკვირვ სხეულს ეს სითბო გახურებულ სალტეებივით ეხვეოდა, აღზობდა, ოფლადა სწურავდა.

— ბიჭო, როცა პატიოსანმა ოფლმა სახე დაგინამოს, შენც მარტო მაშინ გაიმშრალე მაგ ბაღდადით, — მოესმა სადღაც გაგონილი სიტყვები მწყემსს. უბიდან ფრთხილად ამოიღო ჭრელი ბაღდადი, გაშალა და გაბარებული სახე შიგ ჩამალა.

განმარკებული

ლექსები



სახარობელაზე ხელმწიფეები!

ლამბერგი მოჰკლეს და ლატური ჰუნგრეთის მტერი
თოკით დაახრჩეს, სხვისიც ბევრის დადგება ჯერი,
ძლიერ კარგია! ხალხი აღსდგა, ხალხი მკენესარი,
გულს რომ მიხარებს, ფრთებს რომ მასხამს, სწორედ ეს არი.
მაგრამ არ კმარა მცირე მსხვერპლი, დიდს რომ შეები,
სახარობელაზე ხელმწიფეები!

დღეს რომ მოთიბავ მაღალ ბალახს პირბასრი ცელით,
ხეალ ისევ მწევანედ იბიბინებს მინდორი ვრცელი.
ხეს მოსკრი რტოებს, გადაბელავ... მაგრამ დროებით,
ხე ისევ მალე იშრიალებს ახალ რტოებით.
ძირფესვიანად ამოთხარე ძველი ხეები,
სახარობელაზე ხელმწიფეები!

ნუთუ, ქვეყანავ, ხელმწიფეთა დანთქმას ვერ ბედავ.
ან სიძულელი საკმარისი არ გაქვს შეფეთა?
სისხლს აუუესებდი მეფის ზიზლით აღამის მოდგმას,
მე რომ შემეძლოს ჩაეუწვეთო მათდამი ბოღმა,
ბოღმა, რომელმაც აღაშფოთა ჩემი დღეები. —
სახარობელაზე ხელმწიფეები!

ღვარძლიანია მათი გულის ყველა კუნჭული,
შტამს და საწამლავს აწოვებდა დედა ჩურჩულით.
მათი სიხარბე, მათი მტრობა ავსებს საფლავებს,
მათი შეხედვა ხესაც ახმობს, ჰერს აშავებს.
და მიწას ხრწნიან უკვე მკვდარნი, ბნელის ტყვეები.
სახარობელაზე ხელმწიფეები.



სიკვდილი დადის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში,
 ყველაფერს ანგრევს ომის ცეცხლი, ცეცხლი უხეში. ეროვნული
 იწვის ქალაქი, გახვეულა კვამლში სოფელი, გიგლიძე
 ცას სწვდება კენესა, რადგან მეფე დაუნდობელი
 ვერ გაძღა სისხლით, ვერც ხმლით მოგვსპო, ვერც ციხეებით—
 საბრძოლელაზე ხელმწიფეები!

მაგრამ გმირთა სისხლს ბინდი დაკრავს დავიწყებისა,
 დაღწილ გვირგვინს თუ არ მიჰყვა თავიც მეფისა.
 დღეს თავდახრილი, მოსაჩვენრად თვალმიზნუკული,
 თავს ისევ ასწევს ქედმაღლურად შაგი ურჩხული
 და სულ ამო აღმოჩნდება მსხვერპლი ვეება—
 საბრძოლელაზე ხელმწიფეები.

ყველას დანდობა, გული ძმობით იყოს მდიდარი,
 მხოლოდ მეფეებს შებრალება არავეითარი.
 შათი დანდობა არის მთელი ერის ღალატი,
 თუ სხვა არაინ, მე ვიქნები მეფის ჯალათი,
 კალამს გადავისერი, წინ დაედგები ხელში ღვედებით.
 საბრძოლელაზე ხელმწიფეები!



ეროვნული სიმღერა

აღსდექ, უნგრეთო! აღსდექ, გახსოვდეს,
 დადგა დრო: ახლა, ან არასოდეს!

თავისუფლება გსურს, თუ უღირსად
 მუდამ ტარება მონურ უღლისა?!

დაედოთ ეს ფიცი,
 მარად გვახსოვდეს,
 ყმად აღარ ვიყოთ
 აღარასოდეს!

ყმებად რომ დაერჩეთ, ამაყ წინაბრებს
 რა პასუხს ვაძლევთ ბნელში ბინადრებს?
 დამონებული მიწის ქვეშ წოლა
 მკვდრებსაც აწუხებს, დაუვლით ერყოლა.

დავდოთ ეს ფიცი,
 მარად გვახსოვდეს,
 ყმად აღარ ვიყოთ
 აღარასოდეს!

საზიზღარია, თავლადფდასხმული,
 ვინც ამჯობინებს ახლა მამულის
 გულისთვის სიკვდილს მონად დარჩენას,
 ვინც გულს დაიკრეტს ახლა მარჯვენას!

დავდოთ ეს ფიცი,
 მარად გვახსოვდეს,
 ყმად აღარ ვიყოთ
 აღარასოდეს!

ბრწყინავს ბორკილიც, ფერხთ რომ გვედება,
 მაგრამ ხმლის ბრწყინვას რა შეედრება!
 მაშ შორს გავსტყორცნოთ ბორკილი მძიმე,
 ხმალი ვაეღვოთ შექმოციმციმე.

დავდოთ ეს ფიცი,
 მარად გვახსოვდეს,
 ყმად აღარ ვიყოთ
 აღარასოდეს!

უნგრეთის სახელს მტრის შეჭიდებით
 ისევ შევმოსავეთ ძველის დიდებით.
 რაც მამულს აინდა სირცხვილის კვალი,
 მას სისხლით მორეცხს დღეს ჩვენი ხმალი.

დავდოთ ეს ფიცი,
 მარად გვახსოვდეს,
 ყმად აღარ ვიყოთ
 აღარასოდეს!

და სადაც ხმლებით ჩაეიხოცებით,
 იქ გაჩნდებიან მცირე ბორცვები.
 იქ ჩოქვით მოვლენ ჩვენი შვილები,
 ვით წმინდა ნეშტთან ქუდმოხდილები.

დავდოთ ეს ფიცი,
 მარად გვახსოვდეს,
 ყმად აღარ ვიყოთ
 აღარასოდეს!



მე მართი ფიტრი მაწუხებს...



მე ერთი ფიტრი მაწუხებს მარად,
 ვაი თუ მოვეკვდე ლოგინში წყნარად!
 ვაი თუ მოვეკვდე ნელნელა, ნაზად,
 მჭკნარი, უსულო ყვავილის მსგავსად.
 და როგორც ქრება სანთელი მკრთალი,
 მეც ისე გავქრე, დავხუტო თვალი.
 არა, ასეთი არ მსურს სიკვდილი,
 მე მიინდა მოვეკვდე ბრძოლით, ჭიდილით.
 მსურს, მუხა ვიყო შეურიგალი,
 მაპობდეს მეხი, მგლეჯდეს გრიგალი,
 მთიდან კლდედ მოვწყუდე უზარმაზარი,
 რომ ცა და მიწა შევეძრა ზანზარით.
 როცა დაღლილი მძიმე უღელით,
 ხალხი აღსდგება მკლავმოუღლელი
 დროშებს დააწერს „თავისუფლებას“,
 და ცა დროშებით დაიღრუბლება.
 როცა მტრის რისხვად, ხალხთ გასაზარად,
 ყოფელი მხრიდან დაკრავს ნალარა
 იქ ჩემი სისხლიც დაიქცეს წმინდა,
 მე იმ ბრძოლაში სიკვდილი მიინდა.
 და რომ მომხედება ბასრი მახვილი
 უკანასკნელი ჩემი ძახილი
 დე, დაიკარგოს ქვემეხთა ხმაში,
 დე, გაქაფული ცხენებით მაშინ
 ჩემს მკვდარ სხეულზე გადითქარუნონ,
 ოღონდ ჩამძახონ სასიხარულო
 მტრის დამარცხების ხმა დარხეული...
 დე გადიქელოს ჩემი სხეული!
 შემდეგ იქნება დაღუპულთ გლოვაც,
 მაშინ შეკრებენ ჩემს ძეალთა გროვას,
 ზარის გუგუნში დროშებს გაშლიან,
 დროშებს ევლება შავი არშია.
 და დაგემარხავენ საფლავში ერთად,
 მათ, ვინც გასტეხა სიმაგრე მტერთა,
 ვინც საოცნებო დროშა გაშალა,
 თავისუფლებას ვინც ენაცვალა.



1848

ო, 48 წლის ვარსკვლავო, შენ ხარ
 ხალხთა ნათელი დილის ცისკარი,
 გათენდა, ზეცას ბინდი გაშორდა,
 ცაზე ამოსვლას სხივი იჩქარის.

რიერაყის ალი
 მომჭრელი თვალის
 ციდან მრისხანე შუქად მომდგარი
 არის წითელი და ბობოქარი,
 სიწითლე — სისხლი, რისხეაა ხალხთა
 გათენდა, ხალხის ოცნება ახდა.
 სიკვდილი მტარვალთ, გვრცხვენია იმ დღის,
 როცა მათ მორჩილ ყმებად ვიყავით,
 ზეცას ჩვენ ლოცვას არ ვსწირავთ ახლა,
 სისხლია ჩვენი შესაწირავი.

გვეძინა ჩვენ და
 მტრის ხმალი გეჩხვლეტდა,
 უნდოდა ჩვენი სისხლისგან დაცლა,
 მაგრამ ამოდ, სიკვდილის ნაცვლად,
 ჩვენ გავეძლიერდით, როგორც არასდროს,
 რომ ჩვენმა სისხლმა ცას შექალაქდოს.

ზღვა გაოცებით გაშტერებულა,
 ხმელეთი დელავს ყალუზე შემდგარი,
 და ძველი ქვეყნის წასალეკავად
 ზვირთი ზვირთს მოსდევს დაუდგარი.

ხომალდის აფრას
 ქარი სცემს მძაფრად,
 ქანაობს გემი, ირყევა მიწა,
 მესაჭის გულიც იალქნად იქცა.
 გაფითრებულა ისიც ერთიან,
 წამოსასხამი შემოფლეთიძ
 დღეს ყველა კაცი ჯარისკაცია,
 ბრძოლაში გემართებს გარჯა ორწილი,
 ფეხს რა შედება? — მეფის გვირგვინი
 და დამსხვრეული რკინის ბორკილი?

ცეცხლს მიეცე ჩქარა,

მაგრამ ო, არა!

სჯობს წაეწერო ზედვე სახელი,
 რომ მუზეუმში მათი მნახველი
 მიხვდნენ შეილები, ამით გაიგონ
 ჩვენი ცხოვრება დღემდის რა იყო.
 დადგა დრო, ავი მგელი და ცხვარი
 ერთად რომ სძოვდნენ, ჰქონდეთ მშვიდობა
 გეწამს ერთი ღმერთი — თავისუფლება,
 ქვეყნად სხვა რწმენა არ დაინდობა.

ძალა ძველ კერპთა

დაეამხეთ ერთად

მათ ნანგრევებზე უზარმაზარი
 ვაჩნდეს — ახალი რწმენის ტაძარი
 მისთვის ლამპარი არ დაგვიკირდება,
 თავისუფლების მზით ვაბრწყინდება.



ეროვნული
გრაფიკული

★
ჟანრა

სხვადასხვაგვარი არის ფრინველი, სხვადასხვაგვარად
უყვართ ყოველი,
ზოგს ურჩევნია ჩიტი ლამაზი, ზოგს მოედურტულა,
ზოგს მგალობელი.

ჩემი რჩეული არ სტევენს საამოდ, კრელი ბემბულიც
გარს არ ავლია,
ისიც ჩემსავით არის უბრალო, ალაგ თეთრია,
ალაგ შავია.

მე ყანჩა მიყვარს, თუმცა არ გალობს, არც ფარავს ბეწვის
უცხო ქათიბი,
უნგრეთის ტურფა დაბლობის მკვიდრი, ალფელდის მკვიდრი
ჩემებრ ღარიბი.

ერთად ვიზარდეთ, მიტომ თუ მიყვარს, ერთად შევედით
სიკაბუქეში,
მე რომ აკვანში ავტირდებოდი, ის დამძახოდა
ციდან ნუგეშით.

ჩემს ბავშვობაში დინჯი ვიყავი, მიყვარდა მარტო
გავლა ტრამალში;
როცა ტოლები ჯოგს მოდენიდნენ, არ ვერთობოდი
მათთან თამაშით.

ლაქაშის ზეინებს სულგანაბული ვეფარებოდი
და დაეინებით
შუცქერდი როგორ ცდილობდნენ ფრენას ყანჩის ბარტყები
ბაწაწინები.

და ერთი ფიქრი, ფიქრი მუდმივი არ მშორდებოდა
არასდროს, არსად:
რატომ ჩვენც ფრთები არ დაგვყოლია, რატომ ვერ ვფრინავთ
ფრინველის მსგავსად.

ფეხით დავივლით მთელს დედამიწას, რაა მიწაზე
მანძილი ჩვენთვის?
მაგრამ რად მინდა გავლა მიწაზე, როდესაც სული
სიმაღლეს ელტვის!

ცისკენ ვილტვოდი, მზის ბედი მშურდა, მე ვოცნებობდი
მზეზე ბალღურად.
დედამიწას რომ დასცქერს მაღლიდან, ოქროს სხივების
ქუდს რომ ახურავს.

დაისზე, როცა მზე წითლდებოდა, მეგონა სისხლის
სდიოდა ღვარი,
მეგონა ყველას ეს ბედი ელის, ვინც სინათლეს ჰყენს,
ვინც მალლა არი.

ყველა ბავშვისთვის შემოდგომაა დრო საყვარელი
და მიმზიდველი,
მას, როგორც დედას მოჰქონდა ჩვენთვის ხილით და ყურძნით
საესე გიღელი.

მე შემოდგომა ჩემს მტრად მიმაჩნდა, ეჯავრობდი მისი
მოსვლის მხილველი;
რადგან მას ჩემგან მიჰყავდა ყანჩა, უსაყვარლესი
ჩემი ფრინველი.

ცაზე გაეცქერდი მათ გუნდს მოწყენით, შორს მიფრინავდნენ,
მიჰქროდნენ მალლა,
მე ჩემს გაფრენილ ახალგაზრდობას ასე მოწყენით
გაეყურებ ახლა.

და ცარიელი ბუდე ყანჩების მწუხარე იყო,
ვით ნასახლარი,
წინასწარ ვგრძნობდი, რომ ერთდროს ასე დაობლდებოდა
ჩემი სახლკარიც.

როცა ზამთარი გათავდებოდა, თოვლის სამოსელს
იხდიდა ველი,
ბუნება მწვანე კაბას იცვამდა, ზედ ყვავილები
ეხატა ქრელი.

მაშინ ჩემს სულშიც რაღაც ხდებოდა გაზაფხულივით
გასაკვირველი,
თბილი ქვეყნიდან ჩვენთან მოფრენილს ვეგებებოდი
ყანჩას პირველი.

ვეიან, ბავშვი რომ ჭაბუკად ვიქნე და ციციხლად მექცა
მეც ნაბერწყალი,
ჩემს ქურანს თავზე ხელაღებული მოვევლებოდი,
როგორც მერცხალი.

და მივუშვებდი მერანს სადავეს, მივჭროდით
ორივ დაურიდალი,
მოგესდევდა, მაგრამ ვერ გვეწოდა გაწბილებული
ველის გრიგალი.

თვალუწვდენელი ტრამალი მიყვარს, ოქროს ტრამალი
თვალგასახარი,

აქ ვარ ნამდვილად თავისუფალი, აქ ჩემს ოცნებას
 არ აქვს საზღვარი.

აქ კედლებივით შავად ამართულს შიშით არ შევსცქერ
 მალალ მთავარებს
 და ჩანჩქერების კლდეზე ჩხრიალი ბორკილის ჩხრიალს
 არ მომავონებს.

და არ არისო ველი ლამაზი ამას ნუ მეტყვის
 ქვეყნად ნურავინ,
 იგი ლამაზი ქალწულის მსგავსად სახეს იფარავს
 პირსაბურავით.

იგი მეგობრებს ახარებს მხოლოდ, ულამაზესი
 სახის ჩვენებით,
 ის მხოლოდ მათ წინ წარსდგება ხოლმე მზეთუნახავის
 უცხო მშვენიებით.

მიყვარს ტრამალი, ხშირად დავჭროდი ველად გაჭრილი
 კოღემდე კიდეო,
 მივარდნილ ველზეც ბევრჯერ ვყოფილვარ, კაცთა სიშორით
 რომ არის მშვიდი.

ჩამოვხტებოდი ცხენიდან ფიცხლად, ქვეშ გავიგებდი
 ბალახის ფარჩას,
 ტბას გაეხედავდი და იქვე ახლო აღმოვაჩინდი
 ჩემს ერთჯულ ყანჩას.

ერთად ვიყავით უკაცურ ველზეც, გატაცებული
 ორივე ოცნებით.
 იგი ლურჯი ტბის სიღრმით სტკებოდა, მე ჩამავალ მზის
 გასხივოსნებით.

ჩემს ბავშვობაშიც, სიჭაბუქეშიც სულ ჩემთან იყო
 ჩემი ფრინველი
 და მიყვარს იგი, თუმც არ სტყენს ტკბილად, არც გარეგნობა-
 აქვს მიმზიდველი!

იგი მოგონება ყრმობის ზმანების, მე მიყვარს ჩემთან
 შეზრდილი ყანჩა,
 ის ერთად ერთი სახსოვარია, რაც იმ ბედნიერ
 დღეთაგან დამრჩა.

მე ახლაც ველი ყანჩის მოფრენას, შეგერჩა ის ძველი
 ძმობა ურღვევი,
 და თბილ ქვეყნისკენ, როცა მიფრინავს, ახლაც ვაკილებ
 ლოცვა-კურთხევით .



მივდივარ, ჩემთან არა ხარ შენა...

მივდივარ, ჩემთან არა ხარ შენა,
ჩემი სიცოცხლის შუქო და ღებნაე.
მაგრამ იღუმლად ვგრძნობ გულის ცემით,
რომ ანგელოსი თანა მდევს ჩემი.
ოლონდ არ ვიცი, არ ვიცი ახლა,
ამ გზაზე იგი რა სახით მახლავს?
თმებს რომ მიწეწავს ალერსით სიო,
იქნებ ისა ხარ? მასში გეძიო?
იქნებ სახეზე შენი იქ არი,
ოდნავ რომ ბრწყინავს შუქი ცისკარის?
იქნებ ვერცხლისფერ სხივით მკრთომარო
ის ვარსკვლავი ხარ მკრთალი რომ არი.
ან ჩიტი თუ ხარ, სულ ერთი ციდა,
რომ ჩამომძახის სიმღერას ციდან?
მინდერის ყვავილად გადიქეც იქნებ,
თავს რომ გზისპირად ჩურჩულით მიქნევს?
და მეუბნება: „მომწყვითე, კმარა,
შენს გულთან ახლო დამშალე ჩქარა!“
მითხარ, ვინა ხარ, რა ხარ, რომელი? —
ჩემი სიცოცხლის მახარობელი!



ღრუბლები

ჩიტი რომ ვიყო ღრუბლის ქარავანს
არ დავსტოვებდი, მას ვსდევდი მარტო,
ვაგლახ, მხატვარი რატომ არა ვარ,
რომ მხოლოდ თეთრი ღრუბლები ვხატო.

სალამით ვხვდები მათს გამოჩენას,
თრთოლვით აღუვლენ მაღლა დაღადისს,
მიდიან, წინ აქვთ გზა რამოდენა,
მე გზას ვულოცავ ჩემად: „ნახვამდის!“

ზოგი ყარიბად მარტოკა მიჰქრის,
ზოგნი ჯგუფ-ჯგუფად, ზანტად მიდიან
და მე არ დამრჩა გრძნობა და ფიქრი,
რომელიც მათთვის არ გამინდვია.

ცის დასაფალზე რომ მიყუყულან,
მძინარნიც ბევრჯერ მინახავს წინათ,
ლოყები უჩინათ მწუხარში ფუნჩულა
და სძინავთ, როგორც ჩვილ ბავშვებს სძინავთ.



მინახავს მათი შავი ჯაგარიც
წამოქოჩრილი წვიმის წვეთებით,
როგორც მხედარი ყალბზე ამდგარი
ქარს რომ ხედებიან გმირულ კვეთებით.

მინახავს ღამის ბინდს რომ იხსნიან
აღმოდებული მთვარის ამოსვლით,
ვით მომაკვდავ ძმას მთვარეს სისხლიანს
უთვევენ თეთრი ტანისამოსით.

ხაირფერობა მათი შიტაცებს,
ჩემი სარკმლიდან მათ გავეცანი,
მე შემიყვარდა მათი სიმკაცრე,
მათი სინაზე და კავშანი.

და იქნებ ამ გულს იმიტომ მართებს
ლტოლვა მათდამი, ტრფობა გულწრფელი,
რომ ჩემი გულიც იცვლება მათებრ
და მაინც რჩება მარად უცვლელი.

მიყვარს ღრუბლები:
ჩემს თვალსაც მათებრ
ცრემლების წვიმა ხშირად ასველებს
და თვალი ჩემი, რისხვა რომ ანთებს
ღრუბლებს გავს ელვით გადანასერებს.



ისევ შემოდგომა

ისევ მოვიდა მშვენივლით საესე,
რა ღამაშია ეს ფერთა კრთომა.
მიყვარს, არ ვიცი რად მიყვარს ასე,
რად მიყვარს ასე ეს შემოდგომა.

ვზივარ მაღლობზე და ალტაცებით
გავყურებ სივრცეს, მოწყენილ ცისკენ
და ხმელი ფოთლის დაბლა დაცემის,
ხიდან მოწყვეტის ხმაურსაც ვისმენ.

მზის სხივი კრთება ცაზე გვიანი,
სათქმელი ჰქონდეს თითქოს ფარული,
მზე დედასა ჰგავს ალერსიანი,
მიწა ბავშვია ძილმოპარული.

არა, არა ჰგავს მიწა მომაკვდავს,
თუმცა ძლივს ახელს თვალს ფერმიხდილი.

მას დაღლილივით ძალა მოაკლდა,
მას ძილი უნდა განა სიკვდილი?!

მას გაუხდია სამოსი კრელი,
საწოლთან უდევს, იგი მზად არი,
კვლავ ჩასაცმელად დაავლოს ხელი,
როგორც კი გავა ცივი ზამთარი.

იძინე ასე, ბუნებაე, ტყბილად,
მძინარიც მიყვარს მე შენი სახე
და ვიდრე მოვა ზაფხულის დილა,
იძინე, ტყბილი სიზმრები ნახე.

აი ეს ქნარიც, ეს ჩემი ქნარიც,
შენს ძილისპირულს არ დამღერს განა?
ჩემი მწუხარე სიძღერა წყნარი,
შინდა გაისმას სევდიან ნანად!

დაჯექ ჩემს ახლოს, იყუჩე კარგო,
ჩემს მკერდს მოეყრდენ თვალმიხუტული,
მისმინე, ვიდრე არ დაიკარგოს —
ჩემი ხმაც, როგორც სიოს ჩურჩული.

იყუჩე და ტუჩს შეახებ, როცა
უხმოდ შეახე ჩემს მწყურვალ ტუჩებს,
მაკოცე ჩუმად, რომ ჩვენმა კოცნამ
არ გააღვიძოს ბუნება უცებ.



მთის მდინარედ გადავიქცევი

მთის მდინარედ გადავიქცევი,
ვერ შემზღულდავს მთავარები,
სალ კლდეებზე გადავივლი
ძღკრივ ტალღის აგორებით.
ოღონდ ჩემი კარგი სატრფო
თევზად იქცეს პაწაწინად,
ჩემს ზვირთებში აქანავა,
ჩემს მორევში ჩააწვინა.

ლურჯ მდინარის ნაპირებთან,
სადაც მოჩანს ნარიყალი,
დაბურულ ტყედ გადავიქცევი,
ვერ შემარხევს ქარიშხალი.

ოღონდ ჩემი საოცნებო
ჩიტად იქცეს პაწაწინად,
ჩემს ხის ტოტზე ბუდე კქონდეს,
ჩემს ხის ტოტზე დააწვინა.

ნაციხარად გადავიქცევი,
მთის წვერზე რომ ხედავს ყველა,
დავინგრევი, დავიშლები
უნაღვლელად, ნელა-ნელა.
ოღონდ ჩემი სანუკუარი
გადაიქცეს მწვანე სუროდ,
ოღონდ შუბლი — ციხის ლოდი
სუროს ხელით დამებუროს.

ხევში ქობად გადვიქცევი,
 გარს მხევიოს მთების ნისლი,
 კარი მქონდეს ფარღალაღა,
 ვერ იქერდეს წვიმას ისლი.
 ოღონდ სატრფო ცეცხლად იქცეს,
 გაანათოს ჩემი კერა,
 ლულუნებდეს, გუზგუზებდეს
 ჩემს ბუხარში ბედნიერად.

გადვიქცევი უფსკრულებთან
 შეჩერებულ დაღლილ ტრეპტუნულთან
 დაფლეთილად, დაფანტვულად
 გაბნეულად თავისუფლად.
 ოღონდ სატრფო მწუხრად იქცეს,
 ვიგრძნო მისი ნაზი მზერა
 და დაისი მომეხვიოს
 გაფითრებულს ალისფერად.

★

მგლების სიმღერა

ცაში ტრიალებს ბუქი,
 ქარი გიყივით დაქრის,
 მოდის თოვლი და წვიმა
 ორი ტყუბი ძმა ზამთრის.

უდაბნოსა ჰგავს სტეპი,
 ქარს აყუღია ზვავი,
 ბუჩქიც არ არი არსად,
 რომ შევაფაროთ თავი.

ფერდებს გვილეწავს სუსხი,
 გვინგრევეს სიშშილი მუცლებს,

ვერ გავვიქცევით ამ მტრებს,
 ვიტანთ, ვლმუით და ვუძლებთ.

არის მესამე მტერიც
 თოფის ლულაზე ბოლი...
 მოჩანს თეთრ თოვლზე ჩვენი
 სისხლის წითელი ზოლი.

გვცევა, გვშიან და ვუძლებთ,
 ერთით ვჯობივართ მრავალთ,
 ყმად არ ვეკუთვნით არვის,
 თავისუფალნი დავალთ.

★

ძაღლების სიმღერა

ცაში ტრიალებს ბუქი,
 ქარი გიყივით დაქრის,
 მოდის თოვლი და წვიმა,
 ორი ტყუბი ძმა ზამთრის.

ჩვენ არ გვაფიქრებს ქარი,
 ბატონმა მოგვცა ბინა,
 ვგდივართ კუთხეში ჩვენთვის
 და თბილ ბუხართან გვძინავს.

არც საჭმლისა გვაქვს დარდი,
 როდი ვშოულობთ ძალით,

ბატონის სუფრას ჩვენთვის
 რჩება ვახრული ძვალი.

თუმცა მწარეა შოლტი,
 ზურგს რომ აგვიწვავს სტვენით,
 მაგრამ დარტყმასაც იტანს
 ძაღლური ძვალი ჩვენი.

ბატონს გაუვლის რისხვა,
 მისულას გვანიშნებს შშვიდად,
 ფეხებს ვულოკავთ ენით,
 ბედნიერი ვართ დიდად!



მიყვარხარ...

მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ...
 რაც გადის დრო და ხანი,
 მე უფრო მეტად მიყვარს
 შენი პატარა ტანი.
 შენი შავი თმის ბუჩქი,
 ეგ თეთრი შუბლის სერი,
 თვალები გიშრისფერი,
 ლოყები ვარდისფერი.
 შენი თითები მიყვარს,
 ორი პატარა თათი,
 ო, იცი როგორ მიყვარს
 ოდნავ შეხებაც მათი?
 ო, იცი როგორ მიყვარს
 გამოუთქმელი ვენით?—
 შენი გრძნობების სიღრმე,
 სულის სიმძლვე შენი,
 მე დარდიც მიყვარს შენი,
 შენი ღიმილიც ფართო,
 მე ცრემლიც მიყვარს შენი,
 შენი კისკისიც მართობს,
 მე შუქი მიყვარს შენი,
 რა არის მისი ფასი!
 მე ჩრდილიც მიყვარს შენი.
 მზის დაბნელების მსგავსი.
 მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ...
 მწვავს შენი ტრფობის ალი,
 მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ...
 მთელი გრძნობით და ძალით.
 მთელი სამყარო ვრცელი,
 შენით არსებობს ჩემთვის,
 რაზეც კი ვფიქრობ, ყველა
 ფიქრს შენზე ფიქრი ერთვის.
 ძილში ჩემთან ხარ სიზმრად,
 ფიქრში ჩემთან ხარ ღღისით.
 გულის ძგერის ხმა მესმის—
 შენი ხმა არის ისიც.
 შენთვის მივწვდები მწვერვალს,
 დიდების ყველა მნათობს,
 დიდებას დაეთმობ შენთვის,
 შენთვის მწვერვალებს დაეთმობ.

შენი ოცნებით ვხარობ,
 შენს დარდს ვატარებ დარდად,
 მე სხვა სურვილი არ მაქვს
 შენი სურვილის გარდა.
 მსხვერპლი ყველაზე დიდი,
 მე მეჩვენება მცირედ,
 რადგან შენ გასურდა იგი,
 რადგან შენ შემოგწირე.
 შენს მცირეოდენ წყენას
 სულ უმნიშვნელო წერილმანს
 სდევს ჩემი სევდა დიდი,
 ჩემი ცრემლების წვიმა.
 მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ,
 მიყვარხარ ცხადად, მაღვით,
 როგორც აროდეს არეინ
 არ ჰყვარებია არ ვის.
 ეს სიკვდილს უდრის თითქმის,
 ეს შეუძლოა თითქმის,
 შენ ერთს გეკუთვნის ყველა,
 ოაც სიყვარულად ითქმის:
 ძმაც ვარ, სატრფოც ვარ შენი,
 მამაც, დაო და დედაც,
 მე შეყვარებულს ყველას
 შენს სახებაში ვხედავ:
 სატრფო, შეილო და დედაც,
 ჩემო ძვირფასო ცოლო,
 ყველას მაგივრად, ერთად,
 მე შენ მიყვარხარ მხოლოდ.
 რა მამაღია ქვეყნად
 ამ სიყვარულზე კარგი,
 ძლიერ მიყვარხარ, ძლიერ,
 ვარ შენი ტრფობით შმაგი.
 თუ ტრფობისათვის რამე
 ჯილდო იქნება ბოლოს,
 ის შენ გეკუთვნის მარტო,
 ის შენ გეკუთვნის მხოლოდ.
 ნაყოფი მისი არი,
 ვინც ნორჩი ნერგი დარგო,
 ეს სიყვარული შმაგი
 შენ შემასწავლე, კარგო.



კატრიკოტული სიმღერა


 ეროვნული
 გიგლიცოტეკა

ჩემო ქვეყანავ, შენი ვარ,
 ჩემო უჭრობო ცისკარო,
 შენს გარდა ვინ მყვარებია,
 შენს გარდა ვინ შევიყვარო!

ჩემი ხატება შენა ხარ,
 ეს გული — შენი ტაძარი,
 შენთვის ეს გულიც დაიწვას,
 ტაძრისგან დარჩეს ნაცარი.

მხოლოდ გულს კენესა აღმოხდეს,
 აღრე დანგრეულს, უღლეურს:
 — სამშობლო იყოს დღეგრძელი!
 სამშობლო იყოს კურთხეულ!

ჩემს საიდუმლოს არ გაეცემ,
 არ გაეხდი სხვათა ზიარად,
 რომ ქვეყნად შენზე ძვირფასი,
 მე არა მამადია რა!

მგზავრს ჩრდილი დასდევს მზიანში,
 მე კი არ გტოვებ წამითაც,
 დარშიც, ავდარშიც შენთან ვარ,
 შენთან ვარ დღითაც, ღამითაც.

მწუხრისას ჩრდილი იზრდება,
 იზრდება ჩემი ნაღველიც,
 ნაღველი — ჩემი მამულის
 წუხილის გამოშახველი.

შენს ერთგულებთან მივდივარ
 და ძმურ სუფრაზე როცა ვარ
 მე ღვინით სავსე ჭიქას ვსწევ
 სამშობლოს დასალოცავად

და თუმცა ღვინოს ამწარებს
 რაც შენთვის ცრემლი მდენია,
 მწარე სასმისსაც ტყბილად ვცლი —
 ეს საღვებგრძელო შენია!



უნგრეთის ერი

სხვა ქვეყანა არსად არი
 ჩვენი ქვეყნის დასადარი.
 და ნუ ჩათვლით ამას კვებნად:
 ჩვენს ხალხს ტოლი არ ჰყავს ქვეყნად!
 მაინც წელში ვერ სწორდება,
 მძულს და მაინც მეცოდება.
 მაინც მიყვარს ჩვენი ერი
 ქვეყნის თვალი მშვენიერი.
 მისი ტურფა მთა და ბარი
 კაცის თვალის გასახარი.
 მისი ზეცა მოკრიალვ:
 ჯეჯილების ოკეანე
 მზისკენ ზვირთებშიზიდული,
 მადნით სავსე მიწის გული.
 ვინ დაივლის მის დიდ მინდვრებს,
 ვინ აღრიცხავს მის სიმდიდრეს!
 მაგრამ ხალხი რატომ არი
 სიმშვილისგან ჩამომხმარი?
 დაღის მუდამ ფეხშიშველი.

ძონში მოსავს ძველისძველი.
 ნიჭის დიდი ბრწყინვალეობა
 ხალხში უქმად იმალება.
 რომ გამოჩნდეს ნიჭი თუნდაც,
 მას ესვრიან ქვას და გუნდას.
 ნიჭიერებს ბედი მწარე
 სდევნის თავის ქვეყნის გარეთ.
 სამშობლოდან გაქცეული,
 სულ სხვა ქვეყნის განძეულის
 ბრწყინვალეობად გამოჩნდება
 და უნგრეთი გაოცდება.
 გაიძახის, ამბობს ყველა:
 „ჩვენმა შეიღმა გეასახელა
 ჩვენი შეილის აღმადრენამ
 სხვა ქვეყანა დაამშენა!“
 სად ვეძებოთ, სადღა ენახოთ
 ჩვენი ძველი სატრაბახო
 სიამავე ეროვნული?
 ღამის ჯაერით გასკდეს გული!



რაც გვაქვს ცუდი, რაც გვაქვს ავი,
 მხოლოდ იმით მოგვაქვს თავი.
 ათასამდე არის წელი,
 რაც ეს მიწა ძველისძველი
 ჩვენმა ერმა დაასახლა.
 მაგრამ ვთქვათ, რომ გაქრა ახლა
 უნგრელების ქაჟანება,
 ჩვენს სახსოვრად რა დარჩება?
 დიდიხანი გვიცხოვრია.

მაგრამ ხალხთა ისტორია
 არ გვახსენებს არსად ტკბილსა და სუამს
 თუ გვახსენებს — გასაკიდებელსა და სუამს
 „ტისის პირად იყო ერი,
 ზარმაცი და თვინიერი“.
 ჰე მამულო, ნეტავ იმ დღეს,
 როს შენი მზე ამობრწყინდეს.
 როს შეიცნობ ნამდვილ სახეს,
 აამაღლებ შენს დიდ სახელს.



მესიზმრა ომი

მესიზმრა ომი, ზანძრების ალი,
 გაწითლებული სისხლით ქვიშანი,
 პირსისხლიანი დაქროდა ზმალი,
 ვით მოწოდების ძველი ნიშანი.

აღსდგა უნგრეთი და მაღიარის
 მხარდამხარ ჩანდა ქალთა მანდილიც
 და სისხლის ჯილდოდ ოქრო კი არა,
 თავისუფლება იყო ნამდვილი.

ის დღე დღე იყო ჩვენი ქორწილის,
 სამშობლოსათვის თავშემწირველი,
 წაველ, დაგტოვე დაუკოცნელი,
 დაეთმე ქორწილის ღამე პირველი.

ქორწილის ღამეს ომში ვინ მიდის,
 სიკვდილი ვის არ დაენანება?!
 მაგრამ მე ისევ ვარჩევდი სიკვდილს,
 ოღონდ ამიხდეს ღამის ზმანება.



საამო ღამე!

საამო ღამე! ბალის სურნელი
 გეზიბლავს, ძვირფასო, ტკბილსასურველი.
 სიჩუმე, სადღაც ძალი წაეწკავებს.
 ცა ჰყვავის მშვიდი,
 თეთრდება ბინდი,
 კაშკაში გააქვთ ცაზე ვარსკვლავებს.



მე ვიქნებოდი ვარსკვლავი ცუდი,
ვერ დავდგებოდი უშენოდ წუთით
ცაზე, თუნდ იყოს კალმით ნახატიც!
განმარტოვებით
ცას დავტოვებდი
და ყოველდამე შენ მოგნახავდი!



შენ გაზაფხული ბიჭვარს

შენ გაზაფხული გიყვარს და გშვენიის,
ზამთრის სიცოცხე გეუცხოვება,
გაზაფხულია ცხოვრება შენი,
შემოდგომა ჩემი ცხოვრება.

ჩემს სახეს ჩრდილი დაკრავს უხეში,
შენი ლოყები ვარდივით ღვივის,
ჩემი თვალების დაღლილ გუგებში
ჰკრთის შემოდგომის დაღლილი სხივი.

გულსაც ნაღველი შემოგებარა,
ჩემს გულს, ნაღველს რომ არ იკარებდა,
და უკვე ერთი ნაბიჯი კმარა,
რომ უცებ დავდგე ზამთრის კარებთან.

შენ რომ წინ წადგა ნაბიჯი სწრაფად,
მეც უკან წაედგა ნაბიჯი ერთი.
ერთი ხნისანი, ზაფხულში ალბათ,
აღმოვჩნდებოდით ერთერთის გვერდით.



შესხვატი

ვისაც არ ჰყავს გულის ვარდი,
ღვინო შესვას ფერად ლალი,
დაიჯერებს, რომ ნამდვილად
მისთვის კედება ყველა ქალი.

ღვინო შესვას, ბლომად შესვას,
ვისაც არ აქვს ორი გროში,
მას თავისი ეგონება,
რაც ოქროა მსოფლიოში.

ვისაც დარდი არ ასვენებს,
 ღვინო სვას და დათერეს ხელად,
 ღვინო წუხილს დაავიწყებს,
 ღვინო შეიქმს უდარდელად.

სატრფო არ მყავს, ფული არ მაქვს,
 დარდი მაქვს და, რაც ვარ, ეს ვარ,
 ამიტომაც სხვაზე მეტი,
 სამჯერ მეტი უნდა შევსვა.

თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა

პახანე ჯალიძე

ბექსიკონის „პარიზლის“ ქართული თარგმანის გამო

„მნათობის“ მე-5 ნომერში დაიბეჭდა მერი იანქოშვილის რეცენზია შექსპირის პიესების კრებულის შესახებ, რომელიც გასულ წელს გამოცდა სახელგამა და რომელშიაც მოთავსებულია ჩემს მიერ თარგმნილი შექსპირის „ქარიშხალიც“. ამხ. იანქოშვილის რეცენზია არ მამაჩნია დასაბუთებულად და სამართლიანად.

კიდრე თარგმანების გარჩევას დაიწყებდეს, ამხ. იანქოშვილი რეცენზიაში ასახელებს ოთხ, უკვე საკმაოდ გავრცელებულ და მკვლევარების მიერ აღიარებულ სიძინელს, რომელთაც მთარგმნელი შექსპირის ტექსტზე შეშობის დროს ხედავს, სასიამოვნოა, რომ იანქოშვილი აცნობს და მიუთითებს ამ სიძინელებზე. მაგრამ მას რატომღაც ავიწყდება თვითონვე გამოიყენოს ეს ცოდნა, თარგმანების გარჩევას დროს. იგი მთარგმნელს მიუთითებს ღრმად ჩაწვდეს შექსპირის ტექსტს, თვითონ კი ამას ვერ ახერხებს და ზერეღოდ არჩევს ცალკეულ ადგილებს. მე ვერ დავეთანხმები მის მოსაზრებას „ქარიშხლის“ თარგმანის შესახებ.

მაგალითად, რეცენზენტს მოჰყავს ერთი ადგილი ჩემი თარგმანიდან და ასყენის: „ეს აზრის დამახინჯება არისო“. ასეთი განცხადება ძალიან ადვილია, მაგრამ ენაზე სინამდვილეში როგორ არის საქმე. ვანიხილოთ ეს ადგილი:

მილანის ნამდვილი, მაგრამ ამჟამად განდევნილი პეტროვს — პროსპეროს და მის ლამაზ ქალს, პიესის ერთ-ერთი გმირი ეუბნება: მილანის პეტროვი ჩემთან მოდიოდა გვიით და ზღვაზე ქარიშხლის დროს თავის მემკვიდრესთან ერთად დაიღუპა. მან არ იცის, რომ ნამდვილი პეტროვი მის წინაშე დგას. პროსპეროს არ უნდა ვერ გაამყვანოს თავისი ენაობა და ჩემდ ჩაილაპარაკებს: ახლა ამის დრო არ არის. თორემ ნამდვილი პეტროვი მილანისა თავისი მშვენიერი ქალით მართალს გეტყვოდო. ორიგინალში ეს ასეთა:

„The Duke of Milan

And his more braver daughter could control thee if now 'twere fit to do it“.

მე ასე შექვს თარგმნილი:

„დრო რომ იყოს ახლა ამისი, მაშინ პეტროვი მილანისა თავისი ქალით, უფრო მეტად მშვენიერით გეტყვოდა — მართალს“.

ამხ. მერი იანქოშვილს ვერ ვაუგვია ორი სიტყვა „braver“ და „control“ და ასეთ თარგმანს ვეთავიზობს: „მაშინ პეტროვი მილანისა და მისი მეტად მამაცი ქალი დაგიმორჩილებდნენ“. შეზღვევ იგი განაგრძობს: „როგორც დედნიდან ვხედავთ, პროსპეროს თავის ქალს უწოდებს მამაცს (braver). ამ ეპიტეტს მირანდას სახის გახსნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს — უდაბურ კუნძულზე აღზრდილი ქალი, თუცა გარეგნულად ნაზია, მაგრამ გულში მზნე და მამაცია. იგი არა ჰგავს არისტოკრატიული სალონის მანკია ასელებს. თარგმანში ეს დეტალი არ ჩანს, ეინაიდან გამოტოვებულია ეპიტეტა „მამაცი“. მის ნაცვლად კი ჩამატებულია ხელოვნური ფრაზა „უფრო მეტად მშვენიერით“.

მ. იანქოშვილი ცდილა „გახსნა“ მირანდას სახე, მაგრამ ვერ გამოუვიდა. ვერ ერთი, არაფერ შეაშია აქ „სალონის მანკია ასელებთან“ მირანდას დაპირისპირება, ზოლო მისთვის „მამაცის“ შექმნევა სრულიად ვაუშარტოვებელია. საქმე იაა, რომ მამა თავის ქალზე ამბობს, — მშვენიერიაო, იმიტომ კი არა, თითქოს მე ვერ ვაშვავოს სიტყვა brave-ის მნიშვნელობა! ეს სიტყვა მართლაც ნიშნავს მამაცს და, სხვათა შორის, უფრო ხშირად ამ მნიშვნელობით იხმარება (სწორედ ამიტომ მოსვლია შედომა ჩემს რეცენზენტსაც), მაგრამ brave-ს აქვს მეორე მნიშვნელობაც — მშვენიერა. ამას სულ მცირეფორმის ლექსიკონებშიაც კი ნახავთ. მაგალითად, რეცენზენტს შეუძლია ვადაშალოს მიუღერის ინგლისურ-რუსული ლექსიკონი, გამოცემული 1946 წელს მოსკოვში. მე-90 გვერდზე იგი წაიკითხავს: brave — 1. храбрый, смелый; 2. превосходный, прекрасный. გამოდის, რომ მევი არა, რეცენზენტს ვერ ვაუგვია აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობა და იმიტომ ვჩვენება „უფრო მეტად მშვენიერა“ ხელოვნურ და მოვინილ ფრაზად.



იქნებ მიინც იყობოს რეცენზენტმა ჩატომ მაინცდამაინც მეორე, ნაკლებად გავრცელებული მნიშვნელობა ავირჩიე შე ამ სიტყვისა და არა „მაშაი“? იმიტომ რომ ქალი მართლაც მშვენიერია, ხოლო მისი მამაკობის ამავე არსად არა ჩანს პიესისში, — მამა თავისი ქალის სიმშვენიერით ამაოებს. მაგრამ კიდევ რომ არ მიეცე ბევრი საყოყმანო ჩვენს რეცენზენტს, ერთ ფაქტსაც მოვახსენებ: შე ხელთა მიქვს ოქსფორდის უნივერსიტეტის ვაიკემული შექსპირის „ქაინობლი“. წიგნს დამოუღი აქვს „პარიზის“ ძალიან ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი. იქ სიტყვა brave სწორედ ამ კონტექსტში, ასეა განმარტებული: brave — fine (გვ. 101. შენიშვნა № 439). იქ კი საკმაოდ აღიარებულია, რადგან fine მშვენიერსა ნიშნავს და ეს იცის ინგლისური ენის მცირემეტოდნევე კი. ამა. იანქოშელს შეუძლია შეამოწმოს აღნიშნული წიგნი თბილისის საბ. უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში, ხოლო სიტყვა fine-ის მნიშვნელობა — მიუღერის იმავე ლექსიკონში შე-280 გვარდზე.

ახლა, ჩატომ ჰგონია ამა. იანქოშელს, რომ control დამორჩილებასა ნიშნავს? ჯერ ამბობრივად გვაჩიბით: პროსპერა და მირანდა იქვე, ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე, დამორჩილებენ და წაიყვანენ ფერდინანდს. ვნახით რა გამოდის: კაცმა თქვას „დრო რომ იყოს აბლა, დავიმორჩილებდიო“! ადგეს უცებ და დამორჩილოს! თუ კი იმავე წუთში ამირებს მის დამორჩილებას, აღარც ეტყოდა „დრო რომ იყოს ამისი, დავიმორჩილებდიო“ და სინამდვილეში არც უთქვამს, ეს მხოლოდ რეცენზენტის მოგონილია. შექსპირი თავისებურად ხმარობს ამ სიტყვასაც და იმავე წიგნში, იმავე გვარდზე, № 440 შენიშვნაში ასეა განმარტებული: control — contradict. ხოლო contradict მიუღერის ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს I. Опровергать, отрицать (გვ. 162) ე. ი. პერკოვს უნდა თქვას: „ახლა ამისი დრო არ არის, თორემ (შენს) სიტყვებს: რომ პერკოვი თავის მშვენიერით ზღვამს დაიღუპა, უარსა ვყოფდი) სიმართლეს ვერყოფდი, (რომ, შე ვარ ნამდვილი პერკოვი და არა ის). ასეა ეს ამბობრივად, ლოდოურად, „ხასიათის ვახსნაოც“ და ლექსიკონების მიხედვითაც.

ეტყომა იმასაც მისაყვედურებს რეცენზენტი, რომ შე ვთარგმნე „უფროვე მეტად მშვენიერით“. ორიგინალში სწორედ ასეა more brave რ. აქ ორმაგადაა ზარგასმული, რომ უფრო მშვენიერია მისი ქალი და უბასუბებს ფერდინანდის სიტყვებს, რომელიც ამ-11. „მნათობი“, № 6.

ბოძს: პერკოვი, თავისი მშვენიერი გავცდარი, დაიღუპაო.

შემდეგ რეცენზენტი მისაყვედურებს, რომ ერთ ადგილას „ვერ მოვახერხე დღესამაჲსა“ ცემული გამოთქმის სწორად ამოხსნა“. იი ეს გამოთქმა: ლათი სტეფანო ამბობს: კალიბანს ნებაოლში წაიყვან და დიდ ფასში გავყვიდიო, რადგანაც: „He is a present for any emperor that ever trod on neat's-leather“. შე ასე მიქვს თარგმნილი: „მშვენიერი საზექარი იქნება ყოველი იმპერატორისთვის, როგორ ქოშებსაც უნდა ატარებდეს იგი“. ამა. იანქოშელი მისაყვედურებს: „შეთხველი სრულიად სამართლიანად კითხულობს, რა შეუძია ქოშენი? ეს კი მოხდა იმიტომ, რომ მთარგმნელს არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით უნდა გავყო გამოთქმა: — იმპერატორი, რომელსაც ოდესღაც უვლად დედა მიწის ზურგზე“. ე. ი. რეცენზენტის აზრით შექსპირი ველისსმობს არა ქოშებს, არამედ „დედა მიწის ზურგს“.

ეს სტრიქონი ერთერთი, შექსპირისათვის ჩვეული ბურუსით მიცული ადგილია და კონტრატორის სულ სხვადასხვაგვარად ხსნიან მას. ერთერთი ახსნა სწორედ ასეთია, რომელიც შე ავირჩიე თარგმანში. აქ ის აზრია გატარებული, რომ სხვადასხვა ქვეყნის იმპერატორს სხვადასხვაგვარი ქოშები ეცვა. და მას უოველი იმპერატორისთვის ყარგი საზექარი იქნებოდა კალიბანი. შე არ ვარჩიე პირდაპირ ასე გამეხსნა და ვადამეტანა, რადგანაც სტეფანო ამას ხუმრობით ამბობს და ეს სტრიქონი ინგლისელი შკითხველისთვისაც კი ნათელი არ არის. ეს გამოთქმა იდიოში არაა — ხუმრობაა. რომ იდიოში იყოს, როგორც ეს რეცენზენტსა ჰგონია, მაშინ სპირი იქნებოდა მისი ვახსნა და თავისი მნიშვნელობით ვადმოტანა. ოღონდ არა იმ მნიშვნელობით, რასაც იანქოშელი გვთავაზობს.

სხვათა შორის შექსპირი იმავე გამოთქმას ხმარობს „იულიუს კეისარში“ და მანამდღეს ასე აქვს თარგმნილი: „შე ძველა ფესსაცემულების ექიმი ვარ. როცა ვაუტორდუბათ, მოსარჩენად შე მომამარებენ და რომელ პატიოსან კაცსაც ხარის ტყავი ფეხქვეშ ამოუტყარავს, არ იქნება, რომ ჩემი ნამუშევარი არ გავთელოს“. იანქოშელის განმარტების მიხედვით მანამდღეს აქ ქალ მანქანის მავიერად „დედა მიწის ზურგით“ უნდა ეთარგმნა, რა თქმა უნდა, ასეთი „განმარტება“ არავითარ შემთხვევაში სწორი არ იქნებოდა და საოცარია, რატომ ასე დაბეჯითებით ამტკიცებს ამას იანქოშელი. ამრიგად ეს სწორედ ქოშებად ე. ი. ფეხთხამისად უნდა ითარგმნოს.

როგორ მიიხველივ თარგმნის, და არა „დედობის ზურგად“.

შემდეგი შენიშვნა: თითქოს მე „ქარბად“ ეხმარობდე ნაცვალსახელებს ტექსტში. ინგლისურში ზმნის პირიანობა გამოიხატება — წერს ან. იანქოშვილი — ნაცვალსახელის საშუალებით. ამიტომ მათი სიჭარბე იქ სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ქართულში სრულიად შეუმტია, მთარგმნელი მათ ხმარობს ან ინგლისურის გავლენით, და ან რიტმის შესაქმნელად“. და რეცენზენტს მოსყავს მაგალითი, მაგრამ საკმაოდ არა კეთილსინდისიერად, რადგან მას სხვადასხვა ადგილებიდან ამოუკრებია სამი სტრიქონი და ერთ წინადადებად დაუწერია. ამ სახით არამარტო ნაცვალსახელების უზერბუნლობა, ისედაც უაზრობა გამოდის:

„...დაცხვეიან შენ აღქაჯები,
შენ წისკვილის ქვის სისწრაფითა
კენესლი, ზღაოდი,
ისე წამერთვა მე ძაღლინე...“

რეცენზენტი მისაყვედურებს ხაზგასმული ნაცვალსახელების ხმარებას, მაგრამ მეც მინდა ვუსაყვედურო ან. იანქოშვილს: როცა სტილისტიკა შეედიომაზე მიუთითებთ, არ შეიძლება ფრაზების ამოგლეჯა და ისე დასაბუთება. საჭიროა მათი გარჩევა კონტექსტის მიხედვით. ჩვენ ის კი არ უნდა ვეკითხოთ აზრი ხომ არ დამახინჯდება ანა თუ იმ ნაცვალსახელის ამოღებით, რადგანაც ქართულ ენაში ყველაგან შეიძლება ამოვარდეს ნაცვალსახელი და აზრი მაინც გასაგები იქნება; — ჩვენ უნდა ვეკითხოთ, უზერბუნლად ხომ არ ისმის ეს ნაცვალსახელი? ხომ არ ენოთირება ყურს? ამას კი მივხედებით კონტექსტში. ენახით ეს სტრიქონები თავთავის ადვილას.

მაგალითად, პირველი სტრიქონი ასეთ კონტექსტშია:

1) პ რ ო ს პ ე რ ო — (მიმართავს კალიბანს).
„...გვეჯროდეს ამაღამ სულ დაჯვრენჩხაგს
ფილუნჯის ქარი,
სუნთქვას შეგეკრავს გვერდის ჰვალი. ეს
გრძელი დამე-
რომ უსაქმოდ არ გაატარონ, დაცხვეიან
შენ აღქაჯები და მთელს ტანზე
ივარჯიშებენ...“

2) პ რ ო ს პ ე რ ო — (მიმართავს არიელს).
„...ერთბელ ბებერმა, თავის ჩვეულ
გაცოფების დროს
მოიშველია ძლიერებით განთქმულნი
სულნი,
ნაძვი გააპო და ნაპობში გამოგაშვეყლია!..
ამასობაში იგი მოკვდა, იქ გაქვდილი,

შენ წისკვილის ქვის სისწრაფითა
კენესლი, ზღაოდი“

3) ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ბ ი ნ ლ ი მ ი ე რ ე ქ ა ნ
„...ეს მართალს ამბობს, თითქოს მართლაც
სიზმარში ვიყო,
ისე წამერთვა მე ძაღლინე...“

არა მგონია აქ ასე უზერბუნლად ისმოდეს ნაცვალსახელები. ან სად ხედავს რეცენზენტი მათ სიჭარბეს?!

შემდეგ, ან. მ. იანქოშვილი მისაყვედურებს, რომ: „აღნიშნულ თარგმანში ხშირად წინადადებას აზრი მოთარგმნა, მაგრამ ვინაიდან ამ ლოლიკურ დამთარგმნებს რიტმიული კადანსი არ მოსდევს. მკითხველზე დაესრულებულ (საღმართ) უნდოდა ეთქვა: დამთარგმნებელ — ვ. ზ. შთაბეჭდილებას სტოვებს“. ეს მართალი იქნებოდა, მაგრამ როგორ მიუდგება აღნიშნული „ფორმულა“ კერძო მაგალითის? მ. იანქოშვილი თვითონვე სწერს რეცენზიის შესავალში: „შექსპირის ენა... სასაუბრო იმპულსური მეტყველების ენაა, მას ახასიათებს მრავალმეტყველო პაუზები, მოულოდნელი შემახილები... ფრაზის ინტონაცია მეტად ცვალებადია“. ამას კი წერს რეცენზენტი, მაგრამ შემდეგ ჩვეულებრივ ავიწყდება თავისივე სიტყვები. შექსპირი პიესებსა სწერდა, ვ. ი. დიალოგებით სწერდა და ის მაგალითიც, რომელიც რეცენზენტი თავისა მოსაზრების დასადასაბუთებლად ჩემს წინააღმდეგ მოუყვანია, დიალოგში უნდა განეხილა:

„თითონ ხედავ, არა ვაქვს ძალი,
ჩვილი ბავშვივით მოგიდუნდა კუნთები“..

ამბობს პროსპერო და მართლაც უზერბუნლად დამთარგმნებოდა ფრაზა, რომ აქ მთავრდებოდა სინამდვილეში. საქმე ისაა, რომ პროსპეროს არ დამთარგმნია სათქმელი ფერდინანდმა და მისი სიტყვა, რომელსაც ის უცებ წამოიძახებს, აქვებს უცვე ახალი ინტონაციით გადმოსულ რიტმს. ფერდინანდი შესძახებს: „დიახ, შენ მართალს ამბობ“.. აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთი ადგილების განხილვა საჭიროა კონტექსტში.

პ რ ო ს პ ე რ ო —
„...თითონ ხედავ არა ვაქვს ძალი
ჩვილი ბავშვივით მოგიდუნდა კუნთები...
ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — დიახ,
ეს მართალს ამბობს, თითქოს მართლაც
სიზმარში ვიყო,
ისე წამერთვა მე ძაღლინე“.

ან. მ. იანქოშვილს „ბუნებრივი სინტაქსური წყობის დარღვევის შედეგად აზრი დამახინჯებულად“ მიაჩნია შემდეგ სტრიქონებში:



ანტონიოს ჰეიზენი, ასეთი გაიძვრობისა და მისი ლაღის შემდეგ სინდისი რას გეუბნებაო. იგი ცინიკურად უპასუხებს: სად ბინადრობს ვე სინდისი?

„თუ ზემს მოყინულ ქუჩაში არის —
წალაში ჩაედებ.
ველში ვერა ვგრძნობ შავ ღვთაებას. გზა
მილანისკენ
გადამიღობს თუნდა იცმა სინდისმა
ერთად,
უწინ გადნება შაქარივით, მე კი ვერ
მიმდრეკს“.

იანქოვილის დასკვნა: „თარგმანის მიხედვით გამოდის, რომ შაქარივით დადნება გზა მილანისკენ (და არა სინდისი), რაც სიმართლეს არ შეეფერება“.

ნეთუ მართლა ასეა? მამ რომ ვთქვათ: „გზა მილანისკენ გადამიღობს თუნდა ურჩხულმა, უფრო იდრე თვითონვე მოკვდება, მე კი ვერ მიმდრეკსო“ — ნეთუ „მოკვდება“ გზაზე იქნება ნათქვამი?!

მ. იანქოვილს „პართული ბუნებრივი სინტაქსური“ წყობის დარღვევად მიაჩნია შემდეგი ადგილი:

„შენ თვით შემთხვევა გიყარანაებს, მე კი
ძლიერი
წარმოსახვით ვჭერე შენს თავზედა
დაშვებულ გვირგვინს“.

რეცენზენტს ის არ მოსწონს, რომ ზედსართავი „ძლიერი“ დამორბეულია არსებით „სახელს—წარმოსახვით“. „შსაზღვრელი დამორბეულია განსაზღვრებას“. ვეთინხმებით რეცენზენტს, რომ სჯობდა არსებითი სახელი უო-

ფილიფო პირველ სტრიქონში, ზედსართავის გვერდით. მაგრამ დიდი „დარღვევა“ არ არის ეს. ამხ. იანქოვილს უნდა უთქვამოდა, რაც რეცენზენტის შესავალში განაცხადა: „იმდროის ენაში... ხშირად გვხვდება ინვერსიული გამოთქმები, განსაზღვრებათა გათიშვა მსახრდრეღისაგან...“ დიხ, შექსპირთან დაუსრულებლად ვხვდებით ასეთ მოვლენას და ყოველთვის ძნელია მთარგმნელმა თავი აარიდოს მას. შვალითად თვითონ მახაბულსაც აქვს ასეთი ადგილები:

„...ნეტა ის წუწუქი

ვენეციიდან ზელიდან კი არხად გამისხლტეს...“ (ოტელო)

„...იგი კასიოს ზელში ეყვრა: ის
ძველდებური
ხელსახოცი და მამანგის

გარდაუცია...“ (იქვე)
„...სარდისიდან რომ მოედოლით, ჩვენს
მოწინავე
დროშებზე ორი დიდროვანი არწივი
დაეჯდა...“ („ოტელოს კეისარი“)

„...სიკვდილსაც ზელი ვერ უხლავდა და ეს
ძლიერი
ქვეყნის დამპყრობი დღესაც
კიდევ სახელით ეცხლობს“.
(რიჩარდ შესამე).

საერთოდ რეცენზენტი მეტი სიფრთხილით და პატივისცემით უნდა მოეკიდოს წიგნს, არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში მკითხველი. მსცეს ავტორს სამართლიანი და ობიექტური შენიშვნები. ხოლო უპირველესად თვითონვე შეამოწმოს თავისი „მოსაზრებანი“ და მკაცრი მკერე გამოიტანოს.

ბიბლიოგრაფია



ქალღმერთი — „თავისი თავის ღვარაჯი“, (კომედიი სამ მოქმედებად, თარგმანი ღვთის ბაჩიჩილაძისა, რედაქტორი ი. მოსაშვილი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1949 წ.

დროშეშვილი ფეოდალიში და კათოლიკური ეკლესია შრავალწლიან ჯვაროსნულ ომებით ამოდ ცდალობდნენ გაენელებინათ ის სოციალური დღილი, რომელიც ახალ საზოგადოებრივ წყობილებას ნიდავს უშვებდა. უფრო ჩვენსანის მღვდელმა პეტრემა მოძრაობამ და შემდეგ რეფორმაციულმა ოცდაათწლიანმა ომებმა საზოგადოებრივი განვითარების სულ სხვა, ძირეულად განსხვავებული პერსპექტივები დასაბეს. ჯვაროსანთა ომების გამოცდილებამ ესპანეთის ახალგაზრდა ბერძენიან ხელი ააღებინა საშველეთი ვაზის ძიებისაგან აღმოსავლეთისაკენ, მისი გულისუფრი ამიერიდან ზღვისაკენ არის მიტეული. — დგება დრო ბარათოლომეო დახისა და კაბოტისა, ესკო-დე-გამასი და მაგელანისა, დგება დრო პირისხლიან იფინტიურისტ კოლონიზატორებისა და კონკვისტადორებისა.

მის შემდეგ, რაც ქრისტეფორე კოლუმბოს კარაველები ამერიკის შატერიკს პირველად მიადგნენ, ხოლო პირველმა ევროპელმა მღვდელურებმა აფრიკის ირგვლივ შემოიარეს და მით გზა ინდოეთისა და მის მიმდებამ ქვეყნებისაკენ, ხმელეთით კი არა, ოკეანეზე გაქაფეს, სამყარო თითქმის ერთბაშად გავანთქრდა, აღმოჩნდა, რომ ქვეყნურება არც ისე ეიწრო და ბრტყელი ყოფილა, როგორც ამას მაშინდელ მონასტრებში ჭიდავებდნენ.

ოკეანეზე გაბატონებული ესპანეთი ამიერიდან შესაბამის როლს თამაშობს, არა მხოლოდ ეკონომიკისა და პოლიტიკაში, არამედ მეცნიერებასა და ხელოვნებაშიც. ესპანური ლიტერატურის ბრწყინვალე პერიოდი, რომელიც ერთ საუკუნეს გრძელდებოდა, მიეკუთვნება დონ კვიტო დე ლა ბარკა კალდერონი (1600 — 1681).

9 წლის კალდერონი შშობლებმა იეზუიტთა სკოლაში შეიყვანეს სასწავლებლად, ხოლო 15 წლის იყო, როცა იგი სალამანკის განთქმულ უნივერსიტეტში შევიდა განათლების დასას-

რელებლად. სამართლისა და მათემატიკურ საგნებთან ერთად მან აქ მოისმინა თეოლოგიის სრული კურსი, რაც მას შემდეგ სავალდებულო იყო მისი დიდგვაროვნებისათვის შესაფერის სსულეფრო ხარისხის — კაქლანობის — მისაღებად.

კალდერონმა სულ ახალგაზრდამ დაიწყო პოეზიის წერა და მალე ისე გაითქვა სახელი რომ დიდებულ ლოქ დე ვეგას გარდაცვალების შემდეგ მის ადგილზე დანიშნეს ხელმწიფის კარის დრამატურგად. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, არა მხოლოდ თავის სოცოტლებში, არამედ მთელ XVIII საუკუნის მანძილზედაც.

1637 წელს მის სანტი-იავოს კაქლანის ხარისში ებოძა, ხოლო 1663 წელს იგი წმინდა პეტრეს იეზუიტთა ქაზახს წილდა სათავეში, რამაც კიდევ უფრო მეტი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. — საყრო თემების მაგარი ამიერიდან მის ყურადღებას მღვდელად იმყოფის სასულეფრო შინაარსის სიუვეტები.

არცერთი მწერალი არ შეიძენს ისეთ ღრმა შინაგან წინააღმდეგობას, როგორც კალდერონი: ერთის მხრივ, დემოკრატიული ხალხური კომედიები და, მეორე მხრივ არისტოკრატიულ-სასულეფრო ხასიათის დრამები, რომლებსაც autos sacramentales, ეწოდებოდა. კალდერონის ასეთი ფსიქოლოგიური გარბება უცხო იყო შესაქვეყნობებრივ კადრადვე მთლიან მსოფლმხედველობისათვის. კალდერონი თავისი მშფოთვარი ეპოქის პარწმია, იგი დიდ სოციალურ ძვრათა მიჯნის მწერალია. ერთის მხრივ იგი ძველი სამყაროს იდეურ ტყვეობაში იმყოფება, ხოლო მეორე მხრივ იძულებულია ახალ სამყაროს მიესაღოს.

მოუხედავად მის საქსათა შრავალფეროვნებისა და შინაგან წინააღმდეგობებისა, ისინი მაინც გავრთიანებული არიან ერთი დღე-აზრით. — სარწმუნოებრივ-ეთიკურ იდეებითა



ამ დიდი შემოქმედის თეოლოგიურ-მისტერიული შინაარსის პიესებში ერთხმად აღიარებენ ამქვეყნიურ ცხოვრების ამოუბასს, რითაც იგი ტრეზნარტა წარმომადგენელია უკვე დევარადაციის გზაზე დამდვარი თავადწინურული კლასისა და საეკლესიო არისტოკრატისა.

თუ მის ხალხურ კომედიებში მოქმედნი პირნი ცოცხალ გმირებს წარმოადგენენ, სამკაცროდ მის სასულიერო დრამებში ადამიანი, როგორც გმირი უარყოფილია და მის მკაცრ ასეთი განყენებული სიმბოლოები მოქმედებენ, როგორც არაინ: პატი, ცეცხლი, იმედი, მოწყალეობა, ცოდვა და სხვ. ამ პიესათა სუფთეობი აღებულია ბიბლიიდან და მითოლოგიიდან.

ტრაგედუ მთლიანსა, ლოპე დე ვეგასა და სხვათა შემდგომ, კალდერონის კომედიათა სიახლე მდგომარეობდა იმაში, რომ მან ზედმიწევნით დაამუშავა დრამატურული ინტრიგები და მათემატიკური სინესტია წარმართა დინება სიუჟეტისა. კალდერონის პიესებში ამერიკიდან კომედიურ ინტრიგას ხსნიან არა მოქმედი პირნი, არამედ ბრმა შემთხვევანი. მთავარი გმირი მისი ამეგარი დრამებისა ადამიანი როდია, — ბრმა შემთხვევა და ეს შემთხვევა განაგებს მის ქვეყნსა და სიცოცხლეს, რაც გამოწვეულია ავტორის პესიმისტური მსოფლმხედველობით. სასულიერო შინაარსის პიესებში იგი ღრმად ატარებს იმ აზრს, რომ ადამიანი თავისივე ზედის გამოშვლი კი არა, პრმა იარაღს შემთხვევისა და ამიტომაც ამოია, ზედმეტია მისი ბრძოლა.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო მომენტიც: კალდერონს დამეზარა აქვს დრამა სახელწოდებით „ცხოვრება სიზმარისა“, რომლის სიუჟეტიც აღებულია შუა საუკუნეებში დიდად გავრცელებული ქართული სასულიერო რომანიდან „სიბრძნე ზალაყარისა“. ბელგიელმა მეცნიერმა პეტერსმა უცოდლობად დამტკიცა, რომ ევროპე მოაწმინდელმა ამ რომანის ქართული დედანი ვანკეროზილად თარგმნა ბენქინდელად, ხოლო მეტყობიერად საუკუნის ნახევარში ეს ქართული რომანი ბერძნულიდან ლათინურად უთარგმნით და ამ თარგმანის მეშვეობით გავრცელებულა იგი მთელ ევროპაში. ამ რომანის საყურადღებო სიუჟეტით ისარგებლა უკრ ლოპე დე ვეგამ და შემდეგ კალდერონმა, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა იგი და დაუმარჩილა თავის მისტერიურ პესიმისტურ მსოფლმხედველობას.

სასულიერო შინაარსის პიესების გვერდით, როგორც აღვნიშნეთ, კალდერონს გააჩნია სხვაგვარი ხასიათის პიესებიც, რის გამოც იგი საბჭოთა მეთხველის ყურადღებას იქცევს. ამგვარი ხასიათის პიესებს შორის განსაკუთ-

რებით გამოირჩევა „სალამეს ილკალი“, რომელშიც მან მთელი თავისი ნიჭის შესაფერი ბრწყინვალეობით განასახიერა მდგომარეობელი იდეები იმ ხალხისა, რომელიც თავადწინურული ძალადობისა და თეთონების წინააღმდეგ მრისხანედ აღმდგარა. კალდერონის კოლამს ეკუთვნის აგრეთვე პიესა „სასწავლო მოქმედი მოგვი“, რომელსაც კარლ მარქსმა „კათოლიკური ფაუსტი“ უწოდა. მანვე შექმნა მთელი რიგი პიესებისა, რომლებშიც მაშინდელი ადამიანის ღრმა სოციალური მშფოთვარება მართლაც რომ ტრეზნარტი რეალობითა და დამაჯერებლობით არის გამოხატული.

კალდერონმა მთელ თავის სიცოცხლეში 200-ზე მეტი პიესა დასწერა და ყოველ მათგანში შეაფიოდ გამოსტევის მისი ენაში გენიის მქმნეარე სახე.

კალდერონს, როგორც შემოქმედი, ძალზე რთული პიროვნებაა და მისი შემოქმედების ამ სიზოულით აკი სარფიანად ისარგებლა დასავლეთ ევროპის ბერტეაზიულმა კრიტიკამ. ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში გერმანულ რომანტიკოსთა რეაქციულმა ფრთამ მჭების შლეგალების მესეკერობით ეს შეწყალი განადიდა მხოლოდ იმის გამო, რომ მის შემოქმედებაში ჰერეტდა კათოლიკურ დოგმათა მლადალებელს და სხვას არიდებს, წინა რიგში ამ რეაქციონერებმა წამოსწიეს კალდერონის შემოქმედების არა ხალხურ-დემოკრატიული თვისებანი, არამედ რელიგიურ-მისტერიული შინაარსის პიესები და მით არასწორი, ცალმხრივი წარმოდგენა შეკვეთეს მის ირგვლივ. ეს უმართებულო განმარტება მისი შემოქმედების ახლად მძლავრად ბატონობს ევროპაში. საეუროპისშია, რომ რეაქციულ გამყალებლებს ლიტერატურის ისტორიისა მხარში სიამოვნებით ამოუდგნენ ამერიკელი ევრეტოოდებული „კრიტიკოსებიც“. უნდა ითქვას აგრეთვე ისიც, რომ მათ დიდი ზალისითა და მოწადინებით განაითარეს გერმანულ რეაქციონერ რომანტიკოსთა ეს ნაყოზი და მით კალდერონი აქციეს ხეცობისა და ოსკერანტიზმის მდღრომედ, რითაც განზრახ მიადუნენეს მისი შემოქმედების უანსალი მხარე.

კალდერონის ევრეტოოდებული „დამინისა და მისასხამის“ კომედიები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე კომედია „თავისი თავის დარაჯი“, მიუხედავად მათი სიუჟეტური პირობითობისა, სულ სხვაგვარად წარმოვიგვენს დიდი კომედიოგრაფის შემოქმედების სახეს. ამ პიესებში, ცოტად თუ ბევრად, დაწლებულია მისი მითოლოგიურ და რელიგიურ ფილოსოფიურ შინაარსის დრამათა რეაქციული ხასიათი. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მის „დამინისა და მისასხამის კომედიებშიც,



სადაც თემად აღებულია არათეოლოგიური პრობლემები, არამედ ზვეულებრივი ხალხის ანდა აზნაურობის უოფაცხოვრება, შეიძლება აღმოჩნდეს იქნება ის საერთო რამ, რომელიც თან ისინი, ასე თუ ისე, მიიწევენ უკვეშინდობიან მისსავე თეოლოგიურ შინაარსის დრამებს. ეს საერთო რამ მდგომარეობს იმაში, რომ კალდერონი ყველა ამ ხასიათის პიესებშიც იცავს თავის შეხედულებას — პრინციპს უოფის ორადობისა და ხაზგასმით ატარებს მუდმივი წინააღმდეგობის მუდმივი კონფლიქტის იდეას სინამდვილესა და მიჩვეულებას შორის, რეალობასა და იდეების შორის.

ამგვარსავე სუბეტიურ მოტივთან გვაქვს საქმე კომედიამდე „თავისი თავის დარაჯი“. სადაც სინამდვილე მერყევად, არამყარად არის წარმოდგენილი. ზვენი აქ არ მოვიტანთ მის სუეტს, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ ბრმა შემოხვევა ამ პიესის გმირს, გლეხ ბენიტოს, ავდებს უჩვეულო მდგომარეობაში: საქმე ის არის, რომ იგი შემთხვევით ისოვის სიცილიის პრინცისაგან ბურჭებში დამალულ ტანისამოსსა და საჭურველს, საჭურველს იმ პრინცისა, რომელმაც ტურჩინოვ მოკლა თავის მერტოქე დიდგვაროვანი ჩაინდი ღონ პედრა სფორცა, მაგრამ ვერაინ იცნო, რადგან მას სახეზე შევი ნიღბი ტონდა აფარებული, ამგვარად მკვლელი ჩაინდის აღმოჩნდება არა ნამდვილი მკვლელი, არამედ უბრალო ბენიტო, რადგან მას მკვლელის ტანისამოსი აცვია. ვარდა ინფანტა მარგარიტასი, რომელსაც ჩაინდის ნამდვილი მკვლელი პრინცი ფედერიკო ვატაეობი უყვარს, გლეხი ბენიტო ყველას მკვლელი და თან პრინცი პედრა, საქმე ის არის, რომ უბრალოდ ვადამყოლი იყო ვამოუცნობი ნამდვილი პრინცი ფედერიკო, ინფანტა მარგარიტას ვარდა, თვით მოკლულ ჩაინდის მწუხარე დასაც შეუყვარდები; მაგრამ ესეც არაფერი. — შთავარი ის არის, რომ ნამდვილ მკვლელს ციხის უფროსსა და ნიშნავე და შეედომით დამატორებულ ურდ მკვლელ ბენიტოს დარაჯად მიეცეს: აღმოჩნდება, რომ მკვლელი ფედერიკოს სახით მკვლელისავე ბენიტოს სახით, ესე იგი, მკვლელი თავის თავს დარაჯობს. ამგვარად მთელ პიესაში ყველა სიბრტყეები გადაადგილებულია, ნამდვილი და მოჩვენებითი ერთმეორეში გადახლართულია და იქ, სადაც სინამდვილეს მთელი, — მოჩვენებაა, ილუზიაა.

შთავარი საგანი ამ ილუზიისა, გლეხი ბენიტო, აღმდგომებულია ამ შეედომით, მაგრამ მოსწონს, რომ პრინცს ექაბით და პატვის პრინცის შესაფერისად რომ სცემენ. ამგვარად სინამდვილის ის მფარი ჩარჩოები, რომელთა შორის იგი აქამდე თავს უგრე კარგად გრძნობდა, თითქოს დაირღვა, ზღვარი ნამდვი-

ლსა და მოჩვენებას შორის ექაბისა და ცოცხალ-კარგა, მიჯნა რეალობასა და ილუზიის შორის, ცხადია და სიზმარს. **სინამდვილე** აღმდვილად წაიშალა, რომ **სინამდვილე** თვითონაც არ ესმის რა გმირთება, რა ხდება მის თავს. საქმე იქამდე მიდის, რომ ბოლოს ისიც კარგავს ნათელ წარმოდგენას რეალობაზე და ვერ გავგია, ცხადია ყოველივე ის, რაც მას მოუვლიდა, თუ მხოლოდ მოჩვენებაა, ვერ გავგია, ნამდვილად მის ყოველივე ის, რაც მას მოუვლიდა, თუ მხოლოდ მოჩვენებაა. როგორც ვთქვით, რეალობის ამ ორად განაზიხის ზვეგავლენის ქვეშ იმყოფებთან და ამის მიხედვით მოქმედებენ კომედიის თითქმის ყველა გმირები.

სინამდვილისა და ილუზიის, ცხოვრებისა და ილუზიის ასეთსავე აღრევას იქვეს ადგილი იგრძობვე ამავ აეტრობის დრამაში „ცხოვრება სიზმარია“. ეს აღრევა იქ საგანია ტრადიციისა, რადგან სიზმარი და სინამდვილე მხოლოდ ერთ გმირს ერევა ერთიმეორეში, ხოლო დანარჩენი კი მოქმედს არაინ ამ დრამისა. კომედიამ „თავისი თავის დარაჯი“ ეს აღრევა საგანია კომიზმისა, რადგან აქ სინამდვილე და მოჩვენება ყველას ერევა ერთი მერტოქე ვარდა ერთი გმირისა. როგორც ვხედავთ, **კალდერონს თავისი დამშინა და მისასამაის** კომედიებში, სადაც არა სინამდვილეთი, არამედ ცოცხალი ხალხი მოქმედებს, ვითომც ვად-მოქმედს ის თავისი ცნობილი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რომელიც თითქმის უარყოფდა რეალობისა, მაგრამ ეს მთლად ასე რო-ლია. ამ ციკლის პიესებში ხდება ერთ რამ, რაც ზვეს საბჭოთა მქოთველს ამ მყოფრე-ბელს აიძულებს მიიღოს ისინი, კალდერონი ბოლოს მაინც უარყოფს ამ ორადობას ყოფი-სა თავის კომედიათა სუეტეს იგი წარმარ-თავს იმგვარად, რომ ყველაფერი დასასრულ-გაუფებრობა ანდა უბრალო შეედომა აღმოჩნ-დება. ამ ციკლის პიესებში იგი თითქმის გვეუბნება, რომ რეალობა შეიძლება მოგვე-გვეწვინოს არაჩეალობად, რომ ამ რეალობას ვარდა, თითქმის არის კიდევ რაღაც სხვა რეალობა, რომელიც ჩვეს მისა და ჩვენი დამოკიდებელი არსებობს, მაგრამ ნამდვი-ლად ეს ასე როლია. თუ ზვენი მის კომედიათა (და არა დრამების) შინაარსს უფრო ღრმად ჩავაყვარდებით, აღმოჩნდება, რომ ნამდვილად არავითარი სხვა რეალობა არ არსებობს, რომ არის მხოლოდ ერთადერთი სინამდვილე და მხოლოდ იგი განსაზღვრავს ყველა ჩვეს ქვე-ყვასა და ურთიერთ დამოკიდებულებებს.

გლეხი ბენიტო უეცრად პრინცად იქცა. თავისი ნამდვილი ყოფის ერთი არიდან თავი შინ სულ სხვა, საწინააღმდეგო არეში იმყოფო, მაგრამ ეს მოხდა არა იმიტომ, რომ მას წი-



ნაშე მართლაც რაღაც სულ სხვა, განსხვავებული რამ რეალობა წარმოიშვა, არამედ იმით, რომ გლეხი ბენიტო თავისი სულიერი თვისებებით მომზადებული იყო ასეთი მდგომარეობისათვის. მას უყვარდა ჩაქმა, დახურვა, უყვარდა, რომ იგი განსაკუთრებით გამორჩეული უოფილიყო თავის თანატოლთა შორის, იყო მიამბიტი და თან თავხედიც და ამ თვისებათა გამო იგი ადვილად დანებდა ცდუნებას, ობიექტურ მიზეზთა გამო შექმნილ პირობებით იგი აღმოჩნდა სულ სხვა მდგომარეობაში, არა თავის მდგომარეობაში. აღმოჩნდა დროებით, რადგან ყოველივე ეს შეცდომა იყო და შეცდომას იმითომ ეწოდება შეცდომა, რომ იგი ბოლოს უნდა გამოაშკარავდეს.

დაამახინათებლია აგრეთვე ისიც, რომ უბრალოდ და ჯანსაღად მოაზროვნე გლეხი ბენიტო, მთელი ამ ამბავის მანძილზე მაინც არ ღალატობს თავის თავს, არე რეალობას, იგი სხვა ვინმე კი არა, მედამ თვითონ არის და არსოდეს არ სწევებს ცოცხალ კავშირს სინამდვილესთან.

კალდერონი განზრახ უსვამს ხაზს მის ამ თვისებებს იმით, რომ იგი არ წვება დასაბინებლად პრინციის საწოლში, რადგან ეს მისი ნამდვილი სამყოფელი მართლაც არ არის, იგი მისი ნამდვილი მდგომარეობის გამოამატეველი არ არის. კალდერონი ხაზს განზრახ უსვამს მის ჯანსაღ ინსტიტუტებს და, როცა ბენიტო გლეხური გულახდილობით ნატრობს თავის ანტონას, იგი მასთან ერთად თითქოს ნატრობს თავის დროებით დეკარვულ უმარკობასა და უბრალო მდგომარეობას, იმ სინამდვილეს, სადაც მისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო, ნამდვილი და თან ნათელი იყო. ამიტომაც არის, რომ იგი არად ავდებს ნახ პრინციესების აღტაცებას. მას უყვარს პრინციესებსა და ფერებზე ლაპარაკი, როცა ამას ზღაპარში აქვს ადგილი, მაგრამ, როცა მან თავი თითქოს ზღაპარში ამოჟო და ირგვლივ, ფერები შემოხევიენენ, იგი თავს თავის ადვილას აღარ გრძნობს, შეწყუბებულია ამ მდგომარეობით. ამ ბრწყინვალე პრინციესებს მას თავისი უბრალო ცხოვრება, თავისი ჩათქვირული გლეხის ვაგონი ანტონა ურჩევნია. დანტაზია მასთან არის კარგი, როცა იგი ფანტაზია და სხვა არაფერი. ამიტომაც სთხოვს იგი რომბერტოს გააჩუქოს მესაქარავენი და მომღერლები, მას ის გლეხური სიმღერა ენატრება თავის ანტონასთან ერთად უღარდელად რომ მიდგროდა. „პრინცი“ — ბენიტო ამიტომაც მიმართავს ასეთი სიტყვებით თავის „მეზობრს“!

ერთი უბრალო დაჩუმიდნენ კმარა, მათ უფროსაქმენა ჩემი წაიღეს, დე, თუ ღმერთი გვამს, მიმდღრონ წყნრად ის, მე რომ ვიცი, გესმით? აი ეს...

და ამ სიტყვების შემდეგ მღერის იმ სიმღერის, ანტონასთან ერთად რომ ღალატ უმღერია. მის ლაპარაკი არ შეწყვეტს მისი განხვად მოსულ მეფესთან, რადგან მისი მისთვის თითქოს სხვა ანსტრანტული რეალობიდან მოსულა, ანსტრანტული რეალობის წარმომადგენელია და თითქოს პროტესტის ნიშნად ზეპირედ, ბრძოლედ სწევებს მასთან ადვილენკის და პანტარველისტური მაღის აღმწერელი პათოსით ლაპარაკობს იმ აუარებულ და გვერდიელ საკმელებზე, რომლითაც მას ცხოვეში ეგერ უხვად უმასპინძლებიან.

დღეს არაფერი არ მიკამია,

წავად, იქ სულთა გაშლილი მიცდის,

შევეკამ, კერძდელი თუ ქათამია,

ათიოდ ძებესა, ოთხიოდ ღვეზელს,

ხბოს შემწვარ ღვიძლსაც მოველებ

ბოლოს

კარტოფილებსაც, რამდენიც შეწევს,

ათასი მხხალიც ზედ დავაულო...

როგორც ვხედავთ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მას ეგერ უფილანდელად დაემართა და თავი ასეთ მდგომარეობაში ამოჟო, იგი მაინც ბენიტოდ დარჩა და თავის ამგვარ ყოფას სკვრეტს არა, როგორც სახედისწერო და თივიდან ავტდენელ რაჟეს, არამედ, როგორც ზემორობას, რომლის აზრიც მას არ ესმის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მან არ იცის თავადმასვლი იმ პრინციესა, რომლის მდგომარეობაშიც იგი მისდა მოვლოდნელად ჩავარდა.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი უბრალოდ ზღადა, ყველაფერი ნათელია, მიზეზობრივად ყველაფერი ურთიერთკავშირშია და არავითარ ალოკიზმს აქ ადგილი არა აქვს ამ უჩვეულო ამბავში ასე განხივეთ, თვით შემთხვევითობაც ამორებულია, ყველაფერი ვასაგებია და გმირთა ურთიერთდაპოკიდებულებანიც რეალურ ხასიათს ატარებენ. ურთიერთწინააღმდეგობა სინამდვილესა და მის მოწვევებსა შორის მოხსნილია და მას დაკარგული აქვს ტრაგიკული ხასიათი, ყველაფერი კომიკური იერით არის მოხილი.

მაგრამ ისმის საკითხი. — რით უნდა ავხსნათ ასეთი ვარება, ასეთი ერთგობის მოწინააღმდეგე მიმდინარეობა კალდერონის შემოქმედებაში? ჯერ ერთი იმით, რომ თვით კალდერონი ვანიცილის დიდ შინაგან კონფლიქტებს, მის არსებაში დრმა ჭვიდლს აქვს ადვილი სინამდვილის ჯანსაღ გრძნობასა და სარწმუნოებრივ მსოფლომდელობას შორის, რომელიც უაყოფის სინამდვილეს.

სახალხო თეატრი, სადაც მისი კომედიები იდგმებოდა და რომლის მაყურებელთა შემადგენლობა მრავალფეროვანი იყო, ხოლო უმეტესობას მაშინდელი თეატრალურ საზოგადო-

ებრიობისა საშუალო და ქვედა ფენებს წარმოადგენდნენ, გადაჭრით მოითხოვდნენ თეატრისაგან, იმ თეატრისაგან, რომელიც არსებითად, მათ ეკუთვნოდა, რომ მათ სცენაზე განსაზღვრებული ყოფილიყო ნამდვილი ექოვრება და არა აბსტრაქციები, რეალობა და არა ილუზიები.

ეს რომ ასე იყო, ამას თენდ ის ფაქტიც აღასტურებს, რომ კალდერონის მითოლოგიურ-რელიგიურ შინაარსის დრამები, სადაც სინამდვილე დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ანდა უარყოფილი იყო, იდგმებოდა არა სახალხო თეატრში, არამედ სასახლეში და რელიგიურ დღესასწაულებზე, სადაც მაყურებელი დანაწევრებული კი არა, ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენდა, სხეულს გვერთხანებულს რელიგიური ექსტაზით.

კალდერონი პირველი იყო თავის სოციალურად გაორებული, შინაგანი კონფლიქტებით დაზარულ საზოგადოებისა და მისი შემოქმედება ამგვარად გამოხატეა მისივე ეპოქისა, ამიტომაც პიესა, რომელიც პოეტ დავით ვაჩეჩილაძეს ვერც ოსტატურად უთარგმნია, საველისმბიერო პიესაა. აღსანიშნავია, რომ ეს პიესა რუსულად შარშან თარგმნა ვ. ლევეჟა ესპანური ენისა და ლიტერატურის ასეთი მკოდნის უშუალო დაზარებით და თანამთარგმნელობით, როგორც პროფესორი ვ. ს. უზინია. პროფესორ ვ. უზინისავე ბეჭატების მიხედვით და თან უშუალო მეთვალყურეობით თარგმნა ქართულად ეს პიესა პოეტმა დავით გიჩეჩილაძემ და ამგვარად იგი როდი წარმოადგენს თარგმანს თარგმანიდან, იგი სანდო ტექსტია და ამიტომაც კარგი შენაჩენია ჩვენი

ლიტერატურისათვის. მით უფრო, რაც ვითარდისწინებთ იმასაც, რომ კალდერონის არცერთი პიესა აქამდე ქართულად არც თარგმნილა და არც დადგმულა. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პიესას.

პოეტ დავით ვაჩეჩილაძეს, როგორც მთარგმნელს, კარგახანია რაც ჩვენი მკითხველი საზოგადოება იცნობს. უნდა ითქვას, რომ მას პოეტური მაღალი ხარისხი შესანიშნავად აქვს დაეძლი ამ თარგმანში, მისი ლექსი სადაა და თან პოეტურად ამაღლებული. მას კალდერონის შემოქმედება მომხიბლავი ლექსით აქვს გადმოცემული. არ შეგვიძლია ერთი პატარა შეკვამა არ აღვნიშნოთ, მით უფრო, რომ ეს უნებლიე შეცდომა არღვევს ამ პიესის ერთ მთავარი გმირის სახეს. ბენიტო მიმარტავს გლანეს.

ოზ, გრაფინიაც, ხართ იმისთანა.

კობია, პრანკია, ნაზი ხატება, —

ღანია ვენერა და დონია ანნა!

ღედანში „ღონია ვენუსი, დონია ღიანა“ არის, რაც ბენიტოს სახეს შეეფერება და ტექსტს ერთგვარ კომიზმს ანიჭებს იმით, რომ ამ მითოლოგიურ ქალღმერთებს იგი დონიებს უწოდებს.

კარგი იქნებოდა, რომ პოეტი დავით ვაჩეჩილაძე ტარსო დე მოლინასა და ლაზე დე ვეგას მნიშვნელოვან ნაწარმოებებს ასეთივე ოსტატობით თარგმნიდეს და მით ჩვენს ლიტერატურაში იმ ერთგვარ ხარვეზს შეავსებდეს, სხვა ქართულად არსებულ თარგმანებთან ერთად გამოცემით.

დემნა შენგულაია

ს. შილაია — „ლიტერატურული წიგნილი“, ნაწილი მეორე, „საბავროთა მწარალი“, 1949 წ.

ს. შილაიას, — „ლიტერატურული წიგნილის“ პირველი კრებული „საბავროთა მწარალი“ 1946 წელს გამოსცა, მეორე კი ახლანდ გამოვიდა. კრებულის მეორე ნაწილი ა. ევლოშვილის ცხოვრების შესწავლით იწყება. ავტორი ვეცინოს სოციალურ საკითხებზე ა. ევლოშვილის შეხედულებებს, იმავე დროს იმ სოციალურ, პოლიტიკურ გარემოს ეხება, რომელიდანაც წარმოიშვა პოეტის სულიერი ვანცოლება და განწყობილებანი. ს. შილაია შვირლის მსოფლმხედველობას საფუძვლიანად აშუქებს და ღრმად წვდობა გარკვეულ გეოგრაფიულ საფუძვრზე წარმოშობილ ექსპლოატაციის წინააღმდეგ მიმართული ა. ევლოშვილის ლექსე-

ბასა და მოთხრობების ბუნებასა და აზრს. ავტორი თავის გამოკვლევაში დიდ სურბადლებას აქცევს იმ იდეებს, რომელნიც ანათებდნენ იროდიონ ევლოშვილის პოეზიას. მაგრამ ამასთანავე ერთად არ იფიქრებს იმ არაჯანსაღ მოტყუებს, რომლებსაც ერთ დროს ადგილი ჰქონდა პოეტის შემოქმედებაში. ს. შილაია, აღწევს რა შეფასებას იმდროინდელი პოლიტიკურ მოვლენებს, ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ საიდან წარმოხდებოდა იროდიონ ევლოშვილის პოეზიაში გულგატეხილობის, სულიერი დაცემულობის, სევდისა და უიმედობის განწყობილება.

უდავოდ სწორია ის მისაზრება, რომ ა.

ვედოშვილის მერყეობას ხელს უწყობდა მისი წერილბურთეაზიული მსოფლმხედველობა. ფრიად საგულანსშია ავტორის მოახზრება ი. ვედოშვილის პოეზიის სუსტ მხარეზე. ავტორს ი. ვედოშვილის სუსტ მხარედ სამართლიანად ის მკდარი პოლიტიკური პოეზიცია მიიჩნია, რომელზედაც პოეტი იღვკ, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. წიგნში ვეცნობით მწერლის პოლიტიკური კრებოს და რეაქციის პერიოდში დაწერილ იმ ლექსებს, რომელშიაც გულგატეხილობამ და უნიმდობამ ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება პოეტი. ს. ჭილაიას აზრით, ი. ვედოშვილი მიუხედავად იმისა, რომ რეაქციის პერიოდში უძლეო და აპოლიტიკურ ლექსებს სწერდა, საბოლოოდ მაინც არ ამტდარა იმ მთავარ გზას, რომლითაც იგი ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა. ავტორს მიიჩნია, რომ ი. ვედოშვილი მიუხედავად ზოგიერთი ჩავარდნებისა, იყო შინაარსით მდიდარი და მომავლით დიდად გაცდებული პოეტი. პოეტს რომლის ნაწერებშიც იხსნა ქართული ხალხის სულიერი თვისებები, თავისი ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურება ჰქონდა. „ერთდომ ვედოშვილის დამსახურება 1905 წლის რევოლუციის წინაშე. — სწერს ს. ჭილაია, — რევოლუციის აღმავლობის წინაშე, შემთავა კლასისა და მისი ზელოვნების წინაშე უფოდ დიდი იყო“ (გვ. 6). ავტორი გამოდინარე ი. ვედოშვილის პოეზიის ძირითად ტენდენციადან ი. ვედოშვილს სამართლიანად მუშათა კლასის და მშრომელი გლეხკაცობის მხატვრულ მესიტყვედ იცხადებს. მგერამ ავტორს ეს სრულიად ხელს არ უშლის მოურდებლად, პოლმეტიკური პრინციპულობით გამოამდინარე მწერლის ყველა ნაკლი და ვაარკციის მისი მსოფლმხედველობის შეზღუდულობის მიზეზები. ავტორი, რომელშიც დაცვანაბა ი. ვედოშვილის მიერ განვლილი გზა, იღვკა და შეფასა ყველა ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა მის ლიტერატურულ საქმიანობაში, დასკვნით ნაწილში კლასობრივ შეფასებას აძლევს პოეტის შემოქმედებას და ამბობს: „ქეშმარიტად, ი. ვედოშვილს თავისი რთული, წინააღმდეგობით აღსავსე და მეტად საინტერესო შემოქმედების გზაზე „ქეონდა სიმწვე გზისა“, შეფერება, მერყეობა. მგერამ იგი ვერ გატება და ვერ დასკვა ძირს ამ წინააღმდეგობამ. რევოლუციის აღმავლობით აღფრთოვანებულმა 1905 წლის ქარიშხლიანი დღეებით შთავონებულმა, იქამა გამარჯვება ხალხისა და ამ რწმენით აღავსნებულ იგი მილიონთა გულებს, რეაქციის მქენივარე ხანამ იგი ერთვავარად წაიხილა ვკლიან გზაზე“, მგერამ ვერ წაართვა მას საბოლოოდ რწმენა არჩეული გზისა, მისი ჯანსაღი რევოლუციური პოეზიის ნაკლი შევიდა

ჩვენს პოეზიაში, როგორც აბალი „ტყუქ ქართულ ლიტერატურაში“ (გვ. 14) მწვეს აქედან კვლევას სწორ აეთოდოლოგურად. მწვეს მდგომი მკვლევარი ლიტერატურის ისტორიაში მწერალს არ უვარგავს იმ ადვილს, რომელიც მას ხალხმა და თვით ისტორიამ მიანიჭა.

საყურადღებო და მნიშვნელოვანი წერილია მოთავსებული ჭ. ლომთათიძისა და ნ. ჩხიკვაძის შემოქმედების შესახებ. საყურადღებოდ არის თქმული, რომ „მე-20 საუკუნის რევოლუციამდელი ქართული მწერლობის ერთი თავისანიო ქართომადგენლის ჭ. ლომთათიძის მღვლვარე ლირიკული პოეზია სერიოზული მნიშვნელობის მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში“ (გვ. 65). სამართლიანობა მოითხოვს ილინიშის, რომ დღემდე ჭ. ლომთათიძის განცდების წყარო და მისი სულიერი სამკარო საფუძვლიანად არ იყო შესწავლილი. იმ საკითხი ეხება არა იმას, თუ ვინ როგორ აფასებდა ამ მეტად საინტერესო მწერალს, არამედ მწერლის თვით შინაგან ბუნების ცოდნას, იმ მხრივ საყურადღებოა ს. ჭილაიას გამოკვლევა. ავტორი, ერთის მხრივ, სრული სისრულით გვაცნობს იმ პოლიტიკურ-სოციალურ სფეროს, რომელშიაც მოღვაწეობა უძღებოდა მწერალს. ხოლო, მეორეს მხრივ მწერლის მსოფლმხედველობას. წიგნში ვეცნობით თუ მწერალმა როგორი ფერებით და განცდებით ასახა თავისი დროის სინამდვილე, მკვლევარს ჩანს სერიოზულად შეუსწავლია ყველა ის საკითხები, რომლებიც ადევლებდა ჭ. ლომთათიძეს. მან სრულყოფილად გამოამკლავინა პრაზიკოსის აზრი ერთგულ, სოციალურ და სხვა საკითხებზე. ავტორმა აგრეთვე გვიჩვენა თუ როგორ მართებდა მწერალი საქობროტო საკითხებს და რა უშლოდა ხელს მას, რომ დასმულ კითხვებზე სწორი პასუხი მიეცა. წიგნში აგრეთვე ვეცნობით მწერლის მერყეობის მიზეზებს და მისი შემოქმედების სუსტ მხარეს. „ჰოლა ლომთათიძის, შემოქმედების სუსტი მხარე. — წერს ჭილაია, — ისე როგორც ვედოშვილისა, უნდა ვეცით მის წერილბურთეაზიულ ბუნებაში“ (გვ. 66). წერილბურთეაზიულ მსოფლმხედველობას მწერალი ხშირად უარყო ოცნებამდე და ბესიმისტურ განწყობილებამდე მიყავდა მართალია „ჰოლას ნაწერებს ამასათებეს დიდი ბუნებრიობა და გულწრფელობაც“, უფრო მეტიც, „მისი ყოველი ფრაზა ცხოვრებდან აღებული საგნის ცოდნით არის გამოთარი“, ამასთანავე „ჰოლას ნაწერებში იშვიათად შეგვხვდებით სოციალურ ნაძალადულობას, არამდებრიობას“, და რაც მთავარია, „იგი წერს უწულოდ, პირდაპირ, მოერიდებლად, დაუფარვად მაშინაც კი, როცა ცდება — ეს გულწრფელობა უფოდ



იგრძნობა* (გვ. 76). მაგრამ კოლას მაინც წერა-ღებურეთაზედელი მსოფლმხედველობა სწავლავს არ აძლევდა მწერლობაში ბოლომდე ერთიანი ყოფილიყო კოლას შემოქმედება ორგანოდ გაყოფილა. მოწინააღმდეგე შეხედულებათა „ორთელი კომპლექსია“ (გვ. 66). ს. ჭილაას აზრით ი. ევდომვილისა, ნ. ჩხიკვაძის შავესად ჭ. ლომთათიძე მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხკაცობის მხატვრული მესტიყვე იყო სამივენი თვითმწყობელობისა და ექსპლუატატორთა კლასს მტრები, მათი სიზმრის მამოღებელი და დაჩაგრულია მოსარბლენი, მაგრამ თავიანთი წერა-ღებურეთაზედელი ბუნების გამო ისინი მხოლოდ მდიდართა კლასის მშარღმედებლად გამოდიოდნენ და არა კლასობრივი ბრძოლის ვახდელდ შედაგებლად. მიუხედავად იმისა, რომ მათ მხატვრულ ნაწერებში არც თუ ისე იშვიათად ვაძინოდა ბრძოლისავე მომწოდებელი მძლეობა ხმა, მათ მაინც არ სჯეროდათ საკეთარი ძალის, რას გამო ქვეყნის განსახლებლად არც სწორი გზა ჰქონდათ არჩეული. რასაკვირველია ეს სრულიად არ ნიშნავს იმის, რომ თითქმის ამ სამი მწერლის დამსახურება ქართული ხალხის წინაშე მცირე იყოს. კეთილი სურვილები, რომელც გამოიხატა მათ მხატვრულ ნაწარმოებში, პატრიოსტებისა და დიდების ღირსთა. სავსებით სწორია, ავტორი, როდესაც ნ. ჩხიკვაძეზე სწერს „მართალია იგი სავსებით სწორად არ იყო ვარკვეული ხალხის ბრძოლის გზებში, იგი სდებოდა ხშირად, ხოლო მაშინაც, როცა ცდებოდა, მას მაინც სწამდა ხალხი და მისი მომავალი“ (გვ. 106). ეს ჭეშმარიტი დებულებაა და იგი არა მარტო ნ. ჩხიკვაძეს ეხება, არამედ როგორც ევდომვილს, ისე ჭ. ლომთათიძეს. ამრიგად ს. ჭილაამ ვერტყობდებულ დემოკრატიული პროზისა და პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლების ი. ევდომვილის, ჭ. ლომთათიძის და ნ. ჩხიკვაძის შემოქმედების საფუძვლიანი შეფასება მოგვცა.

წიგნში ყველაზე მეტად ადვილი დამოძილი აქვს თანამედროვე მწერლებს. ავტორი ცდილობს შეთხვევს მთელი თავისი სისტემით უჩვენოს გ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, კ. გამახურდიის და ა. შირცხელავის პოეტური სახე. იგი ღრმად არკვევს მათ დამოკიდებულებას საბჭოთა სინამდვილესთან და სრულ წარმოდგენას იძლევა მათ შემოქმედებაზე.

წერა-ღების კრებულში გ. ტაბიძის პოეზია ღირსეულად არის შეფასებული, მკვლევარი ფართოდ ეხება გ. ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობას და მნიშვნელოვან პრობლემებსაც აყენებს. ს. ჭილაა ნ. ბარათაშვილისა და

გ. ტაბიძის ლიტერატურული ურთიერთობის საკითხს დამატებლად ხსენებს შემოქმედებას „ვალენტინ ტაბიძემ შექმნილი გავლენა, უშუალო შთაგონება ნ. ბარათაშვილის პოეზიიდან მიიღო“, მისაღება. მკითხველსათვის ვასაგებად არის თქმული, თუ ამ ორი სრულ სხვადასხვა ეპოქის მწერლების ლიტერატურული ურთიერთობა რომელ პერიოდს ეხება. „როდესაც ჩვენ.—წერს ს. ჭილაა— ნ. ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის ლიტერატურული ურთიერთობის საკითხს ვაყენებთ, ამ მხედველობში გვაქვს საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის წინაღობიანდელი ვალენტინ ტაბიძის პოეტური შემოქმედება“ (გვ. 140). რა ხასიათს ატარებს, ან რა თვისებებისაა ეს ურთიერთობა, წიგნში ნათლდ ჩანს. ს. ჭილაა გ. ტაბიძის საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის წინაღობიანდელი პოეტურ შემოქმედების გაგებისათვის სწორ მიმართულებას იძლევა. მკვლევარი გ. ტაბიძის აღზინდელი ლექსების შესწავლამ, მისმა მხატვრულმა ანალიზმა დაარწმუნა, რომ მოსახრება: თითქმის, გ. ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში, არ ჩანდეს ქართული კლასიკური მწერლობის გავლენა და იგი არ პოულობდეს თავის გამოხატულებას გ. ტაბიძის პოეზიაში, მცდარია. ამის გამო ავტორი სავსებით მართებულად წერს, „მწერალი მისი შემოქმედებით მოტყუებით, თემებით, განწყობილებით და ფაქტებით უნდა გავიგოთ და არა წინასწარ შემუშავებული სუბიექტური ტრაფირებებითა და იარაღებით“ (გვ. 125). მხოლოდ ამგვარი მიდგომა სწავლავს მოგვეცემს სწორი წარმოდგენა ეპოქითი მწერალზე.

წიგნში კარგად ჩანს, დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა სინამდვილემ თუ რეაგირ გავლენა იქონია გ. ტაბიძეზე და როგორ შესცვალა მისი მხატვრული შემოქმედება.

წიგნში ლ. ქიაჩელის ნაწერებს მალე შეფასება ეძლევა, ავტორი ფართოდ იხილავს მწერლის შემოქმედების მთოდს, მისი ნაწარმოებების შინაარსსა და ფორმას, ვეაინობს მის ყველა ძირითად ნაწარმოებს და სათანადო შეფასებასაც აძლევს კიდევ მათ. ცნობილია, რომ, ლ. ქიაჩელი სამწერლო ასპარეზზე იმ დროს გამოვიდა „როცა მწერლობაში ფართო ვასაქმის ქმნდა სიმბოლისტურ, იმპრესიონისტულ და სხვა ამგვარ დეკადენტურ მიმართულებებს“. სიმბოლისტურ, დეკადენტურ მიმართულების გავლენა საკარნობლად შესამჩნევია ლუა ქიაჩელის აღზინდელ ნაწარმოებებში, მაგრამ საბჭოთა სინამდვილემ, სოციალისტურმა ეპოქამ მწერალში სრული შინაგანი შემოპრუნება მოახდინა და დღეს „ლუა



დიდი ძალით და სრულყოფილად არის დახატული იმ დროს, როდესაც ახალი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა იმდენად სწრაფად და ზოგჯერ დამარცხებულ სახით არიან მოცემული, აქედან გამომდინარე ს. კილიას ამბობს, რომ „მოგორის მოტაცებაში“ ჯერ ერთი არ არის გამოყოფილი მკვეთრი საბჭოთა მწერლისათვის ავტორული ტენდენციურობა, მეორე ის, რომ უპრეკლუციო და დადებითი პირების დამხრების მიხედვით არ არის დაცული ადგილი და მოქმედების პროპორცია სტუდენტური ზედრითი წინა, ამის შედეგია ის, რომ გამარჯვებულთა და დამარცხებულთა ჩოლები ფინალში უფრო ხელოვნურად წყდება, ვიდრე ეს სტუდენტის განცხადებების ლოგიკით იყო მოსალოდნელი. როგორც ვხედავთ, საკითხი უფროსად პრინციპიალური ხასიათისაა, საბჭოთა რომანი სარკვე, რომელშიაც გამოისახება საბჭოთა ადამიანის ბუნება და ხასიათი, უფრო და ცხოვრება, საბჭოთა რომანში საბჭოთა ადამიანი სრულყოფილი უნდა იყოს, მისი დამახასიათებელი თვისება ნათლად უნდა ჩანდეს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თითქმის საბჭოთა რომანში უპრეკლუციო პირის გამოყოფის შესაძლებლობა გამორიცხვო იყოს. წიგნის ავტორის იბრთი უპრეკლუციო ტიპი მკითხველში სიძულვილს უნდა იწვევდეს. მკითხველი უნდა გრძობდეს, რომ იგი დამახასიათებელი არ არის ჩვენი ცხოვრებისათვის და ტიპიერია მხოლოდ იმ წრისათვის, რომელთა შევება ჯერ კიდევ დამძიმებულია რველი ტრადიციებით და გარდაქმნილი არ არის.

კ. გამსახურდიას შემოქმედებაზე დაწერილი

წერილში სხვა პრობლემებიც არის გამოკითხული, მაგალითად, ისტორიული პრობლემები სხვა და სხვა.

ბიბლიოგრაფია

სარეცენზიო წიგნში ფართოდ არის განხილული ა. შირცელაგას შემოქმედება. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს კომპოზირებაში აღზრდილ პოეტის „აზრებითა და იდეებით განათლებულ და გამოცემით დატვირთულ“ ლექსებს.

ა. შირცელაგას პოეტური ფორმირება საბჭოთა სინამდვილეში მოხდა, სოციალისტური ეპოქაში აღზრდილმა პოეტმა დამახასიათებლად მოაპოვა საბჭოთა მწერლის მაღალი სახელი. მან „საბჭოთა პოეტის მაღალ სახელს მიაღწია არა შირტო მახვილი პოლიტიკური თემებით, არამედ ამ თემათა პოეტური გააზრებითაც და შაშვილის ძალაც, როგორც პოეტისა ამაში ვამოწმებ“. ავტორი ჯეროვნად აფასებს ა. შირცელაგას შემოქმედებას სამშველო ომის პერიოდში, ძლიერი პატრიოტული გრძნობით დაწერილ ლექსებს, იხილავს პოემა „ენგერისა“ და „აი ადამიანი“, სტრუქტურას, მის იდეურ და მხატვრულ შარებს და სამართლიანად დაასვენს, რომ ა. შირცელაგა დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის პოეტია, რომ მას კიდევ ბევრი ნიჭიერი ნაწარმოების შექმნა შეუძლია საბჭოთა ხალხის ცხოვრების თემებზე.

ამგვარად ს. კილიას „ლიტერატურულ წერილებში“ კრებული ნათელ წარმოდგენას იძლევა თანამედროვე და გასული საუკუნის თვალსაზრისით მწერლების შემოქმედებაზე და მათ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე.

ვლადიმერ ჯიბუბი

ბ. რუსნიძე — „ნოველანი“. აპარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა. ბათუმი, 1949 წ.

ახლგაზრდა ბელეტრისტს კ. რუსნიძეს თავის პატარა წიგნში შეუძლია ნოველა შეტანა, აქედან ორი ისტორიულ თემაზეა დაწერილი, ერთი შეეხება კავკასიის დაცვას (როგორც ავტორი უწოდებს „თორი ლქისი“), დანარჩენი ოთხი ნოველა ავტორს ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაუწერია და თანამედროვეობის ისეთ საკითხებს შეეხებიან, როგორცაა ჩვენი საყოლმურნიუ სოფელი, საკვლევისაძიებელი მუშაობა, მეცნიერება.

პირველი ნოველა „წითელი ჭორბი“ მთელი რიგ გაუგებრობებს იწვევს, მათ შორის, პირველ ყოვლისა, გაუგებარია — რა არის ეს, ნოველა თუ ლეგენდა? და, მეორე — რა მიზანს ემსახურება იგი, რატომ დაიწერა?

უნდა ვიფიქროთ, ავტორის სურდა ეჩვენებია „სულეუკიანთა“ მხეცობანი ჩვენს ქვეყანაში, აქრისტეიანთა გათათრების საშინელებანი“ და ქვეყნის სახალხო უბედურება შემოსული მტრის თარეშის დროს. უნდა ვიფიქროთ იგარეთვე, რომ ყველაფერი ეს ავტორს სურდა ეჩვენებია იმისთვის, რომ საბჭოთა მკითხველისათვის თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით აღედგინა სურათი ქართული ხალხის თავგანწირული ბრძოლისა მტრის წინააღმდეგ, აღწინაო საბჭოთა მკითხველი პატრიოტიზმის უწინდესი გრძნობით. ესაა ისტორიული მხატვრული ნაწარმოების ძირითადი მიზანი და დანიშნულება. სწორედ ამ ძირითად მიზანსა და დანიშნუ-

ღებასა საესებით მოკლებული ზემოსხენებელი „ნოველა“. ამ აღწერილი ამბავი ხდება მამინა, როცა: „მტერი შემოიპრა მკვების ხეობაში წელსა 1520-სა. ვაკინა მხარეს ბათუმისას“... ქართველი ქალი, მშვენიარი თუ ზვიენარ „მალაღ მთის კალთზე ქართულ ჩუქურთმებიანი სახლის წინ“ გამოიძახებს თავის საქმროს. ქალ-ვაჟი ზღვებიან ერთმანეთს:

— ნუგზარ! — ჩურჩულით თქვა მან. — შენ მოხვედი...

— მოვედი, ჩემო. — ათბოლებული ხმით მივყო დამხდურბა, ბროლის თითებიან ზელზე ვამბობა და ყორნისფერი რკალისებური წარბებით მოხაზულ უძირო შავ თვალბში ჩაბხედა დერმკრთალ ქალს. დევკაცივით ბუკებანიერ და მალაღ იყო კბახუა, თავშიშველს ზუვით ავარცხნილ ვრუხა ომებს უფანტავდა ქარი. ოთხკუთხა მოგობა სახეს უმშვენიებდა დაგრეხილი შვიი უღამებია. არწივის ნისკარტით მოკაუტებულა ცხვირი ჰქონდა. თვალწარბით ზვიენარს მიაშგავებდა. წელზე ვადმოვრცხლილი მოკლე ხანჯალი ვკიდა. — პაეშნად მოვედი. უსტარმან შენმან გამამედვინა შენს ხილვად ზღვამ.

— და იცო რად ვაბხე?

— არ მაქვს ვუმანი, მაგრამ თავი ჩემი იგულეე მონად უძიარჩილესად, სულ ჩემო“.

ეს შეხედრა ზღვა ოსმალთა მიერ კართვლების მოწამებრივად ამოვლტის წინა დღეს. როცა ამ უქანსკელთ უფარი ვანჯახდეს ვათართებაზე. მშვენიარმა იცის, რა მულის ზელ მის ქვეყანას და ამ მთვარიან დამეში საქმრო იმრო იმტომ, რომ ვადასკეს მას „მომცრო შუშის სურა“ საქამლავით. და ეს „დეკაცივით ბუკებანიერია კბახუა“, რომელსაც წელზე ხანჯალიც ვკიდა, მშვენიართან ერთად ვადამკრავს ამ საქამლავს, როცა „პრობის ტალღები სულ ერთიანად შეიღება სასხლოთ“, როცა ოსმალებმა კართვლებს თავები დამკრეს და ჯერი მათზეც მიდგა.

— მშვიდობით ჩემო!

— მშვიდობით ნუგზარ!.. ჩვენი ტრფობის შეგსკათ სასმისთა... შთამომავლობა შერს იოებს ოდესმე ჩვენთვის! — და ქალ-ვაჟის ბავებთან პატარა შუშის სურები აკაიფდნენ“.

რა არის ეს? ვინ არიან ეს უნიათო „ნუგზარ“ და „მშვენიარ“? რით ისახელეს მათ თავი, რითი დამისახტრეს მათ ჩვენი ავტორის ყურადღება, მაშინ როცა „სისხლით შეღებილი ქორიხი წითელი გველეშაბივით მიიკლავნებოდა“?

„ნოველის“ ბოლოში ავტორი ვვაუწყებს, რომ სწორედ „მას შემდეგ, წლის რომელ დროსა და როგორ ამინდშიც არ უნდა ნახოთ ქორიხი, მდამ ამღვრულა“—ო.

ამით უკვე საესებით ვვერთმევა უფლებარიმე სერიოზული ლაპარაკი ვქნავდის ვამო.

მხოლოდ ავარის ასარ სახელმწიფო გამომცემლობის მუშაკებს უნდა ვუთხროთ, რომ ჩვენი წინამარბე ასეთი „ნუგზარები“ და „მშვენიარები“ არ იყვნენ, და ისიც დავუმატოთ, რომ ახალგაზრდა ავტორებთან მეტი მუშაობა, საჭირო და წიგნის გამოცემის დროს არც საბჭოთა მკითხველი უნდა დაგვეუწყდეს.

მეორე ნოველაც — „უმცროსი დაე“ ლეგენდა; ხოლო მასზე არ შეიძლება ითქვას ის რაც პირველ „ნოველაზე“. იგი უფრო ჯანსაღი პატრიოტული ნაწარმოებია, მაგრამ ავტორს, როგორც პირველ, ისე მეორე ნაწარმოებშიც უნდა მივეუთოთ არაბუნებრივად მანქანა სტილის გამო. ჩვენს მიერ პირველ ლეგენდიდან მოყვანილი ამონაწერები ვვეყოფა ამის სამავალითოდ.

ვაუტკვეველია, რა ყანის შეიძლება მივეუთვნოს ამ წიგნში მოთავსებული მესამე ნაწარმოები „კავკასიონის კართან“. ვთქვათ იგი, როგორც ავტორი უწოდებს „თეთრი ლექსია“, მაგრამ თეთრი ლექსიც ხომ მხატვრული ნაწარმოებია უნდა იყოს? და ვანა ეს მხატვრობაა?..

„...იყო ქალ-ვაჟი ვაჟს ვრტვა ნოდარ, ვგოვანას — ლელი.“

„ამ სიხემოსილ ქვეყნის კალთაში იზარდენ ლალიად და უზარუნელოად: ბაღლები იყენენ — პეპლებს დასდედნენ. წამოიზარდნენ — ბიღეს წიენი და დანახეს ცხოვრების ბუენი.“

„დღენი ვარბოდნენ და შეუშინელოად წამოიზარდნენ ლელი და ნოდარ, ქალის სიტურფე ვაზაფხულს შურდა, ვაჟის მხარბუვი — მის ტოლა მუტას.“

აი კიდევ, იმას ვარდა, რა ვანსხავებდა ყოფილა ამ ქალს და ვაჟს შორის.

„სხვათადაც იყო თვალდასანახი, ლელის ლოყაზე დამშვენდა ხალი, ნოდარს დაეტყო წვერის ბუმბლები“...

ესე იგი გოვანას — ლელის „წვერის ბუმბლები“ არ ამოსვლია. ამ შესავალის შემდეგ ყოველ უკემტრად, უღანათოდ, ყოველგვარი ესტეტური ზედმოქედლების უნარს მოკლებული სტრიქონებით იწყება თბრობა ავტორის მიერ შექმნილი ვმირების — ნოდარისა და ლელის ბრძოლების შესახებ „კავკასიონის კარებთან“, სადაც



„ვერავი მტერი ხარბი თვლებით საქართველოსკენ იჭვრიტებოდა“. ნოდარი მტრის ტყვიით განგმირული ეცემა პრძოლის ველზე. სწორად ამ დროს გაჩნდება მასთან ლელიც და ასეთ სცენას აგვიწერს ავტორი:

„...კიდევ უნდოდა რაღაც ეყვირა, მაგრამ დაჭრილი, ვითარც ყინული გაყვიდა ფეხად და გაიშოტა.“

— „ნოდარ, ძვირფასო, — შეპკივლა ქალმა „არა გრცხვენია რომ მიღალატე?! ნუ თუ დაეცი?!“

და ვიდრე გმირის გაყინულ ცხედარს ფერდაკარგული დასჩურჩულებდა, თითონაც მკერდში ტყვიელი იგრძნო, თვალთ დაღებულდა, ცნობა დაკარგა

და სატრფოს გვერდით დაეცა მკედარი“...

ეს უგეზური მელიორანმა მთავრდება ქალ-ვაყის საფლავზე ნიაგის სიმღერით. კავკასიის დაცვის თემაზე არა ერთი საინტერესო ნაწარმოებში დაწერილი, ამ თემას კიდევ ბევრი მხატვრული ტილო მიეძღვნება. ეს დიდად პასუხსა-გება საქმეა მწერლისთვის და ამ პასუხისმგებლობას ყოველი მწერალი თავიდანვე უნდა გრძნობდეს.

კ. რუსხიძის „კავკასიონის კარებთან“ ამ პასუხისმგებლობის ვარჯიშე დვას.

უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებენ თანამედროვეობაზე დაწერილი ნოველები, რომლებიც ავტორს რატომღაც ამ წიგნის ბოლოში მოექ-

ცეცია. მიუხედავად ბევრი გულუბრყვილობისა („მეცნიერის სიხარული“) და დამაკვირვებლობას მოკლებული სიტუაციებისა, „საბჭოთა მწიგნობარი“ წიგნის ეს ნაწილი მკითხველში გამოკვეთილად მხადებს იმის იმედს, რომ თუ კ, რუსიძე თავის შემოქმედებაში იოლი გზით სიარულს არ იჩინებს და ზედმეტად არ გაიტაცებს მუშუბუქი ტანრის ნაწარმოებების წერა, თავის თავზე პეკიითი შემოაობის შემდეგ, შეიძლება სასურველ შედეგებს მიადწიოს.

ამის თავდება, ამ წიგნში შეტანილი, ცოცხლად და ლამაზად დაწერილი ნოველა „მეხუთე ქალიშვილი“, — ჩვენი საყოლმურნეო სოფლის მიმზიდველი სურათი. ამ ნოველაში საცხებით სწორადაა დახატული ქალის რაღი ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში. ქალის გაჩენა რევოლუციამდელ გლეხის ოჯახში დიდად სასიხარულო ამბავი არ იყო. მაქაბლას აჭარბული ვარჯი მხოლოდ ვაყის დაბადების გამო გაისროდა. მოხუც მამედან ხეთი შვილი ისე ეყოლა, რომ თითი ერთხელაც ვერ გაისროლა, ვატენილი მაქაბელა ამ დროიდან სხვენში იხიხებოდა და აი ახლა, მისმა უმცროსმა ქალიშვილმა, „საბჭოთა კავშირის გმირობა“ რომ მიიღო:

— მოხუცმა მამედამ კეთიანი მაქაბელა გაისროლა. მამედი ახლაც აიგანზე დვას და გაიძიხის: „შვილი შეშეძინა, ვაყაკი შვილიო!“

ეს ნოველა ავტორის ნიჭზე ლაპარაკობს, ამიტომ უფრო მეტი სიღრთობლე მოეთხოვებოდა მას წიგნის გამოცემის დროს. ეს სიღრთობლე გამოიმკვლობასაც მოეთხოვებოდა და წიგნის რედაქტორსაც.

დ. გორდაძე.

ახალი ნარკვევები

ა ლ ი მ ა ლ ა მ ი ა — „მებაღე“, მისივი — „სოფლის გზაზე“; ე ლ ი ზ ბ ა რ ზ ი დ ბ ი ნ ი ძ ი — „გზარის ერთი სოფელი“; ბ ა ნ ო თ ა თ ა რ ი შ მ ი ლ ი — „ბაპარჯუხიშვილი“. გამოსცემა საბჭოგამისსა.

ალიო ადამიას „მებაღე“ და „სოფლის გზებზე“ მხატვრული ნარკვევებია და დაწერილია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მომზადარ დიდ ძვრათა შესახებ. მკითხველის განსაკუთრებულ უურადლებას იძყრობს „მებაღე“; ნაწარმოების მთავრი მოქმედი პირი, ავტორის მიერ გამოგონებული პიროვნება კი არ არის, არამედ ცხოვერების სინამდვილიდან აღებული რეალური კოლმურნე გიორგი თაქთაქიშვილი. მან შეარჩია და გამოიყვანა ჯერ სოფელ რველის და შემდეგ მთელი ქართლის პირობებისათვის შესაფერი ბოსტნეული კულტურების განსაკუთრებული ჯიშები. ესეთებია პამიდორის ჯიშები — „რეული“ და „მუხარადი“, ხა-

ხვის — „რკორდი“, საადრიო კომპოსტოს — „იღვალი“, სტაფილოს — „ფლონი“, ნესვის — „პობრდი თაქთაქიშვილისა“, ლობიოს — „ესარი თაქთაქიშვილის № 1 და № 2“, საზამთროს — „პორჯომი“ და სხვა მრავალი.

მეტად მდიდარი გამოცდილების პატრონი გიორგი თაქთაქიშვილი, იგი იმდენად სწავლული არ არის, რამდენადაც პრაქტიკოსი. მართალია ერთი წლის განმავლობაში ისმენდა ტომირიაშვილის ლექციებს, ვაგონილი ქონდა მიურინის ამპაიცი, მაგრამ 29 წელაწილი პრაქტიკულ ცდებს აწარმოებს და დიდ შედეგებსაც მიადწია, იგი უფრო თვითნაწილი პრაქტიკოსია, ხანგრძლივი წლების განმავლო-

ბაში დაკვირვებებით, ცდების მიხედნით და თავისი ინტუიციით დიდ სწავლულობამდე ამაღლებული, მისი შვილი მიხელი, აგრონომი, უმაღლესი განათლებას მკურნე, მის მდიდარ გამოცდილებას ემყარება მის დაკვირვებებს ეცნობა და იყენებს. გიორგის მთელს რაიონში იცნობენ. ბორჯომის მოსაზღვრე ქართლის სხვა რაიონებიც უხვად სარგებლობენ მისი მდიდარი გამოცდილებით: იგი ხან რუსთავეში მიყავთ ბაღსა და ბოსტნის სხვადასხვა კულტურების დასაწერგავად, ხან ადიგენში და ზანცა სხვა ადიგულებში მას აქვს მაშობა მიცემული ბორჯომის აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებისაგან, რომელსაც გარდა ვანყოფილების განგისა ხელს აწერდნენ მთავარი აგრონომი, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, კოლმეურნეობის აგრონომები. ამ მოწმობაში სწერია: „ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებში (ყვიბისი, ახალ-დაბა, პატარა ახალდაბა, რველი, ვარდგინეთი, ტობისხევი, ვაშლოვანი და ზანცა) გავრცელებულია და 1936—1937 წწ. მასობრივად საუესენ ბოსტნეულ კულტურის გაშენება, რომელიც შეარჩია და გამოიყვანა რველელმა კოლმეურნემ გიორგი თავთაქიშვილმა“. მის შესახებ მოიხილება სხვა საყურადღებო ცნობა. ერთ მთავანში ვკითხულობთ: „სოფელ ვეიბისის საშუალო სკოლამ კოლმეურნე გიორგი თავთაქიშვილის მიერ მოცემული თესვით, მისივე უშუალო დახმარებითა და მონაწილეობით, გააშენა ბოსტანი. ბოსტანმა არაქვეულებრივად გაიხარა და სკოლას დიდი სარგებლობა მისცა სკოლის პედაგოგისა და მასწავლებლები დიდად უმადლიან სახელოვან მებაღესა და მებოსტნეს“.

ნაწარმოების მკითხველს წინაშე გადავილია ამ ინიციატი და თავისებური ადამიანის პეტად მდიდარი და საინტერესო თავგადასავალი. აგრონი უზრალოდ, სადად, მაგრამ დიდი გულბილით და სიყვარულით გვიამბობს გიორგის რველში დასახლების ამბავს ოდესღაც ერთ უღარიბესი სოფელი რველი, ახალ და ეტოვრებითა და სიხალისით იყვებულა. ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას ისიც აღიერებს, რომ მასში უხვად არის ჩართული ამ კუთხის შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები. ამ ცნობების ასპექტით კიდევ უფრო მრწყინვალედ სჩანს დღევანდელი ქართლი, მისი აღმოჩენებული ცხოვრება, მისი სახეშეცვლილი ბუნება და მისი ხალხის მზარდი და საამო ყოფა. შეყვარული ამის გამო უმღერის საბჭოთა ადამიანების ენერჯისა. მტკიცე ნებისყოფას, შრომითი მამოკონას.

ამ დღეებით მხარეებთან ერთად ნაწარმოებს ახსიათებს ზოგიერთი ნაყოფი. ნაწარმოების

მიხედვით გიორგის მუშაობა სუსტად არის დაკავშირებული კოლმეურნეობის ცხოვრებასთან. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თუკის კოლმეურნეობა ამ საქმეში არაფერს, ან მალან უმნიშვნელო როლს თამაშობს. ყოველ შემთხვევაში ნაწარმოებში არ სჩანს კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ხელი მისი მუშაობის წარმართვაში. ეს კი არ არის მართალი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ და საკოლმეურნეო ცხოვრებამ ააღინა გიორგის ის ბედი. რომელიც მატარებელი მის მოსახერხებულად კმარს შემთხვევითი და რომელსაც მთავრის მამულში ორი წელშიაღი უმუშავია. ამასთანავე ისტორიული ცნობების მოყვანის დროს აგრონი ყოველთვის არ იცავს თარიღების სიზუსტეს.

მისზე მეორე წიგნი „სოფლის ვებზე“ უფრო საგანგებო ნარკვევების კრებულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის საკოლმეურნეო ცხოვრების შესახებ. ზუგდიდის მუხეშის ექსპონატი, მტკვრ-წყარული ხაჯალური, აგრონი იწვევს ძველი ცხოვრების მანებელ ამბების გახსენებას, ახალ ცხოვრებასთან შედარებას და იმ კონტრასტების დაწახვას რომელიც მათ შორის არსებობს. ზოგიერთი ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობა და ქალაქ ცხაპაის წარსულის შესახებ ბაროზდინის დამოწმება, ნაწარმოებში მოხდენილად არის ჩაქსოვილი. იქ, სადაც დღეს საბჭოთა ადამიანების მიერ შექმნილი კეთილმოწყობილი პატარა ქალაქია, მაშინ ერთი ხის ხეირიანი სახლიც კი არ ყოფილა და ცარხმის საოლქო სამამოთველო თეკლათში ვინმე თავად მგობის სახლი მოუთქვებიათ.

მაგრამ საბჭოთა ენოქის დიდი გაქანების შესახებ აგრონი წიგნის შემდეგ თავებში გვიყვება. წალენჯიხის რაიონში მისვლამდე იგონებს კვარაცხელიების ჯოგის წყალზე გასვლას, პოეტურად აგვიწერს ამ ამბავს, ეხება სურთის წყლის აღმოჩენას, აღნიშნავს სკურა — ჯგალი — წალენჯიხის გზატკეცილის გავლას, აგარაის მშენებლობას, შემდეგ გადის გალას რაიონში, გვაცნობს სოციალისტური შრომის 85 გმირის ცხოვრებას, შევეფართო ქვემო ბარდღეში, აგვიწერს ამ სოფლის ცხოვრების გარდაქმნას. და კულტურული აღმშენებლობის გზაზე შედგომას, ყურადღების ორიბიტში აქვს მოცემული აგრეთვე სოფელ მურის კოლმეურნეობა „საბჭოთა აფხაზეთი“, ჩიკვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ოქში, ჩოქოლი ქვანახის დიდი ოსტატობა და მისი მდიდარი გამოცდილება სიმინდის მოსავლიანობის გადიდებაში, რაჭველი ხეროს მუშაობა ოქში, მერხეულიდან ჯივას ჩოქოლი ქვანა-



ხიასთან სტუმრობა და ბოლოს აქარის, ქედის რაიონის კოლმეურნე ზოძის ამბავი.

ველა ამ მასალას საფუძვლად უდევს კონკრეტული ფაქტები. ავტორი მოგვითხრობს მხოლოდდამხოლოდ რეალური ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებსა და აღმანიშნებზე, მასში ზედა ჩვენი სანამდევლის ტიპური თვისებებს, და მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ყოველივე იმისადმი, რაც ახალია. იგი ამას ყველა დამაჯერებლად და დამამტკიცებლად და გვიჩვენებს მთელ რიგ კოლმეურნეთა დასამახოვრებელ სახეებს. ამ ნაწარმოებებსაც ახალსაბჭოთა ზოგიერთი ნაკლი შეგალითად. ნაწარმოებში ავტორი ღაბაშვილი 1948 წლის უხვი მოსავლისათვის მხადების შესახებ. წიგნი გამოვიდა და მკითხველი კითხულობს მას 1949 წელს, როდესაც ეს ფაქტები უკვე მოიხვედნებოდა. ავტორს ეს ვაჭრობა თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინა და წიგნი დღევანდელ საზოგადოებას მასალად განეცდებოდა. წიგნი მოიპოვება ამასთანავე ზოგიერთი შეუდგარებელი და ბუნდოვანი გამოთქმები. ასეთებია, მაგალითად „შეაჩე ფიქრს ფიქრის“, „ჩის კენწეროვში ფართობებდა ნისლი“, „იისფერი კეამი და სხვა.

ელაზარ ზედვინიძის წიგნი „გურიის ერთი სოფელი“ ასახულია სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობა და მიღწევები. ნაწარმოებში კარგად არის გახსნილი შრომიითი გმირობის საწყისები და იგი დაეკვირვება ჩვენი ქვეყნის განვითარების მამოძრავებელ ძალეთთან. ავტორს აწერია ამბები ვაშლიანობა აქვს არა ცხოვრების სინამდვილიდან გამოთიშულად. არამედ როგორც ამ სინამდვილის ვანწყვავებული გოგანტური პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ამასთან ნაწარმოების ღირსება. სწორად არის დანახული აგრეთვე ჩვენი ცხოვრების განვითარების ბეგარი ახალი მოვლენა.

შედარებით სრულად არის გადმოცემული ამ კოლმეურნეობაში იმ ბრიგადის მუშაობის ამბები. რამდენსაც ხოლომონ ჭარბაა ხელმძღვანელობს. თვით ბრიგადიერი კარგად იცნობს მასზე გამარჯვებულ მიწის ნაკვეთებს. ამიტომ შემთხვევით არ იყუ, რომ მან მკვლევად დაეკეთა ვანსაკუთრებული ფორმის ფარცები მიწის რელიეფთან შეგუებული. შემდეგ იგი ყურადღებას აქცევს. რომ ნათესებში წვიმების დროს წყალი არ ჩადვს და სიმიდი არ ჩააღობს, საწარმო კვლავის ვაეუტებას. დიდი ყურადღება ექცევა ავტოთეე ნათესების დროულად და ხარისხიანად დამუშავებას. ბრიგადა მხოლოდ ასეთი თავდადებელი მუშაობით აღწევს გამარჯვებას. მარტო პრემია დანამატის სახით ბრიგადამ მიიღო 12 ტონა სიმინდი, ხო-

ლო მერგოლურმა ბენია ჭარბამ 2,5 ტონა სიმინდი.

გ რ კ ე ნ ე მ უ ლ ი

ნაწარმოებში განსაკუთრებული ყურადღება სისრულით არის ასახული ამ კოლმეურნეობის შეჯიბრება — შეგობრობის ამბები უკრაინის სოფელ გენიის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან. ერთმანეთისათვის მდიდარი გამოცდილების გაზიარება, ერთმანეთის დახმარება — ხელისშეწყობა და უხვი საჩუქრები, სამშულო ომის დროს მტრისაგან გენიის დაპყრობის პერიოდში მშრომელების ზრუნვა მის ცალკეულ წევრებს, ხოლო გათავისუფლების შემდეგ უხვი მშური დახმარება, რაც მხოლოდ ხალხთა სტალინური მეგობრობის ერთობშია შესაძლებელი, ნაწარმოებში ნაჩვენებია რელიეფურად და იგი შეუენელებელი ინტერესით იკითხება.

ნაწარმოებს ამ თვისებებთან ერთად აქვს ზოგიერთი ნაკლიც. ძვირფასი და მდიდარი მასალა ყოველთვის არ არის მხატვრულად ათვისებული და შესაფერ ფორმებში გამართული.

სუსტია ამ სოფლის რეკოლუციამდელი პერიოდის დახასიათება.

ნაწარმოები ერთობ გადატვირთულია დიდი დეტალებით, რაც ყოველთვის არ არის მხატვრულად გამართული და გამართლებული.

ცუდი ჭარბულია და არამხატვრული გამოთქმები: „აბრეშუმის ჭიის დასმის დრო მოვიდა“, „სოფელს მთლიანად შინც არ სძინება“, „ელენე შრომაში ბრძოლას შეედეგა“, „მეცხრეს ბრიგადირმა“ და სხვა.

ბენი თათარისელის „გამარჯვებულნი“ სუვეტიანი დოკუმენტალური პოეზია, მასში ასახულია ზეგადის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბერაის სახელობის კოლმეურნეობის მამაცი შრომა სამამულო ომის პერიოდში. ავტორი მხატვრულად და რელიეფურად უჩვენებს მკითხველს ამ კოლმეურნეობის შრომიითი მამაცობის სურათებს. უბრალოდ, მაგრამ დიდი სიმართლით ნაჩვენებია მოწინავე კოლმეურნეთა და მისი რიგითი წევრების არა მარტო შრომიითი მამაცობა, არამედ ნამდვილი სამშრობა აღმანიერი გროზები და თავისებობიც. ნაწარმოები დაწერილია მშობლიური მიწისა და მისი საუკეთესო აღმანიებისადმი დიდი სიყვარულით. ერთი მთლიანი სუვეტი და მოქმედი პარტია ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე მისდევს, რაც მის მხატვრულ ფუნქციონირებას კიდევ უფრო ამაღლებს. არა გამოგონილი პიარება, არამედ ნამდვილი თვისი საუკეთესო სახელითა და გვართ მოქმედი პირები. ნაწარმოების მსუელეობაში იზრდება და მძლღეობიან და უდღევს გამარჯვებას — გმირობას — აღწევს. მოქმედება სამამულო ომამდე იწყე-



მა, მაგრამ სამამულო ომის შემდეგ საყოლ-
მურნო სოფელი, ფრანტის ეს შტაციე ზურ-
გი, კიდევ უფრო აძლიერებს თავის მუშაობას.
ლოზენგი — ყველაფერი ფრანტისათვის მოცე-
მულია მისი სრული ასი პროცენტით განზორ-
ცალებების პირობებში. საქმეში და ცხოვრების
სინამდვილის ფონზე რელიეფურად ნახევენ-
ბია, თუ საიდან მოდის ბიჭვი თანამედროვე
ცხოვრების სწორედ ამ კალამოთი წარმარ-
თვისა. პარტია, ბელადი, საბჭოთა მოთავრობა,
ა ის შიშობრავებული ძალები, რომლის მეო-
ხებითაც გუშინდელ უბრალო ადამიანები დღეს
გვირგვინად ხდებიან, გუშინდელი უძლეურები
დღეს სასწაულებს აღდგენენ. საზოგადოდ ნარ-
კვეთი და კერძოდ სარეცენოთი ნარკვეთი იმით
არის დასახსრებული, რომ ცხოვრების მოძრა-
ობასთან შეიძრო კავშირით, თავისა ოპერატი-
ულაობით და ცხოვრებაში ახალის გამოჭერის
უნარიტ კეშმარიტად ასრულებს ზვენი ლიტ-
რატურაში მოწინავე მხევერავის როლს.

ნაწარმოებში არ სხანს აგრორია, მისი
მნიშვნელოვანი როლი სატრეცტრესტს ცხოვ-
რებაში და ეს უმჯველად მუშაობს მათი-
თვალის. შით უმეტეს ასეთ ნაწარმოებთა ერთ
საბატიო დანიშნულებას წარმოადგენს ამათე-
თი კოლმურანობის მდიდარი გამოცდილების
პოულარინაცია.

ნაწარმოების ზოგიერთი ადგილები ვაკეთე-
ბულა მსუბუქი საგანითო წერილის სახით. ასე-
თია თუნდაც თამარ ყუფუნაის ბრივადის საქ-
მეში. ამ ამბების ასახვაში სჭარბობს დიფი-
რამები და ლარობა ცოცხალი მუშაობის ფაქ-
ტებათ.

ნაწარმოებს აქვს სხვა წერილმანი ნაყოც-
შატერული სახეები ყოველთვის არ არის ნა-
ოული, დიალოგები გამართული და შინაარ-
სობრივად დატვირთული, მაგრამ მიუხედავად
ამ ნაქლისა, იგი დიდი ხალხით იკითხება.

3. მისჯი.

ახალი საბავშვო წიგნები

„ძია მიხო“ რუსი კომიტების ლექსები, გადმოკართულია
ირაკლი აბაშიძის მიერ. საბლიტბაში. 1948 წ.

საბჭოთა კავშირის მოზარდი მკითხველები
კარგად იცნობენ ისეთ საბავშვო პოეტებს,
როგორიც არიან მიხალკოვი, მარშაი და ჩუ-
კოვსკი. არა ერთი და ორი მშვენიერი ლექსი-
თა და პოემით გაუხარებიათ შათ ჩვენი ბავ-
შეები. მხატვრული წიგნის აღმზრდელობითი
მნიშვნელობა მეტად დიდია ბავშვის ცხოვრე-
ბაში. ამიტომ არის, რომ ბავშვებმა ზეპირად
იციან ხსენებული პოეტების მიერ შიდალი
მხატვრული გემოვნებით და ოსტატობით და-
წერილი პოეტური ნაწარმოებები. მაგრამ ეს
ყველაზე არ ითქმის, რადგან შიშვე რესპუბ-
ლიკებში ყველა ბავშვმა ისე ზედმიწევნით არ
იციის რუსული, რომ ღრმად ჩასწვდეს ამა თუ
ამ პოეტური ნაწარმოების მხატვრულ სიმშვე-
ნიერეს და მის დედააზრს.

ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ რუსი სა-
ბავშვო პოეტების საუკეთესო და სანიმუშო
ნაწარმოებნი ითარგმნოს ქართულ ენაზეც.

სწორედ ამ საჭირო საქმისათვის მოუკიდო
ხელი პოეტ ირაკლი აბაშიძეს და უნდა ითქვას,
რომ იგი ამ საქმეს თავისი პოეტური პასუხის-
მგებლობითაც მოპყრობა. სარეცენოთი წიგნ-
ში მის შერეულია აქვს ექვსი სხვადასხვა
პოემა ე. წ. მიაკოვსკის, ჩუკოვსკის, მარშაისა
და მიხალკოვისა, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ
ერთი გარემოება: პოეტს დასახელებული ლექ-
სები უბრალოდ კი არ უთარგმნია, არამედ
12. „მეათობი“, № 6.

გადმოქართულდება. მას უღვია ქართული
მოზარდი თათბისათვის ეს პოემები ისე მიე-
წოდებინა, რომ ისინი ქართული კოლორი-
ტით, მშობლური შტრიხებითა და გამოთქმე-
ბით გამდიდრებული ყოფილიყო, პოეტი დასა-
ბულ მზანს აღწევს თუ მხედველობაში არ
მივიღებთ იმ ზოგიერთ ხარვეზებს, რომლებ-
ზეც ცალკე ვეჭვნება საუბარი.

წიგნი, რომლის საერთო სახელწოდებაა,
ს. მიხალკოვის ცნობილი პოემის სათაური „ძია
მიხო“, იხსენება ე. მიაკოვსკის ლექსით „რა
არის კარგი, რა არის ცუდი“.

მიაკოვსკის ჩვეული, დამაჯერებელი და
შთამაგონებელი ტონით არის დაწერილი ეს
ლექსი.

„ციენა ბიჭი
მამასთან
შემოიჭრა წუთით:
„მამო,
კარგი რა არის
ან რა არის
ცუდი?“

და შემდეგ ვისაგები და ნათელი დრახებით.
მხატვრულ სახეებში გამოხატული მაგალითე-
ბით აგვიწერს პოეტი, თუ მართლაც რა არის
ცუდი ბავშვისათვის და რა არის კარგი.

„თუ ბავშვს უყვარს
სამონი,

უცვარს
კბილის ფხვნილი,
კარგი არის
ის ზავში
და ამგვარი
შეილი.

სუსტი ზავშის
დამზავრელს,

ცრუს და
შარის მომღებს,

მე ამ
წიგნში არ ჩაეწერ,
იმედიც არ ჰქონდეს!

მთელი პოემა კარგად ელერს და ზავშისათვის მეტად ადვილი დასამახსოვრებელია.

შემდეგი პოემა „მურაინი ბიჭი“, რომელიც გადმოკეთებულია ე. ზუკოფსკიდან, არანალებს საინტერესოდ იკითხება, ვიდრე რუსული დედანი. მოზარდ მკითხველს მაშინვე თვალწინ წარმოუდგება ისეთი ზავში, რომელიც სისუფთავეს ჩვეული არ არის. ზავშისათვის განაგები სახეები, მსუბუქი და ლამაზი ლექსი, რომელიც გადმოდრებულია ქართული ხალხური გამოთქმებით, — აი რა ახასიათებს ამ თარგმანს:

„რა ზავშია, რის ფერია,
შევი არის შავივეითო,
უნდა ფერზე მოვიყვანოთ,
ზავში იუოს ზავშივეითო“.

და შემდეგ, როდესაც მურაინ ბიჭს დაბანენ და გაალამაზებენ, გამარჯვებული პირსაბანი, რომელიც ასე მოხდენილად არის ამტკველებული, რომ ცოცხალი აღამაინ გვეგონებოთ, უმღერის ზავშეს:

„და ამღერდა პირსაბანი
მთელმა ბინამ მისცა ბანი:
— მე გახლავართ ზედაური,
პირსაბნების შეთაური.“

აი, ახლა შემიყვარდი
რისთვის ჰყარდი? რადა ჰყარდი?
განა გადნი, განა გაცედი?
ჰხედავ? როგორ გალამაზდი.

ს. მარშეის პოემაც „წიგნის შესახებ“ ისეთივე სიყვარულით არის გადმოქართულებული, როგორც წინა პოემები, პოეტი ირაცილი ამაშიც აქ იშველიებს ქართველი მწერლების სახელებსა და მათი შემოქმედების ნიმუშებს, რომლებიც ქართველი მკითხველსათვის ნაცნობი და საყვარელი არის.

„წუხს „ველის ნუკრი“,
გაჟას ნუკრი:
„თეშცა გაჟამ დამიყვავა,

მაგრამ ავტრ ამ უმგევნომ
დამგლიჯა და გამაძევა“.

ან კიდევ
„მაშინ წარსდგა „ტანკრუსტკინაჟს
ვოხოვო, მისმინოთ, ვაშოგონოთ.
ნულარ ვითმენტ, ნულარ ეწველობო.
ასეთ პატრონს ვავეცალოთ.
წინ წამოდგა „ძია შიო“,
ნუ ხარ ზედამ წრიალშიო,
შენ ჭეყანას ისევ ებრძვი,
ისევ ეთამაშებოთ,
სად წაივდეთ, როცა წიგნებს
ყველგან ზევენ ზავშეებო“.

წიგნების ასეთი ზივილი ზავშეებისათვის საყვარელი მწერალთა ზავთიგან დიდ შთაბუქძილებას ახდენს ზავშეებზე, მართლაც ჩაითქრებს მათ, რომ წიგნს დეკონოდ და სიყვარულით უნდა მოეკიდონ.

განსაკუთრებით უნდა შეეჩრდეთ ს. მიხალკოვის პოემა „ძია მიხოს“ თარგმანზე. იგი რუსულის მცოდნე ზავშეებისათვის მეტად საყვარელი ნაწარმოებია, შიხარული და ჯანსაღი თუმორით აღსავსე. ი, ამაშიცეს რომ ეს პოემა ჩვეულებრივად ეთარგმნა, მას შესაძლებელია არ შერჩენოდა თავისი სილამაზე და მარშიდველობა. ირ, ამაშიცემ ამ პოემას არა მარტო სათაური შეუცვალა და „ძია სტიოპას“ მაგივრად „ძია მიხო“ უწოდა, არამედ მთელი რიგი ახალი მხატვრული სახეები შეიტანა მასში, რითაც შესცვალა რუსული გამოთქმების სპეციფიკა. რაც ქართული ენის ბუნებას არ ემუქებოდა.

„ცისფერ სახლში, რომელსაც
ნომრად უნის რეანი
ერთი კაცი ცხოვრობდა
საყენსაზვრეანი“.

მიხო ერგვა სახელად,
მეტსახელად — ვეინი,
შიხარული, გულლია,
შეგედი და არხეინი“.

პოემის პირველივე სტრიქონებიდან მოზარდ მკითხველს აინტერესებს რაც შეიძლება მალი კაციებს ძია მიხოს ენაობა. ეს გამოწვეულია იმით, რომ თარგმანის ავტორი სადა და თავისუფალი თხრობითი კლთით ავეიწერა პოემის მთავარ გმირს. და როდესაც ძია მიხოს თავედასავალი იწყება, მკითხველის დაინტერესებაც უფრო იზრდება.

„ხალხს ჰფარავდა კინომი
მეთორმეტე კაცამდი,
უცვიროდნენ, — ხელს გვიმოლი,
იატაკზე დაბრძანდი“.
სტადიონზე ბილუთა



არასდროს არ პქონია,
გაუშვებდნენ, ამბობდნენ: —
ალბათ ჩემპიონია“.

საერთოდ ეს საბავშვო წიგნი მოზარდი
შეთხველისათვის კარგი სარტყარია და ირ. ამა-
შიდემ სასარგებლო საქმე გააკეთა, რომ რუსუ-
ლი საბავშვო პოეზიის საუკეთესო ნიმუშები
ქართულ ბავშვებს გაეცნო.

ი. აბაშიძე ზმირად ზმარობს არასწორ გი-
მოთქმებს: მაგალითად, „ზოგს ტალახშიც უზა-
რის“. აწიგნს მისდევენ სალიცა“. რითმისათვის
არ შეიძლება კეთბური სიტყვის ზმარება. არ
არის კარგი ჭართული „წყალი პირზე შესახს-

მელი“, „მიტომაა რომ გაგმტყ“. „გადიონ
ღარაგები“, „თქმა ნუ იციტ ტყველის“
„მიზნობაში ერთობა“. „მეზღვეური ამბელა“, „კუთბური გე-
პოთქმა“. ი. აბაშიძემ ამ ვარტობებს კურად-
ლება უნდა მიიქციოს და შემდეგ გამოცემაში
გასწოროს. წიგნში ვხვდებით აგრეთვე სასვე-
ნი ნიშნების არა სწორად ხმარებას, რაც აგრ-
ეთვე ნაკლდ უნდა ჩაითვალოს .
ეს წიგნი უკვე სამართლიანად სარგებლობს
ბავშვების სიყვარულით.

ა. შაშალოშიძე.

ბ. შატბერაშვილი — „ძარბი ბიჭი“. საბლიტბაში.

ყოველი საბავშვო წიგნის გამოსვლას სიზა-
რულით ეგებება მოზარდი შეითხველი. ასევე
დაინტერესებული არიან შშობლები და მს-
წავლებლები, რომლებსაც ეს წიგნები დიდად
ეზმარებიან ბავშვების აღზრდის საქმეში. კარ-
გი საბავშვო წიგნი ნორჩ შეითხველში სერ-
ავს ღრმა პატრიოტულ გრძნობას, შრომისად-
მი სიყვარულს და ანტიარებას ახალი ქვეყნის
მომავალი შშენების მაღალ შეგნებას.

ასეთ წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება გ. შატ-
ბერაშვილის სარტყენით წიგნიც — საბავშვო
მოთბრობებისა და ლექსების კრებული, რო-
მელსაც ეწოდება „კარგი ბიჭი“.

წიგნში მოთავსებული მოთბრობები და ლექ-
სები ვარტყუენილია უმეტარბოთ ასაკის ბავშვებ-
ისათვის, ამ ასაკის ბავშვები ვარტყუენობენ
ლად ფართბლ და ფაქბ მბდგომას მოითბო-
ვენ. ბავშვთა ფსბქოლოგბის ღრმა ცოდნაა სა-
ჭირო, რომ მწერალმა ვარტყუენის ბსბნი, თავბსი
აზრი ვადასცეს მათ.

გ. შატბერაშვილი იცნობს ბავშვთა სამყა-
რბა. პატარა, მაგრამ მობდენილი მოთბრობე-
ბის მარტყევი სტყეტბების საშუალეობით ის ბავ-
შვებს ურტყენებს კარგსა და ცუდს, საზოგადო-
ებრივად სასარგებლოს და მავნეს. შეიძლება
თქვას, რომ ამ მოთბრობებბს წყითბებით
ბავშვს ვარტყუენობი არაფერი რტყება, რადგან
ნაწარმოებში ნათელია არა მარტო სიტყვა და
წინადადება, არამედ ის ამბავიც, რომელიც
აღწერილია მასში. მოთბრობები ნორჩ შეით-
ხველში იწყვევენ კეთბლომბილურ გრძნო-
ბებს — სიყუთის დათყვის სურტყილს, ბავშვთა
შორბს მეგობრულ სიყვარულს, ერთბანეთბ-
სადმი დაზმარებაბს მბწრაფებას. ასეთბა, მაგა-
ლითად, მოთბრობებ: „ხვალაც მოხვალთ
ხვალაც“, „თანდოს სტყერი“, „ილოს ურტყემი“.

„უფროსი მეგობარი“, „ჯიბის სანათი“ და
სხვები.

მოთბრობა „ჯიბის სანათი“ გამოზატულია
ქალაქელი ბიბის ელგუჯას კეთბლომბილება,
რომელიც ჯიბის სანათს არტყებს ღამბს მეტ-
რეს, მთაში მიმავალ ტატოს, ამ მოთბრობაში
მოთვარი ის არბს, რომ იგი დმწერილია მართ-
ლად, სივალბის და გამოგონების ვარტყე.

ბნულ და უმთვარო საღამოზე ელგუჯას მამი-
საგან ნარტყარი სანათი სოფლის ტოლებში
გაქტვს, ორლობეს ვაამტყებს. ბავშვებს აყერი-
ვებს და აზარტებს ჯიბის სანათი. კარგა ხანს
ზარობდნენ მბსი ანთება-ჩაქტობით. ამ სოფ-
ლელ ბიბებს შორბს იყო აგრეთვე ღამბსზარ-
ში მიმავალ ტატო, რომელსაც შმარზე მზა-
რა ქტოლდა გადავდებული. როდესაც ელგუჯა
გაბტებს, რომ ტატო მთაში მიდიოდა, წინადა-
დება მბსცა, ანთებული შტყით სოფლის ბო-
ლომდე ვარტყილება. ტატომ უარი უთბრა,
პირტყლად ზამ არ მიგლია უმთვარო ღამე-
შიო. ტატო ვარტყა გზას. ცოტა ხნბს შემ-
დეკ კი ელგუჯას დავაბდა აზრი ერთტყბინა
მბსთვის ეს სანათი, გამოუდგა დიეწბა და
ვაბტრა.

„ელგუჯას კი გული უტყმბა: „მიცეე თუ
არა, მიცეე თუ არა“ — ყოყმანობდა ის.

ეს ბავშვის ფსბქოლოგბის მართალი გამოზატ-
ვბა ელგუჯასაც, როგორც ბავშვს, ძალიან აზა-
რება ჯიბის სანათი, ის მბსთვისაც ძვირფასი
და სანატრელი ნთვთი იყო, უმბმბდა მბსი გა-
ჩტყება, მაგრამ წარმოიდგინა ბნულ ღამეში
მთაში მიმავალი ტატო, რომელსაც ასანთი
მართლად დიდ სამსახურს ვარტყებდა და ვა-
დწყობტა ერთტყბინა, თუმცა მბსი ბავშვტური
გული ერთბანს ყიდენ ყოყმანობდა.

„ერთი გული „პონ“ ეტბნებოდა, მეორე
„არას“. ბოლოს კეთბლომბი გულია სძლია: —



„მოცი, მაგან ბნელი დამე უნდა გაათენოს, ღამის მკურნა, წვედიად ღამეში გაწვალდება, მეს კი თხილ ლოგინში უნდა დაიძინო, დედის გვერდით“.

დაბოლოს ელგუჯა, მტკიცედ გადაწყვიტა:— წაიღე, შენ უფრო გამოვიდებო!

ეს მოქმედება ხორის მეთხველში უნათოდ წაბადვის სურვილს გამოიწვევს, ედდება, თვითონაც ელგუჯასავით კეთილი იყოს.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოთხრობა: „კარგ ბიჭს“.

ავტორი ედილობს თავისი პატარა გმირი ზაქროს სამაგალითო ბავშვად დახატოს. ისეთ ბავშვად, რომელიც ეყვარება არა მარტო დედას, არამედ მასწავლებლებს და ამხანაგებსაც. ავტორმა მართლაც დაგვიხატა ისეთი ბავშვი, როგორც უნდა იყოს ყოველი მოზარდი:— სწავლაში ბუკიით, შრომის მოყვარული და გამრავე, უფროების გამგონე და თავაზიანი, ამხანაგების ღამხმარე და მოყვარული. ასეთ ბიჭს — ზაქროს — მასწავლებლებმა კარგი ბიჭი შეაჩვენეს. ზაქრო ამართლებს კიდევ შერქმულ სახელს, თუმცა ერთზელ გაუგებრობის გამო, მის კარგ ბიჭობაში ეჭვი შეიტრეს.

დიდი სამამულო ომია. ზაქროს მამა ფრანტუზა, ოჯახში მამაკაცის ზელი არ ტრიალებს. ერთ დიღას ზაქრო სკოლაში წასვლამდე შეშის მისატანად ტყეში წაიდა. ტყეში ზალათი დაეხა. გარდა ამისა, სკოლაშიც დაუფიანდაროდესაც მასწავლებლებმა ზალათმოთხველსა და სანაგაფითლებულ ზაქროს შეხედეს, იფიქრეს, ონაგარ ბიჭებთან საქიდლოდ და სახზუნოდ უფილიაო. კლასში დაგვიხატების მიზეზადი იგივე ჩასთვალეს. რამდენიმე დღის შემდეგ მასწავლებლები ზაქროს ოჯახში მივიდნენ, რომ დაუბანის გავფრთხილებინა ბავშვის ცუდლერობის გამო. მაგრამ, როდესაც დედამ მასწავლებელს დაგვიანებისა და ზალათის დაბუვის ნაშვდილი მიზეზი უთხრა, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. მასწავლებელმა ისიც ნახა, თუ როგორ მხარავდა მიწას ეს თორმეტცამეტო წლის ბიჭი დედის დასახმარებლად.

მოთხრობა „კარგი ბიჭი“ ნორჩ მეთხველში გამოიწვევს სურვილს, ვახდეს სამაგალითო ბავშვი. იგი აღზრდის და განავითარებს საზოგადოებრივად სასარგებლო აღმამანს კარგ მხარავებს. ასევე კარგია მოთხრობა „მოჩხუბარიძე“. ამ მოთხრობაში მოცემულია სიყვარული ქართველი მწერლის აღქმანდრე ყაზბუგის ბავშვობის ერთერთი ეპიზოდი. სახელდობრ ის ეპიზოდი, რომელიც კიდევ ერთ სახაბს აძლევს პატარა სანდროს დედას შეარქვას ბავშვს მოჩხუბარიძე. მოთხრობის შინაარსი კ

ბავშვს ასწავლის სუსტს მფარველობა და დახმარება ვაუწიოს.

ერქმეწმული

საწინააღმდეგო შეხედულებებს წინააღმდეგობით მოთხრობა „ბუტრას კერძი ტყბილია“-ს გამო. მართლაც ისიც ბავშვისათვის გასაგებია ენათ არის დამწერილი, მაგრამ სწორად არ მიგვაჩინია მისი მხატვრული გადაწყვეტი.

ამ მოთხრობის მოკლე შინაარსი:

საუბნის შემდეგ დედა ბავშვებს კაცლის მურობას დაუროგებს. პატარა ნიკოს თვლი დარჩა ვანოს ღამხმარე, რომელშიდაც მას უფრო დდი კაცლები მოგვჩენია. გაიბუტა და კამას თვით მინახა, სხვებს მერტი მთეცი, შენაყლებით. შენოდის მამა. ამ მდგომარეობას რომ შეინინახეს, ღამხმარე მიიღგამს და ბავშვის მურაბას თვითონ შეეჭეცა.

— „აბა შეეჭდე ამ კაცს, ამისათინა გემრიელი არც ერთი კაცილი არ იქნება, ნიკომ კი დაიწუნა. უჰ, უჰ, უჰ, რა ტყბილია, რა გემრიელი!“

ამზოდა მამა და კაცის მურაბას გაღმებული შეეჭეცოდა. მორივე შეკამა, შესამეცჯიუტი ნიკო კვლავ იატკის უმწერდა.

მამამ მურაბის კამა მოათავა. ტყბილი წვენიც დაავოლა. იცინოდა, იცინოდენ ბავშვები“.

ჩვენი აზრით, ასეთი მეთოდით ბავშვის ხასიათის ცუდი მხარის გამოსწორება ძნელი საქმე იქნება. ასეთი მოქმედება ბავშვს უფრო გააღიზიანებს და უფრო გააჯიუტებს.

წიგნის მეორე განყოფილებაში მოთავსებულია ამავე ახვის ბავშვისათვის მიმზიდველი და ღამხი ლექსები.

ეს განყოფილება იხსენება ოთხსტრიქონიანი ლექსით, რომელსაც სწერს იასავით პაწაწინა ბავშვი საყვარელ ბელდას.

ასევე სიყვარულით არის გამთბარი ლექსი „ლგერნტი ბერისა“.

„შემოგხარით ეღელაშვილის მზის ქვეშ გამოზრდილები, — ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს შვილები...“

შემდეგი ლექსებიც: „პირველი დღე სკოლაში“, „ქართველ ქალებს ასახელებს“, „სამზადისი“, „თებერვალი“ და სხვები ჩვენი დიდი ქვეყნის საყვარულს ასწავლის და გულში უნერგავს ბავშვებს. ამ ლექსში არცერთი წინდადება და მხატვრული სახე დატვირთული არ არის არც ყალბი პათეთიკით და არც გუგებარი გამოთქმით.

კარგია პატარა საბავშვო პოემა „ხილითა ქება“. იგი აღწერს საქართველოს სხვადასხვა ეტობეს და იმ ხილს, რომელიც ამა თუ იმ



კეთხეში მოდის. ეს პოემა ნორჩ მკითხველს აღნობს ხილის თვისებებს. მათ ყვავილთა ფერებს, აყვავებასა და დამწიფების დროს.

„ათასწლოვანმა კაცლის ზემ.
გაიშრილა ხმანად,
ხილთა ქვეყანას დაძაბა
ვეგუნით ომხიანად;
...იხარდეთ, ტბილად დამწოდით.

ქართველი კაცი ახარეთ,
ოქროს და ლალის ნაწელი
ჩვენს მიწას გადააყენებენ
სე მოივრდება ვ. შატერაშვილი
ცენზო მივიღო, „კარგი ბიჭი“ მოხარდი მკითხველს საყვარელი წიგნი ვახლება.

მკითხველი.

ბ. ჩხიტიანი — „რომიკო“ (იბილიოზური ანბანით). საბლიტბაში.

ნოველა „რომიკო“ მიმზიდველი ნაწარმოებია როგორც შინაარსის, ისე ფორმისა და კომპოზიციის მხრითაც. მასში გამოსახული სამშობლოს სიყვარულის იდეა ოსტატურად არის გახსნილი და გამოყვეთილი. შერჩეული მართებულად ვაქცევია ტრაფარეტს, სქემატიზმს და პატრიოტიზმის ცხოველყოფილი გრძნობა ორიგინალური კეთხით ვადმოუცია, მისი ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ სამშობლოსა და მამულისადმი მარადიული ტრფიულების გრძნობა მუხსავით ფესვგამდგარ საქართველოს წარსულიდან სრულიად ბუნებრივად და ადამიანურად შეუდრელებია საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობასთან.

ინგილო ბიჭი, პატარა რომიკო, უცნაური ბუნების ბავშვია. მამა ფრონტზე ჰყავს. დედა გარდაეცვალა. მისი აღზრდა მთავრობამ იყისრა, მაგრამ იგი საბავშვო სახლში არ იცდის, რამდენჯერმე გამოიპარა იქიდან.

აი, საბავშვო სახლში საახალწლო ნადეისზე დაუდგამთ. დიდი მზიარულებაა: ზოგი მღერის, ზოგი ტან-ფანდურს უყრავს, ცეკვობენ, ამ დროს რომიკოს მოიკითხავენ, მაგრამ იგი არ ჩანს, მასწავლებლები დაეძებენ, მის სახლს მოადგებიან. ქობს ბოქლომი ადევს. კუქრუტანაში იქვრიტებიან. შუა ადგილის რიადე წერტილი მოიანს, შეზობლის ქალმა ჩეილემ მასწავლებლებს უთხრა: „რომიკო დილით იყო ჩემთან, გასაღები მთხოვა, არ მივეცი, საჭმელი დავუდგდი და ზედ არ შეხვდა“.

როგორც კი ამოქმედებს გასაღები, წერტილი შეინძრა და კარების ვაღებისთანავე მათ წინ გაბრუნდა იგივე გამოიქვამა პატარა ბიჭი. ვახარებულმა მასწავლებლებმა ხელში იტაცეს იგი, მაგრამ ის მალე გაუსხლტა მათ და შორს დაიპირა თავი.

რად გარბის რომიკო შინ? ვინ დაუხვდება მას იქ, დედა თუ მამა? რა ძალა აჩერებს მას მარტოდმარტოს ვაციებულ კერასთან? განა საბავშვო სახლში უდიერად ეპყრობიან? არა, იქ, მას არც ცვება, არც თბილი ტანსაცმელი

და არც მშობლიური ალერსი არ აქვია, მაგრამ რა უცნაურია რომიკო შინც გარბის შინსკენ, რად ჩასტყობის ასე დიუნებთ კერას, ან ვის მოეღოს იგი? აი ის საკითხები, რომელთა პასუხსაც შემდეგი ნაწევრები ვვამცნიობს:

- რომიკო, აქ რას აკეთებ? — ეკითხებიან მას.
- არაფერს მამას ველოდები!
- სად არის მამაშენი?
- ჯარშია, უნდა მოვიდეს!
- საიდან იცი?
- წერილი მომწერა!
- რიღის უნდა მოვიდეს?
- ახალი წლისათვის, ამაღამ, ან ზვალამ! — ამბობს რომიკო ინგილოურად.

რომიკოს უბეში მამის წერილი უღვეს. მამა წერს: „შვილო რომიკო, ახლა შენ სახლის უფროსი ხარ, ოჯახს კარგად მოუარე, სახლკარზე შეყავითაღ იყავი, ხალხში არ შემარტყენიო, ახლა შენ დიდი კაცი ხარ და ოჯახში ეკამლი არ ჩააქრო, მეც საახალწლოდ შენთან ჩამოვალ“.

რომიკოს სჯერა, რომ მამა დაბრუნდება, მათ სახლში სიხარული ისევ ჩადგება, მანამ კი მან კერა არ უნდა გააციოს, ცეცხლი არ უნდა ჩააქროს.

ველოდფერი ეს დამაჯერებლად არის დაბატული მოთხრობაში. ფრონტელმა მამამ ასე ისურვა და შეილიც მამის გზას არ დალატობს.

ამიტომაც იყო, რომ მასწავლებლებმა ზინამ, ჩეილემ დეილამ და სხვებმა ქობიდან ვერ გამოიყვანეს რომიკო. მამის მასწავლებლებმა საახალწლო საშხადისი რომიკოს ქობში ვადმოატანეს ამ პატარა ამბავში ბავშვისადმი დიდი სიყვარული ჩანს. ამ საყვარულს ჩვენ უფრო ნათლად ვგრძნობთ, როცა ინგილო ქალის ჩეილეს სულსა და გულში ვიხედებით. ჩეილემ ორი შვილი სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა, მაგრამ შინც მზნედ გამოიყუ-

რება და მთელი ძალისხმევით განაგრძობს შრომას საშობლოს გამარჯვებისათვის.

მართებულად ამბობს ავტორი ამ შესანიშნავი ადამიანის შესახებ: „ვეცქერი ამ იშვიათ ქალს და თავში ახიჩებელი აზრი მიტრიალებს. რატომღაც მეონია, რომ ის უცნაური ინგილო ვოგონა, რომლი მოქმედებამ რამდენიმე წუთს დააფიქრა იმგადახდელი მეფე ერეკლე. ჩვილს უშვებო წინაპარი უნდა ყოფილიყო“.

დიახ, სიმართლის მარცვალი უნდა იყოს ამ სიტყვებში. ამ სიმართლის ისტორიული ფესვები კი ყველაზე უფრო გადგმულია პატარა რომიკოში, იმ ინგილო ბიკში, რომელსაც მისი აღმზრდელები მოტყუებით დაძინებულს უპირებდნენ წაყვანას, მაგრამ პირიქით მოხდა მათ ჩაქვინათ, ხოლო რომიკო ფხიზლობს, და როდესაც ერთერთი მამწაელებელი გაიღვიძებს, იგი ხედავს, რომ: „ქობის შუა იდგილას ზღის კუნძულსავეით დაკიდულა ჯარისკაცის კისერზე ჩვენი პატარა მახინძელი“.

ჩვილე დედა და ზინა მამწაელელებსავე ტაცებით შესცქერიან რომიკოში და მსხვერპლად სიხარულის ცრემლები ჩაჰოსდიოთ“.

რომიკოს შამა ფრონტიდან დაბრუნდა. იმ რატო მიიპარებოდა იგი საბავშვო საბლოდან, რატომ ვერ მოაცდლევინეს მას ფეხი ქობიდან, რატომ არ გააცეცა კერა და რატომ არ დიქინა ახალიწლის დამეს. ახლა ყველაფერი ნათელია, ნოველის დედააზრი დიდი კეთილშობილური გრძნობითაა გამთბარი. ამ კეთილშობილებზეა წყარო — საშობლოს სიყვარულია.

ნოველა „რომიკო“ დაწერილია უბრალოდ, მასში ორგანულად არის გამოყენებული ინგილოური ხალხური ფოლკლორი. ამ ნოველის ორიგინალურ კომპოზიციურ ქავეილში ბუნებრივად ვითარდება ეს ინგილოური ამბავი. იგი ინტერესით იკითხება.

ეს პატარა, უპრეტენზიო ნოველა კარგი საჩუქარია ჩვენი ბავშვებისათვის.

სიომე წვინაძე.

შინაარსი

ა. ს. პუშკინის პორტრეტი	35
პანოუ შადურნი — რუსული პოეზიის შუბ, წერილი	3
ა. ს. პუშკინი — ლექსები, თარგმნილი ვიქტორ ვაბესკვირიას, ვანო წუ- ლუკიძის, ხარიტონ ვარდოშვილის, სავლე აბულაძისა და კოლაუ ნადირაძის მიერ	16
ა. ს. პუშკინი — ალი, თარგმანი ნიკოლოზ (კოლაუ) ნადირაძისა	27
ა. ს. პუშკინი — დუბროვსკი, დასასრული, თარგმანი იროდიონ ქავთარაძისა	48
პარლამ შურული — პუშკინის ბაღში, ლექსი	77
ოთარ მამფორია — პუშკინისადმი, ლექსი	78
კონსტანტინე ბამსაბურაძე — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი შესამე, გაგრძელება	79
ღამით ბაძრაძე — გმირთა სისხლით, გაგრძელება	106
ნინო აბაშიძე — ჭრელი ბაღდადი, მოთხრობა	126
შანდორ პეტეფი — ლექსები, თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა	143
—	
გაბტანე ვილიძე — შექსპირის „ქარიშხლის“ ქართული თარგმანის გამო, წერილი	160
დემანე შინგულიანი — „კალდერონი — „თავისთავის დარაჯი“, ბიბლიოგრაფია	164
ვლადიმერ ჯიბუტი — ს. ჭილაია — „ლიტერატურული წერილები, ნაწილი მეორე“, ბიბლიოგრაფია	168
დ. ბორაძე — „ქ. რუსიძე — „ნოველები“, ბიბლიოგრაფია	172
ბ. მიბუძე — „ბალი ნარკვევები“, ბიბლიოგრაფია	174
ა. მაშალაშვილი — „ჭია მიხომ“ — რუსი პოეტების ლექსები“, ბიბლიოგრაფია	177
მკითხველი — „გ. შატერაშვილი — „კარგი ბიჭი“, ბიბლიოგრაფია	179
სიმონ წვირაძე — „ა. ჩხენკელი — „რომიკო“, ბიბლიოგრაფია	181



მასშტაბის მქონე რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

- აღმასდარი აბაშიძე, ნიკოლოზ აბიაშვილი (მასშტაბის მქონე რედაქტორი), იოსებ ბრიგაშვილი, კავშირ ინტროდუქცია, სერგო კლდიაშვილი, ალიო შირვაშვილი (მასშტაბის მქონე რედაქტორი), ბესარიონ შლენტი, ბალატიონ ტაბიძე, სანდრო შანთაბაძე, დამას შანთაბაძე.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-49 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11 1/2 ფ. ში 01191.
შეკვ. № 686. ტირაჟი 5.200.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი № 3-23-42.

Комбинат Печати Управления по делам Полиграфии и Издательства при Совете
Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

3560 8 826.

35758



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ